

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარული მეცნიერების ფაკულტეტი
(რუსული და სლავური ფილოლოგია)

კ ა მ კ ა მ ი ძ ე თ ა მ ა რ ი

პოლონური მასალები გაზეთ “კავკაზის”
ფურცლებზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, მიმართულების
ხელმძღვანელი, სრული
პროფესორი მარიამ ფილინა

თბილისი - 2013



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

შინაარსი

შესავალი..... გვ. 6

თავი 1. პოლონური ლიტერატურული დისკურსი გაზეთ “კავკაზის”
მასალების მიხედვითგვ. 22

1.1. ვლადისლავ სტშელნიცკის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის”
ფურცლებზე.....გვ. 22

1.1.1. “ხალხთა ახალი გადასახლება”გვ. 26

1.1.2. “მახმუდკა”.....გვ. 30

1.1.3. “ორი უზდენი”..... გვ. 53

1.2. ივან სლივიცკის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე...გვ. 65

1.2.1. “თხზულება შოთა რუსთაველზე”.....გვ. 66

1.2.2. “ჩემი ღამისთევა ქართულ სოფელში”.....გვ. 69

1.3. კონსტანტინ დზიუბინსკის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე
.....გვ. 73

1.3.1. “სეირნობა ორთაჭალაში”.....გვ. 73

1.4. ევგენი ვერდერევესკის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე
..... გვ. 76

1.4.1. “ზაურალიედან ამიერკავკასიამდე. წერილი 16”.....გვ. 76

1.4.2. “ერთი მშვენიერი ზაფხულის დღე თბილისში”.....გვ. 80

1.4.3. “ტყეობაში შამილთან”.....გვ. 84

1.5. იან სტასის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზეგვ. 95

“მოგზაურობა კახეთში”.....გვ. 95

1.6. ვლოდიმეჟ მლოკოსევიჩის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე”
.....გვ. 97

“ნადირობის სწორი ორგანიზების შესახებ”გვ. 97

1.7. კაპიტან ტრმასკოვსკის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის ფურცლებზე

..... გვ. 98	98
“გურიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა მისი რუსეთთან მიერთების შემდეგ	
..... გვ. 98	98
1.8. იან კრიჟანოვსკის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე	
.....გვ. 101	101
1.8.1. “ამბები თელავიდან”.....გვ. 102	102
1.8.2. ამბები თელავიდან”(11)გვ. 103	103
თავი 2. პოლონური კულტურული დისკურსი გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე	
..... გვ. 104	104
2.1. ლეონ იანიშევსკის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე	
მუსიკალურ – კრიტიკული სტატიებიგვ. 105	105
2.1.1. “პირველი მუსიკალური საღამო თბილისში”გვ. 109	109
2.1.2. “ბატონი პარისის პირველი კონცერტი”გვ. 111	111
2.1.3. “ბატონი პარისის მეორე კონცერტი”გვ. 114	114
2.1.4. “ბატონი პარისის მესამე კონცერტი”გვ. 116	116
2.1.5. “ბატონი პარისის მეოთხე კონცერტი”გვ. 116	116
2.1.6. “მუსიკალური საღამო”გვ. 117	117
2.2. თბილისის კულტურული ცხოვრება XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზეგვ. 120	120
თავი 3. პოლონური პუბლიცისტურ – ინფორმაციული დისკურსი გაზეთ “კავკაზის” მასალების მიხედვითგვ. 132	132
3.1. კაპიტან იაროცკის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე	
“წერილი ნუხიდან”გვ.132	132
3.2. კაპიტან ნესვიატსკის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე	

“ეკლესია ქისტებთან სოფელ ხულიში”	გვ.133
3.3. ლეონ მოღვაწის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე თანამედროვე პედაგოგიის ფუძემდებელი ი. ა კომენსკი	გვ. 134
3.4. კაპიტან ტრშასკოვსკი შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე “გურიის ფენების შესახებ”	გვ. 135
3.5. “1863 წლის პოლონეთის აჯანყება და მისი გაშუქება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე”	გვ. 139
დასკვნა.....	გვ. 150
გამოყენებული ლიტერატურა.....	გვ. 154

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სადისერტაციო ნაშრომში “პოლონური მასალები გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე XIX საუკუნის II ნახევარში” განხილული და გაანალიზებულია გაზეთ “კავკაზში” XIX საუკუნის II ნახევარში (1846-1900) გამოქვეყნებულ ყველა მნიშვნელოვანი პოლონური მასალა. გამოკვლეულ იქნა არა მხოლოდ კავკასიასა და საქართველოში გადმოსახლებული პოლონელების “კავკაზში” გამოქვეყნებული ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაშრომები, არამედ შესწავლილ იქნა კავკასიაში მოღვაწე, რუსეთის ადმინისტრაციაში მომუშავე პოლონელების შემოქმედება. აღმოჩნდა, რომ კავკასიასა და საქართველოში საკმაოდ დიდი დაინტერესება იყო პოლონეთისა და პოლონელების მიმართ. გაზეთი “კავკაზი” საკმაოდ მდიდარია მათი მასალებით.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთ “კავკაზის” პოლონური მასალები კომპლექსურად პირველად არის შესწავლილი და გაანალიზებული.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოკვეთილ იქნა 2 ჰიპოთეზა, რომელთა დამტკიცებას ვცდილობდით კვლევაში. გაზეთი “კავკაზის” შესწავლამ და გაანალიზებამ ნათლად გვიჩვენა, რომ ჩვენ შეგველით ამ ჰიპოთეზების დამტკიცება: XIX საუკუნის II ნახევარში კავკასიასა და საქართველოში მომუშავე, გადმოსახლებული და საქართველოში გასტროლებზე ჩამოსული პოლონელები აქტიურად თანამშრომლობდნენ კავკასიაში გამოცემულ პრესასთან. როგორც გაზეთ “კავკაზის” ფურცლებიდან ჩანს, ისინი მონაწილეობდნენ ქართულ ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებაში, რითიც გარკვეული წვლილი შეიტანეს საქართველოსა და მთელი კავკასიის ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების, ისევე როგორც საქართველო-პოლონეთის ურთიერთობების განვითარებაში. გაზეთ “კავკაზმა” კი დიდი როლი ითამაშა ამ ურთიერთობების განვითარებაში პრაქტიკულად ყველა დარგში.

გარდა ამისა, პოლონელებმა ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაწარმოებების საშუალებით კავკასიისა და საქართველოს წარმოჩენაში გარკვეული როლი ითამაშეს, რაშიც გაზეთ “კავკაზს” დიდი წვლილი მიუძღვის.

შესავალი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება გაზეთ “კავკაზში” XIX საუკუნის II ნახევარში (1846-1900) გამოქვეყნებულ ყველა მნიშვნელოვან პოლონურ მასალას. განხილულია 1831 წლის პოლონეთის აჯანყების შემდეგ კავკასიასა და საქართველოში გადმოსახლებული პოლონელების ლიტერატურული და მუსიკალურ-კრიტიკული ნაწარმოებები, ცარიზმის ადმინისტრაციაში მომუშავე პოლონელების თხზულებები, ლიტერატურული, ისტორიული და პუბლიცისტური ნაშრომები, აგრეთვე გაზეთ “კავკაზში” ასახული პოლონური კულტურული არეალი საქართველოს დედაქალაქ თბილისში.

საკვლევი თემის აქტუალობა და სიახლე

ქართულ-პოლონურ ურთიერთობებს დიდი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ XV საუკუნეში ქართლის მეფე კონსტანტინე შეეცადა კავშირი დაემყარებინა პოლონეთის მეფე ალექსანდრე იაგელონჩიკთან, რათა იგი ოსმალების წინააღმდეგ გამოეყენებინა. XVII საუკუნეშიც არსებობდა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა - შემორჩენილია ცნობილი იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს ცნობები საქართველო-პოლონეთის ურთიერთობების შესახებ, რომელიც მან რომის პაპს წარუდგინა (მეტრეველი: 2004).

XIX საუკუნეში საქართველოსა და პოლონეთს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდა, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც ორივე ქვეყანა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. 1831 წლის პოლონეთის აჯანყების შემდეგ კი უამრავი პოლონელი გადმოსახლებულ იქნა კავკასიასა და საქართველოში.

შემდგომში, უკვე XX საუკუნეში, საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო პოლონეთი სოციალისტური ბანაკის წევრი გახდა. დღესდღეობით პოლონეთი ევრო კავშირისა და ნატოს წევრი ქვეყანაა. იგი მხარს უჭერს საქართველოს, მის ინტეგრაციას ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში, ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის გამოცდილების გაზიარება. პოლონეთიც, თავის მხრივ, დაინტერესებულია საქართველოთი და კავკასიით. პოლონეთში არსებობს და აქტიურად მუშაობს კავკასიის ცენტრი,

რომელსაც ხელმძღვანელობს ბ-ნი დავით ყოლბაია და კავკასიის ინსტიტუტი, რომელსაც სათავეში უდგას ბ-ნი მალიცკი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კავკასიის “პოლონია” მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია. საქართველოში “პოლონიას” შემქმნელი და ინიციატორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ლიტერატორი მარია ფილინა. დღესდღეობით პოლონეთის რესპუბლიკის დაფინანსებით “პოლონია” მატერიალურად ეხმარება საქართველოში მცხოვრებ პოლონელებს, აწვობს სხვადასხვა კონფერენციებს, ღონისძიებებს - საიუბილეო კონცერტებს (შოპენის, სლოვაკის, მიცკევიჩის დღეები და სხვ). აქვეყნებს კონფერენციების კრებულებს, პოლონური ლექსების ქართულ თარგმანებს. 2002 წელს ქართულმა “პოლონიამ” ორი საერთაშორისო ჯილდო მიიღო იმ დიდი წვლილისათვის რაც მას პოლონურ-ქართული კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობების განვითარებაში მიუძღვის. ყველა ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობს პოლონეთის საელჩო და კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები (რაქვიაშვილი: 2007).

საკვლევი თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ გვეჩვენებინა, თუ რამდენად მჭიდრო ურთიერთობა იყო კავკასიას, კერძოდ საქართველოსა და პოლონეთს შორის XIX საუკუნის II ნახევარში, რაც გამოიხატებოდა კავკასიაში გადმოსახლებული პოლონელების, ისევე როგორც კავკასიასა და საქართველოში მომუშავე პოლონელების პროფესიონალური კრიტიკის დარგში, ლიტერატურულ და პუბლიცისტურ საქმიანობაში. აგრეთვე გვსურდა გვეჩვენებინა, თუ რამდენად დიდი როლი ითამაშა გაზეთ “კავკაზმა” ამ ურთიერთობების განვითარებაში.

სადისერტაციო ნაშრომის სიახლე კი იმაში მდგომარეობს, რომ გაზეთ “კავკაზის” პოლონური მასალები კომპლექსურად პირველად არის შესწავლილი და გაანალიზებული. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გამოვიკვლიეთ და აქცენტი გავაკეთეთ არა მხოლოდ კავკასიასა და საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელებზე და გაზეთ “კავკაზში” მათ ლიტერატურულ, პუბლიცისტურ და ისტორიულ ნაშრომებზე, არამედ გამოვიკვლიეთ კავკასიაში მოღვაწე, რუსეთის ადმინისტრაციაში მომუშავე პოლონელების ნამუშევრები.

ნაშრომში აგრეთვე ასახულია საქართველოში კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსული პოლონელების შემოქმედება.

ნაშრომში გამოყენებულია XIX საუკუნის II ნახევარში გაზეთ “კავკაზში” დაბეჭდილი ყველა პოლონური მასალა, პოლონელების მიერ

დაწერილი ლიტერატურული ნაწარმოებები, თხზულებები, მოთხრობები, რეცენზიები, სტატიები, აგრეთვე მასალები, რომლებშიც ასახულია პოლონელების ცხოვრება და, რაც მთავარია, ავსახეთ გაზეთში გამოქვეყნებული 1862-63 წლებში პოლონეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები.

გარდა ამისა, ჩვენ შემოვიფარგლეთ მხოლოდ ერთი გაზეთით “კავკაზი” კონკრეტულ პერიოდში.

აღმოჩნდა, რომ კავკასიასა და საქართველოში საკმაოდ დიდი დაინტერესება იყო პოლონეთისა და პოლონელების მიმართ. გაზეთი “კავკაზი” საკმაოდ მდიდარია მათი მასალებით.

სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი “კავკაზის” საკვლევად არჩევისა. ეს იყო მრავალმხრივი გაზეთი, რომელსაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა, თუმცა ყოველთვის ძლიერი და პროფესიონალი რედაქტორები ჰყავდა (ო. კონსტანტინოვი, ი. სლივიცკი, ნ. ვორონოვი, დ. ერისთავი, ფ. ბობილევი, ე. ვერდერევესკი, ი. მილუტინი და სხვ.).

XIX საუკუნის II ნახევრის გაზეთ “კავკაზის” საკვლევად არჩევის მიზეზი

მას შემდეგ რაც მთელი კავკასია რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, ევროპა კიდევ უფრო დაინტერესდა ამ მხარით. რუსი და ევროპელი მკვლევარებისათვის, მოგზაურებისათვის და კავკასიაში გადმოსახლებულებისათვის, კავკასია თითქმის ბოლო გეოგრაფიული აღმოჩენა იყო. რაც უფრო ფართოვდებოდა რუსეთის იურისდიქცია, მით უფრო იზრდებოდა ცარისტული ადმინისტრაციის ინტერესი კავკასიისა და წინა აზიის ქვეყნების მიმართ. განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენდა საქართველო და ჩრდილო კავკასია. ზემოთხსენებულმა მოვლენებმა დასაბამი მისცა კავკასიის ხალხის კულტურის, წესჩვეულების, ენების, ისტორიის და პოლიტიკური ორიენტაციის ფართომასშტაბიან კვლევას. კავკასიის შესწავლაში უდიდესი წვლილი შეიტანა როგორც პერიოდულმა, ისე არაპერიოდულმა პრესამ: გაზეთებმა, ჟურნალებმა, კრებულებმა, რომლებიც კავკასიაში და კერძოდ, თბილისში, უკვე 1828 წლიდან გამოიცემოდნენ.

რუსული პრესა კავკასიაში დიდ ყურადღებას აქცევდა კავკასიათმცოდნეობას და მთარგმნელობით ლიტერატურას. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყველა ეს პერიოდული გამოცემა და პრესა თითქოს ახალ

ეპოქას წარმოადგენდა ცივილიზაციური ურთიერთობის განვითარებაში (შამილაძე: 2001). არ შეგვიძლია მოკლედ მაინც არ ჩამოვთვალოთ კავკასიაში გამოცემული ჟურნალები და გაზეთები: თბილისში დაფუძნდა “რუსეთის საინფორმაციო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება” (1872 - 1917 წლები). ამ განყოფილებამ კავკასიაში საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებას შეუწყო ხელი. წლის განმავლობაში განყოფილება სხვადასხვა დარგის ჟურნალებს უშვებდა: “კავკასიის განყოფილების გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჩანაწერები” (1852 - 1916 წლები). 1866 წელს თბილისში დაიწყო გამოცემა არაპერიოდულმა კრებულებმა – “კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები” (1866 - 1904). კავკასიის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კავკასიაში პირველ რუსულ გაზეთს “თბილისის უწყებანი” (1828 - 1833 წ.წ.). 1881 - 1927 წელს გამოიცემოდა “მასალების კრებული კავკასიის ადგილთა და ტომთა აღწერისათვის”. სარედაქციო კომისიის წევრები იყვნენ ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, ლიტერატორები, ეთნოგრაფები – ლ. ლოპატინსკი, ნ. მარი, ა. ლაისტერი, თ. ჟორდანი, მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი, ე. ვეიდენბაუმი, ი. ტატიშვილი და სხვა. გამომცემლობასთან თანამშრომლობდნენ ექიმები, მასწავლებლები, სასულიერო პირები, ჩინოვნიკები. “კრებული კავკასიის ადგილთა და ტომთა აღწერისათვის” გამოცემის ინიციატორი იყო იმდროინდელი კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელი ცნობილი პედაგოგი კ. იანოვსკი, რომელსაც ამ კრებულის გამოცემისათვის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის წოდება მიენიჭა. ზემოთ აღნიშნულ კრებულებსა და სერიულ გამოცემებში, ჟურნალ - გაზეთების ფურცლებზე რუსი, პოლონელი და უცხოელი მკვლევარები, ლიტერატორები და ისტორიკოსები აქვეყნებდნენ მუსიკალურ რეცენზიებს, ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ესსეებს და სხვა. გრიბოედოვის მიერ დაარსებული “ტიფლისის უწყებანი” და “კრებული კავკასიის ადგილთა და ტომთა აღწერისათვის” ოფიციალურ ორგანოს წარმოადგენდნენ.

“ტიფლისის უწყებანი“ - ში გამოქვეყნებულ სტატიებს მაღალ შეფასებას აძლევდა გამოჩენილი რუსი პოეტი ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი, რომელიც გარკვეული პერიოდის მანძილზე კავკასიაში იყო გადასახლებული. მნიშვნელოვანი და ღირებული ნაწარმოებები, სტატიები, ესსეები იბეჭდებოდა ყველასათვის საყვარელ და ყველაზე პროფესიონალურ გაზეთ “კავკაზში”,

რომელიც ო. კონსტანტინოვის მიერ 1846 წელს დაფუძნდა კავკასიაში მეფის ნაცვლის გრაფი მ. ვორონცოვის დახმარებითა და ხელმძღვანელობით, ხოლო გაზეთის ბოლო ნომერი გამოვიდა 1918 წელს. “კავკაზში” თავის ნაწარმოებებს ხშირად აქვეყნებდნენ ცნობილი რუსი, პოლონელი და უცხოური მკვლევარები და საზოგადო მოღვაწეები, აჯანყებაში მონაწილეობისათვის კავკასიაში გადმოსახლებული პოლონელები, ისევე როგორც რუსეთის ადმინისტრაციაში მომუშავე და უბრალოდ კავკასიაში და საქართველოში მცხოვრები პოლონელები. კავკასიის და საქართველოს ისტორიის ქრონიკები იბეჭდებოდა “კავკასიის ქრონიკებში” (1846 – 1917 წლები). საინტერესოა აგრეთვე 1847 წელს ა. ერიცოვის მიერ დაარსებული “კავკასიის სიძველეები” (შამილაძე: 2001). ჩვენს მიერ ნახსენები ყველა ჟურნალ – გაზეთსა და კრებულებში მაქსიმალურად ობიექტურად არის გაშუქებული XIX საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიაში არსებული კულტურულ – ისტორიული და სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობა, ხორციელდებოდა ამ მდგომარეობის ანალიზი. ეს მონაცემები საფუძვლად დაედო კავკასიის ხალხის ისტორიის, კავკასიის კულტურულ – ისტორიული არეალის შესწავლას და დღესდღეობით მათ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ (შამილაძე: 2001

ჩვენ ვეფლობით XIX საუკუნის კავკასიის მრავალფეროვან ცხოვრებაში. გასაგები ხდება რუსი და უცხოელი მკვლევარების კავკასიისადმი დიდი ინტერესი. გასაგებია აგრეთვე რუსეთის ხელისუფლების ინტერესიც ამ ეთნომოზაიკური რეგიონის მიმართ, სადაც გვერდიგვერდ ცხოვრობდა სხვადასხვა რჯულის ხალხი.

საინტერესოა ჩვენს მიერ საკვლევად არცეული გაზეთ “კავკაზის” პროგრამის განხილვა, რომელშიც გამოქვეყნებულია უამრავი პოლონური მასალა, რაც პოლონეთისადმი არსებულ დიდ ინტერესს ცხადყოფს. გაზეთ “კავკაზის” პრინციპების უკეთესად გაგებისათვის ჩვენ მოგვყავს “კავკაზის” დეკლარირებული პროგრამა, რომელიც 1852 წლის №52 ნომერში გამოქვეყნებულია. გაზეთ “კავკაზის” პროგრამიდან ჩვენ ვიგებთ:

“გაზეთ “კავკაზმა” არაერთხელ მიიპყრო განათლებული კავკასიური სამყაროს ყურადღება, თუმცა, სამწუხაროდ, რედაქცია სახსრების სიმწირის გამო გამომკითხველთა მოლოდინებს ხშირად ვერ ამართლებდა. პროგრამაში გვარწმუნებენ, რომ ეს პრობლემა გადაწყვეტილია და გაზეთი “კავკაზი” მალე სრულიად განახლდება. კავკასიის მეფისნაცვლის სურვილით გაზეთი მისი

კანცელარიის მმართველობას დაექვემდებარება, ხოლო გრაფი ვ. სოლოგუბის სახით გაზეთმა გამოცდილი მოღვაწე მოიპოვა, რომელმაც თავის თავზე აიღო გაზეთის ლიტერატურული ნაწილის მიმართულება. შეიძლება ითქვას, რომ “კავკასი” ახალ ლიტერატურულ ცხოვრებას იწყებს; იგი მკითხველს კავკასიის შორეულ ადგილებს გააცნობს და უფრო მეტად დააკმაყოფილებს თავისი მკითხველების, აზიელებისა და ევროპელების მოთხოვნილებებს. კავკასიის მეფისნაცვლის მფარველობის მოპოვებით გაზეთი მოიპოვებს მეტ სახსრებს და გაამართლებს მკითხველთა და თვით გრაფ მ. ვორონცოვის მოლოდინებს” (სლივიცკი: 1852).

1. ოფიციალური ნაწილი

გაზეთის “ოფიციალურ ნაწილში” გამოქვეყნდება ოფიცრების და სამოქალაქო პირების, აგრეთვე სამოქალაქო უწყებაში მნიშვნელოვანი პირების დანიშვნის ბრძანებები, მთავრობის დადგენილებები და მეფისნაცვლისა და ადგილობრივი მთავრობის ზოგიერთი განკარგულება.

2. ქალაქის ქრონიკა

“ქალაქის ქრონიკაში” მუდმივად დაიბეჭდება საქართველოს დედაქალაქში სხვადასხვა სიახლეებისა და მნიშვნელოვანი ამბების შესახებ ინფორმაცია; გამოქვეყნდება ამინდის პროგნოზი; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობა და ასე შემდეგ.

3. ამბები ქალაქებიდან

“კავკასია და ამიერკავკასია გვაძლევს შესაძლებლობას მოვიპოვოთ მრავალმხრივი მასალა ამ განყოფილებისათვის. გაზეთის კორესპონდენტები, რომლებიც ყველა ქალაქში აქტიურად იმუშავენ, შეეცდებიან ყველა პერიფერიული ქალაქის ხასიათი და ამ ქალაქების მკვიდრი ხალხის ცხოვრება გააშუქონ. ამ ადგილების ყოველდღიური ცხოვრება არ ჰგავს ამიერკავკასიის ცენტრის ცხოვრებას, ამიტომ ამ ქალაქებში განვითარებულ მოვლენებს თავიანთი ადგილობრივი, უნიკალური ხასიათი აქვთ” (სლივიცკი : 1852).

4. ამბები სპარსეთიდან და აზიური თურქეთიდან

“ეს ქვეყნები (სპარსეთი და აზიური თურქეთი) ჩვენს უახლოეს მეზობლობაში იმყოფებიან, ამიტომ გაზეთ “კავკაზის” პირდაპირი მოვალეობაა მოაწოდოს რუსეთს მეზობელ ქვეყნებში განვითარებული მოვლენებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაცია“ (სლივიცკი: 1852).

ზოგიერთი ცნობა პირდაპირ გადმოიბეჭდება თეირანში და სომხეთის თურქეთში სომხურ და სპარსულ ენაზე გამოცემული გაზეთებიდან. გარდა ამისა, გაზეთს ჰყავს თავისი კორესპონდენტები ანატოლიასა და სპარსეთის ბევრ ქალაქში. გაზეთის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ რუსეთის და სხვა უცხოურ გაზეთებზე ადრე მოაწვდის თავის მკითხველს ინფორმაციას ამ ქვეყნებიდან (სლივიცკი: 1852).

ნათელია, რომ კონკურენცია XIX საუკუნეშიც არ იყო უცხო ცნება, რის გამოც ხშირად იცვლებოდნენ გაზეთის რედაქტორები. გაზეთი “კავკაზი” ითვლებოდა და იყო კიდევაც კავკასიაში, კერძოდ, თბილისში, ერთ-ერთ ყველაზე პროფესიონალურ, ლიტერატურულ - პოლიტიკურ გაზეთად, რომელსაც მთელი ამიერკავკასია ეცნობოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიასა და მთელს მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა ასახვა ჰპოვეს ამ საინტერესო გაზეთის ფურცლებზე. საკმარისია გავიხსენოთ 1863 წლის პოლონეთში განვითარებული მოვლენები, რომლებიც ყოველდღიურად შუქდებოდა “კავკაზში”. დარწმუნებული ვართ, რომ კავკასიაში გამოცემული ვერც ერთი სხვა გაზეთი ვერ შეედრება ამ მხრივ გაზეთ “კავკაზს”, რომელიც აქვეყნებდა არა მხოლოდ მოვლენებს, არამედ აჯანყებულების მეთაურებისა და თვით აჯანყებულების სახელებს. უდიდესი იყო პოლონელებისადმი ინტერესი, რადგან სწორედ 1831 და 1863 წლის პოლონეთის აჯანყებების შემდეგ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში უამრავი ნიჭიერი ადამიანი გადმოასახლეს; ბევრმა მათგანმა თავისი წაუშლელი კვალი დატოვა საქართველოსა და კავკასიის კულტურაში, ხოლო მათი შთამომავლები შეერწყნენ ქართულ საზოგადოებას; ბევრი მათგანი დღემდე მთელს კავკასიაშია გაფანტული.

თუმცა დაუბრუნდეთ გაზეთ “კავკაზის” პროგრამას.

5. ლიტერატურულ – სამეცნიერო ნაწილი

გაზეთის რედაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გაზეთის ლიტერატურულ-სამეცნიერო ნაწილს. “ამიერკავკასია და კავკასია დღემდე კვლევისა და აღწერის წყაროს წარმოადგენს. ჩვენი მთავარი მიზანია გავაცნოთ მკითხველს კავკასია მთელი თავისი თავისებურებებით; მისი სამხედრო ცხოვრებით, სამხედრო ადამიანების ბიოგრაფიებით და ეთნოგრაფიული თავისებურებებით“(სლივიცკი: 1852).

“გარდა ამისა, რედაქცია შეეცდება გააცნოს მკითხველს თანამედროვე კავკასია, მისი ლიტერატურა, ისტორია, კულტურული ცხოვრება, წარმოება, ვაჭრობა. “გამოცემის ხელმძღვანელობა არ დაიშურებს შრომასა და სახსრებს (შემოწირულობებს) გაზეთისთვის კავკასიის ამსახველი სტატიების შესაძენად, რომლებიც მკითხველს კიდევ უფრო უკეთესად გააცნობს მთელ კავკასიას” (სლივიცკი: 1852).

ჩვენ კი XXI საუკუნეში მცხოვრები მკითხველები ვრწმუნდებით, რომ გაზეთის რედაქციამ შეასრულა მოცემული სიტყვა. გაზეთი ასახავდა მთელი კავკასიის საზოგადოებრივ ცხოვრებას. დაინტერესებულ მკითხველს თუ მკვლევარს გაზეთ “კავკაზში” შეუძლია მოიძიოს კავკასიასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი მასალა.

5. ბიბლიოგრაფია და კრიტიკა

გაზეთი “კავკაზი” გამოიცემოდა კავკასიის ცენტრში და მას ჰყავდა პროფესიონალი თანამშრომლები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ამ მხარეს, ანუ კავკასიას; სწორედ ამიტომ გაზეთი “კავკაზი” გვთავაზობს ყველა დაწერილი და გამოცემული წიგნის ობიექტურ შეფასებას. “კრიტიკულად იქნება გარჩეული როგორც თანამედროვე, ასევე აღრინდელი თხზულებები, ცნობილი მკვლევარების (რომლებიც წერდნენ კავკასიის შესახებ) ნაწარმოებები” (სლივიცკი: 1852).

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მასალები, რომლებიც ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენენ; კერძოდ მასალები, რომლებიც ეხება როგორც გადმოსახლებულ ასევე სახელმწიფო სამსახურში მომუშავე პოლონელებს. ჩვენ საკმაოდ ბევრი პოლონური მასალა აღმოვაჩინეთ გაზეთ “კავკაზში”, რისთვისაც მადლობლები ვართ XIX საუკუნეში ამ გაზეთში მომუშავე ადამიანებისა.

6. ფელიეტონები

“ფელიეტონებში აისახება კავკასიის მთელი თანამედროვე ცხოვრება. გარდა ქალაქის თეატრალურ ცხოვრების შესახებ სტატიებისა, გაზეთში განთავსდება თხზულებები, მოთხრობები ადგილობრივი ხალხის ცხოვრებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ” (სლივიცკი: 1852).

აქვე არ შეიძლება არ დავასახელოდ გაზეთის პროფესიონალი რედაქტორები, რომელთა ხელმძღვანელობით გაზეთი წლიდან წლამდე უფრო და უფრო საინტერესო ხდებოდა. ესენი არიან: ი. სლივიცკი - 1846-1854 წლები; ე. ვერდერეესკი 1854 - 1858 წლები; თ. ბობილევი - 1858-1865 წლები; ე. შვარცი - 1866-1869 წლები; ძმები ბ. და ს. სლივიცკები - 1869-1872 წლები; ე. სტალინსკი - 1872-1877 წლები; რედაქტორ - გამომცემელი ნ. ვორონოვი - 1877-1881 წლები; რედაქტორ - გამომცემელი დ. კოვიაკოვი - 1882-1884 წლები; რედაქტორ - გამომცემელი დ. ერისტოვი (ერისტავი) - 1884-1894 წლები; რედაქტორ-გამომცემელი ი. მილიუტინი - 1894-1897 წლები; რედაქტორ - გამომცემელი ვ. ველიჩკო - 1897-1900 წლები; 1898 წლის № 172 - 175 - დროებითი რედაქტორი ი. უშინსკი (შამილაძე: 2001).

თავდაპირველად გაზეთი გამოდიოდა კვირაში ერთხელ. 1869 წლიდან კვირაში სამჯერ, ხოლო უკვე 1872 წლიდან “კავკაზი” ყოველდღიური გაზეთი გახდა.

გაზეთის ყოველი რედაქტორი თავს ვალდებულად თვლიდა დაემტკიცებინა გაზეთის მაღალი რეპუტაცია და მკითხველებისთვის ეჩვენებინა, რომ გაზეთი ახალი რედაქტორის მმართველობის ქვეშ უფრო მრავალმხრივი, საინტერესო და მნიშვნელოვანი გახდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ 1863 წლიდან გაზეთს დაემატა ფურცლები, სადაც სასწრაფო ცნობები იბეჭდებოდა და მისი სახელწოდება იყო - გაზეთ “კავკაზის” განსაკუთრებული დანართი.

1862 წლიდან გაზეთის სტატიები ძირითადად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, რაც 1863 პოლონეთის აჯანყების შემდეგ გასაკვირი სულაც არ არის. ჯერ კიდევ 1862 წლიდან პოლონეთის სამეფოს შესახებ სტატიები ცალკე სვეტში იბეჭდებოდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პოლონეთის დიდ მნიშვნელობას რუსეთისა და კავკასიისათვის.

რა თქმა უნდა, წლიდან წლამდე გაზეთი “კავკაზი” იცვლებოდა, ისევე როგორც იცვლებოდა მისი რედაქციული პოლიტიკა, რადგან ყოველი

რედაქტორი გარკვეულ სიახლეს სთავაზობდა მკითხველს; ეკვე 1869 წლიდან გაზეთში არც ერთი ლიტერატურული ნაწარმოები არ იბეჭდებოდა. ძირითადად ბეჭდავდნენ ოფიციალურ ცნობებს, პოლიტიკურ სიახლეებს, გამოსმაურებებს, რეცენზიებს. 1870 წლიდან გაზეთის გამოცემის პრინციპი გრძელდება, ძირითადად იბეჭდება ბრძანებები, ქალაქში განვითარებული მოვლენები, უცხოური პოლიტიკური ამბები (ყველაფერი რაც ხდებოდა მსოფლიოში). ამ მხრივ, თბილისელები და გაზეთ “კავკასის” მკითხველები მრავალმხრივ ინფორმირებული ადამიანები იყვნენ. ხშირად ქვეყნდებოდა სახაზინო განცხადებები, უმაღლესი ბრძანებები, სახელმწიფო განკარგულებები, ქალაქის ოფიციალური მატიანე და გაზეთ “კავკასის” კორესპონდენცია (სლივიცკი: 1870). 1878 წლიდან გაზეთი კიდევ უფრო პროფესიონალური ხდება. მას დაემატა ახალი სვეტები, დეპეშები, ქალაქის არაოფიციალური მატიანე; საკმაოდ ბევრი აღწერითი, ეთნოგრაფიული მასალა; თანაც გაზეთს ამგვარ ინფორმაციას ხშირად აწვდიან ექიმები, მასწავლებლები, სამხედრო პირები, რომლებიც კორესპონდენტებზე უარესად არ წერენ და ხშირ შემთხვევაში ისეთ ცნობებს აწვდიან გაზეთს, რომელთა მოპოვებაც ჟურნალისტებისათვის არც თუ ისე ადვილია. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, გაზეთში ფართოდ არის გაშუქებული წითელი ჯვრის საქმიანობა.

ასეთი იყო გაზეთი “კავკასი” 1900 წლამდე. (ჩვენი ინტერესის სფეროს ამჯერად წარმოადგენდა მხოლოდ 55 წელი და არ შევხებივართ მეოცე საუკუნეს). კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ნებისმიერ მკითხველს შეუძლია იხილოს გაზეთში მისთვის საინტერესო მასალა, ჩვენი ინტერესის სფეროს კი წარმოადგენს XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოქვეყნებული პოლონური მასალები.

გაზეთი “კავკასი” მართლაც უნიკალურია. გაზეთის გამოცემის თანავე მასში იბეჭდებოდა კავკასიასა და საქართველოში გადმოსახლებული პოლონელების ნაწარმოებები. ჩვენ შევეცდებით მათ ქრონოლოგიურად მივყვეთ, განვიხილოთ და გავაანალიზოთ ყველაზე საინტერესო პუბლიკაციები. გაზეთ “კავკასის” ფურცლებზე კავკასიასა და საქართველოში მყოფი პოლონელები აქვეყნებდნენ თავის ლიტერატურულ ნაწარმოებს, მუსიკალურ რეცენზიებს, კრიტიკულ, ეთნოგრაფიულ, ისტორიულ სტატიებს, ესსეებს, მოთხრობებსა და თხზულებებს. ისინი, ძირითადად, სხვადასხვა პოლიტიკური მოძრაობების წევრები და ანტისახელისუფლო შეთქმულებების მონაწილეები იყვნენ,

რომლებიც 1830-1831 წლების აჯანყების შემდეგ კავკასიასა და საქართველოში გადმოსახლეს. მათ გარდა “კავკაზთან” აქტიურად თანამშრომლობდნენ კავკასიაში რუსეთის ადმინისტრაციაში მომუშავე პოლონელებიც. 1830-1840 წლებში კავკასიაში ყველაზე ბევრმა გადმოსახლებულმა მოიყარა თავი. “ჩვენ უნიკალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. გადმოსახლებულმა პოლონელებმა შექმნეს თავიანთი ლიტერატურა ქვეყანაში, სადაც ისინი გადმოსახლეს. ყოველი გადმოსახლებული პოლონელი კონკრეტულ საქმეს ემსახურებოდა: ისინი თარგმნიდნენ, ქმნიდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს, წერდნენ მუსიკალურ - კრიტიკულ სტატიებს, თხზულებებს, სადაც სხვა ხალხის ცხოვრება აისახებოდა. თუმცა ქართველებისა თუ პოლონელების ამ კონკრეტული წვლილის გარეშე არ შეიქმნებოდა ამ ორ ხალხს შორის ის ორგანული ერთიანობა, რომლის არსებობა ეჭვგარეშეა” (ფილინა: 1991).

გაზეთ “კავკაზს” და მასში დაბეჭდილ მასალებს მაღალი შეფასება მისცა ვ. ბელინსკიმ ჯერ კიდევ 1847 წელს. 1846 წლიდან გაზეთში ქვეყნდებოდა გადმოსახლებული პოლონელების საინტერესო მასალები: ლ. იანიშევსკის, ვ. სტშელნიცკის, ვ. პოტოცკის, ტ. ლადი – ზაბლოცკის და სხვა. გადმოსახლებულმა პოლონელებმა შექმნეს არაჩვეულებრივი სულიერი კავშირი ქართულ ინტელიგენციასთან” (ფილინა: 2012).

XIX საუკუნის 40-ანი წლებიდან გადმოსახლებული და ცარიზმის ადმინისტრაციაში მომუშავე პოლონელების საქმიანობა კავკასიასა და საქართველოში მრავალმხრივია. “ერთი რამ ეჭვგარეშეა – პოლონელებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქართულ – პოლონურ ურთიერთობაში” (ფილინა: 1991). თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოში და კავკასიაში გადმოსახლებულ პოლონელებზე (თუ პოლონელების) არც თუ ისე ბევრი მასალა არის შემორჩენილი.

როგორც უკვე აღინიშნა, “კავკაზი” იმ დროს გამოსული გაზეთებიდან ყველაზე პროფესიონალურ გაზეთად ითვლებოდა (შამილაძე: 2001).

სწორედ ყველაფერი ზემოთ თქმული გახდა იმის მიზეზი, რომ ჩვენ სადისერტაციო ნაშრომში საკვლევად კონკრეტული გაზეთი “კავკაზი” ავირჩიეთ.

ჰიპოთეზები და კითხვები

სადისერტაციო ნაშრომთან შესაბამისი ინფორმაციის გაცნობისას გამოიკვეთა ორი ჰიპოთეზა, რომელთა დამტკიცებასაც ვცდილობთ ამ ნაშრომში. ჰიპოთეზების დასამტკიცებლად (თუ პირიქით უარსაყოფად) გამოვკვეთეთ რამდენიმე კითხვა, რომლებზეც პასუხის გაცემის შემთხვევაში ჩვენ დავამტკიცებთ ან ვუარყოფთ ამ ჰიპოთეზებს.

1 ჰიპოთეზა: XIX საუკუნის II ნახევარში კავკასიასა და საქართველოში მომუშავე, გადმოსახლებული და საქართველოში გასტროლებზე ჩამოსული პოლონელები აქტიურად თანამშრომლობდნენ კავკასიაში გამოცემულ პრესასთან. ისინი მონაწილეობდნენ ქართულ ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებაში, რითაც გარკვეული წვლილი შეიტანეს საქართველოსა და მთელი კავკასიის ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების, ისევე როგორც საქართველო-პოლონეთის ურთიერთობების განვითარებაში. გაზეთ “კავკაზმა” დიდი როლი ითამაშა ამ ურთიერთობების განვითარებაში პრაქტიკულად ყველა დარგში.

- ურთიერთობდნენ თუ არა გადმოსახლებული პოლონელები კავკასიაში გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებთან?
- მონაწილეობდნენ თუ არა კავკასიასა და საქართველოში მომუშავე პოლონელები ქართულ ლიტერატურულ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში? რა როლი ითამაშა გაზეთ “კავკაზმა” მათ მოღვაწეობაში?
- რამდენად დიდი წვლილი შეიტანეს სამივე კატეგორიის-კავკასიაში მომიშავე, გადმოსახლებულმა და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსულმა პოლონელებმა საქართველოს ლიტერატურული, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში? რა როლი ითამაშა გაზეთ “კავკაზმა” მათი მოღვაწეობის გაშუქებაში?

2 ჰიპოთეზა: პოლონელებმა ლიტერატურული, ისტორიული და პუბლიცისტური ნაწარმოებების საშუალებით გარკვეული როლი ითამაშეს კავკასიისა და საქართველოს წარმოჩენაში, რაშიც გაზეთ “კავკაზს” დიდი წვლილი მიუძღვის.

- ასახავდნენ თუ არა პოლონელები საქართველოსა და კავკასიას თავიანთ ნაშრომებში, ესეებში, მოთხრობებში და თუ ასახავდნენ რა კუთხით?

გამოყენებული ლიტერატურა

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მეტად სიღრმისეული შესწავლისათვის და მრავალმხრივი გაანალიზებისთვის გაზეთი “კავკაზის” (1846–1900) გარდა გავცანით და გამოვიყენეთ თემასთან დაკავშირებული დამხმარე ლიტერატურა, რამაც ხელი შეგვიწყო საკითხს უკეთესად გავცნობოდით და დაგვემტკიცებინა ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული ჰიპოტეზები: წარმოვიდგინეთ ჩვენს მიერ გამოყენებული ლიტერატურეს ნაწილს:

იასე ცინცაძე: „მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან“.

მარია ფილინა: მონოგრაფიები და სტატიები.

ი. ხუციშვილი: „ქართულ-პოლონურ ურთიერთობათა ისტორიიდან“.

მ. უივოვი: „პოლსკიე პევეცი კავკაზა“.

ვერა ოცხელი: „პოლონურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები XIX საუკუნეში“.

ლეო მენაბდე: „რუსთაველი პოლონეთში“.

ჯემალ ჭელიძე: „ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობები XIX საუკუნეში“.

ირინა ჯორჯაძე: „პოლონელი მუსიკოსები საქართველოში XIX-XX საუკუნეებში“.

როინ მეტრეველი: “პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან”.

ს. რავინი: “პოლონელი პოეტის ლადი-ზაბლოცკის ცხოვრება და შემოქმედება საქართველოში”.

ვ. შადური: “სლავი ხალხის სულიერი კულტურა”.

კრებული : “პოლონური პოეზია და პროზა” (1959).

ი. ბოგომოლოვი : “მეგობრობის ბილიკით”.

კრებული: “პოლონური ლიტერატურის ისტორია” (1968).

კრებული: “პოლონური ნოველა” (1954).

ვასტანგ შამილაძე: მონოგრაფია.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლისგან, 3 თავისა და დასკვნისგან.

თავების სახელწოდებებია:

1. პოლონური ლიტერატურული დისკურსი გაზეთ “კავკაზის” მასალების მიხედვით

პირველ თავში ჩვენ განვიხილავთ როგორც გადმოსახლებულ, ასევე კავკასიაში მომუშავე პოლონელთა მეტად საინტერესო ლიტერატურულ ნაშრომებს.

განხილულია ახალგაზრდა გადმოსახლებული პოლონელი მწერლის ვლადისლავ სტშელნიცკის 3 ნაწარმოები - “ხალხთა ახალი გადაადგილება”, “ორი უზღენი” და “მახმუდკა”, ისევე როგორც ცნობილი ლიტერატორების – ივან სლივიცკის და ევგენი ვერდერევესკის ნამუშევრები: სლივიცკის ორი მოთხრობა – “თხზულება შოთა რუსთაველზე” და “ჩემი ღამისთევა ქართულ სოფელში”. სლივიცკის პირველ მოთხრობაში საინტერესო ცნობებს ვხვდებით გენიალური ქართველი პოეტისა და მისი თამარ მეფისადმი სიყვარულის შესახებ, ხოლო მეორეში, ხატოვნად არის აღწერილი ღარიბი, თუმცა მეტად სტუმართმოყვარე სოფელი ქართლში. საქართველოში მოგზაურობისას ე. ვერდერევესკიმ გაზეთ “კავკაზში” გამოაქვეყნა თავისი რამდენიმე მოთხრობა, მათგან სადისერტაციო ნაშრომში წარმოგიდგენთ სამ, ჩვენი აზრით, ყველაზე საინტერესო მოთხრობას – “შამილთან ტყვეობაში”, რომელშიც აღწერილია თავადების ჭავჭავაძისა და ორბელიანის ოჯახებში დატრიალებული ტრაგედია; “ერთი მშვენიერი ზაფხულის დღე ტიფლისში”, სადაც თბილისი ავტორის თვალთ არის დანახული; “ურალიდან ამიერკავკასიამდე, წერილი 16”, სადაც ავტორი აღწერს მის მოგზაურობას დარიალის ხეობიდან თბილისამდე. ეს გზა ბევრ რუს მწერალს აღუწერია და მათი შთაბეჭდილებების შედარება უთუოდ დიდ ინტერესს იწვევს.

ჩვენს ნაშრომში აგრეთვე წარმოდგენილია მწერლის ნიჭით დაჯილდოვებული სამხედროების, კაპიტნების მიერ დაწერილი მოთხრობები ჩრდილო კავკასიის შესახებ.

საყურადღებოა კაპიტან ტრშასკოვკის დაუმთავრებელი ნაწარმოები “გურიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა მისი რუსეთთან მიერთების შემდეგ”.

ავტორი ძლიერ დაინტერესებული იყო გურიით, რადგან მასვე მიუძღვნა თავისი მეორე მოთხრობა “გურიის წოდებების შესახებ”. ეს მოთხრობა განხილულია ჩვენი ნაშრომის მესამე თავში.

იან კრიჟანოვსკიმ “კავკაზის” მკითხველს გაუზიარა “ამბები თელავიდან”.

საინტერესოა აგრეთვე კონსტანტინ დიუბინსკის “სეირნობა ორთაჭალაში”, რომელიც რელიგიური დღესასწაულისადმი იყო მიძღვნილი და რომელიც საქართველოს დედაქალაქის იმდროინდელ გარეუბანში აღინიშნებოდა. ეს “სეირნობა” დიდი ხანია აღარ აღინიშნება.

2. პოლონური კულტურული დისკურსი გაზეთ “კავკაზის” მასალების მიხედვით

XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოს დედაქალაქში პოლონური კულტურული არეალი მეტად მრავალმხრივი და მნიშვნელოვანი იყო. თბილისი იზიდავდა გასტროლიორებს, პროფესიონალ კრიტიკოსებს, რომლებიც თბილისის მაყურებელსა და მსმენელს დახვეწილ მუსიკალურ გემოვნებას უნერგავდნენ. თბილისელები ეცნობოდნენ ნიჭიერ ახალგაზრდა რომანტიკოს კომპოზიტორებს – ფ. შოპენს, ფ. ლისტს, რ. შუმანს, რ. შუბერტს, ა. მენდელსონ-ბარტოლდის და სხვებს. ლ. იანიშევსკის მუსიკალური რეცენზიებითა და ბევრი სხვა კრიტიკოსის წყალობით, დედაქალაქის კულტურული ცხოვრება სულ უფრო და უფრო საინტერესო და მიმზიდველი ხდებოდა.

ამ თავში მოცემულია ყველა იმ მუსიკალურ-კრიტიკული სტატიის განხილვა და კულტურული ღონისძიებების ანალიზი, რომლებიც თბილისში XIX საუკუნის II ნახევარში იმართებოდა (რასაკვირველია, განხილულია ის ღონისძიებები და სტატიები/რეცენზიები, რომლებიც გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე არის ასახული).

3. პოლონური ინფორმაციულ-პუბლიცისტური დისკურსი გაზეთ “კავკაზის” მასალების მიხედვით

ამ თავში გვსურს განვიხილოთ იმ პოლონელთა პუბლიცისტური, ინფორმაციული და ისტორიული ნაწარმოებები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ; უმთავრესად, ეს პოლონელები სამხედროები,

მასწავლებლები, ექიმები, ლიტერატორები, სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები იყვნენ, მაგრამ ისინი ცხოვრობდნენ თბილისში და მათ უყვარდათ საქართველო.

კავკასიელი პოლონელები იმ ადამიანების უნიკალური ჯგუფია, რომლებსაც ყველაფერი აინტერესებდათ, განსაკუთრებით კი იმ დროისათვის აქტუალური თემები. ისინი თავიანთ ნაშრომებს, ნარკვევებსა და წერილებს უმთავრესად გაზეთ “კავკაზში” აქვეყნებდნენ.

ამ თავში განვიხილავთ კაპიტან ნესვიატსკის მოთხრობას “ეკლესია ქისტებთან სოფელ ხულიში”, რომელშიც მოთხრობილია XIX საუკუნის ბოლომდე არსებული დღესასწაულის შესახებ. განხილულია კაპიტან იაროცკის მოთხრობა “წერილი ნუხიდან”, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ შეხვდა თათარი მოსახლეობა “მთვარის დაბნელებას”; უკვე ჩვენს მიერ I თავში ნახსენებ კაპიტან ტრშასკოვსკის ცნობები გურიის შესახებ, რომელიც მას ძლიერ უყვარდა; ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის პედაგოგის ლეონ მოდზალევსკის ესსე თანამედროვე პედაგოგის ფუძემდებლის ი.ა. კომენსკის შესახებ; და ბოლოს, პოლონელი ხალხის XIX საუკუნის II ნახევრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის - 1863 წლის პოლონური აჯანყების და ამ მოვლენის გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე ასახვის შესახებ.

თავი 1

პოლონური ლიტერატურული დისკურსი გაზეთ “კავკაზის” მასალების მიხედვით

როგორც უდიდესი გერმანელი პოეტი გოეთე ამბობდა, პოეტებსა და მწერლებს აქვთ თვით ბუნებისგან მინიჭებული ცოდნა, გამოცდილება, უნარი და გაგება (კუტასოვა: 1984). სწორედ აღმოსავლეთში ეზიარებოდნენ პოეტები ჰარმონიის სიმბოლიზმს ადამიანსა და ბუნებას, ისევე როგორც ადამიანსა და ღმერთს შორის. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბევრი პოეტისა და მწერლის გზა აღმოსავლეთში, კერძოდ, კავკასიაში გადაიკვეთა, თუმცა ხშირად იძულების გზით. მ. ლერმონტოვმა, ა. პუშკინმა, ა. გრიბოედოვმა, ა. ბესტუჟევი-მარლონსკიმ, ლ. ტოლსტოიმ, მ. ოდოევსკიმ, ისევე როგორც გადმოსახლებულმა პოლონელებმა – ლ. იანიშევსკიმ, ვ. სტშელნიცკიმ, მ. გრალევსკიმ, ვ. პოტოცკიმ, ტ. ლადი – ზაბლოცკიმ დაგვიტოვეს არაჩვეულებრივი პოემები, მოთხრობები, სტატიები და ა.შ. ამ ღმერთისგან კურთხეული მხარის, კავკასიის შესახებ.

კავკასიაში ადამიანი – პოეტი, სურს ეს მას თუ არა, ხდება ბუნებასავე ეოვლისმომცველი. ეს განსაზღვრება საუკეთესოდ ესადაგება შესანიშნავ პოლონელ მწერალს – ვლადისლავ სტშელნიცკის.

1.1. ვლადისლავ სტშელნიცკის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე

ვლადისლავ სტშელნიცკი გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა იმ პოლონელთაგან, რომლებიც კავკასიაში გადმოსახლეს. ჯერ კიდევ 18 წლის იყო, როდესაც შემდგომში დახვრეტილ კონარსკის ორგანიზაციაში შევიდა, ხოლო შეთქმულების გახსნის შემდეგ, იგი რიგითად გადაასახლეს კავკასიაში. თავის პოლკთან ერთად მან მთელი ჩრდილოეთ კავკასია გაიარა, სწორედ ამიტომ მის ნაწარმოებებში ფიგურირებს ჩეჩნეთი, შუშა, შემახა, ყაბარდა. საბოლოოდ იგი თბილისში მოხვდა, ქალაქში, რომელიც ყველა გადმოსახლებული პოლონელის ოცნებას წარმოადგენდა. ამ ქალაქში იგი დაუახლოვდა გადმოსახლებულ პოლონელთა ჯგუფს – ლ. იანიშევსკის, ტ. ლადი-ზაბლოცკის, ვ. პოტოცკის და სხვ. აქვე თბილისში მან დაიწყო აქტიური თანამშრომლობა გაზეთ “კავკაზთან”, რომელშიც მისი ნაწარმოებები

იბეჭდებოდა: “ხალხთა ახალი გადაადგილება” (1846 წ.); “ორი უზდენი” (1847); “მახმუდკა” (1848);

სტუმენიცკი უეცრად, 26 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი თავისუფალად ფლობდა რუსულ ენას და თავის ნაწარმოებებს პოლონური ენიდან თვითონვე თარგმნიდა. ლიტერატორები განიხილავენ ვ. სტუმენიცკის პროზას, კერძოდ “მახმუდკას”, რუსი მწერლის ბესტუჟევ-მარლინსკის კავკასიური პროზის (მულა-ნური) მიბაძვად, თუმცა ლეონ იანიშევსკი თვლის, რომ “მახმუდკას” ზოგიერთი ეპიზოდი სევდით არის აღსავსე და დროთა განმავლობაში, მას შემდეგ რაც იგი “მარლინიზმისგან” გათავისუფლდებოდა (რაც ამ დროს უკვე ანაქრონიზმად ითვლებოდა), სტუმენიცკი ორიგინალური პოლონელი მწერალი გახდებოდა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ლიტერატორი “მახმუდკას” პირიქით, ბესტუჟევ-მარლინსკის შემოქმედების ანტითეზად მიიჩნევდა.

მწერლის გარდაცვალების შემდეგ, მეგობრებმა მისი ბოლო სურვილი შეასრულეს – მისი წიგნებიდან მიღებული თანხა გადარიცხულ იქნა თბილისის კათოლიკურ ეკლესიაში რელიგიური შინაარსის წიგნების შესაძენად. ეს არის არა მხოლოდ ღრმად მორწმუნე, არამედ თბილისის კულტურულ ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანის ანდერძი. მეგობრებმა მწერალი კათოლიკურ სასაფლაოზე დაკრძალეს (ფილინა: 1991).

სტუმენიცკის გარდაცვალების შემდეგ პოტოცკიმ მას ლექსი მიუძღვნა:

“Сначала были вести, потом молчание

Которого никакие вести не нарушали...

Месяц светит над Днестром и над берегом Куры,

Днестр спешит в Эуксин, Кура в Каспийское море,

А деяния людские, идя обычной чередой,

Как волны реки, плывут в пространство вечности.

Над берегами Куры, на ложе юноша,

Положив у подножия креста венец своих надежд,

Взывал: «О мама, прими последнее прощание!

Нас было две сироты в огромном мире,

Через мгновение одна будешь, потому что сына не станет

Владислав, Владислав! Уже не будут меня звать, ” (ფილინა: 2012).

ვლადისლავ სტუმენიციკის ძლიერ უყვარდა საქართველო. ამის დასტურად მოგვყავს მის მიერ დაწერილი წერილი და ლექსი რუსულ ენაზე, ენაზე, რომელსაც იგი ბრწყინვალედ ფლობდა: “Хотя пребывание мое в Тифлисе было мимолетным, прошу, однако, позволить мне представить хотя бы поверхностную зарисовку этой местности и здешних обитателей. У меня, по правде говоря, не было времени провести фундаментальное исследование и постижение этого края, поэтому опишу лишь то, что я видел и слышал». Поездка в Тифлис и обозрение города из подзорной трубы позволили автору сделать замечания о том, что “армяне держат торговлю в своих руках”, а “грузины это мягкий и изнеженный народ”(ფილინა: 2012)

Каз-ბег

(Вечерние разумыя)

“Скажи мне, скажи мне, о, старец надменный /возвышенный/,

Что бьешь головой в те синие своды!..

Ты столько повидал!.. Как под твоими сводами

Не один век радился, расцвел

И угас. – Столь великие люди этой земли

Были и исчезли. – целые поколения

На твоей памяти поспешным шагами

Бежали, добежали до врат забвения!

Ты столько слышал!..” (ფილინა: 2012).

აქვე გთავაზობთ სტუმენიციკის ლექსს “**Каз-ბег**” პოლონურ ენაზე (ორიგინალში):

Czy naszych wieszczów górne uniesienia

Którym posągi stawim i ołtarze,

Słyszają niebianie? Czy widne tam cienia

Naszych olbrzymów, i w jakim rozmiarze?

Zali dolata do siedzib aniołów,

Różny, zwiłkany chór ziemskiego głosu,

I jak dolata, muzyką chaosu,

Niestrojnym wrzaskiem zmaconych żywiołów,

Lub hymnem wielkim, jednym co do treści,

Hymnem głoszącym, – o Bogu zbawienia? (ფილინა: 2012).

არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ ბატონი ლადი-ზაბლოცკის წერილი, რომელიც მან სტშელნიცკის მიუძღვნა:

“Исполняя просьбу пана Стшельницкого, имею честь отослать Вам для «Атенеума» стишок, посвященный мне. Стшельницкий еще очень молодой человек и обещает стать большим талантом.

Он так лестно отозвался о нем редактор «Петербургского Тыгодника», и я надеюсь, что наши читатели подтвердят его слова. Направляя это стихотворение, належало бы послать и ответ на него с моей стороны, но вместе с подорванным моим здоровьем надорвался и ум, так что откладываю это на будущее.

Из «Петербургского еженедельника» Вам известно, что мы понесли безвозвратную потерю со смертью блаженной памяти Владислава Стшельницкого. Его рукописи находятся у меня. Среди них повесть «Махмудек», которая по своим достоинствам и художественной отделке займет значительное место в нашей литературе. Князь наместник, помимо этого, основал при своей канцелярии Публичную библиотеку, в нее передали и библиотеку блаженной памяти Стшельницкого, для которой будет выделен отдельный шкаф с надписью золотом: «В честь блаженной памяти Стшельницкого».

Безмерно жаль Стшельницкого. Он знал татарский и лезгинский языки, начл изучать кумухский и пролил бы истинный свет на Кавказ, Я классифицировал и переписал начисто все рукописи блаженной памяти Владислава, среди которых имеется восточная повесть «Махмудек», поражающая своим талантом, красотой языка и оригинальностью мысли.” (ფილინა: 1991).

აქვე მოგვყავს პოტოცკის ლექსი, რომელიც მან სტშელნიცკის გარდაცვალების შემდეგ დაწერა:

Dafeś mi, Boże, syna w twoich łask szczerocie,
Lecz z sądów niezbadanych dawnoś nas rozdzielił.

Дал мне, Боже, сына от своих щедрот,

Но по непостижимому приговору давно нас разделил (ფილინა: 2012).

გაზეთ “კავკაზ“-ში 1847 წლის №43 ნომერში (გვ.70) გამოქვეყნებული იყო ნეკროლოგი სტშელნიცკის სიკვდილზე “მოსმენილი საუბარი თეატრიდან

ამსვლისას”. 1850 წელს უიტომირში მისმა ძმამ იოზეფ სტუმელნიცკიმ გამოსცა მისი ნაწარმოებების ერთიანი კრებული (ფილინა: 1991).

1.1.1. “ხალხთა ახალი გადაადგილება”

პიატიგორსკში დაწერილი მოთხრობა “ხალხთა ახალი გადაადგილება” ვლადისლავ სტუმელნიცკის ერთ-ერთი პირველი, პროფესიონალურად შესრულებული ნაწარმოებია. მასში მშვენივრად არის აღწერილი პიატიგორსკი, იმ დროისათვის მოღური და აყვავებული ქალაქი, რომლის მინერალურ წყლების დასაგემოვნებლად და სამკურნალოდ წლობით ჩამოდიოდა რუსული საზოგადოება. თუმცა 1846 წლისათვის დამსვენებლების რაოდენობამ ძლიერ იკლო. “წლევანდელი კურსი მინერალურ წყალზე შარშანდელთან შედარებით მცირერიცხოვანია; ძირითადად შედგება კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული საზოგადოებისაგან” (სტუმელნიცკი: 1846).

საერთოდ, აღწერა პოლონელი მწერლის ერთ ერთი ყველაზე ძლიერი მხარეა. სტუმელნიცკი მხატვრულად ასახავს პიატიგორსკის მინერალურ წყაროებს. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, ძირითადად, აქ შეხვედებით უფეხო, უხელო, დასახიჩრებულ ადამიანებს: “ეს ისტორიის ცოცხალი ასოებია, სახელოვან ლაშქრობებში რომ დასახიჩრდნენ” (ომების ნაკლებობას რუსეთი ამ დროს ნამდვილად არ განიცდიდა), აქვე მწერალი აღნიშნავს, რომ, სამწუხაროდ, 1846 წლის ივნისში პიატიგორსკში თითქმის არავინ ჩამოვიდა რუსეთიდან და ეს ქალაქი ყველა სხვა ქალაქებზე უფრო მოწყენილად გამოიყურებოდა” (სტუმელნიცკი : 1846).

მოთხრობიდან ნათლად ჩანს, რომ ადრე დიდი პოპულარობის მქონე პიატიგორსკმა იმ დროისათვის დაკარგა თავისი მიმზიდველობა და თვით ექიმებიც კი პაციენტების ნაკლებობას განიცდიდნენ. ვაჭრები დაღამებამდე ხურავდნენ თავიანთ დუქნებს; აღარაფერი ითქმოდა კრებებსა და ცეკვებზე, “თვით წმინდა ვიტტი ხანდახან თუ შეხტებოდა, ისიც იმიტომ, რომ თავისი ბაღეტი არ დავიწყებოდა.”

სტუმელნიცკის მიერ პიატიგორსკის აღწერა ისეთი ზუსტია, რომ თითქმის თვალწინ გიდგებათ ეს დახავსებული ქალაქი. ამ სიზუსტესა და საოცარ დაკვირვებულობას აღნიშნავდა ი. რაისმანი (ფილინა : 1991 35).

ამასობაში ავტორი ცდილობა გარკვეულიყო, თუ რა ხდებოდა ქალაქში. ნუთუ გაქრა ყველა ავადმყოფი? სტშელნიცკი ამცნობს მკითხველს ამ ოდესღაც აყვავებული ქალაქის დაკნინების ისტორიას.

ვინმე ივან ივანიჩი – სამუშაოდან დათხოვნილი სასამართლოს მოხელე და მისი მზარეული მეუღლე – მატრიონა პანკრატიევნა გაემგზავრნენ პიატიგორსკში. იმის შემდეგ ავტორი დაწვრილებით აღწერს მოგზაურ ცოლ – ქმარს: “მატრიონა პანკრატიევნა მწიფე ჭარხალს ჰგავდა, ტანით კი კასრივით ჩამრგვალებული იყო, ორივე ერთად ფარაონის ძროხებს დამსგავსებოდნენ” (სტშელნიცკი: 1846).

წყვილმა გაიარა სტავროპოლი და გეორგიევკს უახლოვდებოდა, როდესაც ივან ივანიჩს საიდუმლოდ ამცნეს, რომ ათასობით მიურიდი შეიჭრა ყაბარდაში და მთელ ხაზზე მის დასახვედრად დაიძრა ჯარი (საწყისი ფორმის ჭორის არაჩვეულებრივი ნიმუში).

ამ პატარა ნაწყვეტში უკვე მეტად საინტერესო ინფორმაციაა პიატიგორსკიდან მიმავალი გზის ხაზზე განლაგებული ჯარის შესახებ. შემდეგ ვკითხულობთ: “ივან ივანიჩმა ამოიღო რუკა, თითო დააფარა ყაბარდას და მეუღლეს მიღებული პოლიტიკური საიდუმლო ცნობები გაუზიარა; თან დაამატა, რომ ყაბარდა პიატიგორსკის ოლქს ესაზღვრებოდა” (სტშელნიცკი: 1846).

ცოტა ხნის შემდეგ მატრიონა პანკრატიევნას ეტლი (რომლის სამი მეოთხედი ეკავა) უწინდელზე სწრაფად მიეშურებოდა ჩრდილო – დასავლეთისაკენ “მიურიდი – მუსლიმან მისტიკოსები, იმამის ან შეიხის მოჩრდილი, მიმდევარე, მოწაფე, სხვა მორწმუნეთა მიმართ ფანატიკური სიძულვილით აღვსილი. კავკასიაში ეს მისტიკური მოძრაობა დაიწყო რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის ეპოქაში. ოურიდიზმი უკომპრომისოდ იბრძოდა ხარიზმის წინააღმდეგ (უცხო სიტყვების ლექსიკონი: 1949).

მეორე დღეს ცოლ – ქმარს პიატიგორსკში მიმავალი მეორე ეტლი შემოხვდა: “ერთი ქალბატონის, რამოდენიმე ქალიშვილის, ერთი ბიძაშვილისა, სამი ფინიას და ერთი ძაღლის (ბალონკას) შემადგენლობით” (სტშელნიცკი: 1846). პიატიგორსკში ისინი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის მიემართებოდნენ. მათ სწეულებას უბრალოდ “ბავშვობა” ერქვა. მათ დაიჯერეს მიღებული ინფორმაცია და უკან გაბრუნდნენ. ყოველი შეხვედრა პიატიგორსკში მიმავალ ეტლებთან, თავისი მირიგი მოქმედი პირებით ზუსტად, ირონიულად და მრავალფეროვნად არის აღწერილი. მოთხრობა თითქოსდა ცალკეული,

სარკაზმით აღსავსე ჟანრული სცენებისაგან შედგება. როდესაც მატრიონა პანკრატიევნა იგებდა, რომ ეტლში მსხდომნი პიატიგორსკში მიემართებოდნენ, იგი სრული სერიოზულობით აღწერდა, რომ ქალაქში მაღამ შამილი და მისი თანმხლები 100 მიურიდი შედიოდა (თუმცა ეს ჭორი უსაფუძვლო არ იყო, რადგან კავკასიის ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა).

დროთა განმავლობაში მატრიონა პანკრატიევნას ფანტაზია კიდევ უფრო მეტად იხსამდა ფრთებს: “პიატიგორსკიდან ნანგრევებიდა შემორჩა, შამილმა მთელი ქალაქი გაანადგურა, მოსახლეობა კი ტყვედ წაიყვანა” (სტშელნიცკი: 1846).

შემდგომში შამილმა (მუსლიმანების ეროვნული გმირი) უკვე სტავროპოლში გადაინაცვლა: “ღმერთო დიდებულო, რომ იცოდეთ რა საშინელია – ცეცხლოვანი თვალები, წვერი მუხლებამდე. შემომხედა და დაიღრიალა – ახლავე ჩემს გარემში! გამოვიქეცი, ვერ დამიჭირეს, მიუხედავად იმისა, რომ მას 5000 ათასიანი ჯარი ჰყავს” მოთქამდა მატრიონა (სტშელნიცკი: 1846).

ჭორი გორდებოდა, ახალ ახალი ინფორმაციებით, დაუჯერებელი წვრილმანებით ივსებოდა. ცოლ-ქმრის ფანტაზია უკვე ყველანაირ ფარგლებს სცილდებოდა, - “შამილს ნიკოლაევსკიც ვერ აღუდგა წინ, ქალაქისგან აღარაფერი შემორჩა, მხოლოდ სამი ბოძიდა იდგა ამადლებულ ადგილას და ზედ ეწერა – აქ იყო პიატიგორსკი, აქ – სტავროპოლი, აქ – ნიკოლაევსკი “მე თვითონ წავიკითხე” არწმუნებდა ხალხს მატრიონა (სტშელნიცკი: 1846).

მატრიონა პანკრატიევნას წარმოსახვაში შამილი ჩინგიზ – ყაენად გადაიქცა. მეუღლის გაუბედავ შენიშვნაზე, რომ ეს შამილი იყო, მატრიონამ გაღიზიანებით აღნიშნა, რომ მამაკაცებს სრულიად არ შეუძლიად გონებრივი აზროვნება. შამილი ჩინგიზ – ყაენის შთამომავალია, პირდაპირი ხაზით; დედა კი – მაღამ მამაი – ცნობილი მამაის წარმომადგენელი.

უსაზღვრო ადამიანის წარმოსახვის უნარი, მაგრამ უფრო საშიშია უვიცთა წარმოსახვის ძალა: “შამილმა – ჩინგიზ ყაენმა შეკრიბა მილიონი თათარი, ებრაელი, ჩერქეზი, სენ – სიმონისტები, ანტროპოფაგები და სხვადასხვა რჯულის ადამიანები, ურწმუნოები და მიედინება, ვითარცა მღუღარე ლავა კავკასიის მწვერვალებიდან, გზადაგზა წვავს და ქლემტს ყველაფერს – ქალაქებს, სოფლებს, მთებს, ტყეებს, წყლებს” (სტშელნიცკი: 1846).

გასაოცარი ისაა, რომ შემხვედრ ეტლებს ეს ინფორმაციული აბდაუბდა არ გააკვირვებიათ. ყველამ დაიჯერა, რომ აღარ არსებობს პიატიგორსკი,

როსტოვი, ნოვოჩერკასკი. სტშელნიცკი, მისი ჩვეული დაკვირვებულობით, აჩვენებს რა სისწრაფით ვრცელდებოდა კავკასიაში ჭორები, მოგორავდა და იზრდებოდა, როგორც თოვლის გუნდი.

ამ “შესანიშნავ” ტირადის დაბოლოება კიდევ უფრო მომხიბვლელია: “ღვრთისმშობელო! ცრემლები აღარ მყოფნის იმ უბედურების დასატირებლად, რაც ჩვენს საბრალო რუსეთს ელოდება” აცხადებდა მატრიონა პანკრატიევნა (სტშელნიცკი: 1846).

ეს ვრცელი ციტატა საშუალებას იძლევა ვიმსჯელოდ ახალგაზრდა მწერლის დახვეწილ, გამჭრიახე, ირონიულ (ზოგჯერ სარკაზმამდე მისულ) ნიჭზე. ასევე ზუსტადა არის შემჩნეული “ობივატელების” გაუგონარი ღვარძლი, უვიცობა, უგუნურობა, ერთ სხვადასხვაგვაროვან ხროვაში რომ აერთიანებენ მათთვის აუტანელ და მიუღებელ უცხოელებს.

რასაკვირველია, ყველა ის ეტლი, რომელიც მატრიონა პანკრატიევნამ გადაარჩინა დამღუპველი მოგზაურობისაგან, დაბრუნებისას ასევე აფრთხილებდა მომავლო საშიშროების შესახებ სხვა შემხვედრებსაც, ვინც მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ მიემგზავრებოდა.

უკვე სახლთან ახლოს მატრიონა პანკრატიევნამ ძველ მეგობართ, პრასკოვია პროხორონასთან შეიარა გულის გადასაშლელად და თავგადასავლების მოსაყოლად, რომლისაც თვითონაც ალაღად სჯეროდა. მეგობრებმა მოითათბირეს და საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ ერთადერთი გამოსავალი უცხოეთში გადასახლებაა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ვერავითარი საზღვარი, ჩინეთის დიდი კედელიც კი, ვერ შეაჩერებს ბასურმანულ კალიას. მათი წარმოსახვით შამილი მაროკოს იმპერატორის სიძეა, ორივენი მეჭმედ – აღის დებზე არიან დაქორწინებული. მათ ერთად გადაწყვიტეს ორმხრივად მოახრჩონ რუსეთი და ქრისტიანების თავის ქალებიდან ტრიუმფალური თადი აღმართონ” (სტშელნიცკი: 1846).

ერთი გზაღა რჩებოდა – გამგზავრებულიყვნენ ამერიკაში.

ასე აღწევდა ინფორმაცია კავკასიის მოვლენების შესახებ რუსეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან და ისინიც სიამოვნებით იჯერებდნენ ხშირად დაუჯერებელ ამბებსაც. მოთხრობაში მშვენივრად ჩანს, თუ რაოდენ უაზრო და სულელია ყოველივე დაუჯერებელისა და ნეგატიურის ბრმად დამჯერე ბრბო.

მოთხრობა ირონიული და სევდიანია – ძნელია ებრძოლო სისულელეს და უვიცობას. გასაკვირია, აგრეთვე, როგორ შესძლო სრულიად ახალგაზრდა

სტშელნიცკიმ, რომელმაც რიგითის რანგში პოლკთან ერთად მთელი ჩრდილო კავკასია გაიარა, ადამიანების უმრავლესობისათვის ასეთი ზუსტი დიაგნოსის დასმა და ბრძნული მოთხრობის დაწერა.

ჩვენს დროში, ოცდამეერთე საუკუნეში, ავტორის მიერ აღწერილ მოვლენებს უწოდებენ მიზანმიმართულ, თუნდაც შეუცნობელი ხმების ფორმირებას, დაყრას. უნივერსიტეტებში, სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში ამის შესახებ ხშირად ატარებენ ტრენინგებს, ამტკიცებენ (პრაქტიკულადაც), რომ ერთი ადამიანის მიერ მეორესთვის გადაცემული ინფორმაცია მესამესთან დასახირობებელი სახით აღწევს. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ რუსეთში კავკასიიდან მიღებული უამრავი ინფორმაციის დასახირობებელი სახით აღწევდა და ხშირად სიმართლეს საერთოდ არ შეესაბამებოდა.

მოთხრობაში პრაქტიკულად არ არსებობს დადებითი გმირი; ხომ მარ შეიძლება დადებითად ჩავთვალოთ გაუაზრებელი, ყველას მოძულე მატრიონა პანკრატიევნა, თუმცა იგი, ისევე როგორც სხვა დანარჩენები, თავის დროის შვილია. მათ სამყაროს ცენტრად რომ წარმოედგინათ თავი.

სწორედ მატრიონა პანკრატიევნას და მისნაირი ადამიანების შესახებ შეუქმნა ზუსტი შთაბეჭდილება მკითხველს ვლადისლავ სტშელნიცკიმ. აჩვენა, თუ რა სისწრაფით გორდება გაუაზრებელი ჭორი ამგვარი ხალხის მეშვეობით. ეს მოთხრობა დღესაც ძლიერ აქტუალურია, რადგან, სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს დროშიც არსებობენ პანკრატიევნას მაგვარი ადამიანები და დღესაც, ისეთივე სისწრაფით ვრცელდება ნეგატიური და დაუდასტურებელი ჭორები, როგორც ეს სტშელნიცკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში ხდებოდა. ადამიანები კი, რომლებსაც ამ ჭორებს უზიარებენ, ასევე უპირობოდ იჯერებენ ამ ჭორებს.

1.1.2. “მახმუდკა”

ვლადისლავ სტშელნიცკის მოთხრობას “მახმუდკა” წინ უძღოდა გაზეთ “კავკაზის” რედაქტორის ი. სლივიცკის განმარტება, რომელიც იმავე გაზეთში 1848 წელს დაიბეჭდა. რედაქტორი სიამოვნებით აღწობდა მკითხველს გადმოსახლებული ახალგაზრდა ნიჭიერი პოლონელი მწერლის უკანასკნელ ნაწარმოებს, რომელიც, საუბედუროდ, საკმაოდ ადრე გარდაიცვალა.

ამ მოთხრობაში მკაფიოდ არის აღწერილი ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ მუსლიმთა ცხოვრება, მათი ტრადიციები და წეს-ჩვეულებები.

მასმუდ-ბეკის წარმოშობა და მისი ბედნიერების დასაწყისი

მოთხრობა იწყება მასმუდ-ბეკის დაბადების ადგილის, მაშინ ჯერ კიდევ სპარსული ქალაქ ლენკორანის აღწერით. მასმუდის მამას ერქვა აბდულა, დედას – სეკვა. უცნობია, როგორ შეერწყა მის სახელს წოდება - ბეკი (თავადი). მოთხრობაში მრავლად გვხვდება თანამედროვე მკითხველისათვის საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია. ამ ცნობებს იყენებდნენ და ეცნობოდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევრის გაზეთ “კავკაზ“-ის მკითხველებიც. მოთხრობიდან ჩვენ ვიგებთ, რომ სპარსეთის სათავადოში იყო შემოდებული მემკვიდრეობითი სახელწოდებები, მათ არ ჰქონდათ ჰერალდიკური სიგელები, თუმცა “ბეკების” რაოდენობა უამრავი იყო. სტშელნიცკის საინტერესო შედარება მოჰყავს: “ირანის ზედაპირი, როგორც უძველესი ტყეებით, იყო მოფენილი კაცობრიობის ამ ხეებით” (სტშელნიცკი: 1848).

გმირის მამა თავდაპირველად მწყემსი იყო ლენკორანის სტეპებში, მაგრამ პატივმოყვარეობით შეპყრობილი, ცდილობდა გამოსულიყო მდაბიო მდგომარეობიდან, ამიტომ ყაენის მზარეულის ცოლის შორეულ ნათესავ კაცთან, საკმაოდ გავლენიან პიროვნებასთან, დადგა მოჯამაგირედ; მონდომებით მწყემსავდა მის ცხვრებს რათა ასეთი პატივსაცემი ადამიანის მფარველობა დაემსახურებია. მართლაც, მან მიაღწია საწადელს და აბდულა შირვანის შახის კარზე მიიწვიეს. წოდებრივი იერარქიის შესაბამისად იგი დააყენეს ფარაშებს შორის, რაც იყო ყველა კარის მსახურის საერთო წოდება – დამსჯელიდან ხალიჩის დამგებ მსახურამდე (ასეთი თანამდებობაც არსებობდა - მბრძანებლის ფეხებ ქვეშ ხალიჩის გამფენი). აბდულამ ნაგვის გამტანის თანამდებობა მიიღო, თუმცა, როგორც ავტორი გვამცნობს, ყველაზე უბადრუკ თანამდებობაზეც კი შესაძლებელი იყო ფულის დაგროვება და არა მარტო ყაენის კარზე. მხოლოდ სულელები და ძალიან პატიოსანი ადამიანები, რაც იმ დროს ძალიან იშვიათი იყო, ვერ ახერხებდნენ ფულის გაკეტებას. ვინაიდან აბდულა არც ერთი იყო და არც მეორე, მან მშვენივრად მოახერხა ათი წლის შემდეგ მდიდარი ადამიანის სახელი მოეხვეჭა.

აბდულა ჭკვიანიც იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ არაფრის მომცემ თანამდებობაზე ვერ გამდიდრდებოდა. ჭკუა მარტო გამდიდრებისათვის არაა აუცილებელი, საჭიროა შემდგომშიც ჭკვიანურად მოქცევა, ამიტომ იგი ყველასაგან განსხვავებით დადიოდა ჩამოძენილი ტანსაცმლით; ბნელ, ჭუჭყიან, ღარიბულ ქოხში ცხოვრობდა, ყოველგვარი მოწყობილობის გარეშე, რათა არავის ეფიქრა რა მდიდარი იყო იგი. ამ ნაწყვეტიდან ჩანს, თუ როგორ ეშინოდა ხალხს შურის, არავინ არავის ენდობოდა, ყველასა და ყველაფერს ერიდებოდნენ. მოთხრობიდან ვიგებთ თუ როგორი იყო ღარიბების საჭმელი: შავი ლავაში, ცოტაოდენი მარილიანი ყველი, ხახვი და ცივი წყალი ცხვირმოტეხილი ღოქიდან. ამ ყოფაში ჰყავდა აბდულას ცოლ-შვილიც - მდაბიობების წინაშე შიში საღ აზროვნებაზე ძლიერი აღმოჩნდა. მოვიდა დრო და აბდულამ სიკვდილის მოახლოება იგრძნო. როგორც ყველა მორწმუნე მუსლიმანი ცოლ-შვილთან ერთად წმინდა ადგილების - კერბალას, მეშადის, მუჰამედის საფლავის მოსალოცავედ გაემგზავრა. აქაც თავისი სიძუნწის ერთგული დარჩა - მათხვრობით ირჩენდა თავს. იმდენად ძუნწი და მშიშარა იყო აბდულა, რომ წამლისათვის ფული ვერ გაიმეტა. ცოლ - შვილს უბრძანა ნაგვის გროვაზე მოეყვანათ, თავისი ყოფილი თანამდებობის მოსაგონარად. ცოლი და შვილი სასოწარკვეთილები ცდილობდნენ გაეგოთ მომაკვდავ აბდულასაგან საღ ჰქონდა მას ფული შენახული, მაგრამ მომაკვდავი ჯიუტად იმეორებდა - ნოს! - არაა ფული.

მამის სიკვდილის შემდეგ ჩვენი გმირი ერთხანს ლენკორანში ცხოვრობდა, შემდეგ ბაქოში გადასახლდა, რომელიც ამ დროისათვის უკვე რუსეთის იმპერიაში შემსულიქალაქი იყო. აქ მან თავისი თავი “ბეკად” გამოაცხადა, რადგან მაინც არავინ არ იცნობდა და ცდილობდა სახელმწიფო მოხელეებთან გაება ურთიერთობა. მართალია, მახმუდმა ბევრი ვერაფერი მოიგო “ბეკის” ტიტულით, რადგან არც ფული, არც ცოდნა, არც გამჭრიახობა და არც ტაქტი არ გააჩნდა, როგორც ბეკებს შეშვენით. მაგრამ სხვა გზა არ იყო - უკან ვერ დაბრუნდებოდა: “ასე იყო გამოკიდებული ბაქოელი მოსახლეობის ორ ფენას შორის, როგორც ცასა და დედამიწის შორის. “ბეკები” დასცინოდნენ, დაბალი ფენა ახლოს არ იკარებდა” (სტშელნიცკი: 1848).

სტშელნიცკის ამ მონათხრობით ვიგებთ, რომ ბაქო ამ დროს უკვე რუსეთის შემადგენლობაში იყო, ვეცნობით თავადთა და უბრალო ადამიანების თვისებებს, ვხედავთ, თუ რამდენად იშვიათია იქ ისეთი ამადლებული გრძნობები,

როგორც არის უანგარო მეგობრობა, კეთილშობილი სიყვარული, რომელსაც ასე მგზნებარედ უმღერიან პოეტები. მახმუდს კი განსაკუთრებით ძალიან გაუმართლა მეგობრობაში და სიყვარულშიც. მეგობარს ერქვა ალი-აგა, ხოლო საყვარელ ქალს კი – მალეკა. ალი-აგა მდიდარი არ იყო, მაგრამ პირდაპირი ხაზით შირაზის შახთა ცნობილი გვარის შთამომავალად ითვლებოდა.

“შემთხვევით შეხვდნენ, დამეგობრდნენ, გაარკვიეს და დაამყარეს შახთა შთამომავლის, ნისფადიშახისა და უბრალო მეტიჩარა გლეხის მჭიდრო კავშირი” (სტშელნიცკი: 1848).

XIX საუკუნის კავკასიაში, ისევე როგორც ევროპაში, შახის შთამომავლებს არ ჰქონდათ მდაბიობებთან მეგობრობის უფლება. მას შემდეგ რაც მახმუდი დაუმეგობრდა ალი-აგას, მისი საქმეები კარგად წარიმართა. უკვე აღარავინ დასცინოდა მას. მან სიყვარულით შეირთო მეუღლეც – ალი-აგას ბიძაშვილი. ქორწინების შემდეგ მან აღისაგან ორი არაბი იყიდა, ბაქოში სახლი გაყიდა და გადაწყვიტა შემახაში გადასახლებულიყო.

ალი-აგაც მეგობართან ერთად გაემგზავრა შემახაში. მან ქალაქში იყიდა სახლი და ორი ბაღი, რომლებიც ქალაქგარეთ მდებარეობდა.

სტშელნიცკი სახლისა და ოთახების მხატვრული აღწერილობით გვამცნობს, თუ როგორ გამოიყურებოდა იმდროინდელი მდიდარი სახლები: “კედელი ეზოს მხარეს შედგებოდა ჩარჩოებისაგან, რომლებშიც წითელი, ყვითელი, ცისფერი და მწვანე მინები იყო ჩასმული, სადა ლამაზი სხვადასხვა ფორმის ვარსკლავები იყო ჩახატული; შუქიც აქედან შემოდებოდა. დანარჩენი სამი კედელი მოხატული იყო სურათებით – სპილოებით, აქლემებით, ვირებით, დერვიშებით, მუსლიმანთა ცხოვრების ძირითადი ნიშნებით. დერვიშები დაფრინავენ, მიწა კი არ ჩანდა. “უცნაური ნიმუშები საოცარ სამყაროს ქმნიან, ჯადოსნურს, როგორც შეხერხადას ფანტასტიური ზღაპრები” (სტშელნიცკი: 1848). აქაც კიდევ ერთი ახალი ინფორმაცია იჩენს თავს – სტშელნიცკისათვის ნაცნობი იყო 1001 ღამის ზღაპრები, რომლებიც ისლამთან ასოცირდებოდა. ალბათ, გაზეთ “კავკაზ“-ის მკითხველებიც დაინტერესდებოდნენ ამ ჯადოსნური ზღაპრებით.

შემახაში ჩასულებმა მეგობრებმა იყიდეს სახლი და ბაღები და ალი-აგამ მახმუდს გამდიდრების აპრობირებელი მეთოდი შესთავაზა, გამგზავრებულიყვენ თავრიზში სავაჭროდ. ეს მოგზაურობა ბედის წიგნში უკვე იყო ნაგარაუდები. მახმუდმა ალის ფულის ნაწილი დადო სახლთან ახლოს; მალიკას ორი თვის

სამყოფი ფული დაუტოვა, მანამ, სანამ თავრიზში იქნებოდნენ, მიწაშიც მცირე ტომარა ფული ჩაფლეს. მაგრამ, სამწუხაროდ, შახის შთამომავალი გზაში ავად გახდა და ფუნდუკში მოუწია დარჩენა, მახმუდკამ კი მეგობრის რჩევები მიიღო და გზა განაგრძო. სწორედ აქ, როგორც ყველა სათავგადასავლო რომანს ჩვევია, იწყება მახმუდის ფატერაკები.

მახმუდი თავის სახლში საკუთარ თავს ხვდება

თავრიზში მოგზაურობიდან რამოდენიმე წელი გავიდა.

ამ თავში მკითხველი იგებს, თუ რა ცვლილებები განიცადეს მუსლიმანების პრინციპებმა მდინარე არაქსის მეორე მხარეს. სპარსელთა ჯარის უკუქცევის შემდეგ შირვანის შახი უსტაფა კვლავ გახდა შემახის მმართველი, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ, იძულებული იყო ქვეყნიდან გაქცეულიყო. უძველესი ქალაქი კი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა; ასეთია კავკასიის ომის ისტორია, რომელიც თითქმის სამოცი წელი გრძელდებოდა. ამ ძვრებმა შესამჩნევი კვალი დატოვეს თავრიზის ცხოვრებაში – მოსახლეობა შეიცვალა, გაჩნდნენ ახალი სახეები, ახალი ხელმძღვანელობა - “ბეკები”, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ მთავრობას და დიდ წყალობასაც იღებდნენ მათგან.

“ფლიდების პარტია სამხედრო გადატრიალების ნამცეცებით სარგებლობდა” (სტუმენიცი: 1848).

დაბრუნდა მახმუდკა შემახაში შიშველი, ძონძებში შემოსილი, ფეხშიშველი და მარტოხელა. პირველ რიგში მან ფული მოიძია, მაგრამ ქვის ქვეშ აღარაფერი დახვდა. იფიქრა, რომ ფული ალიმ გადამალა და სახლისაკენ გაეშურა საყვარელი მეუღლის ნახვას მონატრებული, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მის კუთნილ სახლში სხვა ცხოვრობდა. მახმუდ – ბეკი მათხოვრად ჩათვალეს, შეეცადნენ მის გაგდებას, მაგრამ მან მოახერხა სახლში შესვლა, ავიდა ოთახში და დაინახა თავისი მეგობარი ალი-აგა თავის მეუღლესთან - მალეკასთან ერთად. აქ ცოტა უკან დავბრუნდეთ, რომ მახმუდის თავგადასავალს გავეცნოთ. მოგზაურობისას თავრიზში მახმუდს მთელი საქონელი წაართვეს. მოატყუეს და გაკოტრებული დატოვეს. აქედან დასკვნა: ვინც არაფერი იცის ვაჭრობის - ამ საქმეს ხელი არ უნდა მოკიდოს. განრისხებულმა მახმუდკამ სომეხს, რომელმაც ის მოატყუა, ცხვირი მოაჭრა. დაზარალებულმა ბეველერ – ბეკმა იჩივლა.

საჩივარმა შახის შვილთან – შახზადესთან მიაღწია და მახმუდი ციხეში ჩასვეს. აქაც უკანასკნელი ფული წაართვეს და გაუშვეს, მაგრამ საზღვარზე მახმუდი ყაჩაღთა ბანდას გადაეყარა: “აქ დამიჭირეს, თურქეთში წამიყვანეს და ერთ სომეხს მიმიყიდეს, ვისთანაც ორი წელი ვიმუშავე” (სტშელნიცკი: 1848).

მახმუდამ გაქცევა მოახერხა, თუმცა ისევ აღმოჩნდა უცნაური ჯარის ტყვეობაში. “სარბაზმა დამიჭირა და შემკრა. ჩემთან ერთად მრავალი მუსლიმანი და სომეხიც იყო. მიგვიყვანეს ფადიშახთან, ტრაბახი დაიწყეს, რომ რუსი ჯარისკაცები აიყვანეს ტყვედ. გაქცევა მინდოდა, მაგრამ ერთმა ადამიანმა გამცა და ყური მომაჭრეს” (სტშელნიცკი: 1848). ეტყობა რუსი ჯარისკაცის დატყვევება დიდ გმირობად ითვლებოდა, რადგან მუსლიმანებისათვის ის ურჯულო მტერი და დაპყრობელი იყო. ესეც საინტერესო მრავლისმთქმელი დეტალია. არ შეიძლება არ ავლნიშნოთ, რომ მახმუდის თავგადასავლის ისტორია მშვენიერი რუსული ენით არის დაწერილი.

“მეგობრები”

ამით მახმუდ – ბეკის თავგადასავალი არ დამთავრებულა. შემახაში, სახლში დატრიალებული შფოთის შემდეგ, ის ისევ ციხეში ჩასვეს. მართალია სკანდალი უმიზეზოდ არ აუტეხავს და თან ამტკიცებდა, რომ ნამდვილად მახმუდ-ბეკი იყო, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. ჭკუაგადასულივით იქცეოდა, თუმცა ალბათ, სჯობს გიჟი ეგონო, ვიდრე სახრჩობელაზე ამოყო თავი.

ამ თავიდან ვიგებთ იმ მკაცრი კანონების შესახებ, რომლებიც იმ დროს მოქმედებდნენ: შირაზში ვერაფერს დაამტკიცებდი თუ ფული არა გქონდა. მიუხედავად ამისა, მცირე ცვლილებები მაინც შეიმჩნეოდა, ყველაფერი უკეთესობისაკენ შეიცვალა: ადრე თუ მონების მკვლელობა არავის ადარდებდა, რადგან მათ ადამიანებადაც არ თვლიდენ, ახლა მათი მკვლელობისათვის შეიძლება ადამიანი ჩამოეხრჩოთ კიდევ. ციხემ გატეხა მახმუდი და ისიც ფეხებში ჩაუვარდა ალის და პატიება სთხოვა, რისთვის - თვითონაც არ იცოდა. სულელის გასულელება არც ისე ძნელია, “სულელს დანა არ სჭირდება, ცოტა წაუმღერე და ყველაფერს გააკათებინებ” – მახმუდიც მოატყუა ალიმ, გამოაპარა ციხიდან იმ პირობით, რომ ის აღარასოდეს დაბრუნდებოდა შემახაში. მახმუდი ასეც მოიქცა, “აიკაპიწა ხალათის კალთები, გაიძრო ქოშები და გაუტია მინდვრებში” (სტშელნიცკი: 1848).

მასმუდკა

“ასე გადაიქცა მასმუდ-ბეკი მასმუდკად. მისი თავგადასავალი კი გაგრძელდა, მაგრამ ამ პერიოდის გახსენება მას არ სიამოვნებდა” (სტუმენიცი: 1848).

წლების შემდეგ გამოცხადდა მასმუდკა შემახაში, ორი ძროხა მოჰყავდა, უკვე წარმოსადეგად გამოიყურებოდა. მას სურდა “ბეკს” დამსგავსებოდა.

აქ სტუმენიცი წესიერი, წარმოსადეგი ადამიანის ტანსაცმლის აღწერილობას იძლევა: “მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა ჩოხა-ახალუხი და ხანჯალი. შირვანის პატივცემულ კაცებს თავზე კარაკულის ქუდი ეხურად, ისინი ამითაც ფასდებოდნენ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ის, რომ რუსებს ჩვევად ჰქონდათ მუსლიმანური სახელების შემოკლება, ამიტომ მასმუდ ბეკი გადაიქცა მასმუდკად; ეს კი მუსლიმანებისათვის დიდ შეურაცყოფად ითვლებოდა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის – რუსეთი თავის უფლებებს იყენებდა კავკასიაში.

შახ-ჰუსეინის ტრაგედია. მასმუდკა - წინამძღოლი

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თავის მშვენიერ მოთხრობაში სტუმენიცი იძლევა ქალაქების, სოფლების, ჭურჭლის, ადამიანებს შორის ურთიერთობების, საცხოვრებლის, ტანსაცმლის, რელიგიური დღესასწაულების ძალიან ზუსტ აღწერილობებს – გარდა იმისა, რომ ეს აღწერილობები ფონს უქმნიან მასმუდ-ბეკის ისტორიას, ისინი ამავე დროს შემეცნებით, განმანათლებლურ ხასიათს ატარებენ. ასე მაგალითად ჩვენ ვხვდებით მოგარემის თვეში წამებული მუსლიმანებისადმი მიძღვნილი რელიგიური დღესასწაულის აღწერას. გაზაფხულის ეს პირველი თვე - მარტი, შახ-ჰუსეინის ხსოვნას ეძღვნებოდა.

სტუმენიცი აღნიშნავს: “რამდენიც არ წამიკითხავს ამ ზეიმის შესახებ, არც ერთი არ ჰგავს იმას, რაც მე საკუთარი თვალთ ვნახე, თანაც ამ ზეიმის აღწერილობა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაა და ხშირად ერთმანეთის საპირისპიროც. ეტყობა სხვადასხვა განსაზღვრული წესები არსებობს, თუმცა, ძირითადად, რიტუალები ერთნაირია” (სტუმენიცი: 1848). მუხამედის პირველ ვეზირსა და მეოთხე ხალიფას მის შემდეგ ორი ვაჟი ჰყავდა – ჰასანი და

ჰუსეინი, რომლებსაც ერთად უნდა ემართათ ხალიფატი მისი სიკვდილის შემდეგ. მაგრამ საფიატების თაობის წინამძღოლმა მოავიამ მოწამლა ჰასანი და მოიპოვა ტახტი. მოავიას შემდეგ ძალაუფლება მემკვიდრეობით მისმა შვილმა, იეზიდმა მიიღო, რომელმაც ჰუსეინის შურისძიების შიშით გაგზავნა მის წინამძღვე ჯარი და გაიმარჯვა.

ეს ამბავი ევფრატის ახლოს მოხდა, იქიდან მოყოლებული ქერბალაი მორწმუნე შიიტების სათაყვანებელ ადგილად იქცა, ხოლო ჰუსეინის სიკვდილის დღე განსაკუთრებული სიდიადიდ აღინიშნებოდა. ზემო ტრიალ მინდორში დიდი თეატრალური წარმოდგენებით ორი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა.

“უღმერთო იბნ-ზიადი უმოწყალოდ ხოცავს ჰუსეინის შვილებს ცოლ-შვილთან ერთად. თითოეული მკვლელობის შემდეგ ისმის ათასობით მაყურებლის ხმამაღალი მოთქმა” (სტუმენიცი: 1848). “წარმოდგენის დასასრულს შიიტები ქვებს ესვრიან ადამიანებს, რომლებიც სუნიტებს ასახიერებენ, ისინი გარბიან, ყაზარმიდან კი მესამე ძალა გამოდის, რომელიც იარაღით განდევნის ორივე პარტიას” (სტუმენიცი: 1848). თანდათანობით, პოლიციის მიერ მიღებული ზომების შემდეგ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეს სისხლისღვრა შეწყდა და სანახაობას ეფექტურობა მოაკლდა. სწორედ ამ დროს იეზიდის როლი სათანადო გასამრჯელოს ფასად შესთავაზეს მახმუდს. მან დიდი აღმაფრენით შეეცადა ეთამაშა ეს როლი, თუმცა მონოლოგები იმდენად გრძელი იყო, რომ თვით ცნობილი რასინის რომაელებსაც კი შეშურდებოდათ” (სტუმენიცი: 1848). ამ ნაწყვეტიდან მშვენივრად ჩანს ავტორის განათლება და კლასიკოსების ნაწარმოებების ცოდნა. ბრძოლის დროს მახმუდკა მძიმე ჯავშანის ქვეშ მოექცა. გზად მიმავალმა ქალაქის კომენდანტმა იგი გადაარჩინა. მახმუდკა დაბნეული იყო, ის არ ელოდა შირვანის მმართველისაგან ასეთ პატივისცემას. მმართველთან საუბრის შემდეგ მახმუდკამ ესაულის ჩინი მიიღო; მართალია, ყველაზე დაბალი პოლიციის იერარქიაში, მაგრამ თათრებისათვის ეს თანამდებობა მნიშვნელოვნად ითვლებოდა; განსაკუთრებით, ნაგვის გამტანი აბდულას შვილისათვის. ეს ცნობები საინტერესოა როგორც რუსეთისა და რუსი მკითხველებისათვის, ისე საქართველოსა და ქართველებისათვის, რადგან გაზეთი “კავკაზ“-ის მკითხველებისათვის ჩრდილო კავკასია, მუსლიმანების ქვეყანა, ჯერ კიდევ ამოუცნობ სიდიდედ რჩებოდა.

დერვიშების ახლანდელი წეს - ჩვეულებები. მახმუდას ხმაურიანი შესვლა ბაზარში

ამ თავში სტუმენიცკი აღწერს დიდებულ მოებს, ზევიდან რომ გადაჰყურებენ შემახას. “მზის ჩასვლის შემდეგ ყველა მუსლიმანი წინასწარმეტყველი მუჰამედის ბრძანების მიხედვით თავს ანებებს სამუშაოს. ეს ნამაზის დაწყების დროა, ლოცვის დრო, როდესაც მოლა მეჩეთის მინარეთიდან ხმამაღლა იწყებს ლოცვების კითხვას; თუმცა ბაზარი მაინც თავისი კანონებით ცხოვრობს, ცოცხლობს და არ ფიქრობს ნამაზზე. “ასეთია ახლანდელი წესები – ხალხი უფრო ბრძენი გახდა. მიეცი ფული, აკრძალული სიამოვნება. ისინი გარყვნილებას ისევე ეთაყვანებიან, როგორც მათი წინაპრები ეთაყვანებოდნენ მექის შავ ქვას” (სტუმენიცკი: 1848). ეს ცივილიზაციის კანონია, კაცობრიობა წინ მიისწრაფის, უკან, წარსულისაკენ, გზა არ არის.

ამ თავში ძალიან ლამაზად არის აღწერილი შემახანის ბაზარი; საერთოდ, აღმოსავლური ბაზარი ცალკე განსაკუთრებულად ყურადსაღები ფენომენია. იგი, ხატოვნად რომ ვთქვათ, “ქალაქის ცენტრს, თავს, კუჭს წარმოადგენს. აქ წყდება ყველა მნიშვნელოვანი საქმე, ნაცნობი ნაცნობს ეძებს, მტერი - მტერს. ვაჭრები, ხელოსნები, ხელსაქმით დაკავებულები, ყველანი ერთ წრეში ტრიალებენ, როგორც სტამბოლის დერვიშები. აქ ყველაფერს იპოვი, რაც სულს და გულს უნდა” (სტუმენიცკი: 1848).

მშიერი ფლავს შეჭამს, ავადმყოფს აქვე უმკურნალებენ; მყიდველს მიჰყიდიან ჩოხას, ფეხსაცმელს, შარვალს. ჭკუა გინდა? – მოლა, რომელსაც აკანკალებული ხელით ყურანი უჭირავს, შენს დარიგებას, ჭკუაზე მოყვანას შეეცდება. თუ უცხოური ამბების გაგება გსურს - აგერ სპარსეთიდან - ქარავანი, თბილისიდან - ურემი, მომლოცველები - მექიდან. გვერდზე დადექი და ყველაფერს გაიგებ. ბაზარში ყველაფერი არეულია: ფოკუსნიკები, მსახიობები, ზანზალაკებისა და საკმის ხმები; ვიღაც ზღაპარს ყვება; ისმის ვირების ყროყინი, ურმების ჭრიალი. პირველ ადგილზეა ვაცების ჭიდილი, მამლების ბრძოლა, მაიმუნების მანჭვა. მაგრამ ყველაზე ბევრი ხალხი დერვიშების გარშემო ირევა, მათი ფანტასტიკური მონათხრობი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს.

როგორც “მაჰმუდა“-ან ირკვევა, დერვიშების გამო ვაჭარს შეუძლია საქონელი მიატოვოს, ხელოსანმა თავისი დაზგა, მზარეულმა ქვაბები და ჯამები;

მგზავრი გზაზე აღარ ფიქრობს, ცხენს აბამს; აქლემების ქარავანიც კი ჩერდება. გასაკვირია, თუ როგორ შეძლო ამ სრულიად ახალგაზრდა უცხოელმა, უცხო კულტურის მატარებელმა, უცხო გარემოში გადასახლებულმა ისე აღეწერა ეს დიდებული სიმშვენიერე, რომ მკითხველს სურვილი გასჩენოდა შირვანის ბაზრის ცენტრში მოხვედრისა და შესანიშნავი სანახაობის თანამონაწილედ გახდომისა.

აი დერვიშების თხრობის გმირიც – მათი საყვარელი პერსონაჟი – ისკანდერ ორჩიანი - დიდი ალექსანდრე მაკედონელი. აშკარაა, რომ სპარსეთის მეფე დარიოსზე მისი გამარჯვების შემდეგ მისი სპარსეთში ცხოვრება უკვე ლეგენდად იქცა. დერვიში ყვება მის დაპყრობილ მიწებზე, მაგრამ, რატომღაც არ ამცნობს მსმენელს, რით დამთავრდა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა.

მოთხრობაში მოხსენიებულია პლუთარქეც, კვინტ კურციც, არიანას ჯადოსნური პოეზიის შემქმნელის სახეები.

დერვიში მოულოდნელ სიურპრიზს უმზადებს მსმენელს. ისკანდერზე საუბარი იცვლება კანლი - გარუნის ამბიტ, შეხერხებადს ზღაპრების სისხლიან კანლი – გარუნზე. ეს ყაჩაღი პოპულარულია ყველა აღმოსავლურ ბაზარში, ყველას უყვარს ამბები მასზე. დერვიში გარუნის გმირობაზე აღმოსავლეთში ყველაზე საყვარელი პოეტის გაფიზის პოეტური ენით ყვება. შირვანის ბაზარზე მახმუდ – ბეკს დიდი პატავით ეპყრობოდნენ, როცა შეიტყვეს მისი თავგადასავლების შესახებ.

მახმუდი საშინლად შეცბუნებულია

უკვე მერამდენედ გაუღვა მახმუდი გზას, სწრაფად გამდიდრების სურვილით შეპყრობილი. ეტყობა, ცხოვრებამ ვერაფერი ასწავლა. გზაში ის მოწყენილობამ შეიპყრო, სიმღერა მოუნდა. “საერთოდ, ამიერკავკასიელი მუსლიმანები ერთ - ერთი ყველაზე მომღერალი ხალხია ქვეყანაზე, მათგან მხოლოდ მუნჯები არ მღერიან, სიტყვებს კი ექსპრომტად იგონებენ” (სტშელნიცკი: 1848).

შემდეგ კი წარმოგვიდგება მახმუდის საინტერესო, გზაში სპონტანურად შექმნილი სიმღერა – იმპროვიზაცია: “იაა, აიი, მე მღერი, გზაში ვარ!.. დატანჯული. უთხარი იუზბაშს!... მომიყვან კუნაკი (მეგობარი), რადგან მშია და თან მაქვს ქაღალდი!” (სტშელნიცკი: 1848).

გზაზე მახმუდს შეიარაღებული მხედარი შემოხვდა. ჰკითხა მახმუდმა, ყაჩაღების არ გეშინიაო? მაგრამ როცა კარგად შეათვალიერა, ენი ჩაუვარდა - მას წინ ცნობილი ყაჩაღი, გარუნი იდგა. შეშინდა მახმუდი, გაქცევა დააპირა, მაგრამ უკან ურიცხვი შეიარაღებული მხედარი დაინახა და ისევ გარუნს შეეკედრა არ მოეკლა და გადაერჩინა იგი. გარუნმა ტომარაში ჩასვა მახმუდი და უფრო მეტი უსაფრთხოებისათვის ფერფლი დააყარა ზემოდან. მხედრებმა გვერდზე ჩაუარეს, მაგრამ ტომარაში მჯდომმა მახმუდმა გაიგონა, რომ მასზე საუბრობდნენ და შემდეგ იგრძნო, თუ როგორ აიყვანეს და აქლემზე შესვეს იგი. შიშისაგას სიხლი თავში მიაწვა ჩვენს გმირს.

ღამის ყარიბი, ვარშაველი და ორი ძმა

მახმუდის თავგადასავლების ფონზე “კავკაზის” მკითხველთათვის მრავალი ახალი ამბავი გახდა ცნობილი და არა მხოლოდ იმდროინდელი მკითხველისათვის, არამედ XXI საუკუნეში მცხოვრები დაინტერესებულ მკვლევარებისათვისაც.

“მახმუდკას” ეს თავი იწყება შემახის აღწერით, ოღონდ უკვე 1844 წლიდან, როდესაც იგი უკვე გუბერნიის ქალაქად გადაიქცა.

“რუსეთთან და ევროპასთან ურთიერთობამ აქ ვაჭრობაც გამოაცოცხლა, მოსახლეობაც გაიზარდა და გაძლიერდა” (სტშელნიცკი: 1848). კიდევ უფრო საინტერესოა, რომ მუსლიმანურ პროვინციებში აზიატობის ნიშნები თანდათან ქრება; ადრე მკაცრმა მამაკაცებმა სიმორცხვე დასძლიეს, ქალებმა ჩადრი გადააგდეს, შემახა შეიცვალა – მეჯლისებმა, სახალხო სეირნობებმა გაახალისეს, გააცოცხლეს იგი. სტშელნიცკი, როგორც ჩამორჩენილ ქვეყანაში მოხვედრილი ევროპელი ადამიანი მიესალმება ამ პროცესს; ცივილიზაცია თანდათან იმარჯვებს, რაც გამოიხატება ქალების ემანსიპაციაში და ახალი ცხოვრების ნაკადის შემოჭრაში. საზღვრის გარედან უკვე შემოდის საქონელი, ადგილობრივი ნაწარმი კი საზღვარგარეთ გადიოდა. სახეზე იყო ორმაგი სარგებელი; თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, თხრობის შუაგულს იგრძნობა, რომ გულის სიღრმეში ვლადისლავ სტშელნიცკის ენაება ის ზღაპრული სიძველე და საძველეები, რომლებიც აქ ნელ-ნელა ქრება და დავიწყებას ეძლევა. იგი თავის თავს ეკითხება – მოიგებს კი ამ ყველაფრით პოეზია?

“მეზღაპრეებსა და მელექსეებს საოცარი გემოვნება აქვთ: “ერთმა ბრძანებელმა გამოგონილი სამყაროს დამურებად მოგვნათლა, თითქოს გვისაყვედურა ჩვენი ანტიპატიის გამო განათლების მიმართ” (სტუმენიცი: 1848).

ავტორს სინანული იპყრობს კაცობრიობის იმ ჩვილი ასაკის გამო, როდესაც ადამი ჯერ კიდევ არ იყო ველური მდგომარეობიდან გამოსული: “ეს პერიოდი პოეზიისათვის უღირსად მიგვაჩნია და თვალს ვარიდებთ” (სტუმენიცი: 1848).

ვლადისლავ სტუმენიციმ მომავალი და აწმყო პროგრესის ნებასურვილს დაუტოვა და წარსულ დროს დაუბრუნდა. იმ დროს, “როდესაც შემახანამდვილად აღმოსავლური და უზადოდ მართლმორწმუნე იყო, როცა ეტლები არ დაქროდნენ, უფანჯრო სახლები ერთმანეთს მჭიდროდ მიწყობილნი იყვნენ და შეიძლებოდა სახურავებზე სეირნობა: “ბაზარი ხმაურობდა, ქუჩები კი დღისით უკაცრიელი ჩანდა. გარემო უფრო რომანტიული იყო, საიდუმლოებით მოცული ღამეები - ვერცხლისფერი, ჯინ - ნადარის (სულების მეფის) ზმანებები კი მძინარე ადამიანებზე გუნდ - გუნდად ეშვებოდნენ.

ახალგაზრდა პოლონელის მიერ შემახას ღამეების აღწერა ბევრ ცნობილ პოეტს შეშურდებოდა. უსაზღვროა სტუმენიციის რომანტიზმის ძალა და მისი ფანტაზია. იგი ხედავდა ციდან მოწყვეტილ ვარსკლავს, ცეცხლის ბილიკით რომ მოსრიდებს ზეცაზე; მოვარდნილი ქარისაგან მინაზე გართხმულ გათელილ ყვავილებს; თავის ჩრდილს, ფეხის კვალს, შეხერეზადას, გარუნ ალ რაშიდის, სინდბად მოგზაურის უძველესი აღმოსავლეთის მომაჯადოებელ ხიბლს. სტუმენიციის ფანტაზიის ძალა საშუალებას აძლევდა მას წარმოედგინა, მოესმინა და დაენება უამრავი რამ.

ერთ - ერთ ბნელ ღამეს შემახაში ყაჩაღი გარუნი შევიდა, ჩამოძენილი ტანსაცმლის ქვეშ პისტოლეტის ლულა ჩანდა. სახლის სახურავებზე რამოდენიმე კაცი, კალიანის მოწვევისაგან გაბრუებული იდგა და საუბრობდა; უცნაურია, მაგრამ პოლონეთზე და პოლონელ ქალებზე ბჭობდნენ. შემდეგ გაიხსენეს ბრძოლები განჯასთან, რუსის ხიშტებს რომ გადაეყარენ; უკვირდათ, რუსები ადამიანურად რომ მოექცნენ და რამოდენიმე დღის შემდეგ გაათავისუფლეს ისინი. ერთმა მუსლიმანმა დაიწყო მოყოლა, როგორ გაყიდა მან სახლი შემახაში, ფული შეინახა და იმოგზაურა თბილისში, ახალციხეში; შემდეგ ვარშავაში გასამგზავრებულ პოლკში ჩაეწერა. სახლი შემახაში მან მახმუდ - ბეკს მიჰყიდა, თუმცა ეს კაცი არც უნახავს, ფული ალი-აგამ გადაუხადა.

გარუნმა ეს რომ მოისმინა უმაღლეს მახმუდის სახლისაკენ გაეშურა. იქ კი სიამოვნების მომგვრელი სურათი დახვდა; ულამაზესი ქალი და მის ფეხებთან მამაკაცი; ბროლივით ანკარა წყლით სავსე აუზი; სურნელოვანი ვარდის ბუჩქები: “სურათი აღსავსე იყო მაცდუნებული სულებით, რომლებიც დაცურავდნენ სიოს ტალღებზე, დაშრიალებდნენ ტოტებში, შადრევნის შეფეგებში ბრუნავდნენ და ჩურჩულით ყვებოდნენ მდიდრული სარეცელის შესახებ” (სტუმენიცკი: 1848).

ყველაზე მეტად სტუმენიცკის ერთი ფრაზა იპყრობს ყურადღებას, როდესაც იგი თავის თავს ეწოდებს “სამშობლოსაგან მოშორებული, მუდმივი ხეტიალისათვის განწირული ადამიანი”.

გარუნმა ვერ გაუძლო მომაჯადოებელი სანახაობის ცქერას, ჭიშკარზე დააკაკუნა და თავი მახმუდ-ბეკად წარმოადგინა, მაგრამ ალი-აგამ იცნო თავისი ძმა, გარუნი, რომელიც მისი წყალობით გახდა ყაჩაღი და სიცოცხლე გაიმწარა.

ალი-აგა არ დაიბნა, შეპარულად დაუწყო თხოვნა ძმას დაენებებია ასეთი ცხოვრებისათვის თავი, რადგან არა ალიმ, არამედ მისმა სწრაფვამ თავისუფლებისაკენ გადააქცია გარუნი ყაჩაღად. თვითონაც სურდა გარუნის მსგავსად ბობოქარი სული გამხდარიყო, მაგრამ ყველაფერი ალახის ნება იყო, რომ ერთ ხეზე ორი სხვადასხვა ტოტი გაიზარდა. ერთი მალლა წავიდა და გაიფურჩქნა, მეორე კი - დაბლა დაეშვა. ალი ფატალისტი იყო, მაგრამ არწმუნებდა ძმას, რომ ასეთი კეთილშობილი წარმოშობის ადამიანებს, როგორებიც ისინი არიან, ბევრი ფული სჭირდებათ, ხოლო როცა ერთად დააგროვებენ სიმდიდრეს, სხვა ქვეყანაში გადასახლდებიან; როგორ ჰგავს ეს თანამედროვე მდიდარი ოლიგარქების ისტორიას. ბევრი მათგანი ნაქურდალი და ნაძარცვი ქონებით საზღვარს იქით რომ გადაიხვეწა.

თავის მხრივ, გარუნმაც უამბო ძმას თავგადასავალი, რომლის მოწმე იყო მდიდარ ბაღა - ბეკზე თავდასხმის დროს, მოუყვა, რომ გადაარჩინა მისი ულამაზესი ქალიშვილი და სურდა მისი ცოლა შერთვა. ამ დროს ჭიშკარში შემოსულმა დერვიშმა დაარღვია ძმების სიმყუდროვე და თან მოახსენა ძმებს, რომ ჩამოსულია ვარშაველი და მას ეჭვი რომ იგი მახმუდ - ბეკია. ძმებმა გადაწყვიტეს გამთენიისას ჩასაფრებოდნენ მახმუდ-ბეკსა და მის თანმხლებ ყიზილ-ბეკს და გაეძარცვათ ისინი. გარუნმა პირობა დადო, რომ ამის შემდეგ ყაჩაღობას თავს დაანებებდა, ბაღა-ბეკის ქალიშვილს კი ცოლად შეერთავდა, სახლს ააშენებდა, შვილებს იყოლიებდა, რათა “ადარასოდეს ემცნოთ მეჩეთიდან

მოლებს, თუ რამდენად იყო კანლი-გარუნის თავი შეფასებული” (სტშელნიცკი: 1848).

მასმული - ეშმაკი

ამ თავში სტშელნიცკი ისევ უბრუნდება ტომარაში ჩასმულ და აქლემზე გადაკიდებულ საცოდავ მასმულს.

გლესს, ვისაც ტომრები და აქლემი ეკუთნოდა, შიშისაგან გული წაუვიდა, როდესაც ტომარაში ადამიანი აღმოაჩინა. ხიფათს გადარჩენილი მასმული დაწყნარდა და მაშინვე ყვირილი დაიწყო, რომ ის აბდულა მენაგვის შვილია, შირვანის ესაული და არა ეშმაკი: “აფართხალებული ტომრიდან გადმოვარდა და როცა მიწას დაენარცხა, პირველი რაც დაინახა იყო ვირი, რომელიც მშვიდად ძოვდა ბალახს, აქ კი მან ვედარ მოითმინა და გულის სიღრმედან ამოხეთქილი ხმით დაიყვირა “აღახ!!! რატომ არ გამაჩინე ვირად!!” (სტშელნიცკი: 1848).

ბალა - ბეკი და მისი ოჯახი

ამ თავში ავტორს გადავყავართ აულ ჩანდარში, რომლის მოსახლეობა გარუნის თავდასხმის შემდეგ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაეცვა თავი ახალი შემოტევისაგან და შიშით ელოდა ყოველ ღამეს. “როგორც ცნობილია, დარბევები არც თუ ისე იშვიათი იყო მუსლიმანებთან და ეს წარმოადგენდა გამდიდრების კანონიერ საშუალებას. ბალა-ბეკი შფოთავდა, დარბოდა, ბრძანებებს იძლეოდა” (სტშელნიცკი: 1848).

ხშირ თარეშებს შეჩვეული მოსახლეობა ცდილობდა გამოსავალი მოეძებნა; ისინი აგებდნენ დამცავ მიწაყრილებს, გამაგრებებს; ქალებიც, დასვენების მაგივრად, აქტიურად მონაწილეობდნენ საცხოვრებლის დაცვაში. სტშელნიცკი აღწერს ქალთა მდგომარეობას, განსაკუთრებით ამ სადგომში. “ისინი ვალდებულნი იყვნენ მამაკაცების, განსაკუთრებითკი ურწმუნო გიაურების მხერას დამალვოდნენ; მიწაზე ჩამუხლულებს თავი მუხლებში უნდა ჩაეფლოთ და დაეცადათ, სანამ ისინი რამოდენიმე ნაბიჯით არ გასცდებოდნენ მათ. მოხუცი ქალები დღემდე მიჰყვებიან ამ წესს; რაც შეეხება ახალგაზრდებს, ისინი მომენტს არ უშვებენ, რათა უცხოელებს თავიანთი თეთრი კბილები დაანახონ;

მამაკაცები ამ სადგომში ბერძენ ფაუნებს გვანან; ქალები ჩამოძენილები დაიარებიან, კარვები კი სალატაკის განსახიერებაა” (სტუმენიცი: 1848).

ზუსტად ამ აულში ცხოვრობდა ბალა-ბეკის ულამაზესი ქალიშვილი ნიზა.

ამ თავში სლადისლავ სტუმენიცი აღწერს იმ სასახლესაც, სადაც გაიზარდა ნიზას დედა, მოხუცი ფატიმა (მოხუცად ითვლებოდა 40 წელს გადაცილებული ქალი). სასახლის გარეთ გასვლა აკრძალული იყო და ქალები მთელი დღეების მანძილზე სარკესთან ტრიალებდნენ, იცვლიდნენ კაბებს, შარვლებს, იხატებოდნენ და ბედნიერად გრძნობდნენ თავს, რადგან უდარდელად ცხოვრობდნენ. მიუხედავად ამისა, ნიზა დედის მონათხრობიდან გამომდინარე თვლიდა, რომ სასახლის კედლებში მეტად მოწყენილი ცხოვრება იყო.

ისევ ვარშაველი. ეშმაკს ასე ადვილად ვერ მოიშორებ

სადგომის ამოხრებელი სისხლიანი სტუმარი კანლი-გარუნი მუხლებში ჩაუვარდა ნიზას. დილაადრიან კი ბალა-ბეკს მაცნე ეწვია და მოახსენა მას, რომ ეშმაკი ნახა ტომარაში. ამ დროს სროლის ხმა გაისმა, ვიღაც მოქროდა გზაზე; ნიზას ფერი ეცვალა, მაგრამ საბედნიეროდ აღმოჩნდა, რომ ეს ბალა-ბეკის ძმა, ყიზილ-ბეკი იყო, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა გარუნის თავდასხმას, რადგან გარუნის ნასროლი აცდა. ნიზა კი გულში იმეორებდა, იმას რა მოუვიდა? იმას?” (სტუმენიცი: 1848). ასე მოულოდნელად თავდება მოთხრობის ეს ნაწილი - სევდიანი მოგონებებით, მომხიბლავი აღწერებით, საიდუმლოებით მოცული აღმოსავლეთის ღამაზი სურათებით სავსე მოთხრობა. ჩვენ კიდევ გველის მოთხრობის გაგრძელება, მაგრამ აქვე უნდა დავსვათ კითხვა - რა უნდა ითქვას მოთხრობის მთავარ გმირზე? მახმუდ-ბეკი სხვა გმირებზე არც მეტი და არც ნაკლებია. იგი თავისი დროის ადამიანია, რომელმაც ყველა დროის დადებითი და უარყოფითი თვისება შეისისხლხორცა იმ გარემოდან, სადაც გაიზარდა. სხვანაირი ის ვერც იქნებოდა. მახმუდი აბდულას შვილი იყო; აბდულასი, რომელიც თანამდებობისათვის ყველას წინაშე იჩოქებდა და ლაქუცობდა, მაგრამ გამდიდრებულმა შიმშილით მოკლა და გააწამა ცოლ-შვილი; თვითონაც სილატაკეში, ნაგვის გროვაზე მოკვდა. შურით აღვსილი იყო სპარსეთის მოსახლეობა, შესაძლოა, ეს ყველა ქვეყანაში ასეა სადაც სილატაკე სუფევს. ამ ფაქტს არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მახმუდის ხასიათზე. შურმა და პატივმოყვარეობამ განაპირობა მის მიერ “ბეკის” წოდების მიმატება,

თუმცა ამ წოდებამ ვერავითარი სარგებელი ვერ მოუტანა მას. შეიძლება სხვა მისი ღრვის ადამიანებთან შედარებისას, მახშირი ალალიც გამოჩნდეს, რადგან მას ნამდვილი მეგობრობისა და ჭეშმარიტი სიყვარულის სჯეროდა; მაგრამ, საუბედუროდ, აღმოჩნდა, რომ არავის, არც მეგობარს და არც საყვარელ ქალს არ უნდა მინდობოდა. მწარე გამოცდილების მიღების შემდეგ მახშირს ისღა დარჩენოდა, თვით ეპოქის პროდუქტი გამხდარიყო და სხვა მრავალი მისნაირი ადამიანივით ეცხოვრა. ეს ყველაფერი მშვენივრად გვიჩვენა ახალგაზრდა პოლონელმა ვლადისლავ სტშელნიცკიმ.

ისევ ვარშაველი. ეშმაკს მალე ვერ მოერევი

დილა უთენია ამდგარ ბაღა – ბეკთან მივიდა შეშინებული ნუკერი და შეატყობინა მას, რომ ღამით მან არა მარტო ეშმაკი ნახა, არამედ შეეხო კიდევაც მას. როდესაც ნუკერი შემახიდან ბრუნდებოდა, მას წყლის დაღვევა მოუნდა, მან აქლემი გაუშვა საბაღახოდ, თუმცა ამ ღროს მისი ერთი ტომარა გაქრა. მართალია, შემდეგ იგი გამოჩნდა, მაგრამ მასში უკვე ეშმაკი შესახლდა. ალა-ეკი გაბრაზდა და უპასუხა ნუკერს, რომ მას არ უნდა დაეტოვებინა ტომარა უყურადღებოდ. საჭირო იყო ეშმაკის ტომრიდან გადაგდება, ხოლო თუ იგი წინამდღეობას გაწევდა, მოლასთან უნდა წაეყვანათ, ხე დაეწვად და ეშმაკიანი ტომარა ცეცხლში გადაეგდოდ. ამ განკარგულების შემდეგ ჩანდარის პატრიარქმა მდინარესთან მცირე ნამაზი (ლოცვა) შეასრულა, ხოლო შემდეგ ნოსზე წამოწვა. ეშმაკის შესახებ გავრცელებულმა ამბავმა ყველანი ადაშფოთა და მის წინამდღე მთელი ექსპედიცია იქნა წამოწყებული.

თხსულება გრძელდებოდა

უეცრად შორიდან გამოჩნდა შავი წერტილი და აღმოჩნდა, რომ კაცი ცხენს მოაჭენებდა. შეშინებულმა ბაღა-ბეკმა ან კაცში თავისი ძმა ყიზილ-ბეკი იცნო, მას ვარშაველს უწოდებდნენ იმის გამო, რომ ყიზილ-ბეკი მშვენიერ ვარშავაში იყო ნამყოფი.

სტუმენიცკის თავის თხზულებაში არ შეეძლო არ ეხსენებინა მისი უსაყვარლესი, უმშვენიერესი ვარშავა და მაინც შეძლო მისი დაკავშირება თავის ადგილსამყოფელთან, კაკასიასთან.

ციზილ-ბეკი ქოშინით მოყვა მშვენიერ ცხენზე ამხედრებული ახალგაზრდა ადამიანის შესახებ, რომელიც მას გზად შემოხვდა. იზილ-ბეკმა ესროლა ახალგაზრდას, თუმცა იმის ნახვა ვეღარ მოასწრო, მოკვდა იგი თუ არა. ამ კაცის გარეგნობის აღწერამ ნათლად დაარწმუნა ყველა, რომ ციზილ-ბეკმა ნამდვილად ყაჩაღი - კანლი-გარუნი ნახა, ის კი მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებელთ შიშის ზარს სცემდა. ბანაკი ამ სიახლით აღფრთოვანებული იყო, ერთადერთი ნიზა არ იზიარებდა ამ ბედნიერებას. ეიფორიამ გაიარა და ციზილ-ბეკმა დაიწყო ვარშავის ისტორიების მოყოლა. გაუზიარა მსმენელებს, თუ რა მხიარულად გაატარა მან იქ დრო, როგორ დაიპყრო მან მთელი ვარშავა თავისი ჭკუით, გამჭრიახობით, ახალგაზრდობითა და სილამაზით; რამდენი საყვარელი ქალი ჰყავდა მას; შემდეგ ვარშაველმა ძვირფასი საჩუქრები დაარიგა: მძივები, საათები, ლამაზი შალები; ციზილ-ბეკს არავინ დავიწყებია. იმ გზაზე, საიდანაც ვარშაველი ჩამოვიდა, კაცები მოჭრილ ხეს ეზიდებოდნენ, რომლის ტოტებს შორის ტომარა იყო გაბლანტული. მოლა ტომრის დაწვაზე არ დათანზმდა, რადგან აღმოჩნდა, რომ ეშმაკი ნამდვილი მუსლიმანი იყო. “ერთ ღმერთში არის ძალა და სიბრძნე. მხოლოდ მას შეუძლია საიდუმლოებისათვის ფარდის ახსნა. მან იცის, თუ ვინ იმყოფება დედის მუცელში და როგორი იქნება მისი მომავალი. მან შექმნა შვიდი მიწიერი და ცის სამეფო; მან შექმნა ზღვა და ხმელეთი. მხოლოდ იგი არის ერთადერთი მეუფე და მუხამედი მისი წინასწარმეტყველია. მუხამედის დაბადებამ გააქრო ეშმაკის ძალაუფლება. იგი გაფრინდა ზეცაში და ჩუმად ანგელოზების საუბარს მოუსმინა, თუმცა ალახმა იგი შემუსრა” (სტუმენიცკი: 1848). ავტორმა შემოგვინახა ზუსტად გადმოცემული კონკრეტული მოლას ნამდვილი სიტყვა, რაც საკმაოდ დიდ ინტერესს წარმოადგენს შთამომავლებისათვის.

ბოლოს და ბოლოს ციზილ-ბეკს შეეცოდა ტომარაში მჯდარი ეშმაკი და მან ბრძანა შეეხსნად ბაწარი. შეშინებული მოლა ბუდბუტებდა: “ღია – ელლას! ღღია – ელლას! მუხხამედ რასულ ელლას!”- სიტყვები, რომელიც ნებისმიერი ბოროტების პანაცეა იყო. ციზილ-ბეკმა შეხსნა ტომარა, რადგან ნამდვილი ატეისტი იყო; ევროპაში გრძელვადიანმა მოგზაურობამ იგი ყორანს დააშორა. მას არ სჯეროდა სულების, თუმცა სტუმენიცკი თავის თხზულებაში ღირიულ

გადახვევას აკეთებს და აღნიშნავს, რომ “თვით დიდ ვოლტერ, პლანეტაზე ყველა ჭკვიან მასწავლებელს, ცხოვრების ბოლოსკენ სჯეროდა სულების” (სტუმენიცი : 1848). მთელი ამ აყალმაყალის დროს ცოცხალ - მკვდარი მახმუდკა გამოვარდა ტომრიდან და ყველამ დაინახა, რომ იგი ჩვეულებრივი ადამიანი იყო. საცოდავ, გაუბედურებულ მახმუდკას ვარშაველმა პირში ჩაასხა წინასწარმეტყველის მიერ დაწვევლილი სითხე, არაყი, რითიც გონს მოიყვანა იგი. აბდულას შვილმა აჩვენა მათ შემახის ნაიბის ბეჭდიანი წერილი და ამყად განაცხადა, რომ იგი ნაიბის ფავორიტი იყო, თუმცა არაყმა მალევე იმოქმედა და მახმუდკას დაეძინა.

ყაენების შთამომავალი

დავუბრუნდეთ მივიწყებულ ალი-აგას, რომელსაც ყიზილ-ბეკი უნდა მოეშორებინა, ისევე როგორც თავისი ცოლი მალეკა, რომელმაც ბევრი რამ იცოდა მასზე. მიუხედავად იმისა, რომ მალეკა ძალიან ლამაზი და ტანადი იყო, მას სიბერე მოეპარა და ამიტომ იგი უნდა მომკვდარიყო. ალი-აგა ოცნებობდა, თუმცა მისი მყუდროება დერვიშ მუსტაფამ დაარღვია, რომელმაც განაცხადა, რომ მათ ყიზილ-ბეკი ვერ დაიჭირეს და მისი დევნისას დაიჭრა კანლი – გარუნი, ყაჩაღი. ალი-აგამ მისცა დერვიშს ერთი მუჭა ოქრო და სთხოვა მას გარუნის გამოსაჯანმრთელებლად ირანიდან და შირვანიდან წამლები ჩამოეტანა. დანარჩენი ყველაფერი კი ღმერთის ხელში იყო. არ არსებობს ღმერთი გარდა ღმერთისა, რაც წინასწარ დადგენილია, ის შესრულდება. ასეთი ფატალისტები არიან მუსლიმანები, რომლებსაც სჯერად, რომ ადამიანი იბადება განსაზღვრული ბედით, რომელსაც ვერსად გაექცევი.

საქმრო

ზემოთ აღნიშნული მოვლენების შემდეგ რამოდენიმე ცხენოსანი გაემგზავრა შემახაში ბაქოს გზით; ერთ-ერთი ცხენოსანი იყო მესლიმანური პოლკის მუნდირში; მეორე კი ეროვნულ ჩოხაში იყო გამოწყობილი. ჩოხაში ჩაცმული ცხენოსანი იყო მენაგვის შვილი - მახმუდკა, მეორე კი – ყიზილ-ბეკი.

ყველამ კარგად ვიცით, რომ აღმოსავლეთის ქალაქებში ჭორი სწრაფად ვრცელდება, ისევე როგორც, ალბათ, დასავლეთშიც. ალი-აგას დასაშინებლად

მასმუდკამ ბებერ მცხოვრებ იუსუფს მოუყვა მისი ბალა-ბეკის ქალიშვილზე დაქორწინების შესახებ. აგრეთვე დასძინა, რომ ყიზილ-ბეკი მას დაპირდა შემახაში ალი-აგას მიერ მოტყუებით წართმეული სახლის დაბრუნებას.

კიზ-კალი

“მასმუდკას” ეს თავი იწყება შემახასთან ახლომდებარე ულამაზესი მთების აღწერით: “ერთი მთა საფლავის ქვებით არის მოფენილი, მეორე კი - ნანგრევებით, რომელსაც ადგილობრივები კიზ-კალის უწოდებდნენ. ამ ციხესიმაგრეში ერთ-ერთი ყაენის ქალიშვილი ემაღებოდა თავის მოსაბეზრებელ თაყვანისცემლებს” (სტშელნიცკი: 1848). ხალხი, ჯერ კიდევ ძველი დროიდან ამტკიცებს, რომ ამ ნანგრევებში მიწის ქვეშ თავშესაფარია. ამ ნანგრევებიდან ადამიანი შეიძლება მოხვდეს გამოქვაბულში, რომელიც ოქროთი არის სავსე და სადაც ბრილიანტის ლოგინზე უკვე რამოდენიმე საუკუნეა წევს იმ მეფის ქალიშვილი, რომელმაც კიზ-კალი ააგო. გამოქვაბულს მარგალიტებისაგან გაკეთებული მილიონობით ლამპიონი ანათებს. მთელი ეს სიმდიდრე ერგება იმას, ვინც პირველი გახდა გამოქვაბულში შესვლას და იქ არსებულ სულებთან შებრძოლებას. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ აღმოსავლეთი საიდუმლოებით იყო მოცული და სტშელნიცკის თხზულება არაჩვეულებრივად ასახავს მის საიდუმლო ატმოსფეროს. შესაძლოა, რომ არა სტშელნიცკი, ამ თხზულებებსა და იგავებს ჩვენამდე ვერც კი მოედწია.

ამ გამოქვაბულიდან ადამიანებს საოცარი ხმები ესმოდათ. გარდა ხმებისა, ჩანდა საიდუმლო ნაკვალავიც. ყველა დარწმუნებული იყო, რომ გამოქვაბულში ბოროტი სულები იყვნენ დაბუდებულნი. ხოლო დერვიშ მუსტაფამ იცოდა, რომ გამოქვაბულში დაჭრილი კანლი-გარუნი თავს აფარებდა პოლიციელებს; მისი ჯანმრთელობა კი დღითიდღე უმჯობესდებოდა. ყაჩაღი გამოქვაბულში ვეღარ ჩერდებოდა, რადგან მან გაიგო, რომ მამხუდ-ბეკს მისი შეყვარებული ნიზას ცოლად შერთვა სურდა. დერვიშის ვირზე შემჯდარი გარუნი გაემართა ბალისაკენ, სადაც ყაჩაღებს ქორწილამდე მასმუდკას და ყიზილ-ბეკის განადგურება უნდოდათ. ამ ადგილას ავტორი ისევ აკეთებს ღირიულ გადახვევას და უბრუნდება ალი-აგას, რომელიც უმტკიცებდა გარუნს, რომ როდესმე ნიზა მისი ცოლი გახდებოდა, მაგრამ იგი ქალიშვილი აღარ

იქნებოდა; ქალიშვილობას კი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ აღმოსავლეთსა და კავკასიაში.

ჩინოვნიკები

ძმასთან საუბრის შემდეგ ალი-აგა სახლში ბრუნდებოდა; გზად მას პოლიცმეისტერი იზმაილ-ბეკი შემოხვდა. რა თქმა უნდა, აღმოსავლეთში პირდაპირ საუბარზე არავინ გადადის; თავდაპირველად ადამიანები კომპლიმენტებით ავსებენ ერთმანეთს; ამჯერადაც ასე მოხდა. საუბრისას ალი-აგა დაპირდა პოლიცმეისტერს, რომ შეეცდებოდა ყაჩაღ კანლი-გარუნის და დერვიშ მუსტაფას მოკვლას, რამაც ძლიერ გაახარა პოლიცმეისტერი.

ნიზა

ძმასთან დაშორების შემდეგ, ყაჩაღმა კანლი-გარუნმა გამოქვაბულში დაბრუნება გადაწყვიტა, თუმცა ბაზრის მოედანზე მან შემთხვევით მოისმინა ორი სომეხის საუბარი, რომლებიც მახმუდ-ბეკისა და ნიზას ქორწილის შესახებ საუბრობდნენ. ამის შემდეგ გარუნი ავიდა ერთ-ერთ გორაკზე, საიდანაც სასოწარკვეთილი თვალყურს ადევნებდა ქორწილისათვის მზადებას. როგორც ყოველთვის სტუმენიცი ზუსტად და ხატონად აღწერს მუსლიმანურ ქორწილს: “ყველანი გაფაციცებით ემზადებოდნენ ქორწილისათვის. აწყობდნენ კარვებს სტუმრებისათვის, ფერთხავდნენ ბალიშებსა და ნოხებს; შორიასლოს ბატკნის სისხლი იღვრებოდა. დიდი ქვაბი ბრინჯის მოლოდინში იყო, რათა ფლავით აევსოთ 100 მშიერი კუჭი. განათლებული მოლა კი კარვებს შორის დადიოდა” (სტუმენიცი: 1848). საწყალ ნიზას არავინ სთხოვდა გათხოვებაზე დათანხმებას. მალე ჩაკეტავენ მას ოთხ კედელში, აიძულებენ ჩადრის გაკეთებას, თავისუფლების მოყვარე გოგონასთვის ეს საშინელი მომავალი იყო. ნიზას თვალები ცრემლებით იყო ავსებული.

კანლი-გარუნი

ამ დროს გარუნი თვალყურს ადევნებდა მომტირალ ნიზას. იგი შეეცადა დაღმართზე ჩასულიყო, თუმცა უეცრად ბილიკზე მან დერვიშ უსტაფა დაინახა.

ემშაკი უსტაფა მოუყვა გარუნს, რომ მისი ძმა ალი-აგა ხარამზადაა (ქართული სიტყვა არამზადას ეკვივალენტი). დერვიშმა შემთხვევით მოისმინა ალი-აგას და პოლიცმეისტერის საუბარი: მან ალი-აგასგან მიიღო ერთი მუჭა აბაზიანები, რათა მას არ გაეფრთხილებინა ყაჩაღი მისი მოკვლის თაობაზე. და ბოლოს, მუსტაფამ გაანდო გარუნს მისი ბანდის ადგილსამყოფელი. ისინი იმალებოდნენ გამოქვაბულის ახლომახლო - არიმსახალში, სადაც მდინარე თენგა დიდ მთებს ჰყოფს. თვითონ მუსტაფამ კი გადაწყვიტა მიერთებოდა ხაჯი-უსუფის ქარავანს, რომელიც მექისაკენ მიემართებოდა, თუმცა გარუნმა მას დარჩენა და ნიზას ქორწილზე დასწრება სთხოვა. ყაჩაღები, რომელთაც ინფორმაცია არ ჰქონდათ გარუნის ადგილსამყოფელის შესახებ, კუნაკენდეს მიდამოებში დასახლდნენ, ხოლო ბანდის მეთაური კანლი-გარუნის მაგივრად ებრაელი არიმ-საკალი გახდა, რაც ნახევარ წვერს ნიშნავს. ყაჩაღები, რომლებსაც არ უყვარდათ გარუნი, მისი თავიდან მოშორებით ბედნიერნი იყვნენ. გამოქვაბულში, სადაც ისინი იმალებოდნენ, ძლიერ ციოდა და ყაჩაღები მანგალის ირგვლივ იყვნენ შემომსხდარნი. გარუნი შეიჭრა გამოქვაბულში და ბრძანება გასცა არიმ-საკალისათვის შუბლში ესროლათ, რაც უმაღვე იქნა შესრულებული.

ქორწილი

ქორწილის სუფრა საჭმელ-სასმელით სავსე იყო. მაღალი დონის სტუმრები ორ კარავში განათავსეს, რადგან ტრადიცია მოითხოვდა ქალებისა და მამაკაცების ცალკე კარავებში განათავსებას. საუკეთესო ადგილებზე ისხდნენ მასმუდ-ბეკი, ყიზილ-ბეკი და ალი-აგა. მათი ხმლები მდიდრულად იყო მორთული, ხოლო ჩოხები ვერცხლით იყო გაწყობილი: “აქ ყოველი წვერი დიდი გემოვნებით არის შეღებილი წითლად და შავად; ყველა გაუნძრევლად ზის, წინ იყურება და სდუმს” (სტშელნიცკი: 1848).

არ
 შეიძლება სტშელნიცკის კიდევ ერთი ციტატა არ მოვიყვანოთ: “მსახურებს მუდმივად მოაქვთ ნარგილა, ტკბილი შერბეტი მოაქვთ დიდი მოოქროვილი ჭიქებით, მხოლოდ მაღალი დონის სტუმრებისათვის” (სტშელნიცკი: 1848).

უეცრად ყიზილ-ბეკმა მოლას იღუმალი სითხე მიაწოდა დასალევად; ერთი ყლუპის გაკეთების შემდეგ მან განაცხადა, რომ ცოდვილი საშინლად დაასრულებს ცხოვრებას და დაწყევლა სატანის მიერ გამოგონილი სასმელი; თუმცა ვარშაველი ყიზილ-ბეკი მიეჩვია ალკოჰოლურ სასმელებს

არამართმორწმუნეებთან ურთიერთობის გამო. ამასობაში სტუმრები მიუსხდნენ მაგიდებს, სადაც გემრიელი ფლავი ელაგა. ფლავის ირგვლივ სხვადასხვა წესით მომზადებული ხორცი ეწყო; სინებზე იდო ტკბილეულობა, ნამცხვარი, თაფლი და რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს - ქონი. სტუმრებს ძალიან მოეწონად აკრძალული სასმელი, რომელსაც დამსწრენი თასებით მიირთმევენ. გამონდნენ დაქირავებული მოცეკვავეებიც, მიუხედავად იმისა, რომ ქორწილს ესწრებოდა თვით ბაგიმ-ხანიმი, კეიფის მშვენება და არაჩვეულებრივი მოცეკვავე: “შირვანელი ტალიონი, შენ იწყებ ცეკვას. სად ავიღებ მე კალამს, რომელიც ღირსეულად აღწერს შენს არაჩვეულებრივ მოძრაობას. მთელი შენი არსება ცეკვადა, შენი თვალები, წამწამები, პირი” (სტუმრების: 1848). მოცეკვავეები ეზოში ცეკვავდნენ და არავინ ყურადღება არ მიაქცია უსტაფა დერვიშს თავის მეგზურთან ერთად, რომელიც მაიმუნი აღმოჩნდა.

დაუპატიუბელი სტუმრები

უეცრად კარვებთან ახლოს მდებარე ბუჩქები შეირხა და გამოჩნდა შეიარაღებული კაცი. ეს იყო კანლი-გარუნი თავის ყაჩაღებთან ერთად. მან განაცხადა, რომ ალი-აგა მისი ღვიძლი ძმა არის და მისი სახელი არა მახმუდ-ბეგი არამედ ალი-აგაა, ჰყავს ცოლი და აქვს ქონება, რომელიც მან ნამდვილ მახმუდ-ბეგს წაართვა. კანლი-გარუნის განცხადების შემდეგ, ნამდვილი მახმუდ-ბეგი ეძგერა ალი-აგას და სთხოვა ბაღა-ბეგს გაეცა ბრძანება, რათა ალი-აგა შეებოჭათ. უკვე რამოდენიმე წუთის შემდეგ ყველანი, მახმუდკას, გარუნის და მუსტაფას გარდა, შებოჭილნი იყვნენ. ქალთა კარავში სიჩუმე სუფევდა. გარუნმა კი მთელი თავისი ძალ-ღონე მოიკრიბა, მიუახლოვდა ნიზას და ხმის კანკალით სთხოვა მასთან ერთად გაქცეულიყო. ნიზა სიხარულით დათანხმდა. ახალგაზრდები ცხენზე შემოსხდნენ და შორ გზას დაადგნენ. გარუნი თავს უბედნიერეს ადამიანად გრძნობდა. იგი მუხამედის სამოთხეს ფლობდა. მთელ სამყაროში არსებობდნენ მხოლოდ ის და ნიზა. როგორც კი გარუნი გაეცალა იქაურობას, ხუთი ყაჩაღი და ქურდი შეიჭრა კარვებში და წაიღო სტუმრების ძვირფასეულობა, ვერცხლი, ოქრო. საწყალი მახმუდკა შებოჭეს, ხოლო მთვრალი ყიზილ-ბეგი ვერაფრით ვერ იპოვეს. დილით გაპარტახებულ ბანაკში მივიდა ცხენისანი მილიცია; მსახურებს კი მოჰქონდათ ხუთი გასისხლიანებული ყაჩაღის თავი – კანლი-გარუნის ყოფილი ბანდა. ნაქურდალი დააბრუნეს, ტყვეები კი

გაათავისუფლეს; მხოლოდ დაჭრილმა ალი-აგამ ვერ მოიპოვა თავისუფლება, რადგან სისხლისაგან დაიცალა. მოთხრობის დასასრულს ვლადისლავ სტშელნიცკი წერს, რომ 184.. წელს, გაზაფხულზე შირვანში ყოფნისას იგი ესტუმრა მახმუდკას სოფელ კიჩიკ-კენტში, სადაც იგი ახლად ნაყიდ სახლში ყიზილ-ბეკთან ერთად ცხოვრობდა. მახმუდკა საკმაოდ მოწყენილი იყო სოფელში და მას მხოლოდ ის ახარებდა, რომ ყიზილ-ბეკმა იგი არ მიატოვა. ყიზილ-ბეკისა და მწვანე ბოთლის გარეშე (არაყი) მახმუდ-ბეკი გაგიჟდებოდა. მახმუდკა ქალაქში სახლის გაყიდვას არ ნანობდა. მას ენატრებოდა მხოლოდ მალეკა, ყოფილი ცოლი, რომელმაც თავის ძველ პროფესიას - მოცეკვავეობას დაუბრუნდა. სტშელნიცკიმ მასპინძელს ნიზას შესახებაც ჰქითხა და გაიგო, რომ იგი მამასთან და ქმართან ერთად ბედნიერად ცხოვრობს, ხოლო ოდეზდაც პირსისხიანი ყაჩაღი კანლი-გარუნი ბალა-ბეკის ცხვრის ფარას მწყემსავს. კანლი-გარუნიმ სარდარისაგან პატიება ითხოვა და ახლა პატიოსნად შრომობ და წყნარად ცხოვრობს. მახმუდკამ კი განაცხადა, რომ იგი მიბაძავს ყიზილ-ბეკს და გაემგზავრება ვარშავაში; ამისათვის იგი უკვე ჩაეწერა ცხენოსან - მუსლიმანთა პოლკში; ხოლო ქალბატონები, როგორც მცოდნე ადამიანება აღნიშნავენ, ვარშავაში უმშვენიერესები არიან; დასანანი მხოლოდ, რომ მუსლიმანური წესის თანახმად რამოდენიმე ცოლის ერთდროულად შერთვა ვარშავაში აკრძალულია. მახმუდ-ბეკმა ავტორს სთხოვა მასზე წიგნი დაეწერა: რომ ცხოვრობდა დედამიწაზე ასეთი მახმუდ-ბეკი, აბდულას, მენაგვის შვილი - ღირსეული ადამიანი; ფლობდა სოფელ კიჩიკ - კენტს და ფულით სავსე ტომარას.

“წინა შემოდგომას, როდესაც მთიანი დაღესტნიდან ვბრუნდებოდი, ისევ შევიარე შირვანში, თუმცა მახმუდკა იქ უკვე აღარ დამხვდა. მოთხრეს, რომ უკვე რამოდენიმე კვირაა რაც ის ვარშავაში გაემგზავრა. მან ერთ-ერთ ჩვენ სართო ნაცნობს სთხოვა, რომ შეეხსენებინა ჩემთვის წიგნის შესახებ. ეს ჩემი პირობა შევასრულე. ველოდები მისგან წერილებს და საკმაოდ მეშინია, რომ იქაც არ გადაეყაროს მახმუდკა რამე უბედურებას. ცნობილია, რომ თავის ბედისწერას ვერავინ გაექცევა. ანდა მუსლიმანების წიგნში არ არის ნათქვამი, რომ ადამიანებს თავისი ბედი შუბლზე აწერიად (კორანი)“ (სტშელნიცკი: 1848).

ასე დასრულდა ეს თხზულება, რომელიც მეორე გამოჩენილმა გადმოსახლებულმა პოლონელმა ლეონ იანიშევსკიმ შეადარა რუსი მწერლის ა. ბესტუჟევი-მარლინსკის ნაწარმოებს “მულა - ნურს”. არ შეიძლება არ

მოვიყვანოთ ლეონ იანიშვილის მიერ დაწერილი წერილი, რომელიც მან დაუწერა “ნაუკოვო - ლიტერატურის” გამომცემელ რომუალდ პოდბერესკის: “პატივცემულო პან რომუალდ! მსურს, რომ გამცნო კავკასიაში ჩვენი ასალგაზრდების შრომების შესახებ და ვიმედოვნებ, რომ ისინი შენს პუბლიკაციებში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ. ვაღიარებ, რომ უმრავლესობისა და მათი შემოქმედების შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცი. რაც ვიცი იმას ვიამბობ: გარდაიცვალა ვლადისლავ სტშელნიცკი – იმედის მომცემი ნიჭიერი პოეტი და მწერალი. შენ იცნობ მის ნაშრომებს, რადგან პირველმა წარადგინე მისი შემოქმედება “როჩნიკებში”.

“მახმუდკა” – მისი ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა, რომელიც ოდნავ ა. ბესტუჟევ – მარლინსკის “მულა - ნურს” წააგავს. იგი “ვარშავის ბიბლიოთეკაში” დაიბეჭდა. სტშელნიცკი რუსული ლიტერატურის დიდი თავყვანისმცემელი იყო; მარლინსკი მისთვის დიდი პოეტი და პროზაიკოსი იყო. შედეგად, თავისდაუნებურად, მისი ნაწარმოებების სულით გაჟღენთილი, ნაწილობრივ მარლინსკის მემკვიდრე გახდა. თუმცა “მახმუდკა”- ში არის გულის მაჩუყებელი, იუმორით სავსე ნაწყვეტები, რაც დაუვიწყარია ვლადისლავისათვის არის დამახასიათებელი. უეჭველია, რომ ის მალე გათავისუფლდებოდა ამ ზეგავლენისაგან და მნიშვნელოვანი, ორიგინალური მწერალი გახდებოდა” (ფილინა: 2009).

მარლინიზმი ამ დროისათვის უკვე ანაქრონიზმი იყო. ბესტუჟევ-მარლინსკის ხელოვნება თითქმის უკვე მეორეხარისხოვანი იყო.

თვით ცნობილმა პოლონელმა მკვლევარმა ინგლოტმა თავის ნაშრომში “რუსეთი და რუსები პოლონელი კავკასიელების თვალთ” შეადარა “მულა - ნური” “მახმუდკას” და დაამტკიცა, რომ ვლადისლავ სტშელნიცკის მოთხრობაში ასახულია ა. ბესტუჟევ – მარლინსკისთან და რომანტიზმის პოსტულატებთან შინაგანი კამათი და დაპირისპირება. “ინგლოტი თვლის, რომ მიუხედავად ავტორის მიერ რუსული რომანტიზმის სიყვარულისა, “მახმუდკა” მისი თხზულების ანტიტეზას წარმოადგენს” (ფილინა: 1991).

1.1.3. “ორი უზდენი”

ვლადისლავ სტშელნიცკის შემდეგი ნაწარმოები - “ორი უზდენი” გაზეთ “კავკაზ”-ში 1846 წელს დაიბეჭდა. ამ ნაწარმოებშიც მოქმედება ჩრდილო

კავკასიაში ვითარდება. საგარაუდოდ, პოლონურიდან რუსულ ენაზე ეს ნაწარმოები თვით ავტორმა თარგმნა.

ტყვე ქალი

როგორც სტშელნიცკის სხვა ნაწარმოებებში, “ორ უზდენშიც” თხრობა იწყება ოდებდაც აყვავებული სოფლის, შარის აღწერით, რომელსაც იმ დროისათვის ხანძრის ნაკვალავი ეტყობოდა. შარელებს და ყარაბულაყელებს დიდი ხნის მტრობა ჰქონდათ; ეს მტრობა დიდი ხნის შედეგი იყო და თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ერთხელაც დადგა დრო, როდესაც შარელების მტრები გაერთიანდნენ ინგუშებთან, ვერაგულად დაესხნენ თავს მძინარე აულს, მიწასთან გაასწორეს, გადაწვეს იგი და ნადავლიც მრავლად აიღეს. თავდასხმელებს შორის იყვნენ ქრისტიანები, მუსლიმანები და ცეცხლთაყვანიცმცემლები. ავტორს კარგად აქვს შემჩნეული: “მტერი მტერს ხელს უწყდის მესამეს დასაღუპად, რომ შემდეგ ერთმანეთს შორის გამართონ ხოცვა – ჟღლეტა” (სტშელნიცკი: 1848).

ამგვარი ურთიერთობები ხშირად პოლიტიკოსებსაც ახასიათებთ; მაგალითად, ლორდი პალმერსტონი თვლიდა, რომ პოლიტიკაში მეგობრობა არ არსებობს, არსებობს მხოლოდ საერთო ინტერესები.

ჩრდილო კავკასიაში ყოველთვის იყო გაგრძელებული შურისძიების წესი, რომელიც საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. მაგრამ, საერთო მტრის შემოსევისას, ისინი ამ ძველ საგვარეულო ჩხუბს ივიწყებდნენ. ეს ჩვეულება ცნობილი იყო ახალგაზრდა პოლონელისათვის. საინტერესოა მოვიყვანოთ ცნობილი რუსი მხედრის ალექსანდრე ბესტუჟევ – მარლინსკის ლექსი, რომელიც ამ მტრობას ეხება და რომელიც ბევრს წერდა კავკასიაზე. იგი კავკასიაშივე ბრძოლის დროს დაიღუპა:

“На Казбег слетелись тучи,

Словно горные орлы.....

Им на встречу на скалы,

Узденой отряд летучий.

Выше, выше, круче, круче,

След их кровию кипит.....” (А. Бестужев – Марлинский: 1981)

თავდასხმებისა და ძარცვის დროს შარიდან ტყვედ მრავალი ქალი წაიყვანეს. მათი ტირილი, ლექსად დატირებას უფრო ჰგავდა; ასევე გაიტაცეს საქონელი, რომელიც თავისებურად გამოხატავდა ტყვეობის სიმწარეს: “ეს უემოციო, შეუდრეკელი ჯორიც გულსაკლავი სიმღერით გამოხატავდა დარდს” (სტუმენიცი: 1848).

სადგომის შუა ადგილას წინამძღოლების სამი თუ ოთხი კარავი იდგა, თითოეულზე ლურჯი ან წითელი ფერის ნაჭერი ფრიალებდა, როგორც ნიშანი, ალამის სიმბოლო, ალამს კი თავისი გუშაგები ჰყავდა. მათ სიფხიზლეზე იყო დამოკიდებული ხალხისა და ჯარის ღირსება. მაგრამ შემთხვევით წითურმა ხარმა ვიდაცის ჩვარი ცეცხლში ჩააგდო. უმაღლესი მოედო ცეცხლი მთელს სადგომს და ატყდა პანიკა: “როგორც ფუტკრები სკაში, მეფუტკრისაგან გამოდევნილნი გარბოდნენ ყარაბულაყელები და ინგუშები სხვადასხვა მხარეს” (სტუმენიცი: 1848). ერთ-ერთმა ინგუშმა ხელი დააუწყო თავის მოწონებულ ქალს, დანარჩენი ორი კი კლდეზე გადაჩეხა, მაგრამ ამ ღამეზე ახალგაზრდა ქალზე სხვასაც ეჭირა თვალი; საბრალო ტიროდა, კვნესოდა მანამ, სანამ საქმეში წინამძღოლი ბაღსა არ ჩაერია. მასაც მოეწონა ტყვე ქალი. იგი ირწმუნებოდა, რომ უფროსს ეკუთვნოდა ყველაფერი საუკეთესო, თუმცა იმის შიშით რომ ბრბო არ აჯანყებულყო, მან გამოსავალი იპოვა: განაცხადა, რომ ყველანი დამდგარიყვნენ ტყვე ქალის წინ და იგი თვითონ აირჩევდა იმას, ვინც ყველაზე მეტად მოეწონება. ეს ტყვე ქალი იყო ლეილი, უზდენის ქალიშვილი; მან ღამეზე გაუკაცი ბაბო აირჩია; იმწამსვე ბაღსამ ბაბოს ლეილის სანაცვლოდ შაშხანა, ჯიშიანი კვიცი გადასცა; ბაბომ ცდუნებას ვერ გაუძლო და ლეილი ბებერ ბაღსას დაუთმო.

ორი უზდენი

ამ თავში კარგად არის აღწერილი სადგომის უკან დახევა. “მოჭყვიტინე ზურნებმა გახსნეს მსვლელობა - ალბათ ასეთი ზურნებით აშინებდა კოჭლი თემურ - ლენგი კაცობრიობას. ტყუილად ცდილობდნენ წინამძღოლები სადგომის დაშოშმინებას, დარწმუნებას, რომ უკან დახევა სრულ საიდუმლოებას ითხოვდა. ზურნებს ცხენოსნები, ცხენოსნებს კი ტომრებით, ცხვრებით, ტყვეებით დატირებული უხარმაზარი ურმები მოჰყვებოდნენ - ბნელი

ღამე უკუქცევისათვის შესანიშნავი იყო. მათ ტყით უნდა ევლოთ. გადაუღებლად წვიმდა, მიწა მოლიპული იყო. უეცრად გაისმა ორი გასროლა; ყველაფერი აირია..... ყვირილი.....ღრიანცელი. მიწაზე ორი ადამიანი ეგდო - მაკო და ჯაფარი - შარის უზდენის შვილები, ლეილის ძმები; ორივე განიცდიდა: ერთი - სიმდიდრის დაკარგვას, მეორე კი იმას, რომ ვერაფერი უშველა დატყვევებულ დას. ეს ორი უზდენი, შარის ყოფილი მფლობელები, ბჭობდნენ, როგორ გადაეჭრათ საჭირბოროტო საკითხები. ერთ ძმას როგორმე უნდა მოეხერხებინა ლეილის გათავისუფლება, მეორეს კი, გოეტენის ტყეების გავლით, გრემენჩუგამდე მიეღწია, იქიდან კი არავიაში, ზღვამდე. ამ ორ თავში, როგორც ყველა სხვა მოთხრობაში, სტშელნიცკი მკითხველს უამრავ შემეცნებით ინფორმაციას აწვდის ჩრდილო კავკასიისა და მთიელების წეს - ჩვეულებების შესახებ.

დედაკაცების ბრძოლა

ამ თავში ჩვენ ვიგებთ, რომ ადრე ინგუშები მთების სიღრმეში ცხოვრობდნენ მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ისინი იძულებულნი გახდნენ ბოროტ მეზობლებს განრიდებოდნენ და გადასახლდნენ შორს, ჩრდილოეთისაკენ, სადაც მათ დიდი სივრცე დაიკავეს ყამბულეევკასა და სუნჯის ნაპირების გასწვრივ. მაგრამ აქაც არ გაუმართლად მათ მეზობლებში: ერთი მხრიდან დიდი ყაბარდოს თავადები ამტკიცებდნენ, რომ მიწა მათ ეკუთნით და გადასახადს ითხოვდნენ, მეორე მხრიდან კი მათ გალაშების, ჩენების და ყარაბულაყელების მტაცებელი ტომები აოსრებდნენ უმოწყალოდ, ამიტომ ინგუშები იძულებულნი იყვნენ რამოდენიმე ბორცვზე მჭიდროდ დასახლებულიყვნენ ერთმანეთის ახლომახლო ისე, რომ მათი საცხოვრებელის დანახვა ერთი თვალის შევლებით გამხდარიყო შესაძლებელი. ყველაზე აყვავილებული აული იყო ანსტარი, ის სხვა დანარჩენი აულების ცენტრში იმყოფებოდა. მას თავდაცვისათვის ერთის ნაცვლად ოთხი ქვის კოშკი ჰქონდა.

აქვე აღწერილია ინგუშების ყოველდღიური ცხოვრების წესი, იქამდე სანამ დაექვემდებარებოდნენ რუსეთის ხელისუფლებას. ყველა ეს მოვლენა XIX საუკუნის შუა წლებამდე ვითარდებოდა: “საზოგადოებრივი საქმეების მმართველობა რამოდენიმე ძლიერი გვარის ხელში იყო, თუმცა ისინი სრულფასოვნად ვერ სარგებლობდნენ ამ ძალაუფლებით. საუკუნეების მანძილზე

კურთხეული წეს - ჩვეულებები კანონებსა და სასამართლოებს ყოველთვის ცვლიდა, წყვეტდა საეჭვო საკითხებსა და მომჩინებებს არიგებდა” (სტუმენიცი: 1846). ისიც კი, ვინც თავის თავისა და ხანჯლის იმედზე იყო, საბოლოოდ მაინც მათთან მიდიოდნენ.

“იმედი მაქვს ინგუშებზე ნათქვამი, მათი ყოფის ამსახველი რამოდენიმე სიტყვა, არ ჩაითვლება მოთხრობაში გადახრად” - წერდა ავტორი; ასეთი გადასვლები, ბუნების, ყოფის, საცხოვრებლის, ტანსაცმლის აღწერები კიდევ ბევრჯერ შეგვხდება მოთხრობაში. ეთნოგრაფებისათვის ეს აღწერები მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, თანაც აღსანიშნავია, რომ ავტორი თვითონ არის ყველა აღწერილი მოვლენის მოწმე. მოთხრობაში ვხვდებით აულანსტარისა აღწერილობასაც, რომელიც მთის პირას მდგომარეობდა; მის ქვეშ ცივი და სწრაფი მდინარე კამბულევეკა მიედინებოდა. ნაპირზე პატარა კარვები მოჩანდა - ეს ინგუშების ინდივიდუალური, პატარა, მაგრამ მოხერხებული წისკვილები იყო., რადგან თითოეულს შეეძლო თავისთვის აქმენებია ამგვარი წისკვილი და მეზობლებთან საერთო არაფერი ჰქონოდა.

“ორი უზდენი” უფრო მეტად, ვიდრე დანარჩენი ორი, ჩვენს მიერ განხილული ნაწარმოები მდიდარია შემეცნებითი აღწერილობებით. ასე მაგალითად ევროპელებისათვის, განსაკუთრებით კი პოლონელებისა და ქართველებისათვის, რომლებიც ქალებს აღმერთებენ, სრულიად მიუღებელი იყო მათი წესი: “აქაურ ქალებს მრავალგვარი საქმეებისათვის იყენებენ: ტვირთის ასაწევად, გამზადებული აქლემებით ჩაიკუზებიან, ქმრები მოხერხებულად შესხდებიან მათ ზურგზე და ამ უჩვეულო ტრანსპორტით, კალიანის გაბოლებით, ბედნიერები გადადიან მდინარის მეორე ნაპირზე” (სტუმენიცი: 1846). აღსანიშნავია, რომ აულში ქრისტიანებიც ცხოვრობდნენ. “ერთხელ ასეთი მამაკაცის გადამყვანი ქალი გადაეყარა მის წისკვილში შეპარულ ქრისტიან ქალს. მათ შორის ხელჩართული ჩხუბი გაიმართა. მთელი აული სიამოვნებით შესცქეროდა ამ სანახაობას; თანდათან სხვებიც ჩაერთნენ ჩხუბში და ლამის სამოქალაქო ომი გააჩაღეს” (სტუმენიცი: 1846). ამ დროს სახლის ბანზე ღიპიანი ბაღხა გამოჩნდა, რომელიც ცდილობდა დაემოშმინებია ლამურელი ხალხი (ასე უწოდებდნენ თავის თავს ინგუშები). არაფერი გამოუვიდა ბაღხას, პირიქით, თვითონაც ჩართული აღმოჩნდა ამ ზედახორაში. მცირერიცხოვანმა ქრისტიანებმა უკან დაიხიეს, მაგრამ მათ ბაღხას მოკვლა გადაწყვიტეს. მუსლიმანებმა მოახერხეს მისი გათავისუფლება და ბაღხაც ღობ - ღობეზე

ხტომით გაიქცა. ასე იყო არეული აულში სხვადასხვა რწმენა” (სტშელნიცკი: 1846). რამოდენიმე საათის შემდეგ აულში აღარავის ახსოვდა მომხდარი ჩხუბი, დაპირისპირებული მხარეები კი მშვიდად უმასპინძლებოდნენ ერთმანეთს კალიანით. ასე, ჩვეულებრივ მთავრდებოდა ინგუშების შინაური ომი.

ბალხა

ბალხას გადამრჩენი გოლიათი მუსლიმანი, ჩხუბის დამთავრების შემდეგ აულის ქუჩაში მიდიოდა; აულში არ უყვარდათ უცხოელები და ეჭვის თვალით უყურებდნენ მის ყაბარდულ ქუდს. სწორედ აქ შენიშნა იგი ბალხამ და ჰკითხა თუ ვინ იყო, რა ერქვა მას; აღმოჩნდა, რომ მისი სახელი მაკო იყო და იგი შარის უზდენის შვილი იყო. ბალხა გამოუტყდა მას, რომ ძალიან უყვარდა ყაბარდოელები, რომელთა ძარღვებშიც წმინდა არაბული სისხლი ჩქეფდა. მაკომ შეძლო ბალხას გადარჩენის საპასუხოდ ჯილდო მოეთხოვა, მან სცადა დაეხსნა თავისი და ლეილი და მისი დაბრუნება ითხოვა, მაგრამ მთიელების კანონით განქორწინება არ შეიძლებოდა, ლეილი კი ბალხას კანონიერ ცოლად ითვლებოდა. ბალხამ სცადა მაკოს გაღიზიანება და უამბო მას თუ როგორ სურდა ებრაელ იუსუფს ლეილის ხელში ჩაგდება. “მაკომ იუსუფში უმაღვე ამოიცნო ებრაელი, მართლაც, ეს იაკობის ერთ-ერთი უბედური შვილი იყო, რომელიც იეგოვამ დიდი ცოდვების გამო კავკასიაში ჩაასახლა, როგორც კურდღელი ვეფხის ბუნაგში” (სტშელნიცკი: 1846). ამ ციტატებიდან ნათლად ჩანს, როგორ არ უყვარდა ებრაელები სტშელნიცკის. მიუხედავად ყველაფრისა, ბალხამ შეიფარა მაკო, ღამის გასათევიც მიუჩინა და შესთავაზა აულში დარჩენილიყო, ასე თუ ისე, კაცმა სიკვდილს გადაარჩინა.

გასაყიდი საქონელი

ამ თავში არაჩვეულებრივად არის აღწერილი ერთ - ერთი მიუვალი ადგილი, სადაც სტშელნიცკის თქმით, კიდევ კარგა ხანს ვერ მიაღწევს მოგზაური. საერთოდ, როგორც უკვე აღინიშნა, აღწერის საუკეთესო უნარი ახალგაზრდა ლიტერატორის უძლიერეს მხარედ ითვლება. მართლაც, კავკასია დედამიწაზე ერთ - ერთი უღამაზესი ადგილია, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოგზაურების მიერ ჯერ კიდევ არ იყო კარგად შესწავლილი: “მთაზე

მთები – მარჯვნივ, მარცხნივ, საითაც არ გაიხედავ – მხოლოდ მთები” (სტშელნიცკი: 1846). აქეთ საუკუნოვანი ხეები შრიალებენ მთებზე, რომლებიც გრანიტის მასალების ველური წყობით ერთმანეთს ეჯიბრებიან. მზესთან ახლოს, ოქროს სხივებით გაბრწყინებული თოვლიანი მწვერვალებია. ვინც მიწვდებოდა ამ სიმაღლეს და მაღლიდან გადმოხედავდა სივრცეს - უკიდვანო მიდამოს დაინახავდა. უახლოესი, ღრუბლებთან შერწყმული მწვერვალები ნათლად გამოესახებოდნენ, ეს უკანასკნელნი კი, ნისლში გაბურუნნი, აჩრდილებივით გამოეცხადებოდნენ მას” (სტშელნიცკი: 1846). აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ სტშელნიცკის კიდევ ერთი უმშვენიერესი ციტატა: “ამ არაჩვეულებრივი უფლის ხელით შექმნილი პირამიდების ცქერა აამაღლებს ადამიანს. მგზავრს მისი მიწიერი მოგზაურობის უკანასკნელ, მაღალ მიზანზე მიანიშნებს, გულის მონანიებითა და მორჩილებით აღავსებს. ისინი ფიქრობენ – რას წარმოადგენენ ამ უსასრულო სამყაროში, რომ საკუთარ თავზე ცრემლი ღვარონ: (სტშელნიცკი: 1846).

სამშობლოს მოწყვეტილ ახალგაზრდა პოლონელს ბუნების არაჩვეულებრივი, სხეებისაგან განსხვავებული აღწერები დიდ რუს მწერალთან, ლერმონტოვთან ანათესავებს: “ფიჭვების ჩურჩული, ჩანჩქერების ხმაური, ქარის წივილი ხეობებში - ეს კავკასიის განუწყვეტელი მუსიკაა. ვინ გაკვალა ეს ბილიკი? წყაროსაკენ მიმავალმა მხეცმა? ქარიშხლის გუგუნი, გასროლის ხმა, გამოძახილად უბრუნდება მთა - ბარს” (სტშელნიცკი: 1846).

ცოტა უმადურობა იქნებოდა სტშელნიცკი არ შევადაროთ ლერმონტოვს და მის “მწირს”:

“Я видел горные хребты,
Причудливые как мечты.
Когда в час утренний зари,
Курились как алтари,
Их выси в небе голубом.
Или же :

“Вдали я видел сквозь печаль,
В снегах, горящих как алмаз,
Седой, незыблемый Кавказ” (Лермонтов: 1946)

ან ლევ ტოლსტოის “ხადჯი – მურატს”; ასოციაციები თავისთავად წარმოიქმნება.

აღსანიშნავია ლ. ტოლსტოის ეს ციტატაც: “მთვარე არ ჩანდა, მაგრამ ვარსკლავები ბრწყინავდა შავ ცაზე და ამ სიბნელეში იკვეთებოდა კლდეს მოკრული სახლების მოხაზულობა” (ტოლსტოი: 1996).

სტუმელნიცკისთან კი ვკითხულობთ: “მთის კალთაზე არწივის ბუდესავით მიკრული იყო ქვის პატარა აული, იარუსებით განლაგებული, თანაც ისე მადლა, რომ ქვევიდან მისი დანახვის მსურველებმა ქუდი ხელით უნდა დაეჭირათ, რომ არ გადავარდნილიყო” (სტუმელნიცკი: 1846).

ამ ციტატის გაგრძელება არანაკლებ ხატოვანია: “გრანიტის მკლავებში მოქცეული მდინარე ბლავის, კლდეს ფლატავს და აუზს ქმნის. ამ აუზში კი უმშვენიერესი ფერია დაცურავს. ეს ულამაზესი ნატალია არის; თოვლივით თეთრი მკერდით, ალისფერი განთიადის მსგავსი ლოყებით, თვით ბებერი ნინაც კი, ნატალიას დარაჯი, ტკბებოდა მისი მშვენიერებით: “რა ლამაზი ხარ! თიფლისში რომ იყოს შენნაირი ლამაზი, ვერანაირი კედლები ვერ დაიცავდა მას სარდარისაგან” (სტუმელნიცკი: 1846).

ამჯერად თითქმის მთელი თავი თბილისის აღწერას ეძღვნება, სადაც სტუმელნიცკი თავის პოლქთან ერთად, ბევრი ხეტიალის შემდეგ როგორც იქნა ჩავიდა. მაგრამ ეს XVIII საუკუნის თბილისია, როდესაც მას მეფესთან ერთად თურქი სარდარი მართავდა. მაშასადამე, ნინა ქრისტიანი ქართველი ყოფილა და თბილისში უცხოვრია. თბილისში მეფე მეფობდა, მაგრამ მოწიწებით თავს ხრიდა სარდარის წინაშე, ის კი ითვისებდა ყველაფერს, რაც კი მოეწონებოდა. მოხუცი ნინას მონაყოლი ძალიან აინტერესებდა ნატალიას და ის ყურადღებით უსმენდა მის ნაამბობს. თუ მდიდარ მოქალაქეზე ამბავს მიუტანდნენ, სარდარი მას ასამართლებდა, სიკვდილით სჯიდა, ფულს ართმევდა და მისი ქალები კი თავის ჰარამხანაში მიჰყავდა. იქ მოხვედრილ ქრისტიან ქალებს სიცოცხლის დასასრულამდე მწარე ცხოვრება ელოდებოდათ.

იმ დროს თბილისში მრავლად იყვნენ მდიდარი თავადები, აზნაურები და, შესაბამისად, იყო ბევრი მდიდარი საქმრო. ნინა ყორვანოვების მდიდრულ სახლში ცხოვრობდა, ბევრის მნახველიც იყო: “ყველგან იატაკზე სპარსული და თურქული ტახტები იდგა, კედლებზე ჭაღები, სურათები და შანდლები ეკიდა; რა გინდა სულო და გულო – ყველაფერი ჰქონდათ. დედოფალი თუ რამეს ინატრებდა, ჩვენთან აგზავნიდნენ” (სტუმელნიცკი: 1846). ამასობაში ნინამ ხის

უკან მიმალული უცნობი მამაკაცი შეამჩნია, რომლის ყურადღება უღამაზესმა ფერიამ მიიპყრო. იგი ხესთან იდგა და ნატალიას მშვენიერებით ტკებოდა. ნატალიაც ცალი თვალით აკვირდებოდა ღამაზ უცნობს, რომელიც უკვე რამოდენიმე დღე ყარაულობდა მას. მაგრამ ქალიშვილი გასაყიდად იყო მოტაცებული – სიღამაზე და ახალგაზრდობა ძვირად ფასობდა მუსლიმანებში, ალბათ, ისევე როგორც ევროპაში, თუმცა იქ მოტაცების ნაცვლად დიდი ფულის სანაცვლოდ ახალგაზრდა ქალწულებს ბებერ, მოძულე ქმრებზე ათხოვებდნენ მათი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ.

ნატალიას ძალიან მკაცრად დარაჯობდნენ მოხუცი ჯანტემირის მცველები.

ამ თავში ჩვენ ჯანტემირის სახლის აღწერასაც ვხვდებით: “სახლი მთის კალთას ეფინებოდა; ოთახები ბნელი და ჯანტემირით ნესტიანი იყო. თუ აფთრისათვის დამახასიათებელ ყოველგვარ საზიზღრობებს შეეკრიბავთ, მივიღებთ ბებერი ჯანტემირის პორტრეტს.

იმ დროს როდესაც ნატალია აუზში ნებივრობდა, ნინას ესაუბრებოდა და თან ჩუმუმად უცნობს თვალებს უჟუჟუნებდა, ჯანტემირი ვიღაც მახინჯთან ერთად ფულს ითვლიდა - ტყვე ნატალიას და მისი მოახლე ნინას - ქართველი ქრისტიანი ქალის საფასურს.

მუსლიმანებთან ღამაზი ქალიშვილი, ფაქტიურად, ძვირფას ნივთს წარმოადგენდა. შეთანხმება საბოლოოდ შედგა და ებრაელმა იოსკამ შემოისვა ნატალია ცხენზე, დანარჩენები ურემზე დასვა და გრემენჩუგისაკენ გაუდგა გზას. იმ დროს გრემენჩუგი ცრუ წინასწარმეტყველის შაჰ-მანსურის ადგილსამყოფელი იყო. იოსკას ქარავანს შორიასლოს მისდევდა ჯაფარი, უზდენის შვილი, ნატალიას რომ უთვალთვალებდა. მან გააჩერა ქარავანი და იარაღის მუქარით აიძული იოსია დაებრუნებია მისთვის ღამაზი ნატალია, ხოლო ნინას პირობა დაუდო, რომ ანსტარში მიიყვანდა, სადაც ქრისტიანები მრავლად ცხოვრობდნენ.

გამოცდა

პოლონელი სტუმენიციკის მიერ შთამბეჭდავად აღწერილ დროში მდიდარ აულებზე უამრავი შემოსევა ხორციელდებოდა; ყაჩაღები ბევრ ფულსა და ცოცხალ საქონელს იგდებდნენ ხელთ - ეს გამდიდრების ყველაზე ძველი და ნაცადი ხერხი იყო. ასე დაესხა თავს აულებს - შარის და ანსტარს თათარ-ყაენი. მაგრამ ამჯერად მაკო, რომელიც ბალხამ შეიფარა, ინგუშების დასაცავად

დადგა და დაეხმარა მათ, თუმცა ადრე ინგუშებმა მისი მშობლიური აული დაარბიეს. მას ლეილი უნდა დაეხსნა ტყვეობიდან. ბალხა გახარებული იყო აულის გადარჩენით და მაკო მეგობრად აღიარა. მაგრამ, თანდათან მაკოს მიმართ დამოკიდებულება იცვლებოდა, რადგან ის ხშირად ხედავდა მაკოს თავის ცოლთან ხელჩაკიდებულს და ეჭვით ივსებოდა. მან არ იცოდა, რომ ლეილი მაკოს და იყო, ამიტომ გადაწყვიტა მოეწყო მაკოსათვის გამოცდა, რომელიც შემდგომში მდგომარეობდა: ადამიანს ერთი თვით ორმოში აჯენდნენ, სამჯერ დღეში ცივ წყალს ასხამდნენ და დღეში ერთხელ კი გამხმარ ლავაშს აჭმევდნენ. მაკომ ყველაფერს გაუძლო. მიუხედავად ამისა ბალხა მაინც ვერ დაწყნარდა, მძინარე მაკოს ფეხები შეუკრა ლეილისთან ერთად მიაკრა ბოდს და სახლს ცეცხლი წაუკიდა. მაკომ მოახერხა სახლიდან გამოსვლა, მაგრამ ლეილი უკვე გარდაცვლილი იყო. ბალხას უნდოდა მაკოს მოკვლა და ესროლა მას, მაგრამ ხალხმა არ მისცა ნება, რადგან მაკომ კიდევ ერთი გამოცდა გაიარა და მუსლიმანური წესის მიხედვით კი, გამოცდა გავლილი ადამიანი უდანაშაულოდ ითვლებოდა.

ცანი - სტაგი

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ მოთხრობა “ორი უზდენი” მთლიანად აგებულია მუსლიმანებისა და ქრისტიანების რელიგიურ წეს - ჩვეულებებისა და ყოფითი ისტორიების აღწერაზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სიუჟეტი დამხმარე, თავებს შორის შემაკავშირებელი რგოლია, ხოლო ავტორის ძირითადი მიზანია მოგვითხროს ყველაფერი, რაც თავისი თვალთ ნახა ჩრდილო კავკასიაში. ეს ზუსტი, ცხოვრებისეული, მრავალფეროვანი აღწერები ძალიან დიდ სიამოვნებას გვრის მკითხველს. თითქოს სხვათაშორის ავტორი აღნიშნავს ერთი ხალხის, ინგუშების რწმენის ჩანაცვლებას: “კავკასია ოდესღაც კალეიდოსკოპს, მრავალფეროვანი შემთხვევების თეატრს წარმოადგენდა. აქ შეხვდებოდით ისლამიზმის, ბუდიზმის, ქრისტიანობის, ოდესღაც არსებული ცეცხლთაყვანისმცემლობის, ებრაული დასახლებების ნაკვალავს” (სტუმენიცი: 1846).

ჩანს, რომ სტუმენიცი არ გამოირჩევა ებრაელებისადმი სიყვარულით; ისიც სიმართლეა, რომ თურქებისა და სპარსელების ხელშეწყობით მუსლიმანურმა სარწმუნოებამ წინა საუკუნეში სხვა დანარჩენი რელიგია

შთანთქა: მთაში, ყრუ ხეობაში, ნანგრევებში შეხვდებით ეკლესიის ნარჩენებს, საგნებს, ქრისტიანული სიმბოლოებით. “ქართველები ამტკიცებენ, რომ თამარი, მათი მეფე XII საუკუნის პირველ ნახევარში ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდა დაღესტანში ქრისტეს რჯულს, თუმცა ეს დაუჯერებლად უღერს” (სტშელნიცკი: 1846). თამარ მეფემდეც და მის შემდეგაც დაღესტანში არაერთხელ გამოცხადებულან მოციქულები, მაგრამ ქრისტიანობა არასოდეს გაბატონებულა აქ. კავკასიაში მიუღწევიათ ბერძენ და რომაელ მისიონერებსაც; მრავალი მათგანი სამუდამოდ დარჩა ამ მთებში: “კავკასია ბერძენებისათვის ელდორადოს წარმოადგენდა; მისთვის იბრძოდნენ ალექსანდრე მაკედონელი, პომპეუსის, მითრიდატე” (სტშელნიცკი: 1846).

აქ ტომები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ამიტომ თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ წეს – ჩვეულებებში, ენებში, რელიგიებში ეს მრავალფეროვნება ასთავიან კავკასიურ ჰიდრას წააგავს. “სხვა ღირსშესანიშნაობებს შორის არის კუბაჩის საზოგადოებაც, რომელიც ფრანგებისაგან იღებს სათავეს და შენარჩუნებული აქვს გერმანული სიტყვები” (სტშელნიცკი: 1846).

ავტორი იმ დროზე ოცნებობს, როცა ისტორიკოსები და ფილოსოფოსები ჩაწვდებიან წარსულს, ძველ სიმღერებს, თქმულებებს; მტვერს გადაწმენდენ ძეგლებს, შეიცნობენ მათ საიდუმლოებებს, რადგან აქ, კავკასიაში, იმალება ერთ - ერთი ყველაზე ისტორიული ერის წარმომავლობას გამოცანა. ქრისტიანობა ინგუშებთან, ისევე როგორც ქართველებთან, საბერძნეთიდან შემოვიდა. ამ დროისათვის ინგუშები მთაში ცხოვრობდნენ და ქართველ მეფეებზე იყვნენ დამოკიდებულნი, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ცეცხლთაყვანისმცემლობას მისდევდნენ. XVIII საუკუნეში მას ისლამიც დაემატა. პოლონელმა ავტორმა კარგად შენიშნა, რომ არც ერთი რელიგია არ იყო ერთადერთი და ეს რელიგიები ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებობდნენ. იყო სხვადასხვა დოგმატები, ჩვეულებები, თუმცა ხანდახან საქმე წინაღმდეგობამდეც მიდიოდა. ტყეში, დოილ-აუკის ჩასახლებაში (ღვთის დაბა) ერთი უძველესი მიტოვებული ეკლესია იდგა, განდევნილების სენაკებით, სადაც აქა-იქ შემორჩენილი იყო ნახატები. აქ, ცეცხლის პირას, ისხდნენ ბედნიერი ნატალია და ჯაფარი. მოულოდნელად მათთან მღვდელი გაჩნდა, ცანი-სტაგი. “მან დალოცა ისინი და გაახსენა ის დრო, როდესაც ეკლესია ხალხით იყო სავსე და ღვთის მსახურება ტარდებოდა; მოიგონა მაკოს, ლეილის და ჯაფარის მამა, დიდი უზდენი გიორგი შარელი. გიორგი ღვთის წყალობის იმედით ცოცხლობდა, მაგრამ მტერმა მისი

მშობლიური აუკი შარი გადაწვა; ქრისტიანი მეუღლე ელენე მოუკვდა და დარჩა სამი შვილი. რედესაც ჯაფარმა შეიტყო, რომ დედა ქრისტიანი ჰყავდა, მოხუცს სთხოვა ქრისტიანული ღოცვები ესწავლებინა მისთვის: “დედის ღმერთი ჩემი ღმერთიც იყოს, გადაწვიტა ჯაფარმა” (სტშელნიცკი: 1846). ეს ძალიან იშვიათი შემთხვევაა, მუსლიმანები არასოდეს გადადიოდნენ ქრისტიანობაში. უეცრად, ფეხის ხმა გაისმა და გამოჩნდა მაკო, რომელსაც მკლავზე მკვდარი ლეილი ესვენა. ჟაფარი გაოგნდა და მოაყოლა მაკოს ყველაფერი; შემდეგ კი ორივემ გლოვის წესი ჩაატარა - სახეში მუშტებს და მათრახს ირტყამდნენ. შემდეგ მათ გადაწვიტეს შური ეძიათ და გეგმის შემუშავება დაიწყეს. ამასობაში მაკომ იკითხა, ვინ იყო ნატალია და როდესაც გაიგო, რომ ბაღხას ძმისშვილი იყო, მაშინვე ჯაფარს მისი მოკვლა შესთავაზა. ჟაფარს ელდა ეცა, მას ძალიან უყვარდა ნატალია და ყოვლად მიუღებლად მიიჩნია მაკოს შეთავაზება, მით უმეტეს, რომ ქრისტიანობის დოგმატები ირწმუნა, ამოტომ მკვლელობას ვერ მიესალმებოდა. მაკო შეეცადა ხელიდან გამოეგლიჯა ნატალია, მაგრამ გაახსენდა, რომ იმყოფებოდა წმინდა ადგილას და შეჩერდა. ჯაფარმა გულწასული ნატალია ეკლესიაში შეიყვანა და ამის შემდეგ პირობა მისცა ძმას, რომ იპოვიდა და მოკლავდა ბაღხას, მაკო კი მანამდე არ ახლებდა ხელს ნატალიას. ჯაფარი მიახტა ცხენს და ღამის სიბნელეში გაუჩინარდა.

სიკვდილი

ჯაფარი აულ ანსტარისაკენ მიიქაროდა, იქ მისი ვარაუდით ბაღხა იმალებოდა და იგი მის დაჭერას შეეცდაბოდა. მართლაც, მან დაატყვევა ბაღხა და გადაწვიტა მისთვის თავი მოეჭრა, რომ მაკოსათვის დაემტკიცებინა ბაღხას; სიკვდილი, თან უდანაშაულო ქალსაც გადაარჩენდა. თუმცა უკვე გვიანი იყო, მაკომ უღმობელი და წესების მიმდევარი მუსლიმანის საუკეთესო მაგალითი გამოავლინა, ძმაც მოატყუა, ნატალიაც და დაუნანებლად ააგო ხანჯალზე ქალიშვილი. შეძრწმუნებული ჯაფარი არც დაფიქრებულა, მიწვდა ძმას: მოკვდი, ჩემი ცოლის მკვლელო შურისმაძიებლის ხანჯლით!..

სამარისებულ სიჩუმეში გაისმა მღვდლის ხმა: “ღმერთის უარყოფელებს ღვთის სასჯელი ეწია. ახდა წინასწარმეტყველება, რომ აღიგავებოდა პირისაგან მიწისახსენება ყოველი შარელისა და მათი საცხოვრებელიც” (სტშელნიცკი: 1846).

ჯაფარმა კი დედის ღმერთს სიკვდილის წინ სთხოვა, რომ “მიელო მას უკანასკნელი შარელის სულის მოსახსენიებლად მისი ღოცვა” (სტუმენიციკი: 1846).

ასე დასრულდა ეს სევდიანი მოთხრობა, რომელშიც ზუსტად აისახა ჩრდილო კავკასიელ ტომებს შორის არსებული რთული ურთიერთობები, მათი თავისებური ჩვეულებები, წესები, სარწმუნოება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მოთხრობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბუნებას, რომლის ფონზე ვითარდება ყველა მოვლენა. სხვა მოთხრობებისგან განსხვავებით, აქ ერთი, შედარებით დადებითი გმირი ჩანს – ერთ-ერთი უზდენი, ჯაფარი. ის, რასაკვირველია, თავისი დროის გმირია, მაგრამ იგი ადამიანია, რომელმაც შეძლო უკეთესი გამხდარიყო ნატალიას სიყვარულის წყალობით. ჯაფარმა არ გასწირა საყვარელი ქალი, არ შეასრულა მუსლიმანთა უძველესი წესი – სისხლიანი ვენდეტა, რომელიც ყველა მუსლიმანმა უნდა აღასრულოს, თუნდაც მრავალი წლის შემდეგ.

თითქმის ყველა გმირი ამ მოთხრობაში იქცევა ისე, როგორც მათგან ეპოქა მოითხოვს ეპოქა. არავინ არასოდეს დაფიქრებულა უღმობელ, სასტიკ წეს – ჩვეულებებზე – ვენდეტაზე, მკვლელობაზე, ქალების მოტაცებაზე, გაყიდვაზე, თავდასხმებზე, მაგრამ ახალგაზრდა პოლონელი იმედს იტოვებს, რომ მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვლება.

სტუმენიციკი მართალი აღმოჩნდა, მაგრამ თვითონ იგი ვეღარ მოუსწრო ამ ცვლილებებს. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: “მეგობრებო, იყავით ქრისტიანები”.

მეგობრებმა და ამხანაგებმა იგი 22 ოქტომბერს დაკრძალეს თბილისის კათოლიკურ სასაფლაოზე; ეკლესიის მადლა, ცასთან ახლოს, რომელზეც ხშირად სევდიანად ოცნებობდა თავის ფიქრებში; მწერალი ალალი ცრემლით დაიტირეს: “ღმერთმა ქნას, რომ სამშობლოს მოწყვეტილი ყველა უცხოელი უცხო ხალხმა ასე დაიტიროს” (“კავკაზი”: 1846).

12. ივან სლივიციის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე

1831 და 1863 წლების აჯანყებების შედეგად კავკასიაში და კერძოდ საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელთა გარდა აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ მეფის ადმინისტრაციაში მომუშავე პოლონელებიც. ისინი არც

თუ ისე ცოტანი იყვნენ. მათ უყვარდათ საქართველო და დაგვიტოვეს საკმაოდ ბევრი ნაწარმოები, რომლებშიც ხოტბას ასხამდნენ ამ ქვეყანას და სრულიად კავკასიას; წერდნენ უცხოელის თვალთ დანახულ საქართველოს ისტორიის, თქმულებების, თბილისისა და ბევრი სხვა რამის შესახებ (ფილინა: 2012).

ერთ-ერთი ასეთი პოლონელი იყო 1846-1854 და 1869-1872 წლებში გაზეთ “კავკაზის” რედაქტორი ივან სლივიცკი. ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში წარმოგიდგინთ მის ორ მოთხრობას: “თხზულება შოთა რუსთაველზე” და “ჩემი დამის თევა ქართულ სოფელში”

.2.1. “თხზულება შოთა რუსთაველზე”

მოთხრობაში “თხზულება შოთა რუსთაველზე” ივან სლივიცკი მოგვითხრობს, რომ მას არაერთხელ სმენია გამოჩენილი პოეტის, თამარ მეფის მესობის შესახებ, აგრეთვე სმენია მის პოემა “ვეფხისტყაოსანზე”, რომელიც საქართველოს სიამაყეს წარმოადგენს. მაგრამ ამის შესახებ მას მხოლოდ წიგნებიდან ჰქონდა გაგებულები და იგი ვერც კი იფიქრებდა, რომ დიდ შოთაზე მას უბრალო მწვემსები უამბობდნენ.

ერთ მშვენიერ შემოდგომის დღეს ავტორი ტყეებსა და ჭაობებში დახეტიალობდა, სადაც კარგად შეიარაღებული უნდა ყოფილიყო ადამიანი. შეიძლება მშიშარა კურდღელს ან ჯეირანს გადაყროდი, თუმცა, შესაძლოა, მოულოდნელად დათვის კლანჭებშიც აღმოჩენილიყავი. ნადირობისათვის სასიამოვნო, მშვიდი და ნათელი დღე იდგა. ტყეში გაძარცვული ხეებიდან ჩამოვარდნილი ფოთლების შრიალი ისმოდა. ამ უცნაური, გაურკვეველი ხმების გამო ჯეირანები თრთოდნენ, უშიშრად უახლოვდებოდნენ ადამიანთა სადგომს და, საბოლოოდ, მონადირის თოფს აწყდებოდნენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სლივიცკის იმ დღეს არ გაუმართლა, მას თოფიც კი არ გაუსვრია. სადამოს, სახლში დაბრუნებისას, ის მწვემსებს გადაეყარა. მათ გულლიად მიიღეს მგზავრი, მწვადებზე მიიპატიუეს. თავაზიანობას განსაკუთრებით თეთრწვერა მოხუცი იჩენდა. ადრე მას ერეკლე მეფის კარზე უმსახურია, ზოგჯერ კი კარგად ჩასუქებულ მეფე გიორგისაც ცხენზე შეჯდომაში ეხმარებოდა. შემთხვევით საუბარი თამარ მეფეს შეეხო. მოხუცმა მწვემსმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ თავად არ იცნობდა ულამაზეს თამარ მეფეს, მაგრამ მამისაგან ბევრი რამ ჰქონდა გაგებულები მასზე. მართალია, მწვემსს მოვლენათა

ქრონოლოგია ოდნავ აერია, მაგრამ მისი მონაყოლი სლივიცკისათვის ფრიად საინტერესო აღმოჩნდა. მწყემსმა შემდეგი ამბავი მოყვა: “ეს ამბავი აქ არ მომხდარა. ქიზიყში, კარაგაჩის მახლობლად, მაღალ მთაზე მდგარ კოშკში თამარ მეფე წვეულებას მართავდა. როდესაც სტუმრები შეიკრიბნენ, მან უბრძანა საზანდარ შოთა რუსთაველს ლექსები და მის მიერ სპარსულიდან ნათარგმნი არაკები წაეკითხა. ლექსები ისეთი მშვენიერი იყო, რომ სტუმრები და თვით თამარ მეფეც ატირდნენ. გულაჩუყებულმა უმშვენიერესმა თამარმა უბრძანა შოთას ეთხოვა ჯილდოდ რაც კი მოესურვებოდა. მშვენიერ თამარში შეყვარებულმა გენიალურმა პოეტმა სითამამე გამოიჩინა და მას ხელი სთხოვა. აღშფოთებულმა მეფემ პოეტი დარბაზიდან გააძევა, ბრძანა, რომ მისთვის ცხენი მიეცათ რათა შოთას უკანმოუხედავად დაეტოვებინა დარბაზი და ქიზიყი. შოთა რუსთაველი მთელი დღე მიაჭენებდა ცხენს. ღამით იგი თბილისში ჩავიდა, სადაც სახლში ახალგაზრდა მეუღლე ჰყავდა დატოვებული. სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ მეუღლე ასე ადრე არ ელოდებოდა პოეტს და ახალგაზრდა შაკკანიან არაბთან მხიარულად ატარებდა დროს, რომელიც სასწავლებლად ჩასულმა შოთამ კონსტანტინოპოლში იყიდა. გვიან მიხვდა დიდი პოეტი, რომ ეს ღვთის სასჯელი იყო იმის გამო, რომ ცოცხალი ცოლის გვერდით მიუწვდომელი მეფის, თამარის ხელს ითხოვდა. მეორე დრეს მიიწვია შოთამ თავისი და მეუღლის ნათესავები სახლში, მაგრამ წვეულების ნაცვლად სტუმრებმა სუფრაზე არაბის მოკვეთილი თავი იხილეს. რუსთაველმა უამბო მათ ღალატის შესახებ, ამცნო, რომ მეუღლესთან აღარ დაბრუნდებოდა და ხალხის სამართალს მიანდო იგი. თვითონ კი უცხო მხარეში გადაწყვიტა გადაკარგვა. სახსოვრად დატოვა მან წიგნი, რისი თარგმნაც მას მისი გულის დედოფალმა დააკადა: “დიდმა შოთამ ყველას სთხოვა გაფრთხილებოდნენ ამ წიგნს; ეს იყო უკვდავი პოემა “ვეფხისტყაოსანი”; ანდერძში კი დაიბარა, რომ შვილებისა და შვილიშვილებისათვის გადაეცათ, რომ იყო ოდესღაც მომღერალი პოეტი, რომელსაც უყვარდა თამარ მეფე და ლექსები” (სლივიცკი: 1853).

ღმერთმა არ ინება პოეტის მშობლიურ მიწაზე სიკვდილი და შორეულ მხარეში გადახვეწა. უბედური, თუმცა გენიალური პოეტის დიდი სიყვარულის ამბავი საუკუნეებს გასცდა ისევე, როგორც გაუძლო დროთა ჟამს მისმა უკვდავმა პოემამ უანგარო მეგობრობისა და დიდი სიყვარულის შესახებ. მწყემსა მოიგონა, რომ ერთხელ, მეფე ერეკლეს სასახლეში ყოფნისას, მომსწრე გახდა იმისა, თუ როგორ იზეპირებდნენ ამ პოემას მეფის ქალიშვილები.

რა არის ამ მოთხრობაში ტყუილი და რა მართალი – მკითხველმა თავად განსაჯოს. ავტორმა მხოლოდ მოხუცის ნაამბობი ჩაიწერა და გაზეთ “კავკაზის” მკითხველს გააცნო, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს პოლონელების დიდ ინტერესს საქართველოს და მისი წარსულის მიმართ.

რუსთაველის პოემას დღემდე აღფრთოვანებით იხეპირებენ და სხვადასხვა ენებზე თარგმნიან. თბილისში არსებობს შოთა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი, რომელიც მის შემოქმედებას სწავლობს. პოემა პოლონურ ენაზეც არის თარგმნილი. “ვეფხისტყაოსანი” არის ერთ ერთი ყველაზე ძვირფასი და საყვარელი წიგნი საქართველოში. ის თაობიდან თაობას გადაეცემა, მზითვად მიჰყვება პატარძალს, როგორც დიდი ფასეულობა. ყველა ქართულ ოჯახში ამ პოემის ერთი ეგზემპლარი მაინც ინახება.

XIX საუკუნეში გადასახლებული და თბილისში მომუშავე პოლონელები დაინტერესებულნი იყვნენ შუა საუკუნეების მშვენიერი ნიმუშით - შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსნით”. პოლონური რუსთაველოლოგიის ბიბლიოგრაფია კრებულისათვის “რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში” შეადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ლეო მენაბდემ. სტატიის სათაურია “რუსთაველი პოლონეთში”.

XIX საუკუნეში პოემა შეისწავლეს აგრეთვე პოლონელებმა მ. გრალევსკიმ და კ. ვინვეჩმა. XX საუკუნეში კი ი. რეიხმანმა, ბრაუნმა და პრუხნიცკაიამ.

საინტერესოა, რომ ხალხური თხზულება შოთა რუსთაველის შესახებ პოლონელებისათვის დიდი ხნის წინ იყო ცნობილი. ფაქტების მსგავსების მიუხედავად, თითოეული მათგანი სხვადასხვანაირად არის ინტერპრეტირებული. ამ პოემას ხშირად ადარებდნენ შუასაუკუნეების ევროპულ პოემებს – ლუდოვიკო არიოსტოს “დაუდგომელ როლანდს” და ტორკვატო ტასოს – “გათავისუფლებულ იერუსალიმს” (მსოფლიო ისტორია: 1960).

“ვეფხისტყაოსნის” ერთ ერთი პირველი პოლონური თარგმანი ეკუთვნის დადესტანში გადასახლებულ სამხედრო ინჟინერს კაზიმირ ლაპჩინსკის. ნაწილი ნათარგმნია პროზით, ნაწილი კი ლექსად. შემდეგი, ვინც პოლონელებს ქართველი პოეტი გააცნო იყო გერმანელი ფილოლოგი არტურ ლეისტი (ფილინა: 1991).

XX საუკუნეში პირველი ათი სტროფი თარგმნა გამოჩენილმა პოლონელმა პოეტმა იულიან ტუვიმმა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი

მიუბრუნდა შოთა რუსთაველის პოემას და თარგმნა შესავლის პირველი 31 სტროფი. ქალაქ ლოძში მცხოვრებმა პოეტმა ი. სიკირიციკიმ ახალგაზრდებისათვის გამოსცა პოემის მოკლე ტექსტი; მაგრამ პოლონელების მიერ რუსთაველის მემკვიდრეობის ათვისებაში და ქართულ - პოლონური ლიტერატურული ურთიერთობების გაღრმავებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ე. ზაგურსკის. 1976 წელს კი კრაკოვში გამოიცა პოემა სათაურით “რაინდი ვეფხის ტყავში” (ეს პრინციპული სათაურია), რომელის ასოცირდება რაინდობასა და ქრისტიანობასთან (ფილინა: 1991).

1.2.2. “ჩემი ღამისთევა ქართულ სოფელში”

ყურადღებას იპყრობს ივან სლივიცკის მეორე მოთხრობაც, რომელშიც აღწერილია ღამისთევა ქართულ სოფელში და რომელიც გამდიდრებულია მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული დეტალებით. ქართული მკითხველებისათვის ეს დეტალები შესაძლოა ცნობილიც იყოს, მაგრამ გაზეთ “კავკაზს” მთელ კავკასიაში კითხულობდნენ და გარდა ამისა, მეტად საინტერესო არის უცხოელის, პოლონელის თვალთ დანახული უკვე ნაცნობი მოვლენები და საგნები.

ერთხელ ავტორს ცხენით მანგლისში გამგზავრება მოუხდა, რაც არც თუ ისე მოხერხებული სატრანსპორტო საშუალება იყო (იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა სოლოლაკის მთიდან გაყვანილი გზა და მანგლისისაკენ მიხვეულ - მოხვეული ბილიკი მიდიოდა). მას მზის ჩასვლამდე ერთი საათიდ ადრე მოუწია მანგლისში წასვლა, ქალაქში კი უკვე ღამის განათება აინთო. მანგლისი ქალაქიდან არც თუ ისე ახლოს იყო და სლივიცკი არ ცდილობდა ღამის თბილისის მშვენიერებით ტკობას. საუბედუროდ, მალე ცა ღრუბლებით დაიფარა, წამოწვიმა, უცებ ჩამობნელდა და გზის ნაცვლად ავტორი მინდორში აღმოჩნდა. ცხენი ხვეის პირას გაჩერდა, შორიდან კი ძაღლის ყევა ისმოდა. მოულოდნელად მგზავრისაკენ ძაღლი გამოვარდა, რაც იმისკენ მიანიშნებდა, რომ სოფელი უკვე ახლოს მდებარეობდა. მართლაც, გამოჩნდა ღობე და ნახევრად დანგრეული შენობა. სლივიცკი ვერ მიმხვდარიყო, თუ როგორ აღმოჩნდა სხვა სოფელში, წაგვისში, მის შუაგულში. ახლომახლო მემამულის დიდი სახლი იდგა, რომელიც ევროპულ სტილში იყო აშენებული; შორიახლოს ძველებური აგურის კოშკები, ყოფილი სასახლის ნანგრევები ჩანდა. ასეთი

კოშკები თითქმის ყველა ქართულ სოფელში იყო და მათი სიდიდის მიხედვით, ნაგებობის სიმაგრისა და საფუძვლის შესაბამისად შეიძლება გვემსჯელა მდიდარი და გაველენიანი იყო თუ არა ადგილობრივი ფეოდალისა თუ აზნაურის გვარი, რომელიც ამაგრებდა თავის მიწას, მამულს, სახლს, რათა მტერს მასზე თავდასხმის სურვილიც კი არ გასჩენოდა. ზოგჯერ ეს მიუწვდომელი ნეგებობები სხვების მოსაწონად შენდებოდა. მებატონედ ის ითვლებოდა, ვისი სასახლესაც საუკეთესოდ იყო გამაგრებული, ვინც ძლიერი იყო; ძლიერად კი ის დიდგვაროვანი იწოდებოდა, ვისაც ხმლისა და მახვილის ოსტატურად ხმარება შეეძლო, ვისაც არ გაუჭირდებოდა სწრაფად შეეგროვებინა ლაშქარი და მთიელების, ზოგჯერ კი ერთმორწმუნე მოძმეების წინააღმდეგ გაელაშქრა.

“როდესაც ამ კოშკებს ვუცქერ, კორსიკის შესახებ პროსპერ მერიმეს მოთხრობები მაგონდება. მე მგონია ოდესღაც ამ კოშკებში ბნელი ამბები და საქმეები ხდებოდა, ისმოდა გასროლის ხმა; ფეოდალის მსახურები ათვალიერებდნენ არემარეს, ხომ არ ეპარებოდნენ მათ საიდანმე ლეკები” (სლივიცკი: 1853). ეს წინდახედულობა და სიფრთხილე გამართლებული იყო, თუ გავისვენებთ წინანდალზე თავდასხმას და თავადების დავით ჭავჭავაძისა და ილია ორბელიანის ოჯახების ტყვეობას (იხილეთ ქვემოთ).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეს კოშკები ფეოდალებისათვის საჭიროებას აღარ წარმოადგენდნენ, ქვეყანაში უკვე სიმშვიდე სუფევდა; სწორედ ამიტომ ფეოდალებმა თავიანთი ხანჯლები კედელზე ჩამოკიდეს, თვითონ კი ქალაქში გადასახლდნენ. კოშკები ბალახით დაიფარა, თუმცა ისინი დიდი ხნის მანძილზე იდგებიან, როგორც წარსულის მოგონებები.

ქართულ სოფელში ადრე იძინებენ, მაგრამ ადრეც დგებოდნენ. სადამოს ცხრა საათზე უკვე ყველას ეძინა და მხოლოდ ეკლესიიდან გამოდიოდა სუსტი შუქი; მგზავრიც ამ შუქისაკენ გაემართა. ეკლესიის კედელთან ცხვრის ფარა იყო განლაგებული; იქვე ეძინა წყემსს, მაგრამ ძაღლის ყეფამ ის გამოაფხიზლა. სლივიცკიმ შეიტყო, რომ თავადი ქალაქში, თბილისში ცხოვრობდა, აქაურობას კი მამასახლისი განაგებდა. ამ სურათის ნახვისას სლივიცკის იაკობ პოლონსკის ლექსი “ ქართული ღამე” გაახსენდა:

“ Грузинская ночь я твоим упиваюсь дыханием!

Мне так хорошо здесь, под этим прохладным навесом,

Под этим навесом уютной нацваловой сакли.

На мягком ковре я лежу под косматою буркой,
 Ни слышу ни лая собак, ни ослиного крику.
 Заснул мой хозяин – потухла светильня в железном
 Висячем ковше...” (Полонский: 1956).

ამ ლექსის მოგონებით მასაც მოუნდა მამასახლისის სახლში ღამის გათევა, მაგრამ თვითონ მამასახლისს არ სურდა სტუმრის მიღება და მან სლივიცკის დუქანში დაბინავება შესთავაზა. როდესაც აღმოჩნდა, რომ იქ ადგილები აღარ იყო, ერთმა გლეხმა იგი გვერდებმოქცეულ სახლში მიიპატიო. ვიღაც გაურკვეველმა პიროვნებამ ცხენი ჩამოართვა და შემდეგ სახლში შეიყვანა. სლივიცკის ოთახში სანთლის ანთება უნდოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეპატრონეს სანთელიც არ ჰქონდა. ავტორი იძულებული იყო იგი დუქანში სანთლის და მცირეოდენი საჭმლის საყიდლად გაეგზავნა. ყველაზე მეტად კი მას ორი ჯორის მეზობლობა აწუხებდა. მასპინძელმა დუქნიდან ყველი, ღვინო და გამხმარი თევზი მოიტანა, თან მოახსენა ეშმაკი მამასახლისის შესახებ, რომელმაც მოატყუა მგზავრი და ახლა თვითონ მშვიდად ეძინა თავის სახლში მარტოს. მას თურმე არ უყვარდა მგზავრების მიღება და ამიტომ იმ გლეხებთან მიჰყავდა, ვისზეც განაწყენებული იყო; ამ სახლის მეპატრონეზე კი იგი გაბრაზებული იმის გამო აღმოჩნდა, რომ მან შეშა ფაშქეშად არ მიუტანა; საერთოდ, ასკვნიდა გლეხი, რომ პატიოსანი მამასახლისი არ არსებობს.

შემდეგ მასპინძელმა ივანემ უამბო სტუმარს, თუ როგორ გაჭირვებაში ცხოვრობენ გლეხები სოფელში; მათ ურჩევნიად შეშა შორს, თბილისში ჩაიტანონ და ამით ირჩინონ თავი და იშოვონ საარსებო საშუალება.

სლივიცკი დიდი ინტერესით უსმენდა ივანეს. ამასობაში ივანე დაინტერესდა, თუ როგორ აღმოჩნდა ავტორი სულ სხვა მხარეს, ღრმა ხევთან და როცა პასუხი მოისმინა დაასკვნა, რომ ამ საქმეში ბნელი ძალები იყვნენ ჩარეული.

“საქართველოში ადგილობრივებს უნდა გაესაუბრო, რომ რაიმე თხზულება მოისმინო და თუ რაიმე ნიჭი გაგაჩნია არ უნდა მოიკლო სიამოვნება, რომ ეს ნაამბობი გამოაქვეყნო. ყველა მათგანში დიდი ზნეობრივი აზრი დევს და წეს - ჩვეულებებია ასახული” (სლივიცკი: 1853). ივანემ აუხსნა ავტორს, რომ ხევის სახელია “კამეჩის ტყავი”. ავტორი გაზეთში იმ თხზულებასაც აქვეყნებს, სადაც ასახულია თუ რატომ დაერქვა მას ეს სახელი: “დიდი ხნის წინ ერთ სოფელში

ერთი კაცი ცხოვრობდა; ჰყავდა მას ცოლი, შვილი და მოხუცი მამა. მამა მთელი დღე კართან იჯდა, ჯოხს თლიდა, ლოცულობდა და შვილებს ებუზღუნებოდა. ერთხელ შეუჩნდა ეშმაკი შვილს: რისთვის გჭირდება უმწეო მამა, რატომ უნდა დააპურო ტყუილად; შვილმა დაიწყო ფიქრი როგორ მოიშორებინა მამა. ეშმაკს მეტი რა უნდოდა - დაარიგა იგი კამეჩის ტყავი აელო, მოსულიყო მოხუცთან და ეთქვა, რომ მისი ამ ქვეყნიდან წასვლის დრო მოვიდა. ტიროდა მოხუცი, მაგრამ რა უნდა ექნა, წაყვა შვილს. უღრან ტყეში გაიარეს და ღრმა ხევის მიადგნენ. შვილმა მამა ტყავზე დასვა, მარილი და პური დაუტოვა; უკან დაბრუნებისას მან თავისი ვაჟი დაინახა, ის ფეხდაფეხ მოჰყვებოდა მამას და სთხოვა, რომ კამეჩის ტყავი თან წამოეღო. კითხვაზე თუ რათ უნდოდა შვილს ტყავი, მან უპასუხა, რომ მოვა დრო და იგი თვითონაც დაბერდება, უმწეო მოხუცად გადაიქცევა და მაშინ ამ ტყავზე მას დასვამდა და ხევში დატოვებდა. მიხვდა მაშინ შვილი, რა ცოდვა დაადო ეშმაკმა კისერზე, ატირდა, ჩავიდა ხევში, ამოიყვანა ცოცხალი მამა და პატიება სთხოვა; წმინდა გიორგი დაიფიცა, რომ ამიერიდან ცივ ნიავს არ მიაკარებდა მას. მოხუცმა კიდევ დიდხანს იცოცლა, შვილიც ღრმად მოხუცდა; შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილებით დიდ პატივს სცემდნენ მათ” (სლივიცკი: 1863).

ასეთი ლეგენდები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს. შეიძლება გავიხსენოთ იაპონური ფილმი “ბოროტების იმპერია”, სადაც მოხუცები მთაში მიჰყავთ და ნელი სიკვდილისათვის სწირავენ, რათა ზედმეტი ლუკმა არ დახარჯონ მათზე.

ავტორი თავის მოთხრობაში აღწერს ივანეს ღარიბულ ქოხს “სადაც იმდენი ნასვრეტი იყო, რომ ოთახი თავისით ნიავდებოდა. ოთახში არც ერთი სუფთა და მთელი ნივთი არ იყო. ყველაფერი ნაცრისფერი იყო. ჩანდა, რომ პატრონს ბევრი ტანჯვა და უბედურება გადახდომოდა თავს, მაგრამ იგი ყველაფერს შეეგუა. საერთოდ, ქართველებს სიზარმაცე და ქარაფშუტობა ახასიათებთ; ამბობენ, ღმერთი მოგვცემსო” (სლივიცკი: 1853). ივანემ და სლივიცკიმ დილით ადრე გაიღვიძეს და ავტორმა მოხუცს მანგლისში წაყვანა შესთავაზა, მაგრამ ივანემ უარი უთხრა იმის გამო, რომ მანგლისში მისთვის უცხო ადამიანები ცხოვრობდნენ. სლივიცკი მანგლისისაკენ გზას გაუყვა როდესაც გარეთ უკვე გათენებული იყო. ავტორი ხატოვნად აღწერს დილის სოფელს: საძოვარზე მიმავალ საქონელს, წყალზე წასულებს, დუქნიდან გამოსულ ნამძინარებ მეურმეებს. სოფელში კარს არავენ კეტავდა, მოსაპარი

არაფერი ჰქონდათ. ქართველები ზამთრისათვის თივის მარაგს არ აგროვებდნენ, ერჩივნათ ხეები მოეჭრათ და ფოთლებით გამოეკვებად საქონელი: (სლივიცკი: 1853). ასე მიაღწიეს მგზავრებმა ლამაზ ხეობას, რომელთანაც კიდევ ერთი საინტერესო თქმულება იყო დაკავშირებული. მოხუცმა მოუყვა სლივიცკის, რომ ეს ხეობა 50 წლის წინათ სისხლით იყო ავსებული, ოღონთ არა ადამიანის სისხლით. “იმ დროს საქართველოში რუსები ჯერ არ იყვნენ შემოსულები, ახალციხეში კი საშინელი ყაჩაღები ცხოვრობდნენ და თარეშობდნენ. მათ თურქეთის სულთანიც კი ვერ უმკლავდებოდათ. ყაჩაღები გასაძარცვად საქართველოში ჩამოდოდნენ, იტაცებდნენ საქონელს, ქალებს, ბავშვებს, ცხვარს. ივანე პატარა იყო, როდესაც ერთხელ თურქები შენიშნა, ხეზე აძვრა და ამით გადაირჩინა ტყვეობისგან თავი; მაგრამ მან კარგად დაინახა, თუ როგორ გამოჭრეს ყელი მთელ ფარას; მწვადებით ისე გამოძდნენ, რომ ძარცვის გაგრძელებაც ვეღარ შეძლეს და ახალციხეში დაბრუნდნენ, ცხვრის სისხლით კი მთელი ხევი აივსო” (სლივიცკი: 1853). მოხუცთან ერთად გზაც მალე დაიღია; მგზავრები მიაღგნენ დიდ ღუქანს; ივანე დაემშვიდობა სლივიცკის და ძველი, ჩამოკონკილი ტანსაცმლით თავისი ძველი უპატრონო ქოხისაკენ გაჰყვა თავის ბებერ ჯორს. ივანე საცოდაობის გრძნობას იწვევდა.. სლივიცკი ივანეს ორი წლის შემდეგ კვლავ შეხვდა თბილისის გარეუბანში. იგი შემით დატვირთულ ურემთან იდგა და მყიდველს ელოდებოდა. მოხუცმა იცნო სტუმარი და ძლიერ გაუხარდა მისი ნახვა.

გაზეთ “კავკაზის” იმდროინდელმა მკითხველმა და ჩვენ, XXI საუკუნეში მცხოვრებლებმა, მივიღეთ პოლონელის თვალით დანახული ქართლის სოფლის ზუსტი და საინტერესო აღწერა, სადაც საშინელი სიღატაკის მიუხედავად, უბრალო გლეხები სტუმართმოყვარეობითა და კეთილგანწყობით გამოირჩეოდნენ.

13. კონსტანტინ დზიუბინსკის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე

“სეირნობა ორთაჭალაში”

საინტერესოა განვიხილოთ პოლონელი ლიტერატორი დზიუბინსკის კიდევ ერთი ზედმიწევნით საინტერესო და შემეცნებითი სტატია ჩვენი საყვარელი ქალაქის – თბილისის შესახებ, რომელშიც აღწერილია ერთი დღე, კერძოდ, აღწერილია დიდი რელიგიური დღესასწაული – ამადლება და ამ

დღესასწაულისადმი მიძღვნილი სეირნობა ორთაჭალაში, თბილისის მაშინდელ გარეუბანში.

სამხრეთ ქვეყნებში ყველა ჩამოსული ტურისტი თუ მოგზაური აღნიშნავს ადგილობრივი ხალხის სიზარმაცესა და აპათიურობას. ამ მხრივ იტალიამ სახელი გაითქვა თავისი ლაცარონებით; აღმოსახლეთმა – კაიფით, რაც XIX საუკუნეში მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ავტორი კითხვას სვავს, თუ რა შეიძლება ითქვას ამიერკავკასიის მოსახლეობაზე, რომლებიც სამხრეთის ცის ქვეშ ნებივრობენ? ავტორი აღიარებს, რომ აქაური ადგილობრივი მცხოვრებლები, იქნებიან ეს ქართველები თუ სომხები, საქმოდ ვერ დასხდებიან, როგორც, მაგალითად, ზარმაცი ოსმანლი. ქართველები დაჯილდოვებულნი არიან დიდი წარმოსახვითა და შთამბეჭდავი გულით: “როდესაც იწყება ზეიმი, ადგილობრივი მოსახლეობა ყოველგვარ ყოფით საქმიანობაზე ამბობს უარს, მაშინ მისი პოეტური მხარე მთელი სიმკვეთრით მუდავნდება, ადამიანები აძლევენ თავის თავს უფლებას აკეთონ რაც უნდათ” (დზიუბინსკი: 1855). ეს ავტორის ზუსტი შენიშვნაა - ქართველები თავისუფალ დროს მთელი სულითა და გულით ქეიფობენ.

დზიუბინსკის სტატია, ისევე როგორც დანარჩენი სხვა ჩვენს მიერ განხილული სტატიები თუ თხზულებები, ძალიან ღირებულია ქართველებისათვის, რადგან ეს “სეირნობა” აღწერილია და დანახულია სხვა ეროვნების ადამიანის მიერ, რომელიც სხვა ტრადიციებით იყო აღზრდილი და რომელსაც ჩვენგან განსხვავებული მენტალიტეტი ჰქონდა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ “სეირნობა”, კერძოდ 5 მაისი, 1855 წელი, ამადღება, თბილისი, ორთაჭალა – ყველაფერი ზედმიწევნით არის აღწერილი,

როგორც ავტორი გვიამბობს, თუ გართობის და სეირნობის მონაწილეები ბევრი არიან, უეჭველად იმართება, ე.წ. “თამაშები” მუსიკის თანხლებით, ცეკვებითა და დოლით. XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისელებს გართობის არც თუ ისე ბევრი საშუალება ჰქონდათ და, ბუნებრივია, რომ ქალაქის ყველა მცხოვრები ჩქარობდა ზეიმს დასწრებოდა. “სეირნობის” მონაწილეები ცდილობდნენ ეჩვენებინათ თავისი სილამაზე და ლამაზი სამოსი და წარმოეჩინათ საკუთარი ღირსებები და შესაძლებლობები. დაბალი და საშუალო ფენის ქალები ჯერ კიდევ კარჩაკეტილად ცხოვრობდნენ, მათი ნახვა მხოლოდ საჯარო სეირნობის დროს იყო შესაძლებელი და სწორედ ამ სეირნობაზე იყო შესაძლებელი საუკეთესო პატარძლის არჩევისა. კაცებიც

ხშირად იმისათვის ჩადიდნენ ზეიმზე, რომ შეეთვალეებინათ ქალიშვილები და შესაძლოა, საცოლვეც კი აერჩიათ. ამადლების დღესასწაულზე თბილისის ერთ-ერთ უბანში, ორთაჭალაში, რომელიც განთქმული იყო თავისი ბალებით, ხალხმრავალი სეირნობა იწყება – გვამცნობს ავტორი. აქ გვახსენდება თავადისა და ვართანის ცნობილი დიალოგი ა. ცაგარელის პიესიდან “ხანუმა”, - “ორთაჭალის ბალებში. . . როგორც ჩანს, ორთაჭალისაკენ უმოკლესი გზა გადის სომხურ ბაზარზე. “ამადლების დღესასწაული დაემთხვა 5 მაისს; უკვე წმინდა სარქისის ტაძრიდან ისმის ხმაური, რაც იმას ნიშნავს, რომ სახალხო სეირნობა დაიწყო. დიდიდან დუქნებში გაშლილია სუფრები და იღვრება ღვინო. აივნებზე კი თავი მოიყარა მშვენიერმა მანდილოსნებმა” აღნიშნავს დზიუბინსკი. ავტორს ხიბლავს ფერდობზე განლაგებული სახლები და მოყვითალო მტკვარი, ქალაქის მთავარი არტერია; იგი მოედინება კლდეებს შორის, ამ კლდეებზე კი აღმოსავლური ქალაქებისათვის დამახასიათებელი სახლებია აშენებული. თამაშები იმართება ერევნის გზაზე, რომელსაც თელეთში მიყვავართ და სადაც განლაგებულია წმინდა გიორგის ხატი. თამაშები დოლით იწყება. რაც უხაროდა ერთ მონაწილეს ის უხაროდა მეორესაც. ძველ დროში მსგავსი ასპარეზობით ერთობოდნენ მაღალი წრის წარმომადგენლები. ეს თამაშები ძალიან ჰგავდა სარაინდო ტურნირებს შუასაუკუნეების ევროპაში.

საქართველოში ხშირად გვხვდება ფეოდალიზმის ეპოქის გადმონაშთები. თამაშები სრულდება მზის ჩასვლისას, მაგრამ სეირნობის დასრულების შემდეგ ხალხი არ ჩქარობდა დაშლას. თბილისის შემოგარენი ისეთი ღამაზია, რომ ბევრი ადამიანი ადიოდა გორაკზე და დიდხანს ათვალეებდა გარემოს. მხოლოდ მზის ჩასვლამ და სიბნელემ დაასრულა ორთაჭალის სეირნობა.

ეს “სეირნობა” და თამაშები უკვე დიდი ხანია არ ეწყობა თბილისში, მაგრამ ჩვენთვის, იმ ადამიანების შთამომავლებისათვის, რომლებიც შესაძლოა ამ “სეირნობებში” იღებდნენ მონაწილეობას, ძალიან საინტერესოა, თუ რა ხდებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში. სტატიაში ვხვდებით ბევრ ჩვენთვის ღირებულ ინფორმაციას და მადლობის მეტი რა გვეთქმის დზიუბინსკისადმი, რომელიც ჩამოვიდა საქართველოში, დაინტერესდა მისი ყოფით, ადათ - წესებით, თამაშებით, სეირნობებით და დაგვიტოვა ამადლების დღესასწაულის ასეთი შესანიშნავი აღწერა.

14. ევგენი ვერდერევისკის შემოქმედება გაზეთ “კავკასიის” ფურცლებზე

14.1. “ზაურალიედან ამიერკავკასიამდე; წერილი 16”

ცნობილმა ლიტერატორმა ე. ვერდერევისკიმ, რომელიც თბილისში საჯარო სამსახურში იმყოფებოდა, ხატოვნად აღწერა თავისი მოგზაურობა ზაურალიედან ამიერკავკასიამდე. აღწერა კავკასიის ველური ბუნების სილამაზე და მისი მრისხანე სიდიადე. საერთოდ კავკასიის შესახებ ბევრი მწერალი თუ პოეტი წერდა: პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი, ბესტუჟევი-მარლინსკი.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული გვაქვს მისი ჩანაწერები ამიერკავკასიაზე.

მოგზაურობა საქართველოში იწყება ლარსის სადგურიდან, სადაც იმ დროს რუსეთსა და საქართველოს შორის საკონტროლო - გამშვები პუნქტი იყო განლაგებული. 1855 წელს დაბაში იდგა ლარსის ძველი ციხე, ჩვენს დრომდე კი მხოლოდ ამ ციხის ნანგრევებმა მოაღწია. ლარსის ხეობა იმდენად ვიწროა, რომ იქ ძლივს ეტევა თერგი და გზა, რომელიც კლაკნილად მიუყვება მთებს.

“გუშაგები იცავენ აქაურობას, ამბობენ, რომ სადღაც ახლოს შამილი არისო” (ვერდერევისკი: 1855). წინ კი დარიალის ხეობაა. რა თქმა უნდა, გვაგონდება დიდი რუსი პოეტის “კავკასიის კარიბჭესთან” დაკავშირებული გამონათქვამები: “კლდეებიდან მიედინებიან ნაკადულები, კლდეები კი პარალელურ სიმაღლეზე დგას. ნაკადულები ირგვლივ აფრქვევენ შხეფებს. ეს სურათი მე ჰანიმედის მოტაცებას მახსენებს” (პუშკინი: 1960).

და კიდევ: “ლარსში ჩვენ შევხვდით ფრანგ მოგზაურებს, რომლებმაც ძალიან შეგვაშინეს უვარგისი გზით” (პუშკინი: 1960).

აი, რას წერს წნობილი რუსი მწერალი ა. ბესტუჟევი - მარლინსკი კავკასიაზე: “აქამდე ნისლით დაფარული კავკასია ჩვენს წინაშე წარსდგა თავისი პირველყოფილი მშვენიერებით და მკაცრი სიდიადით” (ბესტუჟევი - მარლინსკი: 1980). და რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით უნიჭიერეს რუს პოეტს მ. ლერმონტოვს, რომელიც ხოტბას ასხამდა კავკასიის “ცისფერ მთებს, რომლებიც მას ღრუბლებით მოსაუდნენ და ცის სიახლოვეს ამყოფებდნენ” (მ. ლერმონტოვი: 1946). მოგზაურობა გრძელდებოდა. “უფრო და უფრო ვიწროვდება ხეობა. თერგი დარიალის ხეობის გმირი გახლავთ. იგი უზარმაზარი ღოდებითაა გარსშემორტყმული. ხევის სიღრმეში განლაგებულია საქართველოს სამხედრო

გზა, ხოლო თერგი ამ სიღრმეში “მთავარი ბრადღებულია”. აქ გახსენდება დაოკებული პრომეთე, რომელიც კავკასიონზეა მიჯაჭვული; გახსენდება ტიტანები, მათ ცის შთანთქვა უნდათ; დანტე ალიგიერის დარიალის ხეობა უნდა ენახა, მეტად რომ შეეცნო ჯოჯოხეთის საშინელება”- აღნიშნავს ავტორი.

მოვიყვანოთ ნაწევები ა. ბესტუჟევი – მარლინსკის “კავკასიური ნაწევებებიდან”:

“Дико прекрасен гремучий Терек в Дарьяльском ущелье.

Там, как гений, черпая силу у небес, борется он с природой.

Инде светел, но прям, как меч, рассёкший стену, сверкает он между утёсами.

Инде, чернея от гнева, ревет и роется, как лютый зверь, под вековые громады;

Отрывает, рушит, катит вдаль их обломки.

В бурную ночь с глухим шумом крутятся дождевые потоки под ногами, падая на голову скал. Вдруг, как лава, прорывается молния и вы видите под собой зияющую бездну; утёсы по сторонам, а навстречы вам – ревуший Терек; осыпанный огненной пеной. Но зато как приветливо заглядывает утро в ущелие, на дне которого бьёт и шипит и плещет Терек” (Бестужев – Марлинский: 1980).

მოგზაურობის დროს ვერდერეესკი თავადაც ხშირად იხსენებდა ა. პუშკინს. “ზოგიერთ ადგილას თერგი ხიდებს სწვდება და დმუის. დარიალის საპირისპირო მხარეს მოჩანს ციხის ნანგრევები. დარიალი ძველ სპარსულ ენაზე ჭიშკარს ნიშნავს. პლინიუსის ცნობებით კავკასიის ჭიშკარი აქ მდებარეობს” (პუშკინი: 1960). და აი რას წერს წერილის ავტორი: “პუშკინის მიერ აღწერილი პატარა ხიდი დღეს გრანიტის ძლიერ ხიდად იქცა, რომელსაც საპირკველი 1850 წელს ჩაეყარა” (ვერდერეესკი: 1855).

გარდა ამისა, დარიალი ძალაუნებურად გვახსენებს ლერმონტოვის პოემას საიდუმლოებით მოცული თამარის შესახებ:

“В глубокой теснине Дарьяла,

Где роется Терек во мгле,

Высокая башня стояла,

Чернея на чёрной скале” (Лермонтов: 1946).

მაღე ჩვენი მოგზაურები დაბა ყაზბეგში აღმოჩნდნენ. ყაზბეგის მთაც ნისლშია გახვეული და მთებით არის გარსშემორტყმული. ერთ - ერთ ულამაზეს მთაზე აშენებულია წმინდა სტეფანეს ტაძარი, რომელსაც ქართველები სტეფანწმინდას უწოდებენ. “დაბა ყაზბეგის ახლოს პატარა ტაძარი ან სამრეკლო მთავარ ანგელოზ მიქაელის სახელობის არის, იგი ზედმიწევნით დახვეწილია” (ვერდერეესკი: 1855). ეს ტაძარი ფილებით არის აშენებული, მისი მთავარი კარიბჭის ორივე მხარეს რელიეფურად არის გამოსახული ორი ნაგაზი, რომლებიც ჯავშნით არიან დაბმულნი, ხოლო მის თავზე არის წარწერა: “1809 წელს, ივნისში, სასწაულმოქმედი სამების სადიდებლად აიგო ეს ტაძარი წმინდა მთავარანგელოზ მიქაელის სახელობისა პოლკოვნიკ გაბრიელ მიხეილის ძე ყაზბეგის მიერ” (ვერდერეესკი: 1855). ტაძრის მშენებლობა დასრულდა 1814 წელს, რომელიც ინჟინერმ ყაზბეგმა ააგო; ქართველები კარგი მშენებლები არიან. ვერდერეესკიმ ჰკითხა ტაძრის მცველს, თუ რა ნახაზით იყო აგებული ეს ტაძარი და პასუხად მიიღო, რომ იმ დროს ნახაზი საერთოდ არ არსებობდა.

პოლონელების გარდა კავკასიაზე, კერძოდ, დარიალის ხეობაზე მრავალი რუსი მწერალი თხზავდა თავის ნაწარმოებებს; ჩვენთვის ძვირფასია ამ თხზულებების თითოეული დეტალი, ყოველი ნიუანსი, ნაბისმიერი აღწერა.

გზა ყაზბეგამდე ულამაზესია. თერგი აქ უფრო მშვიდია, არ დელავს და არ ხმაურობს როგორც დარიალის ხეობაში. როგორ შეიძლება არ გავიხსენოთ მ. ლერმონტოვის დიდებული ლექსის სტრიქონები:

“Терек воет дик и злобен меж утёсистых громад,
 Буре плач его подобен,
 Слёзы брызгами летят” (Лермонтов: 1946).

ყველა ცნობილი მწერლის მიერ დარიალის ხეობის აღწერა განსაკუთრებულია: “არაჩვეულებრივია მშფოთავი თერგი დარიალის ხეობაში; იგი ძალებს ზეციდან იკრებს, ბუნებიდან იხვევს. ზოგან როგორც ხმალი ისე კვეთს გრანიტის კლდეს. მოედინება მრისხანებისაგან გაშავებული და ბორგავს, როგორც მხეცი მრავალსაუკუნოვან კლდეებს შორის. თქვენ ხედავთ მჩქეფარე თერგს, რომელიც სავსეა ცეცხლოვანი ქაფით. სამაგიეროდ, რა მშვიდია დილა ხეობაში, რომლის ბსკერზეც მიეჩანება თერგი” (ბესტუჟევი – მარლინსკი: 1960).

ავტორი კი ასე აღწერს ყაზბეგს: “შემადლებულ ადგილზე, გზის ორივე მხარეს მოჩანს ლამაზი ქართული სოფლები; ყოველ სოფელში ერთი კოშკია; არანაკლებ ლამაზია მთის ფერდობზე შეფენილი ცხვრის ფარებიც” (ვერდერეესკი: 1855).

საომარი მოქმედებები არ შეწყვეტილა, რადგან კავკასიის ომი მხოლოდ 1859 წელს დასრულდა და ჩრდილოეთ კავკასიასთან სიახლოვე ყაზბეგისათვის საკმაოდ საშიში იყო, ამიტომ ყაზბეგის გზაზე ხშირად დადიოდა 200 კაციანი რაზმი, რომლებიც იცავდნენ მგზავრებს შამილისა და მისი რაზმებისაგან.

უკვე კობის მახლობლად თერგი იკარგება და ჩნდება მდინარე ბაიდარკა. გზა კობიდან მთებში ძალიან ცუდია; ბოლოს და ბოლოს მოგზაურებმა მიაღწიეს საქართველოს სამხედრო გზის უმაღლეს მწვერვალს “ჯვრის უღელტეხილს”, მის შემდეგ კი გუდის მთაა განლაგებული. აქედან იწყება დაქანება, რომელიც მიემართება ცნობილი კაიშაურის ველისაკენ; მთის წვერზე კი აღმართულია ქვის ჯვარი წარწერით: “ღვთის სადიდებლად - საქართველოს მმართველისაგან, ინფანტერიის განერალ ა. ერმოლოვისაგან; მთის მმართველის მაიორ დავით კონანოვისაგან; 1824 წელი”.

ჯვრის უღელტეხილთან არის ერთი ულამაზესი ადგილი, სადაც მიედინება მდინარე არაგვი და ამ ადგილს ხალხი ეშმაკის ველს უწოდებს.

მოგზაურებმა ძლივს მიაღწიეს სოფელ ფასანაურს, რომელიც ორივე მხრიდან უღრან ტყეებით არის გარსშემორტყმული. აქნგვახსენდება ა. პუშკინის ლექსი:

“Синие горы Кавказа,

Приветствую Вас” (Пушкин: 1956).

სოფლიდან არაგვისაკენ ბილიკები ეშვება, არ ჩანან მხოლოდ მშენიერი ქართველი ქალები დოქით მხარზე:

“Держа кувшин над головой,

Грузинка узкою тропой,

Сходила к берегу” (Лермонтов: 1946).

მძიმე გზის შემდეგ გამაოგნებელი იყო გადასვლა გუდის მთაზე, სადაც მოგზაურებს საშინელი ქარბუქი დაატყდათ თავს. მის შემდეგ მრავალი ნანგრევი დარჩა. მოგზაურებმა ფასანაურამდე მიაღწიეს, სადაც 50 კაციანი გარნიზონი იდგა. ჩვენთვის კიდევ ერთი საინტერესო დეტაილ იმაში მდგომარეობს რომ, როგორც ჩანს, საგზაო მშენებლობის კორპუსის ოფიცრები ხშირად იკვლევდნენ

და აკეთებდნენ გზებს, რომლებსაც ქარბუქი ხშირად აფუჭებდა; იმ დროისათვის ეს თითქმის რევოლუციური მიღწევა გახლდათ. ეს პროექტი ასევე ითვალისწინებდა გზის გაყვანას მთების გასწვრივ, მდინარისაგან მოშორებით, რათა აღიდებულ წყალს არ გაეფუჭებინა ახლად აშენებული გზა. თუმცა ეს პროექტი უკვე XX საუკუნეში განხორციელდა.

მოგზაურებს გზად ანანური უნდა გაეგლოთ, სადაც ცნობილი ანანურის ციხე მდებარეობს და ეკლესიის ნანგრევებია. სხვათა შორის, ძველი ნანგრევები ანანურიდან დღემდე მოჩანს. ანანურის შემდეგ მოგზაურები დუშეთისაკენ გაემშურენ. ამ გზაზე მრავლად გვხვდება პატარ - პატარა მშენიერი სოფლები, ლამაზი ქალები და კაცები. “თბილისამდე დარჩა ორი გადასასვლელი და ჩვენ საქართველოს დედაქალაქში, თიფლისში ვიქნებით, - წერს ვერდერეგსკი. ბოლოს მოგზაურები მიუახლოვდნენ თბილისს. კვლავ გვახსენდება პუშკინის სტროფები:

“Вот, наконец, достигли мы ворот Мадрида” (Пушкин: 1975)

14.2. “ერთი მშენიერი ზაფხულის დღე თბილისში”

ბევრი მოგზაური წერდა ულამაზესი აღმოსავლური ქალაქის თბილისის შესახებ. პოლონელმა მწერალმა ვერდერეგსკიმ მკიხველებს გაგვაცნო “თავისი” თბილისი. იგი აღწერს ერთ მშენიერ ზაფხულის დღეს ამ ქალაქში.

ამ წერილში ბევრ საინტერესო ამბავს ვხვდებით. აღწერილია თბილისის დიდებული განთიადი; რას არ შეხვდები ამ ეგზოტიკურ ქალაქში - გოგირდის აბანოებს, წყლის ტიკებს; ქალაქი რამოდენიმე ნაწილად არის გაყოფილი. იგი თანდათან ევროპულ იერსახეს იღებს და ამავე დროს აზიურიც რჩება - აღნიშნავს ავტორი.

როგორც ვიგებთ, თბილისში დალიდანვე ისმოდა ყვირილი და ხმაური. ქალაქში მდებარეობდა მოგზაურებისათვის მეტად საინტერესო სომხური ბაზარი. აქ გვხვდებოდნენ ადამიანების ტიპები, რომლებსაც თბილისის გარდა ვერსად ნახავდით - ესენი იყვნენ ქურთები. ქალაქის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ აივნიან სახლებს; ისმოდა ზურნის ხმა, მოჩანდა ხიდები მტკვარზე, მოკლედ, მკითხველი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ვერდერეგსკის თბილისში აღმოჩნდა.

ენით აღუწერელია თბილისური ზაფხულის დილა; ამ დილამ ვერდერეგსკიც გააოცა. XXI საუკუნის მკითხველებს პოლონელმა ლიტერატორმა

დაუტოვა ძალიან საინტერესო და ხატოვანი აღწერილობა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ჭრელი ქალაქის შესახებ; ეს აღწერილობაც შესაძლოა სუბიექტურია, რადგანაც რაიმეს აღქმა ყოველთვის სუბიექტურია.

მაშ ასე, ზაფხულის თბილისი. იმისათვის რომ შეგექმნეს ზოგადი შთაბეჭდილება, გულთან ახლოს უნდა მიიტანო უცნობი ქალაქი. ამისათვის სულ არ არის საჭირო თავიდანვე იცოდე ქალაქის ისტორია ან ტოპოგრაფია. მეზავრის ჩანაწერები სწორედ მაშინაა საინტერესო, როდესაც იგი იმ წუთას დანახულ და აღქმულს საგნებსა და ადგილებს აღწერს.

გულწრფელია ვერდერევესკის ნააზრევი კავკასიის კულტურულ ცენტრზე. მან აღწერა ის რაც დაინახა, აღწერა ქალაქი, სადაც რამოდენიმე წელი უნდა ეცხოვრა და ემუშავა.

როგორც ლიტერატორი არნიშნავს, თბილისის ზაფხულის დილა შუაღამის სამ საათზე იწყება. მზის ამოსვლის თანავე იწყება ადამიანების საქმიანობაც” (ვერდერევესკი: 1855). თბილისში ბევრი შადრევანი და წყაროა, რომლებიც გრანიტით არის მოპირკეთებული. ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს მდინარე მტკვარი. უკვე 4 საათზე იღვიძებს მთელი ქალაქი და მზე ანათებს თბილისს. პირობითად ქალაქი შეიძლება რამოდენიმე ნაწილად დაგყოთ. პირველი არის აღმოსავლეთის, ანუ ძველი ქალაქი, სადაც ცხოვრობს ქართულ – სომხური მოსახლეობა. მეორე - თითქმის ევროპული ქალაქი, განლაგებულია კავკასიაში მეფისნაცვლის სასახლის გარშემო და ბოლოს, ცალკე უნდა გამოიყოს ავლაბარი და კუკია. ეს ქალაქის ცალკე ნაწილებია, რომლებიც ქალაქის ევროპული ნაწილის პირდაპირ არიან განლაგებულნი; ავლაბარი და კუკია მტკვრის მეორე სანაპიროზე სამი ხიდით უერთდებიან ქალაქს; ორი ხიდი ხისაა, მესამე კი ქვის. თვით კუკია სრულდება გერმანელთა კოლონიით; აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ცნობილი ამერიკელი მწერლის ტორნტონ უაილდერის ნაწარმოები “ტეოფიდ ნორტი” და მისი თეორია რამოდენიმე ქალაქის ერთ ქალაქში არსებობის შესახებ (უაილდერი: 1974).

დილის 4 საათზე ევროპულ ქალაქს ჯერ კიდევ სძინავს. ცხოვრება დუღს მხოლოდ აღმოსავლეთის ქალაქში, სომხურ ბაზარში, ქუჩებში, სადაც ისმის ხმამაღალი საუბარი. ამ ხმაურს დიდხანს არ ეგუება უცხოელის ყური. ეს ხმები ქალაქს არაორდინალურობას, თავისებურობას ანიჭებს, რაც თბილისს სხვა ქალაქებისაგან განასხვავებს. ავტორმა შენიშნა, რომ თბილისელი ბიჭები ძალიან გვანან პარიზელ ბიჭუნებს, ეგრეთ წოდებულ გამენებს. ხუთ, ექვს, შვიდ

საათზე ბაზარი უფრო მეტად ხმაურობს. დილის რვა საათზე კი იღვიძებს ფართო ქუჩებიანი ქალაქის ევროპული ნაწილი. თბილისში აწარმოებენ ბევრ აგურს, ზოგჯერ გეგონება, რომ თბილისი მხოლოდ ახლა შენდება; ასეთი მშენებლობა აოცებს ყველა მოგზაურს. არ შეიძლება ისაუბრო თბილისზე და არ აღნიშნო მისი საუკუნეების წინ აშენებული ტაძრები. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მშენებლების უმრავლესობა თურქია. “აი, უკვე თორმეტი საათიც გახდა, პაპანაქება სიცხეა. ქალაქის ევროპულ ნაწილში ფანჯრები დარაბებით არის დახურული, გამვლელს იშვითად ნახავ; მეეტლეები ცდილობენ ცხენები ჩრდილში გააჩერონ” (ვერდერევესკი: 1855).

ამ სიცხეში ყველაზე კარგად თავიანთ მაღაზიებში ფრანგები და გერმანელები გრძნობენ თავს. მაღაზიები სიცხისაგან დაცულები არიან “მარკიზებით”.

ვერდერევესკი ხშირად ახსენებს სომხურ ბაზარს; როგორც ჩანს, ბაზარმა და თვით ამ ეგზოტიკურმა ქალაქმა მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ოთხი საათისათვის სიცხე ოცდაათ გრადუსამდე იწევს, ამას აღნიშნავს ზემელზე, გერმანული აფთიაქის თავზე განლაგებული თერმომეტრიც; სხვათა შორის, ამ აფთიაქმა XXI საუკუნის დასაწყისამდე მოაღწია. ვერდერევესკის დაკვირვებით, ყველაზე ცხელი დრო სჯობს მდინარის პირას გაატარო: “წავიდეთ და გადავიდეთ ხიდზე, საიდანაც კარგად ჩანს აბანოები, მეჩეთი, თავისი ცისფრად მოჭიქული თალით და ქვის კიბეებით, რომლებიც მდინარის ნაპირზე ეშვებიან. გავიაროთ ავლაბარი, რიყე, კუკია, სადაც ქალაქის ევროპულ ნაწილთან შედარებით ძალიან გრილა” (ვერდერევესკი: 1855). როდესაც დასრულდება ახალი ხიდი და შეუერთდება ერევნის მოედანს – ეს იქნება ქალაქის საუკეთესო ნაწილი.

თბილისის შენობების სახურავებიდან საუკეთესო ხედი იშლება, ჩანს მტკვარი, მთები; ბანებზე გაშლილ ხალიჩებზე სხედან და სეირნობენ ქართველები და სომხები, რადგან თბილისში არა აქვთ “სახალხო სეირნობების” ტრადიცია.

თბილისში არის მშვენიერი ბაღი, რომელიც გაშენებულია კავკასიაში მეფისნაცვლის სახლის ირგვლივ. თბილისში ქალები ატარებენ ვიწრო კაბებს, ჩიხტიკოსს, თმები (ოთხი ნაწნავი) შეხვეულია თავსაბურავში, ამის გარეშე ქალი

ქალაქში ვერ გავა. საღამოს რვა საათზე თბილისი სიბნელეში იძირება და სიჩუმე ისადგურებს; არ ისმის ჩვეული ყვირილი და შეძახილები.

ასეთია, ვერდერევესკის მიერ დანახული ერთი ზაფხულის ცხელი დღე თბილისში. შეიძლება ვერდერევესკიმ ბევრი რამ ვერ შენიშნა, არ აღწერა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მან შეიგრძნო ქალაქის დადებითი აურა, მისი ევროპისაკენ მისწრაფება, მისი სრული ტოლერანტობა. ამ მშვენიერ ქალაქში არის მუსლიმანური მეჩეთი და ებრაული სინაგოგა; აქ ცხოვრობენ სომხები, ქურთები, რუსები, პოლონელები და თათრები, ბერძნები, გერმანელები, ფრანგები. ყველა ეროვნების წარმომადგენლებმა თავიანთი კვალი დატოვეს ამ არაჩვეულებრივ ქალაქში.

პოლონელებსაც თავისი ადგილი ჰქონდათ თბილისში. ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ მთელი ეს სხვადასხვა ეროვნების ხალხი მშვიდობიანად თანაცხოვრობდა თბილისში; არავის ამცირებდნენ ეროვნული კუთნილების გამო, რაც არ ახასიათებდა ბევრ ევროპულ ქალაქსაც, რომ არაფერი ვთქვათ აზიურ ქალაქებზე.

თბილისი, როგორც ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, ამიერკავკასიის კულტურული ცენტრი იყო და ყოველ წელს სულ უფრო და უფრო ღამაზდებოდა და იხვეწებოდა. აქ ცხოვრობდა მეფისნაცვალი, გამოდიოდა ბევრი გაზეთი და ჟურნალი რუსულ და მოგვიანებით ქართულ ენაზეც. ქალაქში უცხოეთიდან ჩამოდიოდნენ “გუვერნანტკები”, რაც ნიშნავდა, რომ სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ეუფლებოდა უცხო ენას; თბილისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კოსმიური სისწრაფით ვითარდებოდა. ეს არის ქალაქი, რომელმაც არ დაკარგა თავისი ხიბლი, მიზიდულობა და თავისებურება. ასეთი განწყობა აქვთ ქალაქის მცხოვრებლებს და ჩამოსულებს, მათ შორის იმ პოლონელების შთამომავლებსაც, რომლებიც ჭეშმარიტად გაქართველდნენ; ბევრმა მათგანმა შეინარჩუნა პოლონური გვარი და არ დაივიწყა მშობლიური ენა, ცხოვრების წესი, ლიტერატურა და კულტურა თავისი მშვენიერი ქვეყნისა.

ეს პოლონელები XX საუკუნის მეორე ნახევარში გაერთიანდნენ “ქართველ პოლონელთა კულტურულ - საგანმანათლებლო კავშირში – “პოლონია”.

14.3. “ტყეობაში შამილთან”

ცნობილმა მწერალმა ვერდერესკიმ დაწერილებით გადმოსცა ცნობილი ოჯახთა წარმომადგენელთა – ჭავჭავაძეებისა და ორბელიანების 8 თვისა და 6 დღის განმავლობაში შამილთან ტყეობის შესახებ. ისტორია რეალურ ფაქტებზე, უშუალოდ მონაწილეების მონათხრობზე არის დაფუძნებული.

ავტორი მოგვითხრობს თუ როგორ ჩაუვარდნენ ტყვედ შამილსა და მთიელებს ცნობილი ოჯახები და როგორ და ვის მიერ იქნენ ისინი გათავისუფლებულნი. როგორც ავტორი მოგვითხრობს, თავად დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეს მნიშვნელოვანი სამსახურეობრივი დავალება ჰქონდა დაკისრებული. მას ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ყვარლის უბნის კახეთის სარეზერვო მილიციის რაზმისათვის. მშვიდ დროს მილიციელები საკუთარ სახლებში ცხოვრობდნენ, საჭიროების შემთხვევაში კი უმაღვე უნდა შეკრებილიყვნენ და თავად ჭავჭავაძის მითითებებით უნდა ეხელმძღვანელა.

1855 წლის ბოლოს კახეთის მილიცია ალაზნის მარცხენა ნაპირზე, მთებთან ახლოს იყო განლაგებული, სადაც მთიელები იმალებოდნენ. დაზვერვა არაფერს ატყობინებდა ქართველებს, ამიტომ უმეტეს დროს თავადი დავით ჭავჭავაძე თავის მამულში ცოლ - შვილთან ატარებდა. მაგრამ 30 ივნისს მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა; თავადმა უსიამოვნო ცნობა მიიღო ლეკების სასაზღვრო ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსის პოლკოვნიკ კულმანისაგან, რომელიც მზვერავებისაგან მიღებულ ამბებზე დაყრდნობით ატყობინებდა მას, რომ შამილი 1500 კაციანი ჯარით აპირებდა კახეთზე თავდასხმას და იგი უკვე იმყოფებოდა მთიან აულში, კარატში, რომელიც შესანიშნავი სათვალთვალო პუნქტი იყო; აქედან მთიელებს კახეთის ნებისმიერ წერტილში შეეძლოთ გადაადგილება. ბუნებრივია, თავადს სასწრაფოდ უნდა მიეღო ზომები, შეეკრიბა მილიცია და განლაგებულიყო შილდასთან ორი კილომეტრის მოშორებით, ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ხანდოში. დავით ჭავჭავაძის თანაშემწე შტაბს – კაპიტანი რომან ჭავჭავაძე ამავე დღეს გაემართა მილიციელების შესაკრებად. მეორე დღეს ხანდოში თავად დავითი ჩავიდა. ოჯახი მან სტუმრებთან ერთად წინანდალში, თავის მამულში დატოვა დარწმუნებულმა, რომ არავითარი საფრთხე მათ არ ემუქრებოდათ. სამწუხაროდ, არანაირი თავდაცვის ზომები არ იქნა მიღებული, რადგან დაახლოებით 1800 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ომარ - ყაენი 20000 ჯარით მდინარე იორზე

რუსული არმიის პოლკოვნიკებმა ლაზარევმა და ტულიაკოვმა გაანადგურეს ალაზნის მეორე ნაპირზე მტერი გადასვლას ვერ ბედავდა. წინანდალში ჩამოსულ სტუმრებს არაფრის შიში არ ჰქონდათ, მათ ცარსკი კოლოდეცთან განლაგებული მისი აღმატებულება პრინც ვიურტემბერგის დრაგუნთა ორი დივიზიონის იმედი ჰქონდათ. წინანდალის ახლოს დისლოცირებული იყო რეგულარული ფეხოსანთა ბატალიონებიც. უკიდურეს შემთხვევაში, თავის შეფარება თელავში იყო შესაძლებელი, მამულისაგან 7 კილომეტრის მოშორებით. ეს ყველაფერი იმდენად დამაჯერებელი ჩანდა, რომ ჭავჭავაძეებს და სტუმრად მყოფ ორბელიანებს საშიშროების მოლოდინი არ ჰქონდათ. “პირველ ივლისს თავადი დავით ჭავჭავაძე ხანდოში ჩავიდა; მოიარა შემოგარენი, შეამოწმა საგუშაგოები და შილდისაკენ გაეშურა. სოფელი ბაღებში ჩაფლული ცალკეული ქოხებისაგან და ერთი ციხე - სიმაგრისაგან შედგებოდა, რომელიც არც თოფებით და არც ქვემეხებით არ იყო შეიარაღებული” (ვერდერევსკი: 1855). 2 ივლისს არავითარი ახალი ცნობა მტრის მოახლოების შესახებ არ მოიპოვებოდა ბანაკში, სადაც დაახლოებით 440 ადამიანი იყო შეკრებილი; თავადი გაემართა შილდის ციხე - სიმაგრის დასათვალიერებლად, სადაც ამ დროს თავად რატიევის (რატიშვილის) სამოც კაციანი ქართული გარნიზონის რაზმი მორიგეობდა. უეცრად, შუაღამისას თავად ჭავჭავაძეს ეახლა ერთი მილიციელი ფოხალის კოშკის დამცველებიდან. კოშკი მტრის მხარესკენ იყო მომართული და შესანიშნავ სათვალთვალო პუნქტს წარმოადგენდა. “მილიციელმა ამცნო დავითს, რომ ლეკების უზარმაზარმა ძაღამ ალყაში მოაქცია ფოხალი და შილდისაკენ მიემართებოდა. თავად ჭავჭავაძემ გარნიზონში დატოვა რატიევი, თვითონ კი თხუტმეტი მილიციელის თანხლებით ხანდოსაკენ გაეშურა. აქ უკვე ყველა მზად იყო მტრის შესახვედრად” (ვერდერევსკი: 1855). დავითს დიდხანს ვერ გადაეწყვეტა დალოდებოდა მტერს ხანდოში, რომელიც გაშლილ ადგილას მდებარეობდა, თუ დაეხია შილდისაკენ, სადაც უფრო მოხერხებული იქნებოდა მცირე ძალებით გამკლავებოდა მტერს. სამწუხაროდ, გაურკვეველი იყო, ჩვეულებრივი მთიელები დაესხნენ მათ თავს, თუ თვით შამილი მიიწვედა კახეთისაკენ. უკანასკნელ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა შილდაში დახვევა. სანდო ცნობები კი არ ჩაჩნდა მანამ, სანამ მილიციელებმა არ მოიტანეს ამბავი, რომ მტრის კავალერია მიემართებოდა ორ პარტიად. ამ სიტყვების შემდეგ თავადი მიხვდა, რომ შამილი მიემართებოდა ფოხალისაკენ და უკან დაბრუნდა. “ქართველებმა მოზიდეს საგუშაგოები და

შილდისაკენ დაიხიეს. სოფლის უფროსის, თავად გურგენიძის ოჯახი და ქონება სამაგრეებში მოათავსეს, თვითონ კი მილიციელებს შეუერთდნენ” (ვერდერევესკი: 1855). ჭავჭავაძემ რატიევის დასახმარებლად 150 მილიციელი გაგზავნა, დანარჩენები ბაღებში და სახლებში განთავსდნენ. მთელი ღამე შილდას დამცველები თავდასხმის მილიდინში იყვნენ. მტერი არ ჩანდა, თუმცა ფოხალის კოშკიდან სროლის ხმა ისმოდა. 3 ივლისს დილის 7 საათზე მთიელებმა შეუტყეს ქართველებს. ყველგან სასტიკი ბრძოლა მიმდინარეობდა - მოედანზე, გზაზე, ბაღებში. ბრძოლა 2 საათს გაგრძელდა. თავდაპირველად უპირატესობა სოფლის დამცველების მხარეზე იყო, მაგრამ უთანასწორო ძალების შეჭიდება მათი დამარცხებით დამთავრდა. შუადღეზე შილდა დაეცა. მტერი სანდოსაკენ გაეშურა, მთიელთა ნაწილი კი მდინარე ჩალთაზე გადავიდა, იმ მიზნით, რომ სოფლებს საბუესა და შაქრიანს დასხმოდნენ თავს. საფრთხე სულ უფრო რეალური ხდებოდა; თავადმა დავითმა მილიციელები გამოიძახა, მოხალისეებსაც სთხოვა გამოსვლა. რაზმს თავადი ჯორჯაძე მეთაურობდა და მისმა ქმედებამ წარმატება მოიტანა. საღამოს ყვარლიდან თავადის დასახმარებლად მეგრელთა პოლკის ორი ასეული გამოიმართა თავად ქობულოვის მეთაურობით, რომელიც სამთო ქვემეხებითაც იყო შეიარაღებული. 8 საათზე დახმარება კოდორიდან მოვიდა პოლკოვნიკ თავად თუმანოვის სახით, თბილისის ეგერთა პოლკის ამავე ბატალიონთა ორი სამთო ქვემეხით. ორივე ბატალიონი შილდის სიმაგრის მარცხენა მხარეს განთავსდა. 11 საათზე მთიელებმა ისევ სცადეს თავდასხმა, მაგრამ კვლავ უშედეგოდ, ასე დამთავრდა 3 ივლისის დღე. სამწუხაროდ, ტრაგიკული მოვლენები ჯერ კიდევ წინ იყო. შუადღისას ქართველები გამარჯვებას ზეიმობდნენ, მაგრამ თავადი ჭავჭავაძე შემფოთებული იყო მონადირეთა მოწინავე რაზმის გამოჩენით და სასწრაფოდ მისწერა მეუღლეს წერილი წინანდალში, რომელშიც ამშვიდებდა შინაურებს; თავადის წერილმა წინანდალს მიაღწია. უნდა აღინიშნოს, რომ თელავის ოლქის უფროსის პატაკის მიხედვით შილდაში 480 ადამიანი იყო დისლოცირებული; შემდეგი ცნობებით, რომელიც შეაგროვა დაღესტანში და ჩეჩნეთში მოგვიანებით ჩასულმა მთარგმნელმა ებრაელმა ისააკ გრამოვმა, მტერის დანაკლისი, დაახლოებით, 1200 ადამიანს ითვლიდა: “შამილის ბრძანებით აკრძალული იყო დანაკარგებზე საუბარი. თითოეული ნაიბი პირადად აცნობებდა შამილს მთიელთა შორის დანაკარგების შესახებ. ისააკ გრამოვის მოგზაურობისას არ დარჩენილიყო სოფელი, სადაც მისთვის შეკითხვა არ დაესვათ – ხომ არ არიან მთიელები

რუსების ან ქართველების ტყვეობაში? გრამოვი პასუხობდა, რომ ტყვეები არ არიან, მოკლულები კი ძალიან ბევრია” (ვერდერესკი: 1855).

დავუბრუნდეთ თავადის წინანდალში გაგზავნილ წერილს. უკეთესი იქნებოდა მას ადრესატამდე არ მიედწია, რადგან პირველი წარმატების შემდეგ თავბრუდახვეულმა თავადმა ვერ გაითვალისწინა რა მოყვებოდა ოჯახის წევრების დამშვიდებას და ყურადღების მოდუნებას. სხვადასხვა გარემოებებმა განაპირობეს საბედისწერო მოვლენები. თელავის მაზრის უფროსის თავად ანდრონიკოვის (ანდრონიკაშვილის) წარუმატებელმა ცდამ გადასულიყო ალაზანზე, სავარაუდოდ, მტერს უსაფრთხო გადასასვლელის ადგილი მიაჩნდა, სადაც წინანდალი და სხვა დაუცველი სოფლები იყო განლაგებული. თავად დავითის გაგზავნილმა მილიციელმა არაფერი იცოდა ანდრონიკოვის წარუმატებლობის შესახებ, მდინარის გადასასვლელთან მან ვერც ერთი მთიელი ვერ შენიშნა და ამიტომ დაარწმუნა წინანდალში მარტოდ დარჩენილი ქალები, რომ ალაზანზე სიმშვიდეა. გამთენიისას შილდაში ისევ არეულობა დაიწყო. დილით დავით ჭავჭავაძესთან გლეხი მივიდა და ამცნო მას, რომ მრავალრიცხოვანი მთიელთა ცხენოსანი რაზმი კონტრის მთას მიუახლოვდა და ალაზნისაკენ მიემართებოდა, სადაც ტოგნიანით გასვლას ეცდებოდა. თავადი, რომელმაც მანამდე არაფერი იცოდა ანდრონიკოვის ალაზნის წარუმატებელი გადასვლის შესახებ, შეშფოთდა და თავად რატიევს ჰკითხა, ჰქონდა თუ არა მათ იმედი, რომ შილდის სიმაგრე გაძლებდა მტრის დარტყმას. რატიევი დარწმუნებით ამტკიცებდა, რომ ციხე - სიმაგრე არ დაეცემოდა. ჭავჭავაძემ აშუამდ თავად თუმანოვს უბრძანა, რომ შეტევისათვის 4 ასეული მოემზადებინა. სწორედ მაშინ მოიტანა წინანდლიდან დაბრუნებულმა მილიციელმა თავად ორბელიანის წერილი, სადაც იგი იტყობინებოდა, რომ წინანდლის მოსახლეობა შეშინებულია; მამულში კი მხოლოდ ქალები და ბავშვები დარჩნენ; ყველა ოჯახი გაიხიზნა ტყეში, თვით მამაკაცებმაც კი ტყეს შეაფარეს თავი. თავადი უკვე აღარ ფიქრობდა სახლსა და ქონებაზე; მას ახლობლების ბედი აწუხებდა, მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო. წინანდალი და გარშემო მყოფი 4-5 სოფელი ცეცხლში იყო გახვეული; მთიელები ალაზნის გასწვრივ იყვნენ. “თავადს მდინარის მისთვის ყველაზე ძვირფასი არსებებისაგან ერთი ნაპირი აშორებდა. მოვალეობა კარნახობდა დაესაჯა მტერი, მაგრამ შიშის გრძნობა შინაგანად აფრთხილებდა, რომ ამ შემთხვევაში მთიელები მის ოჯახს გაანადგურებდნენ” (ვერდერესკი: 1855). უნდა აღინიშნოს, რომ ყველამ, ვინც ტყეს შეაფარა

თავი – გადარჩა; თავადმა კი ღმერთს მიანდო თავისი და თავისიანების ბედი და უკან დაიხია.

იმ მომენტისათვის ეს მომგებიანი პოზიცია აღმოჩნდა. მთიელთა დიდი ნაწილი განადგურებულ იქნა, მაგრამ როდესაც მილიციელებმა თავად დავითს ნადავლი მიუტანეს, მას ელდა ეცა - მის წინ წინანდლის მამულიდან წამოდებული ნივთები ეწყო. გლოვის დრო არ იყო, თუმცა თავადი იმედოვნებდა, რომ ჯერ კიდევ არაფერი იყო დაკარგული. ამავე დროს თავადმა რატიევმა დაავალა მეგრელთა ეგერის პოლკის კაპიტანს დაეკავებინა კონთხის მთა და გაეთავისუფლებინა თუნდაც ნაწილი ტყვეებისა, თვითონ კი შილდისაკენ გაემართა. პირველი შეტევისას მთიელებმა უკან დაიხიეს. ქართული რაზმის პორუჩიკ მამაცევს (მამაცაშვილი) დაევალა ყაჩაღების ეკლესიიდან გამოდევნა, მაგრამ სამწუხაროდ, ახალგაზრდა მამაკაცი პირველი დაცვა ბრძოლისას; მასთან ერთად დაიღუპა 6 მილიციელი. დიდი დანაკლისის გარეშე ეკლესიას ვერ აიღებდნენ, ამიტომ თავადმა დავითმა ბრძანა გადაეწვად ის, თუმცა კი ამ გადაწყვეტილების მიღებისას გული სტკიოდა.

ცეცხლმა გაანადგურა მთიელები. მეორე დღეს კონთხზე გაგზავნეს რაზმი დაღუპული ქართველების ნეშტების გამოსატანად. მიცვალებულებს შორის, შეძრწუნებულმა ქართველებმა, თავად დავით ჭავჭავაძის ოთხი თვის ქალიშვილი, ლიდია იპოვეს. მამისაგან მალულად, ნეშტი წინანდალში გადაასვენეს და წმინდა გიორგის ეკლესიაში დაკრძალეს. მოკლულებს შორის აგრეთვე თავადის მოურავის მერაბ გამყრელიძის მეუღლე დარეჯანი იპოვეს. დავითი თავის მამულისაკენ - წინანდლისაკენ ისწრაფოდა, მაგრამ რაზმს პოლკოვნიკ კულბახის მოსვლამდე ვერ ტოვებდა. შემდეგ კი ვედარ აიძულა თავი წასულიყო მამულში, რადგან თავად რომან ჭავჭავაძისაგან საშინელი სიმართლე შეიტყო. 8 ივლისს ყვარელში სასაზღვრო ხაზის უფროსი, გენერალ - მაიორი თავადი მელიკოვი (მელიქიშვილი) ჩამოვიდა. თავადმა ანგარიში ჩააბარა მას და გაუბედურებული დავითი თბილისში გაამგზავრა. თელავში მას დის მეუღლე, სტატსკი - სოვეტნიკი ბარონი ნიკოლაი და თბილისის ვიცე – გუბერნატორი, პოლკოვნიკი მიხეილ კოლუბიაკინი შეხვდნენ და ისინი ერთად გაემგზავრნენ დედაქალაქში. “ამ მძიმე წუთებში თავისი ერთგულება ჭავჭავაძეების ოჯახს დაუმტკიცეს შორეულმა ნათესავებმა - თავად გულბათ ჭავჭავაძემ და იმერეთის აზნაურმა, პრაპორშიკმა მერაბ გამყრელიძემ, მისმა მოურავმა, ვისი მეუღლეც წინანდალში დაიღუპა” (ვერდერევესკი: 1855). ეს ერთგული ადამიანები ამ დროს

მუკუზანსა და ნაფარულში იმყოფებოდნენ, წინანდალთან ახლოს. როდესაც შილდაში ხანძარი დაინახეს, მიხვდნენ, რომ თავადი საფრთხეში იყო და გაუფიქრებლად გასწიეს შილდაში. ისინი ამ დროს თავის თავზე კი არა, არამედ დავითზე ფიქრობდნენ. ცეცხლში გახვეულ მამულს რომ მიუახლოვდნენ, ნანგრევებში მოქეთინე ასი წლის მოხუცი მარინე, ჭავჭავაძეების სამი თაობის გამრზდელი აღმოაჩინეს. აქ ნაწარმოებში ნათლად იკვეთება ადამიანების ბუნება - ერთგულება, გამბედაობა და სულმდაბლობაც. შემდეგი თავიდან ვიგებთ წინანდლის თავდასხმისა და ჭავჭავაძეებისა და ორბელიანების ოჯახების გატაცების შესახებ. წინანდლის მამულში დავით ჭავჭავაძის გამგზავრების შემდეგ, მოვლენები ასე წარმოიქმნა. მდინარის მეორე ნაპირზე სახლის აიენიდან ცეცხლის ანარეკლი კარგად ჩანდა. დიასახლისმა ანა ილიას ასულმა უსაფრთხოების ზომების მიღება გადაწყვიტა. მან უბრძანა მამასახლისს გაეკლიერებინა დაცვა და სახლის გარშემო მაღალი კედელი შემოეგლო, მაგრამ ისე მოხდა, რომ მისი მოახლეების უმრავლესობა თელავის მაზრის უფროსმა, თავად ანდრონიკოვმა წაიყვანა მილიციელების რაზმში, გლეხებმა კი არ შეასრულეს თავადი ქალის ბრძანება; ისინი ცდილობდნენ დაეყოლიებინათ თავადი ანა მათთან ერთად შეფარებულიყო წინანდლის ტყეს, თუმცა უშედეგოდ. მოხუცი ქალბატონი ანა ორბელიანი არ თანხმდებოდა მამულის დატოვებას; რაც შეეხება ჭავჭავაძეებს, მათ არ სჯეროდად, რომ მეზობლები იმავე წუთს არ დაეხმარებოდნენ და არ გააგებინებდნენ მათ მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, რათა საერთო ძალისხმევით გადაერჩინათ თავი. რომან და გულბათ ჭავჭავაძეების ოჯახები დროულად გაიხიზნენ. თავადი ჩობაძის მეუღლე ურჩევდა კნენა ანას თელავში მოექებნა თავშესაფარი, მაგრამ ამაოდ. დილით ჭავჭავაძეების და ორბელიანების ოჯახები წირვას დაესწრნენ, მღვდელი ახლახან დაბრუნებული იყო თელავიდან და ირწმუნებოდა, რომ იქ სიმშვიდე და უსაფრთხოება სუფევდა. იმავე დღეს მდინარე ალაზანზე გაგზავნილი კაცი დაბრუნდა და მოახსენა თავადის ქალებს, რომ თუმცაღა ლეკების ერთი რაზმი მდინარის მეორე ნაპირზე გადმოვიდა, მაგრამ იქ თავად ანდრონიკოვის ძლიერი რაზმი იდგა და საგანგაშო არაფერი იყო. ეს უკანასკნელი შანსი გადარჩენისა არავინ არ გამოიყენა, მით უმეტეს, რომ ამ დროს თავადის გამოგზავნილი წერილიც მიიტანა შიკრიკმა; კნენას საპასუხო წერილმა კი, როგორც ვიცით, დაიგვიანა. ქალბატონებს დაბურული ტყის იმედი ჰქონდათ და დიდად არ შფოთავდნენ, თუმცა ღამით მაინც მიიღეს წინასწარი ზომები- ყარაული

დააყენეს და მშვიდად დაიძინეს. განთიადისას გაისმა გასროლა, რაც მიანიშნებდა, რომ სახლი დაცვის გარეშე დარჩა და მთიელებს დაუსჯელად შეეძლოთ მისი ძარცვა. მთელი სახლი ფეხზე დადგა. უფროსმა ქალბატონმა გამგზავრება ბრძანა, მაგრამ მოახლეები არ ჩქარობდნენ, ნელა ალაგებდნენ ბარგს, ფულს, სამკაულებს, ჭურჭელს და ტანსაცმელს. დილის 8 საათზე შტაბს – კაპიტან ახვერდოვის ხმა გაისმა, რომელმაც წინანდლის მცხოვრებლებს მტრის მოახლოება ამცნო. ამ ამბავმა ყველა პანიკაში ჩააგდო, მოახლეები იქით - აქეთ დარბოდნენ. მოხუცი, ავადმყოფი ახვერდოვი ბაღში ეძებდა სამალავს, მიიღობინა ბაღის ბოლოს მდებარე ხეებთან, აძვრა ერთზე, მაგრამ ტოტებმა სიმძიმეს ვერ გაუძლეს და გვერდზე გადაიხარდნენ; ასე ჩამოკიდებულმა გაატარა დღე - ღამე შტაბს - კაპიტანმა და ტყვეობას გადაურჩა. კნენა ანა შეეცადა მთელი ოჯახი ზედა სართულზე შეეკრიბა; ენით აღუწერელმა შიშმა მოიცვა მთელი ოჯახი. ერთ-ერთი კნენა ბარბაღე მშვიდად იყო, მხოლოდ ერთი რამის ეშინოდა - არ გამხდარიყო ახლობლების სიკვდილის მოწმე, ამიტომ მან გადაწყვიტა პირველი შეგებებოდა მტერს და ამიტომ პირით კარისაკენ დადგა. მას გვერდით ამოუდგა კნენა ნინა ბარატოვა (ბარათაშვილი). ასე იდგნენ ერთმანეთს მიკრულნი ერთი საათის მანძილზე. ეს დრო მტერს პირველი სართულის გაძარცვისათვის დასჭირდა. გადარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა; ერთადერთი მოხუცი თინია, რომელიც შიშისაგან საკუჭნაოში დაიმალა - გადაურჩა ტყვეობას. ლოცვითა და შიშით უყურადებდნენ მეორე სართულზე შეფარებული ქალები და ბავშვები მხეცების თარეშს; ტყუილად იმედოვნებდნენ, რომ მათ ოთახში მთიელები არ შეიჭრდებოდნენ. ამოსულმა მტერმა ბოქლომი გაუტეხეს ჩაკეტილ კარს. მხეცებმა მოწინააღმდეგეების ნაცვლად უმწეო ქალები და ბავშვების დანახვაზე ხარხალი ატეხეს. ბავშვებმა ტირილი და კივილი დაიწყეს. ჩენებმა და ლეკებმა უხეშად სტაცეს ხელი ტყვეებს და კიბზე დააგორეს. კიბემ ვერ გაუძლო ამ სიმძიმეს და ჩატყდა, კნენას ოთხი თვის ქალიშვილი ლიდია ხელიდან გაუვარდა და მან თავის თვალთ დაინახა თუ როგორ დაადგა ფეხი ბავშვს ერთ-ერთმა ჩენებმა. მთიელები ყველანი ერთად მიესიენ კნენა ანა ჭავჭავაძეს და საბოლოოდ მოხდა რაც მოხდა; ის, რასაც ვარაუდობდნენ – ტყვე ქალებს ერთი ბედი აქვს. ნუ, “ყისმათი”, როგორც მუსლიმანები ამბობენ, ყველაფერი ალახის ხელშია.

ავტორს მიაჩნდა, რომ “მოთხრობა ცალკეულ თავებად უნდა დაყოფილიყო

თითოეულ თავში მოქმედი პირის ტრაგედიის თანმიმდევრული აღწერით” (ვერდერესკი: 1855).

სამწუხაროდ, დარჩენილი თავები აღარ დაბეჭდილა. რედაქციამ ოცდაათიდან მხოლოდ სამი თავი მიიღო იმ მიზნით, რომ მკითხველი გაცნობოდა ტრაგიკულ ისტორიას, რომელიც ცალკე წიგნად უნდა გამოცემულიყო უახლოეს ხანში და რომელიც უნდა გაყიდულიყო 1854 წლის წყალდიდობისგან დაზარებულთა სასარგებლოდ.

ავტორი მოგვითხრობს, რომ შამილმა გადაწყვიტა მძევლად აყვანილი დიდგვაროვანი ქალბატონების და ბავშვების სანაცვლოდ რუსეთში დატყვევებული შვილის ჯამალედინის გათავისუფლება მოეთხოვა. კნენების გამოსასყიდი პირობაც წააყენეს - მილიონი რუბლი ვერცხლით და ჯამალედინის დაბრუნება. მძევლები ვედენოში, შამილის რეზიდენციაში გადაიყვანეს, სადაც მათ 8 თვე და 6 დღე გაატარეს. ტყვეებს პატივისცემით ექცეოდნენ; ნიკოლოზ I გამოსასყიდზე თანხმობა განაცხადა. პოლკოვნიკ დავით ჭავჭავაძემ ჯამალედინი ხასავიურტში ჩაიყვანა. 1855 ქლის 10 მარტს მოხდა ტყვეების გაცვლა. ყველა მოხარული იყო ტრაგედიის ასეთი დასასრულით.

თავად ჭავჭავაძეებისა და ორბელიანების ოჯახებზე თავდატეხილი მოვლენები თანამედროვე საზოგადოებაში ბარბაროსების დროინდელ მივიწყებულ ქმედებად ან ფენიმორ კუპერის მიერ ინდიელებზე მოთხრობილ ამბებად შეიძლება მოგვეჩვენოს. საბედნიეროდ ასეთი შემთხვევები ჩვენს დროში თითქმის აღარ ხდება, რა თქმა ენდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თანამედროვე ტერორისტებს, საკუთარი სურვილების შესასრულებლად მძევლების აყვანას რომ არ ერიდებიან. ეს ქვეყნებსა და რელიგიებს შორის არსებული შეურიგებელი წინააღმდეგობები არის. სამწუხაროდ, ტერორიზმი ერთი რომელიმე ცალკე აღებული ეპოქის დამახასიათებელი თვისება არ არის. ასეთი შეტაკებები ქრისტიანებსა და მუსლიმანებს, განათლებულებსა და გაუნათლებლებს შორის XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ კიდევ არსებობდა კავკასიაში. იქ სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა - ხანტინგტონის თქმით “ცივილიზაციების ბრძოლა”. ყველა ბრძოლას თავისი სიმართლე აქვს. შემთხვევით წარმატება ზოგჯერ ბარბაროსების მხარესაც ხდება ხოლმე. კიდევ ვიმეორებთ, რომ ეს ტრაგიკული მოვლენები სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვე ტერორიზმის წინაპირობა, რომელიც აქა თუ იქ XXI საუკუნეშიც არ არის იშვიათი. 1854 წელს ორბელიანებისა და

ჭავჭავაძეების თავს დატყევილი უბედურება ნათელი გამოვლინებაა იმ შედეგების, რაც თან სდევს უვიცობის ცოდნაზე დროებით გამარჯვებას. ამასთან ერთად, ავტორმა დაგვანახა აქამდე დაფარული, დაუნახავი ჩვეულებების მთელი სამყარო. ეს ტრაგიკული გატაცება სანიმუშოა ყველესათვის და საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში კარგად არის აღბეჭდილი, მაგრამ ამბავი უფრო ფასეულია უშუალო მოწმეების ჩვენებების, მათში მონაწილე ადამიანების მონათხრობის გამო. ეს არის უდანაშაულო, შემთხვევითობის ნებით ტრაგიკულ მოვლენებში ჩართული ადამიანების პირველი შთაბეჭდილებები; მწერალი კიდევ რამოდენიმე წერილმან ცნობებს გვაწვდის: თავდასხმის შესახებ ინფორმაციამ თბილისში, როგორც ყოველთვის, დაგვიანებით, დილის 6 საათზე მიაღწია. ქალაქი შეადრწუნა მთიელების თავხედობამ, რომლებმაც ალაზანზე გადმოსვლა გაბედეს. მაგრამ როდესაც თავადების ილია ორბელიანისა და დავით ჭავჭავაძის გატაცებული ოჯახების ბედკრული ამბის შესახებ გახდა ცნობილი, მათ აღშფოთებასა და გულისწყრომას საზღვარი არ ჰქონდა. ზოგიერთმა თბილისელმა ნაცნობმა, ვინც სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდა და მაღალ საზოგადოებას ეკუთნოდა, სურვილი გამოთქვა შამილთან გამგზავრებულიყო და თუნდაც საკუთარი თავისუფლების ფასად, ტყვეობიდან დაეხსნა კნეინები და ბავშვები. რა თქმა უნდა, ეს გეგმა განუხორციელი დარჩა. კავკასიაში და ამიერკავკასიაში სამოქალაქო სამმართველოს უფროსმა გენერალმა ნიკოლაი რეაღმა, რომელიც ამ დროს ჯარების მეთაური იყო, თანაგრძნობის წერილი გაუგზავნა თავად ილია ორბელიანს, მაგრამ წერილმა ვერ ჩაუსწრო მეფისწულს – ილია გიორგი ძე ორბელიანი მოსკოვში გარდაიცვალა ისე, რომ ქალიშვილების ტყვეობის შესახებ ვერაფერი გაიგო. ნაწყვეტი რეუდის წერილიდან: “თქვენი უბედურება უსაზღვროა, ისევე, როგორც დარდი, რომელმაც თქვენი მამობრივი გული მოიცვა. განგებამ დაღუპა თქვენი ქალიშვილები და, მათთან ერთად ჩვენც; მუდამ ისე ნუ გაგწირავთ ბედი, რომ არ მოგცეთ მათი ტყვეობის შემსრულებლების დასჯის საშუალება” (ვერდერესკი: 1855). თანაგრძნობა მოჩვენებითი არ იყო, კავკასიაში კარგად იცოდნენ რას ნიშნავს მთიელების ტყვეობაში ყოფნა. გლოვისათვის სხვა მიზეზიც არსებობდა. ტყვედ დები, მცირეწლოვანი შვილების დედები, ქართველი მეფისწულის შვილები და საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის შვილიშვილები იყვნენ ჩავარდნილნი, ხოლო მათი ქმრები თავადი ილია ორბელიანი და თავადი დავით ჭავჭავაძე ისტორიულად ცნობილი გვარის

წარმომადგენლები, ყველასათვის საყვარელი პიროვნებები იყვნენ. გენერალ - მაიორი ილია ორბელიანი ბაშ-კადიმერტან გმირულად დაიღუპა, იგი თვითონაც 8 თვე შამილის ტყვეობაში იმყოფებოდა როდესაც შამილი 1842 წელს თავს დაესხა კაზი - კუმისის ციხე - სიმაგრეს. მისი მამაც დიდხანს იმყოფებოდა სპარსელების ტყვეობაში. უნებურად ჩნდება აზრი ხომ არ არის ეს მთელი ოჯახისათვის მემკვიდრეობითი უბედურება? თბილისში ისიც იყო ცნობილი, რომ ბარბარე ორბელიანმა ქორწინებიდან წელიწადნახევრის შემდეგ დაკარგა მეუღლე და პირველი ვაჟი. რა ძლიერი სულის უნდა ყოფილიყო ბარბარე ასეთი ტანჯვისათვის რომ გაეძლო. არანაკლებ ბრწყინვალე იყო თავადი დავით ჭავჭავაძეც. მისგან განსხვავებით, უფრო უკეთესი ბედი ჰქონდა ანა ილიას ასულ ჭავჭავაძეს. იგი ბედნიერი მეუღლე და დედა იყო. ამ ორი დის შამილის ტყვეობის ბედი აღელვებდა არა მარტო მთელ საქართველოს, გაზეთ “კავკაზში” უამრავი წერილი მოდიოდა რუსეთიდანაც. მოსახლეობა თანაუგრძნობდა დავით ჭავჭავაძეს, რომელმაც რამოდენიმე დღეში დაკარგა არა მარტო ოჯახი, არამედ მთელი ქონებაც.

გაზეთ “კავკაზ“-ში ვხვდებით საინტერესო ინფორმაციას კახეთის სიამაყეზე, ჭავჭავაძეთა საყვარელი მამულის, წინანდლის შესახებ. ადგილმდებარეობის, კლიმატის სიმსუბუქისა და მდიდარი ნიადაგის წყალობით კახეთი თბილისზე, დუშეთზე, გორის ველებზე შედარებით უფრო მადლიანი, ბარაქიანი მხარეა. ბუნებამ უხვად დაასაჩუქრა ეს კუთხე; ყველასათვის ცნობილია კახური ღვინო; ხალხი შრომისმოყვარეა და მოხერხებულად იყენებს პატარა სამოთხისათვის ნაჩუქარ განძს. წინანდალი კი სამოთხის სამოთხეა; ის თელავიდან შვიდი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს და მდინარე ჩობახურის ნაპირზეა გაშენებული. დავით ჭავჭავაძე ოჯახით უმეტეს დროს მამულში ატარებდა. მისი სტუმართმოყვარეობა საქართველოს ფარგლებს გარეთ იყო ცნობილი. გამოჩენილმა რუსმა მწერალმა, პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ, კნენა ნინა ჭავჭავაძის საქმრომ (იმ დროს) ალექსანდრე გრიბოედოვმა, რომელიც წინანდლის ხშირი სტუმარი იყო, მშვენიერი ლექსი მიუძღვნა ამ მამულს

“Вот в дали лазурной плещет

Меж садами Алазань,

Вьётся лентою и блещет

Как серебряная ткань
 Вот вершины снеговые,
 Сквозь лазуревую высь
 Как ступени вековые
 Грозно к небу поднялись” (Грибоедов: 1959).

“ძნელია წარმოიდგინო წინანდლის სახლის აივნებიდან გადაშლილ სანახაობაზე უფრო დიდებული და მშვენიერი რამ. ერთი მხრიდან ალაზნის აყვავებული ველი ბაღებითა და სოფლებით; მეორე მხრიდან - დიდებული ალავერდის მონასტერი, მესამე მხრიდან კი კავკასიონის ქედის თოვლიანი მწვერვალები მოჩანდა” (ვერდერევესკი: 1855). აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ა. გრიბოედოვის კიდევ ერთი მშვენიერი ლექსი:

“Алазань, луга и скалы,
 Блеск лазури, чудный вид,
 А направо – Циондали,
 Где блаженствует Давид.
 Князь почётный и любимый
 В сонме доблестных князей!
 Мчись мой конь неутомимый
 В сей волшебный элизей.”
 “Там, где вьётся Алазань,
 Веет нега и прохладам
 Где в садах собирают дань
 Пурпурного винограда.
 Светло светит луч дневной
 Рано ищут, любят друга...
 Ты знаком ли с той страной
 Где земля не знает плуга..”
 “Странник, знаешь ты любовь,
 Ей живут и ею дышат,
 Страждут и падут в боях...” (Грибоедов: 1959).

სამწუხაროდ, კახეთი ხშირად იყო მოთარეშეთა თავდასხმის მსხვერპლი, რადგან მტრისაგან მას ერთადერთი გადასასვლელი ამორებდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. ლეკების შემოსევები ქართული პროვინციისათვის დიდ უბედურებას წარმოადგენდა, ამიტომ კახელები მუდმივად თავდაცვაზე ფიქრობდნენ, მაგრამ მტერი ისე მოულოდნელად შემოიჭრებოდა ხოლმე, რომ მოსახლეობა ვერ ასწრებდა და ვერ ახერხებდა დაცვას. საზღვარი დიდ სიგრძეზე იყო გადაჭიმული და მთიელები ახერხებდნენ ხაზის გარღვევას; ამ შემთხვევაში რეგულარული ჯარები უკან დასახევ გზას უჭრიდნენ და ანადგურებდნენ მტერს. ნაწყვეტი ცნობილი რუსი მწერლის ალექსანდრე ბესტუჟევი - მარლინსკის მოთხრობიდან “ამალატ - ბეკი”: “ლეკებს ქრისტიანული რწმენა დღემდე ახსოვთ, ამიტომ ისინი ცუდი მუსლიმანები არიან: არაყს სვამენ, შურისძიება მათთვის წმინდათა წმინდა მოვალეობაა; ყაჩაღობა სისხლში აქვთ გამჯდარი; ატაღისა და თხეზურუკის მწვერვალებიდან ტურ - ნატაუს ქედს გავლით კახეთში, მდინარე ალაზნის იქით გადადიან სოფელში სამუშაოდ; ზოგჯერ 2-3 დღე უსაქმურად არიან, შემდეგ კი, მშიერი მგლებივით, ღამღამობით ახლომახლო სოფელს თავს ესხმიან. საქონელს, ქალებს, ბავშვებს იტაცებენ; ტყვეები მიჰყავთ. ქალები ღამაზები ჰყავთ, მათ შორის ბევრია დატყვევებულიც” (ბესტუჟევი - მარლინსკი: 1962). სწორედ ასეთი შემთხვევა მოხდა 1854 წელსაც. ჭავჭავაძეებისა და ორბელიანების ოჯახები ლეკთა და ჩეჩნენტა შემოსევამდე ორი თვით ადრე ჩავიდნენ წინანდალში. აქ იყვნენ: დები ანა და ბარბარე ორბელიანები შვილებით, ახალგაზრდა თავადის ქალი ნინა ბარატოვა (ბარათაშვილი); საფრანგეთიდან ჩამოსული გუვერნანტი ქალი მადემუაზელ დორნსე. ტყვეობას გადაურჩნენ ნინა ბარატოვა და დავითის მესამე შვილი, რომლებიც სწორედ ამ მომენტში დავითის დასთან სამეგრელოს თავადთან, კნეინა ეკატერინე დადიანთან იმყოფებოდნენ სტუმრად.

1.5. იან სტასის შემოქმედება გაზეთ “კაკაზის” ფურცლებზე

“მოგზაურობა კახეთში”

როგორც ჩანს, პოლონელები ხშირად მოგზაურობდნენ საქართველოში და მათ დაგვიტოვეს ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხის მშვენიერი აღწერილობა. კაკაასიაში საჯარო სამსახურში მყოფ პოლონელთა ლიტერატურული

ნაწარმოებებიდან არ შეიძლება არ შევჩერდეთ იან სტასის საინტერესო ინფორმაციით სავსე მოთხრობაზე “მოგზაურობა კახეთში”

სტასის სტატია იწყება შუამთის უდაბნოს აღწერით, რომელიც ამდღეებულ ადგილას მდებარეობს და თავისი ქათქათა შენობებით ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს ნამდვილი მშვიდი სავანეა. შუამთის უდაბნოს მახლობლად არის ნავთით სავსე პატარა ღრმული; მის მახლობლად კი ძველი, ჩამონგრეული კოშკი გვხვდება. “რამდენი ასეთი ნანგრევია შემორჩენილი მთელს საქართველოში, რაც იმას ადასტურებს, რომ ადრე იგი მჭიდროდ იყო დასახლებული” (სტასი:1881). “ქართველი ხალხი მრავალტანჯული ხალხია, მან იმდენი გამანადგურებელი შემოსევა გადაიტანა, რამდენიც არავის განუცდია მთელს მსოფლიოში” (სტასი: 1881).

და მართლაც, ძველი დროიდან მოყოლებული ვის არ უთარეშია საქართველოში: ხაზარებს, რომაელებს, ბერძნებს, სპარსელებს, მონღოლებს, თურქებს. ყველა ეს დამპყრობელი თავის მოვალეობად თვლიდა გაენადგურებინა და მოესპო ქართველი ხალხი. რასაკვირია, ქართველი ხალხის ცხოვრებისუნარიანობა ძლიერი იყო, ისევე როგორც დიდი იყო ქრისტიანობის ძალა; რელიგია დაეხმარა ქართველებს ბარბაროსული შემოსევებისათვის გაექლმით და გადარჩენილიყვნენ. ამავე აზრს ქრისტიანული სარწმუნოების ძალაზე ჩვენ ვხდებით კაპიტან ტრმასკოვსკის სტატიაში “გურიის მოკლე ისტორიული მისი მიმოხილვა რუსეთთან მიერთების შემდეგ”

გომბორში არის სამხედრო დასახლება, მოგვითხრობს ავტორი, საიდანაც გომბორის ქედის უმაღლესი წერტილიდან შეიძლება დაეშვე. ეს ადგილი უზარმაზარი ღრმულია, რომელზეც გორგასლის მიერ აშენებული ციხის ნანგრევებია აღმართული. გომბორელებს სჯერათ, რომ კოშკში არის ტაძარი, ხოლო მიწის ქვეშ საფუტკრე, სადაც დღემდე ბუდობენ ფუტკრები. მიწის ქვეშ ჩასვლა შეუძლებელია: იქ ბნელა და სანთელსაც ვერ აანთებ, იგი მაშინვე ქრება. როგორც ჩანს, მიწის ქვეშა ფუტკრები არ არის ფანტაზიის ნაყოფი, რადგან ჩვენს დღევანდელობაში საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კახეთში, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს გაქვავებული თაფლი, რომელიც თაფლის უძველესი სახეობაა. ადგილობრივ მოსახლეობაიდან ბევრი გადამდგარი ჯარისკაცია; აქ ბევრი ნათელი და სუფთა სახლია. ერთ - ერთ სახლში ავტორმა რუსული და პოლონური წიგნებით სავსე თაროები ნახა. აღმოჩნდა, რომ სახლის პატრონი პოლონელი იყო, რომელიც დიდი ხნის წინ დასახლდა საქართველოში. ავტორი

აღფრთოვანებულია გომბორის სილამაზით, სუფთა ჰაერით; იმით, რომ იქაც კი შეხვდა თანამემამულე. იან სტასი ოცნებობს, რომ მსოფლიოში არ იქნება შური, ხალხი ერთმანეთს არ დაჭამს, არ იქნება ქალაქებს შორის საზღვრები, რაც დღევანდელ დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში ძლიერ აქტუალურია. გომბორზე მოციმციმე ვარსკლავები პოლონელ მოგზაურს და საქართველოს ამ კუთხის მოტრფიალეს ფლამარიონს ასხენებდნენ.

ასე მხატვრულად არის მოთხრობაში წარმოდგენილი საქართველოს ეს კუთხე და ჩვენ მადლობლები უნდა ვიყოთ ამ პოლონელის მიმართ, მისი საქართველოსადმი და კავკასიისადმი ასეთი ინტერესისა და სიყვარულისათვის.

1.6. ვლოდიმეუ მლოკოსევიჩის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე

“ნადირობის სწორი ორგანიზების შესახებ”

საქართველოში მცხოვრები და მომუშავე პოლონელები არა მხოლოდ აღწერდნენ ამ მხარის სილამაზეს, მის ქალაქებსა და სოფლებს, არამედ ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ ეროვნულ მეურნეობაში. ისინი გაზეთ “კავკაზის” საშუალებით საქმიან რჩევებს აწვდიდნენ მოსახლეობას.

მლოკოსევიჩის მიერ “კავკაზში” გამოქვეყნებულ წერილში მოცემულია პრაქტიკული რჩევები. ნათქვამია, რომ საქართველოში აუცილებლად უნდა განვითარდეს სწორი შეხედულება ნადირობაზე, რადგან არასწორი ნადირობა სავალალოდ აისახება საქართველოს ბუნებაზე: “მამასახლისები უნდა მიხედნენ, რომ საჭიროა თავიანთი სიმდიდრის დაცვა” - წერს ავტორი. (მლოკოსევიჩი: 1884)

საქართველო მლოკოსევიჩის საყვარელი ქვეყანა გახდა. მისი აზრით მცდარია აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოში ნადირობისათვის კარგი პირობებია. მართალია, საქართველოში ბევრი ნადირია - დათვი, ტურა, მელა, მგელი, ფოცხვერი, მაგრამ ისინიც თითქმის განადგურებულებია და შეტანილია “წითელ წიგნში”. მლოკოსევიჩი წერს იმის შესახებ, თუ როგორ ანადგურებენ საქართველოში ეროვნულ სიმდიდრეს; ეს საკითხი, ჩვენი აზრით, დღესაც, XXI საუკუნეშიც ძალიან აქტუალურია.

“სიმართლე უნდა ვთქვათ: საკუთრივ კავკასიური სახეები განადგურების პირას არიან მისულნი” (მლოკოსევიჩი: 1884).

რა სასიამოვნოა, რომ არსებობენ ადამიანები, უცხოელები, რომელთაც გული შესტკივთ საქართველოს და კავკასიის ეროვნულ სიმდიდრეზე. მლოკოსეიჩი აძლევდა ქართველებს რჩევებს, თუ როგორ გადაერჩინათ და მოემრავლებინათ გადაშენების გზაზე დამდგარი ფაუნა. გარდა ამისა, სტატია ატარებს შემეცნებით ხასიატს, რაც ძალიან დამახასიათებელია პოლონელი ავტორებისათვის. ამ სტატიიდან ბევრს ვიგებთ საქართველოს და კავკასიის ბუნებასა და ფაუნაზე; ეს რჩევები დღევანდელ დღესაც საკმაოდ კარგად ესადაგება საქართველოს და კავკასიის ბუნების პრობლემებს.

1.7. კაპიტან ტრშასკოვსკის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე

“გურიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა რუსეთთან მიერთების შემდეგ”

კაპიტან ტრშასკოვსკის “გურიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა რუსეთთან მიერთების შემდეგ” მეტად საინტერესო ნაწარმოებია. ავტორი ხშირად წერდა გურიაზე. როგორც ჩანს, იგი საქართველოს ამ კუთხეში მსახურობდა და დაინტერესებული იყო ამ მხარის ისტორიით, რომელიც ტრაგიკული მოვლენებით იყო აღსავსე.

ტრშასკოვსკი თავის მიმოხილვაში გვაუწყებს, რომ გურია იმ დროს იმერეთის სამეფოში შედიოდა, რომელსაც შემდგომში გამოეყო და ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა. მას მართავდნენ მთავრები რომელთაც გურიელებს

უწოდებდნენ. გურიაში დამოუკიდებლობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა. თურქეთმა დაიპყრო შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთ ნაწილი და გურიაც მათ დაემორჩილა, თუმცა მხოლოდ გარეგნულად, იხდიდა რა მცირე, სრულიად მინიმალურ გადასახადს. გურულების შინაურმა ომებმა მეგრელებთან, იმერელებთან, ახალციხის მმართველთან, თვით გურულებს შორის შეტაკებებმა ეს ულამაზესი კუთხე განადგურებამდე მიიყვანა. ხალხი უმეცრებაში, ცუდ დღეში ჩაგარდა; ღალატი, ანგარება, სისასტიკე, სიძულვილი იმდენად ჩვეულებრივ ამბათ იქცა, რომ ეს აღარავის უკვირდა (ტრშასკოვსკი: 1846). მხოლოდ ქრისტიანული რწმენა, რომელსაც ეთაყვანებოდნენ გურულები როგორც წინაპართა უძვირფასეს მემკვიდრეობას, შემორჩა გურულებში; არ შეიძლება არ აღინიშნოს მათთვის დამახასიათებელი სიმამაცეც. სასულიერო პირებმა შეძლეს გურიის თურქეთის სრული ბატონობისაგან დაცვა და

გადარჩენა. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა თავის მმართველობას დაუქვემდებარა გურია და შედეგად, მთელს კავკასიაზე გაავრცელა თავისი ძალაუფლება. როგორც იქნა შეწყდა თურქეთთან ბრძოლა, თუმცა გურია რუსეთის გამგებლობაში შევიდა.

ეს მოვლენები ლიტერატურულ - ისტორიული მიმოხილვის სახით გამოქვეყნებული იყო კაპიტან ა. ტრშასკოვსკის მიერ გაზეთ “კავკაზში”. მიმოხილვა საინტერესო და შემეცნებითი იყო, მით უმეტეს, რომ იგი არ ემთხვეოდა სახელმძღვანელოებში მოცემულ ოფიციალურ ცნობებს და უცხოელის, პოლონელის დიდ დაინტერესებას გამოხატავდა საქართველოს ისტორიის მიმართ.

გურიის მმართველები ძველი დროიდან აღიარებდნენ პორტას მმართველობას და სულთანის ნებართვით სარგებლობდნენ დამოუკიდებელი მართვის უფლებებით, რაც გურიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც შენარჩუნებულ იქნა გურულების ენა და სარწმუნოება. გურულები ვალდებულნი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ თურქეთის ომებში. ცნობილი ფრანგი მოგზაურის შარდენის ცნობით, ბეგარა, რომელსაც გურულები უხდიდნენ სულტანს, შეადგენდა 46 ქალსა და მამაკაცს ყოველწლიურად და ახალგაზრდებს ათიდან ოც წლამდე. ყველა მონაცემის მიხედვით ბეგარა ძალიან დიდი იყო, რადგან გურია მუდამ მცირერიცხოვანი იყო.

“გურიას შეეძლო შეენარჩუნებინა თავისი დამოუკიდებლობა, რომ არა გაუთავებელი შინა ომები მეზობლებთან, რის გამოც თურქთა ჩარევა იყო საჭირო” (ტრშასკოვსკი: 1846).

საზღვართან მცხოვრებლებს კი ჩაგრავენ როგორც თავისიანები, ასევე დამყრობლები; ხშირად ჩაგრულნი თურქთა მფარველობის სანაცვლოდ მუსლიმანურ სარწმუნოებას იღებდნენ. ასე გურიას გამოეყო ჩაქვი, კახაბერი და ქობულეთი.

რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოს სხვადასხვა პროვინციებთან ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დაიწყო. ქუჩუკ – კაინარჯის 1779 წლის ხელშეკრულებით რუსეთისა და პორტას შორის დადებულ ტრაქტატში გურია, იმერეთი და სამეგრელო პორტას მიერ აღიარებული იყო და მათ მმართველებმა რუსეთის მეფეებს ერთგულება შეჰფიცეს.

რუსეთის არმია გურიაში პირველად გამოჩნდა გრაფი ტოტლებენის ექსპედიციის დროს. “1770 წელს მათ შემოარტყეს ალყა ქალაქ ფოთს, ხოლო

1771 წელს დაამარცხეს თურქების, აფხაზებისა და ლეკების ჯარი” (ტრშასკოვსკი: 1846).

რუსეთის ჯარს გურული თავადი ნაკაშიძეები ეხმარებოდნენ. იმ დროს გურიას გიორგი გურიელი მმართვედა, მისი სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრე, სუსტი და უცნაური სიმონი, თურქეთის ბატონობას აღიარებდა. სიმონის სიკვდილის შემდეგ კი კანონიერი მმართველი გახდა სამი წლის მამია გურიელი. მისი წლოვანებით სარგებლობდნენ ბიძები ვახტანგი და ლევანი, მაგრამ მესამე ძმა ქაიხოსრო გურიელი გასაოცარი ერთგულებით იცავდა მცირეწლოვან ძმისშვილს. ყველა ეს ქმედება ძალზე დამახასიათებელია იმდროინდელი საქართველოსათვის, სადაც დიდი სისხლი იღვრებოდა; ადგილი ჰქონდა ღალატს, მკვლელობას, თუმცა შეიძლება იგივე გამეურებულები ჩვენს დროშიც. დღეს ხშირ შემთხვევაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და საზოგადოებრივ აზრს ასე თუ ისე უწევენ ანგარიშს. სამყაროში, რომელიც სავსეა თანამგზავრებით და რაკერებით, შეუძლებელია რაიმეს დამალვა, თუმცა შესაძლებელია ნებისმიერ ინფორმაციას სხვადასხვა ინტერპრეტაცია მიეცეს.

ტრშასკოვსკის მიმოხილვის მიხედვით, მიაღწია თუ რა მამიამ სრულწლოვნებას, ქაიხოსრომ მას მმართველობა გადასცა. ამ დროს რუსეთმაც დაიწყო კავკასიაში თავისი ძალა-უფლების გავრცელება. ქაიხოსრო უცდიდა იმ დროს, როდესაც უმტკივნეულოდ შეძლებდა გურიის რუსეთის მმართველობის ქვეშ შეყვანას; იგი ძალიან ჭკვიანი კაცი გახლდათ, ფლობდა რამოდენიმე ენას, რაც იმ დროისათვის იშვიათობა იყო. ქაიხოსრო მონაწილეობდა შერიფ-ყაენის წინაამდგე 1809 წლის ბრძოლაში, ამ ბრძოლის შემდეგ მამია გურიის მმართველად დაინიშნა. დანიშვნის შემდეგ მამიამ ნაკაშიძეების ციხე-სიმაგრის დანგრევა მოითხოვა, რაც გენერალ - მაიორმა ა. ერმოლოვმა დააკმაყოფილა. როგორც ჩანს, კავკასიაში მეფისნაცვალის ცდილობდა მაინცდამაინც არ გაეღიზიანებინა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მმართველები.

“1812 წელს იმერეთსა და სამეგრელოში თურქეთის წინაამდგე საბრძოლო მოქმედებები დასრულდა და დაიდო გულისტანის ზავი სპარსეთთან. ყოველივე ამან მისცა რუსეთის ხელისუფლებას საშუალება ეზრუნა კავკასიის შინაგან მოწყობაზე” (ტრშასკოვსკი: 1846).

ასე თავდება ისტორია გურიის მმართველზე მამია გურიელზე. ამ მცირე ნარკვევში არის უამრავი ინფორმაცია, XIX საუკუნის დასაწყისში გურიაში მომხდარი ამბების შესახებ. გარდა ამისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ

გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, სვანეთის და აფხაზეთის ხელმძღვანელობა ერთ კაცს დაავალეს, რომელსაც იმერეთის მმართველი ერქვა. ამ პროვინციებში აჯანყებების დასასშობად კი მას საკმაოდ დიდი დრო მიეცა - 1819 წლიდან 1834 წლამდე, იმ დრომდე, სანამ კავკასიის კორპუსი ერთ ბრიგადად არ გარდაიქმნა. ეს ბრიგადა ბატალიონის სამი პოლკისგან შედგებოდა. ველიამინოვი 1820 წელს გურიისაკენ გაიმართა, თავს დაესხა შემოქმედს, იგი შტურმით აიღო და სრულიად გაანადგურა. მან დაამარცხა დავით ერისთავი, დავიტ ბატონიშვილი და სხვები. პოლონელი მეამბოხეებისაგან განსხვავებით, რომლებიც კავკასიაში გადაასახლეს, ქართველები რუსეთში იქნენ გადასახლებულნი; ზოგიერთმა მათგანმა შეძლო შორეული რუსეთის პროვინციიდან საზღვარგარეთ გაქცევა. დავით ერისთავი ახალციხეში გადავიდა, სადაც თურქებთან ბრძოლაში მალევე დაიღუპა.

მამია გურიელი ცდილობდა გურიაში მშვიდობის დამყარებას. მას იმერეთის მმართველთან თავად მ. გორჩაკოვთან ჰქონდა მიმოწერა და მაინც, მიუხედავად თავისი რუსეთისადმი კეთილგანწყობისა, მამია გაბრაზდა, რომ დავით ერისთავის ქონება მას ხაზინის სასარგებლოდ ჩამოართვეს.

1822 წელს კი გურიაში უკვე სიმშვიდე სუფევდა. სხვაგვარად არც შეიძლება მომხდარიყო, რუსებს დიდი ძალა ჰქონდათ. რუსეთთან დაპირისპირება პატარა საქართველოსათვის, მით უმეტეს, უფრო პატარა გურიისათვის არარეალური იყო. 1823 წელს ყველა ჩამორთმეული მამული მამიას გადაეცა. გურიის დედაქალაქ ოზურგეთი გახდა. მამია გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, 37 წლის. ის იყო მამაცი, კეთილი ადამიანი. გურიაში მან მრავალი ევროპული ტრადიცია შემოიტანა. მაგალითად, ევროპული ცეკვები და სიმფონიური ორკესტრი. ხალხი მას დიდ პატივს სცემდა.

ასე დასრულდა მამია გურიელის ამბავი, ამბავი ადამიანისა, რომელიც მთელი ძალით ცდილობდა გურიის ფეხზე დაყენებას. გაზეთ “კავკაზის”

მკითხველისათვის უცხოელის, პოლონელის მიერ დიდი სიყვარულით გადმოცემული ამ პატარა კუთხის ამბავი, ძალიან საინტერესო იკითხებოდა.

1.8. იან კრიჟანოვსკის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე

გაზეთ “კავკაზში” პოლონელების მიერ გამოქვეყნებული ნამუშევრები და ჩანახატები იმაზე მეტყველებენ, თუ რაოდენ დაინტერესებულნი იყვნენ ისინი

მთელი კავკასიის ბუნებით, ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, მრეწველობითა და კულტურული ცხოვრებით. იან კრიჟანოვსკიმ გაზეთ “კავკაზში” გამოაქვეყნა ორი პატარა ჩანახატი ერთნაირი სახელწოდებებით “ამბები თელავიდან”, თუმცა ისინი სხვადასხვა დროს დაიწერა.

8.1. “ამბები თელავიდან”

ეს საინტერესო ნარკვევი, რომელიც გაზეთ “კავკაზს” მიაწოდა არაპროფესიონალმა, მოყვარულმა მწერალმა იან კრიჟანოვსკიმ დაიბეჭდა გაზეთ “კავკაზის” რუბრიკაში “ქალაქური ამბები”. როგორც ნარკვევიდან ჩანს, პოლონელი კრიჟანოვსკი ცხოვრობდა თელავში და ძალიან უყვარდა ეს პატარა და მყუდრო ქალაქი. თელავი თავისი მდებარეობით, აღნიშნავს ავტორი, კავკასიის სამაზრო ქალაქების შორის უმშვენიერესი ხედებით გამოირჩევა. იგი არასოდეს გამხდარა ქართველ მეფეებს შორის დაპირისპირების მიზეზი: “ისინი აქ სულიერად ისვენებდნენ მრავალი ბრძოლის შემდეგ. მადლიერების ნიშნად ქართველი მეფეები ამ ქალაქს ღამაზი შენობებით ამშვენებდნენ. ჯერ კიდევ შემორჩენილია ციხე-დარბაზი და სხვა ძველი შენობები” (კრიჟანოვსკი: 1853). კრიჟანოვსკი აღნიშნავს, რომ თელავს, მთავარ გზასა და სავაჭრო ქალაქებს შორის საკმაოდ დიდი მანძილია, აქედან გამომდინარე ვაჭრობა აქ არასდროს ყვარდა. 1840 წელს თელავს სიღნაღი შეუერთდა, რამაც ორივე ქალაქი გამოაცოცხლა. თელავი კახეთის საუკეთესო კუთხეა - წერს ავტორი. იგი მდიდარია ვაზით, ბაღებით და მთელ ამიერკავკასიას საუკეთესო ღვინით ამარაგებს. ფშავ-ხევსურებს აქ აბრეშუმი ჩამოაქვთ გასაყიდად. გზა თელავიდან თბილისამდე არაკომფორტულია, თუმცა გეგმაშია გომბორზე ახალი გზის გაჭრა. კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვმა მოინახულა გომბორის მომავალი გზა და დარწმუნდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თელავიდან თბილისამდე პირდაპირი და შემოკლებული გზის არსებობა რეგიონში მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის.

გზის გაჭრის სამუშაოების დაწყების შემდეგ, შუამთის მონასტრის მამაოებმა გზის აგების სამუშაოების წარმატებით დასრულებისთვის საჯაროდ ილოცეს, რაც თელავის მოსახლეობისთვის უდიდეს მნიშვნელობას წარმოადგენდა.

1.8.2. “ამბები თელავიდან” (II)

იან კრიუანოვსკის ამ ჩანახატში მოთხრობილია ცხენოსნებზე, რომლებსაც თელაველები ყოველ ზაფხულს დიდი სიხარულით ხვდებოდნენ. ისინი აკონტროლებდნენ მაზრას და თავდასხმების შემთხვევაში სჯიდნენ თავდამსხმელ მთიელებს. 1853 წლის 12 ნოემბრისათვის მილიციის რაზმი 500 კაცამდე ითვლიდა. მათი დანიშნულება იყო თურქებთან ბრძოლა, რომლებიც მრავალი საუკუნის მანძილზე ქრისტიანებს ებრძოდნენ (კრიუანოვსკი: 1853).

ზემოთ აღნიშნული რაზმი თურქეთის საზღვართან იდგა. ქართველები ოდითგანვე იცავდნენ მართლმადიდებლობას და მათ საკუთარი სიცოცხლისა და თავგანწირვის ფასად გადაარჩინეს თავიანთი რწმენა.

თავი II

პოლონური კულტურული დისკურსი გაზეთ “კავკაზის” მასალების მიხედვით

კავკასია და კერძოდ, საქართველო გეოგრაფიული და პოლიტიკური მდებარეობის გამო, სხვადასხვა პირადი, პოლიტიკური, სამხედრო და სავაჭრო ინტერესების მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენდა, რის გამოც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა განსაკუთრებული კულტურული არეალი, რომელშიც იკვეთებოდა როგორც კავკასიის ხალხთა, ისე ევროპისა და აზიის უძველესი კულტურის ტრადიციები. თავის მხრივ, ეს ყველაფერი ქმნიდა განსაკუთრებულ კულტურულ ფენას, სადაც ყველა უცხო შემავალი კულტურის თვითმყოფადობა შენარჩუნებული იყო და ამავე დროს, ტრადიციების სინთეზი ხდებოდა. ამ გარემოებებმა განაპირეს კავკასიის გადასახლებული პოლონელების თავშესაფრად გადაქცევა; განსხვავებული ბედ-იღბალით კავკასიაში მოხვედრილები, ისინი წერილობით გადმოსცემდნენ ყველაფერს, რაც მათ ინტერესს იწვევდა და პოლონურ სიტყვიერებაში ტოვებდნენ თავიანთი მიღწევების მრავალრიცხოვან დასტურს. მათ პუბლიკაციებში აისახებოდა კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოში დაა კავკასიაში არ დარჩენილა კულტურის და მეცნიერების არც ერთი სფერო, სადაც პოლონელებს თავისი პოტენციალი არ გამოუჩენიათ. დღესაც თბილისს ამშვენებენ ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუსთაველის სახელობის თეატრი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, უმაღლესი სასამართლოს შენობა, რომელთა პროექტირებასა და მშენებლობაში პოლონელი არქიტექტორებიც მონაწილეობდნენ. გავაგრძელოთ ეს სია – ეროვნული პარლამენტის ბიბლიოთეკა პოლონელი მხატვრის გენრიკ გრინევსკის მიერ არის მოხატული” (ფილინა: 2012). XIX საუკუნის II ნახევარში პოლონელებმა გააცნეს ქართველ საზოგადოებას პოლონური კულტურა, საქართველოს და კავკასიის მრავალფეროვანი და რთული სამყარო; მათი დამსახურებაა, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა ამაყი, თავისუფლების მოყვარული, ნიჭიერი პოლონელის სახე-მიუხედავად იმისა, რომ პოლონელებს კავკასიასი დასჯის მიზნით აგზავნიდნენ, ხდებოდა პირიქით: “მათ ქართველ ინტელიგენციასთან საოცარი სულიერი კავშირი დაამყარეს” (ფილინა: 2012).

აღსანიშნავია, რომ თბილისი იზიდავდა გასტროლოგორებს, პროფესიონალ

კრიტიკოსებს, რომლებიც თბილისის მაყურებელსა და მსმენელს დახვეწილ მუსიკალურ გემოვნებას უნერგავდნენ. თბილისელები ეცნობოდნენ ნიჭიერ ახალგაზრდა რომანტიკოს კომპოზიტორებს - ფ. შოპენს, ფ. ლისტს, რ. შუმანს, რ. შუბერტს, ა. მენდელსონ-ბარტოლდის და სხვებს.

ლეონ იანიშევსკის მუსიკალური რეცენზიებითა და ბევრი სხვა კრიტიკოსის წყალობით, დედაქალაქის კულტურული ცხოვრება სულ უფრო და უფრო საინტერესო და მიმზიდველი ხდებოდა.

ამ თავში მოცემულია ყველა იმ მუსიკალურ-კრიტიკული სტატიის განხილვა და კულტურული ღონისძიებების ანალიზი, რომლებიც თბილისში XIX საუკუნის II ნახევარში იმართებოდა (რასაკვირველია, იმ ღონისძიებების და სტატიების შესახებ, რომლებიც გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე არის ასახული).

2.1. ლეონ იანიშევსკის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე

მუსიკალურ-კრიტიკული სტატიები

ლეონ იანიშევსკი იყო ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პოლონელი გადმოსახლებული საქართველოში. იგი იყო პოეტი, მუსიკოსი, მთარგმნელი, კრიტიკოსი. დაიბადა იანიშევსკი 1810 წელს; 1929 წელს ვარშავის უნივერსიტეტში ჩააბარა. “სწავლის დროს იგი სვეტონიუსის ტრაქტატებს თარგმნიდა და უნივერსიტეტის პროფესორების ყურადღება იმთავითვე მიიპყრო” (ფილინა: 2007).

1829 წელს იანიშევსკის ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა. იგი მიდის ლუბკოვოში პიარიავის მონასტერში და იწყებს მთარგმნელობით მოღვაწეობას, რომელიც შეწყვეტილ იქნა 1831 წლის აჯანყების გამო. შესაძლოა, იანიშევსკის შთაგონების ნიჭი ჰქონდა, რადგან მან ააჯანყა მორჩილები და მათთან ერთად ვარშავაში ჩავიდა. იანიშევსკი გოროხოვოსთან ბრძოლაში დაიჭრა, ტყვედ ჩავარდა და ბელორუსიაში, ბობრუისკში იქნა გადასახლებული, სადაც იგი სამხედრო ორკესტრს ხელმძღვანელობდა; 1841 წელს თავის პოლკთან ერთად იგი კავკასიაში, კერძოდ საქართველოში იქნა გადმოსახლებული, “როგორც ჩანს, ლეონ იანიშევსკი იყო ერთ-ერთი იმ ცოტაოდენი “კავკასიელთაგანი”, რომელმაც მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება თბილისში გაატარა.

ცნობილია, რომ გადმოსახლებული პოლონელები კავკასიის ომის

ეპიცენტრში აღმოჩნდნენ; ისინი ამ ომში შინაგანი პროტესტის გრძნობით მონაწილეობდნენ, რადგან მათ უხდებოდად დამყრობლის მხარეზე ბრძოლა” (ფილინა: 2007). ცარისტული ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული და გადასახლებული რიგითი პოლონელების მიმართ ჯარში საკმაოდ უარყოფითი დამოკიდებულება იყო. მათ შეეძლოთ გადადგომა მხოლოდ ოფიცრის ჩინით. “ამიტომ პოლონელების უმრავლესობა, რომლებსაც ეს ნანატრი ჩინი ენიჭებოდათ, მაშინვე ტოვებდნენ ჯარს. სწორედ ამის გამო ჩვენ დავარქვით მათ პოეზიას “პოდპორუჩიკების ლიტერატურა” (ფილინა: 2007).

იანიშევსკი საკმაოდ ბედნიერად გრძნობდა თავს თბილისში. ეს არაჩვეულებრივი აღმოსავლური ქალაქი მისი ბიოგრაფიის ნაწილი გახდა. იანიშევსკი მრავალი წელი მუშაობდა მუსიკის მასწავლებლად ალექსანდრე რაევსკის სკოლაში, სადაც ამ დროს გამოჩენილი ქართველი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე სწავლობდა; მოგვიანებით კი, ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ამ სკოლას. ბევრი მუსიკათმცოდნე თვლის, რომ ლეონ იანიშევსკი ქართული მუსიკალური კრიტიკის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. ”მის რეცენზიებში ვხვდებით იმ დიპლომატიურ მიდგომებს, რაც კრიტიკის სიმწვავეს არეგულირებს. იგი იცავს დედაქალაქის მცხოვრებლების უფლებებს უმასპინძლონ დიდ და ბუმბერაზ ხელოვანებს” (კირაკოსოვა: 2004).

“ლეონ იანიშევსკიმ ქართული პიანისტური სკოლის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა. იგი ამერიკაგასიის ქალთა ინსტიტუტში ასწავლიდა; მის მოწაფეთა შორის იყო ცნობილი პიანისტი, კომპოზიტორი და პედაგოგი, თბილისის პირველი მუსიკალური სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ალოიზ მიზანდარი” (ფილინა: 2007). მრავალმხრივი, ნიჭიერი და ორიგინალური პიროვნება ლეონ იანიშევსკი თბილისში 1861 წელს გარდაიცვალა.

“30-იან წლებში კავკასიაში, კერძოდ თბილისში, შეიქმნა პრაქტიკულად პოლონური რომანტიკული ლიტერატურის ფილიალი, რომელსაც პირობითად დაერქვა “კავკასიელი პოეტების ჯგუფი” (ფილინა, ოსოვსკა: 2009). კავკასიელი პოეტების წარმომადგენლები იყვნენ პროზაიკოსები, ისტორიკოსები, ეთნოგრაფები და თარჯიმნები.

იანიშევსკი აქტიურად თანამშრომლობდა თბილისში გამოცემულ პრესასთან; წერდა თეატრალურ და მუსიკალურ რეცენზიებს, რომლებიც იმდროინდელ სამოყვარულო თეატრებს გვიხატავდა. ბევრი ქართველი მუსიკათმცოდნე ლ. იანიშევსკის ქართული მუსიკალური პროფესიონალური

კრიტიკის მამამთავრად მიიჩნევს (ფილინა: 1991). 1846, 1847 და 1848 წლების გაზეთ “კავკაზში” დაბეჭდილია იანიშევსკის რამოდენიმე მუსიკალურ-კრიტიკული სტატია-რეცენზია.

იანიშევსკიმ რამოდენიმე მუსიკალური ნაწარმოებიც გამოაქვეყნა. 1847 წლის №38 გაზეთ “კავკაზში” მუსიკალურ განცხადებებში არის განთავსებული რეკლამა: “ერევნის მოედანზე განლაგებულ მაღაზია პელეტიერმა სანკტ - პეტერბურგიდან მიიღო ჟურნალი, სადაც გამოქვეყნებულია ლეონ იანიშევსკის ორი ახალი პოემა ფორტეპიანოსათვის:

1. ლეზგინკის და საქართველოში საყვარელი მოტივებისაგან შემდგარი ქართული პოემა

2. ორიგინალური ნაწარმოები – თიფლის პოემა

ორივე ნაწარმოების გამოცემა სახასიათო ნახატებით არის გაფორმებული (“კავკაზი”: 1847);

საინტერესოა ლადი ზაბლოცკის წერილი, რომელიც მან პოლონელ რედაქტორ პოდბერესკის წერდა ლეონ იანიშევსკის შესახებ: “Леон Янишевский опубликовал в Варшаве свое стихотворение «Баркарола», отрывок из поэмы и перевод «Цыган» Пушкина, о котором так лестно отозвался Михаил Грабовский в еженедельнике. А два тома стихов, которые он должен печатать в Вильне, не вышли по причинам, от него не зависящим... Особой оригинальностью замысла и глубиной чувств и мыслей поражает его драматическая поэма «Два дня». Сейчас он пишет «Картины и впечатления от путешествия на «Кавказ», которые будут выше, чем у Марлинского, а тем более у Войцеха Потоцкого. Он передаст тебе музыку к «Баркароле» и к одной из моих песен, а также о своих музыкальных композициях” (ფილინა: 2012).

აქვე მოგვყავს თვით ლეონ იანიშევსკის რედაქტორ პოდბერესკისადმი მიწერილი წერილი:

издателю «Паментника Науково-Литерацкего» Ромуальду Подберескому

Уважаемый Пан Ромуальд!

Желаешь, чтобы я сообщил тебе о трудах нашей молодежи на Кавказе и надеешься на их участие в твоих публикациях. Слишком рано ты представил образ нашего духовного и писательского состояния, о котором тебе как-то написал покойник Тадеуш. Знаю, что он там одним росчерком пера натворил историков, статистиков, этнографов, геологов, ориенталистов и т.д. и т.д. Что касается меня, то покорно признаю, что о большинстве из этих замечательных мужей и их творчестве знаю весьма немного. Что знаю, расскажу.

Стшельницкий умер – великий талант – настоящий поэт – писатель, подававший большие надежды. Знаешь его работы, потому что ты первым представил его творчество в своих «Рочниках» («Ежегодниках»). Больше он почти ничего не оставил. «Махмудек» – его лучшая повесть, но (увы), часто напоминающая «Муллу-Нур» Марлинского, была опубликована в «Библиотеке Варшавской». Стшельницкий был большим почитателем русской литературы. Марлинский был для него поэтом и прозаиком *nes plus ultra*. В результате, сам о том не ведая, пропитанный чтением его произведений, при создании «Махмудка» и в идеях, и в образах стал отчасти его наследником. Но зато в «Махмудке» есть отрывки, овеянные трогательной печалью, болезненным юмором, присущим лишь нашему незабвенному Владиславу. И без сомнения можно утверждать, что вскоре он бы отряхнулся от воспоминаний, которые делали его невольным подражателем, и стал бы нашим значительным, оригинальным писателем (ფილობა: 2012).

გარდა ამისა, ჩვენ მოვიძიეთ ლეონ იანიშვილის წერილი, რომელიც მან საკუთარ თავს მიუძღვნა:

“Я когда-то писал, в том числе много стихов, работал как музыкант-любитель, а ныне не пишу ни стихов, ни прозы, а музыкой занимаюсь как ремесленник с 8 утра до 8 вечера, то есть даю уроки музыки. Уж мог бы написать о себе больше, чем о других, но слишком долгая это легенда. В итоге скажу кратко, но решительно: какой была моя жизнь, таков и образ моего вдохновения. Содержание сочинений, это содержание моей более, чем бурной жизни. Прочитай все, что я написал, и узнаешь, чем был, чем желал быть, чем являюсь сейчас и чем пребуду до конца, несмотря на страдания души, утрату здоровья, уходящие годы и тяжкий труд. Не много приобретет литература от появления моих сочинений – более приобрел бы мыслящий человек, разгадывая источник вдохновения и пути, какими ведет меня Провидение. Читать меня будут с удовольствием по той безошибочной причине, что все, что я писал, было написано в моменты искреннего сердечного волнения, когда все, что переполняло сердце, вся вера, надежда, любовь, счастье, горечь, сомнение, насмешка и недоля выливалось в звуки. Об эстетическом исполнении моих произведений я не думал никогда. Все, что создалось, создалось, как Господь Бог дал. Хотите печатать – печатайте. Хотите читать – читайте. Вот и все о себе, даже чересчур (ფილობა: 2012).”

2.1.1. “პირველი მუსიკალური სადამო თბილისში”

ლეონ იანიშვესკის სტატიაში “პირველი მუსიკალური სადამო თბილისში” აღნიშნულია, რომ თბილისის თეატრალური ორკესტრის დირიჟორმა დომენიკო მალაგოლიმ იზრუნა მუსიკალურ სეზონზე და 1847 წლის 21 თებერვალს კეთილშობილთა კრების დარბაზში ჩაატარა პირველი მუსიკალური სადამო თბილისში, რომელმაც იანიშვესკიზე დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, დარბაზი კი ხალხმრავლობით არ გამოირჩეოდა. სტატიაში საკმაოდ ირონიულად არის მოთხრობილი, რომ დ. მალაგოლისთვის, რომელიც სულით ნამდვილი არტისტი იყო, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ ფაქტს, რომ სადამოს საკმაოდ ცოტა ხალხი ესწრებოდა, რადგან დამსწრეები მუსიკის ჭეშმარიტი მოყვარულები იყვნენ და მათ შეეძლოთ სადამოს ნამდვილი შეფასება.

სტატია, პრაქტიკულად, სავსეა ირონიული შენიშვნებით იმაზე, რომ მალაგოლი არ კარგავდა იმის იმედს, რომ თბილისის საზოგადოება მას მალევე დააფასებს. ამავე დროს, ლეონ იანიშვესკი რამდენიმე შენიშვნას აძლევს მალაგოლის, რათა მომავალში მუსიკალური სადამოები უკეთესად და უფრო საინტერესოდ ჩატარდეს. იანიშვესკის სტატია - რეცენზიის ანალიზი ცხადყოფს, რომ მუსიკალურმა სადამომ კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა კრიტიკოსზე, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ იგი უბრალო მსმენელია და ეს მისი პირადი შტაბეჭდილებაა: “მალაგოლის ვიოლინო ხანდახან ისე ნაზად უკრავდა, ხოლო ბაიერი, პიანისტი, ისე კარგად და ზუსტად არტყავდა კლავიშებს, რომ, როგორც ჩანს, სადამოს უინტერესოდ წარმართვაში ვიღაც არის დამნაშავე - ან მალაგოლი, რომელმაც კონცერტში სპარსული მუსიკა და მხატვრული კითხვა ჩართო, ან, უბრალოდ, მე ვერ ვერკვევი ამ არაესთეტიკურ ნაზავში” (იანიშვესკი: 1847).

სტატიის წაკითხვისას ნათელი ხდება, რომ კონცერტის ეკლექტურობა აშფოთებს კრიტიკოსს. იანიშვესკი სტატიაში არჩევს და კრიტიკულად აფასებს კონცერტის როგორც პირველ, ასევე მეორე განყოფილებებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი თბილისისათვის ეს ერთ-ერთი პირველი მუსიკალური სადამოც დიდი მიღწევა იყო. თბილისი არ იყო განებივრებული თუნდაც ამგვარი მუსიკალური სადამოებით. კონცერტის პირველი და მეორე განყოფილება დაიწყო ბატონ დომენიკო მალაგოლის საორკესტრო

უვერტიურებით, რაც ძლიერ წააგავდა ჰაიდნისა და მოცარტის საოპერო უვერტიურებს. “როგორც ჩანს, მუსიკა ცოტათი ნასესხებია ამ გამოჩენილი კომპოზიტორებისგან. იგი ჯოაკინო როსინისა ც მანონებს” (იანიშევსკი: 1847).

შემდეგ პროგრამაში იყო ტრიო - როსინგერის თხზულება ფორტეპიანოსათვის, ვიოლინოსა და ჩელოსათვის. ლეონ იანიშევსკი მაღაგოლის ცუდ გემოვნებაში და მუსიკალური რეპერტუარის არასწორ შერჩევაში სდებს ბრალს. კონცერტში მონაწილეობას იღებდა

პიანისტი ბეიერი; იანიშევსკი საკმაოდ კრიტიკულად აფასებს მის ცივ და უემოციო გამოსვლას. მის რეპერტუარში იყვნენ კომპოზიტორები - გერცი, კალკბრენერი, ოსბორნი და ჩერნი. კრიტიკოსს აინტერესებდა, თუ რატომ არ ირჩევს ბეიერი კონცერტისათვის ბრწყინვალე ახალგაზრდა რომანტიკოსი კომპოზიტორების ნაწარმოებებს - შოპენის ნოკტიურნებს, შუმანის და შუბერტის არაჩვეულებრივ მელოდიებს, რომლებიც ლისტის მიერ ფორტეპიანოსათვის არის არანჟირებული.

იანიშევსკი კონცერტის მონაწილეებს არწმუნებს, რომ თბილისის საზოგადოება მუსიკას გულთ უსმენს და არა თვალით; მაცურებელი შემსრულებლების მადლობელი იქნებოდა მაღალი ხელოვნებისათვის.

კონცერტის არამუსიკალურმა ნაწილმა კიდევ უფრო გააღიზიანა ლეონ იანიშევსკი. ამ განყოფილებაში სრულდებოდა სპარსული მუსიკა და კითხულობდნენ გამოჩენილი რუსი პოეტის ა. პუშკინის პოემას “ბრინჯაოს მხედარი”. იანიშევსკი გააკვირვებულია, თუ რატომ უნდა შესრულებულიყო მაღაგოლის მელოდია საყვირებზე, როდესაც მას შეეძლო სცენაზე ქართული პოლკის გამოყვანა, ისინი ხომ ამ მუსიკას კარგად შეასრულებდნენ. რეცენზიაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პუშკინის პოემის წაკითხვამ დამსწრე საზოგადოებაში, რომელიც აღმერთებს უდიდეს პოეტს, დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

კონცერტის დასასრულს სპარსულ მუსიკას ასრულებდა მოწვეული სპარსელი დეკლამატორი სატარ-ბეკი. ლეონ იანიშევსკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სატარ-ბეკის მოწვევით მაღაგოლიმ ბევრ ვერაფერს მიაღწია, რადგან დარბაზში სპარსული მუსიკისა და სამღერის მოყვარული საზოგადოების ნაკლებობა შეინიშნებოდა - ამით იგი ხაზს უსვამდა ქართული საზოგადოების ევროპელობას. “სპარსულ მუსიკას გააჩნია აღმოსავლური გამები და ამიტომ იგი ჩვენთვის, ევროპელებისათვის საკმაოდ უცნაურია” (იანიშევსკი:

1847). თუმცა კრიტიკოსი იქვე ამბობს, რომ სპარსული მუსიკა მდიდარია ტკბილი მელოდიებით.

იანიშევსკის სტატია-რეცენზია ინფორმაციულ ხასიათსაც ატარებს. გაზეთში ამ რეცენზიის წამკითხველი ადამიანი კმაყოფილი დარჩება, რომ არ დაეწრო ამ კონცერტს. გარდა ამისა, ლეონ იანიშევსკიმ საზოგადოებას გააცნო აფრიკის ქვეყნებში მოგზაურობიდან ახლად დაბრუნებული კომპოზიტორი ფელიციანე დავიდი, რომელმაც სხვადასხვა დროს აღმოსავლეთში შეგროვებული ეროვნული მელოდიებისაგან შექმნა აბსოლუტურად ახალი და ორიგინალური მუსიკალური ნაწარმოები. ამ ნაწარმოებმა ევროპული აღიარება მოიპოვა და 1845 წელს იგი დიდი წარმატებით პეტერბურგის ფილარმონიულ საზოგადოებაში იქნა შესრულებული. ეს სიმფონია გაქდენთილია სუფთა აღმოსავლური მოტივებით: “თვით გენიალურ ბელინის შემშურდებოდა მისი, სწორედ ამგვარად უნდა გააცნო ევროპელებს აღმოსავლური მუსიკა და მისი შესრულება მუსიკალურ სადამოებზე სასიმოვნო სიახლე იქნებოდა ჩვენი საზოგადოებისათვის” (იანიშევსკი: 1847).

იანიშევსკის რეცენზიაში “პირველი მუსიკალური სადამო თბილისში” ნათლად ჩანს ავტორის მაღალი კომპეტენცია, ირონია, ხელოვნებაში ცუდ გემოვნებასთან შეურიგებლობა, მისი მრავალმხრივი განათლება და ყველა სიახლის გაგების სურვილი, მათ შორის ევროპულ ხელოვნებაში არსებული სიახლეებისა. ამ მცირე ზომის რეცენზიაში ასახულია მუსიკალური კრიტიკოსის, მწერლის, თარჯიმნისა და პოეტის ლეონ იანიშევსკის მაღალი ინტელექტი; იგრძნობა, რომ იანიშევსკი თავის საყვარელ ქალაქ თბილისში მაღალი დონის საინტერესო მუსიკალური სადამოების ჩატარებაზე ოცნებობს; იგი თავისი კრიტიკული სტატიებით უბიძგებს საქართველოს დედაქალაქში ჩამოსულ მუსიკოსებს, რომ მათ გემოვნებიანი მუსიკალური სადამოები გამართონ.

2.1.2. “ბატონი პარისის პირველი კონცერტი”

ლეონ იანიშევსკიმ ბატონი პარისის პირველი კონცერტის რეცენზიას წინ დაურთო პატარა წერილი სათაურით “მოულოდნელი მუსიკალური სიურპრიზი”, რომელშიც ნათქვამია: “როგორც იქნა თბილისში ჩამოვიდა ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შემსრულებელი, რომელიც საქართველოს დედაქალაქში რამდენიმე კონცერტის გამართვას აპირებს” (იანიშევსკი: 1847). ლ. იანიშევსკი

სინანულით აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ, საქართველო ბევრი ევროპელისათვის შიშის აღმძვრელი ქვეყანაა, რადგან მის შესახებ უამრავი საგანგაშო ამბავი და არასწორი, გადაუმოწმებელი ცნობა ვრცელდება ევროპაში. კრიტიკოსი დარწმუნებულია, რომ თბილისის მაყურებელი ძალიან მაღლობელი იქნება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული სტუმრისა.

სტატიის კითხვისას ნათელი ხდება, რომ იანიშვესკი იმედოვნებს, რომ თბილისელები ღირსეულად მიიღებენ ცნობილ არტისტს ბატონ პარისს, ხოლო თავად პარისი კი მიხვდება, თუ რაოდენ კარგ მუსიკალური გემოვნების მქონე ქალაქში ჩამოვიდა იგი. კრიტიკოსის სტატია - რეცენზიაში ვკითხულობთ, რომ ზოგიერთი შეიძლება გაოცებულიც კი დარჩეს მსოფლიოში გამოჩენილი არტისტის აზიაში მოგზაურობით. ”ეს ქვეყანა (საქართველო) ბევრი ევროპელისათვის ბურუსით არის მოცული” (იანიშვესკი: 1847).

სტატიაში ჩანს, რომ იანიშვესკი ამაყობს ამ ქვეყნითა და თავისი საყვარელი ქალაქით; მუსიკოსის აზრით, საქართველო ნელ-ნელა ევროპულ ქვეყნებს ემზგავსება. სხვებისაგან განსხვავებით, მისთვის სრულიად არ იყო უცნაურიგასაკვირი ევროპელი, გამოჩენილი მევიოლინის თბილისში ჩამოსვლა, პირიქით, რეცენზიაში ნათქვამია: “მე გამიკვირდებოდა ღირსეულად რომ არ შეგვეფასებინა ჩვენი სტუმარი და მაღლობა არ გადაგვეხადა მისთვის ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლისთვის” (იანიშვესკი: 1847).

იანიშვესკი სიამაყით გვიამბობს, რომ ბატონი პარისი აღფრთოვანებულია თბილისის საზოგადოებით და იგი დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ტოვებს ქალაქს.

თუმცა იანიშვესკი არ იქნებოდა იანიშვესკი, რომ მას შემდეგ რაც პარისმა დატოვა ქალაქი არ გაეანალიზებინა მისი გამოსვლა საზოგადოების წინაშე. ჩვენ წარმოვადგენთ ბატონ პარისის მიერ ჩატარებული კონცერტების კრიტიკულ განხილვას, რომელიც 1847 წელს გაზეთ “კავკაზში” იანიშვესკის მიერ იყო გამოქვეყნებული.

ბატონი პარისის კონცერტის პირველი განყოფილება, წერს კრიტიკოსი, სხვადასხვა ცნობილი ნაწარმოებისაგან შედგებოდა და ფრიად მოწონებულ იქნა დამსწრე საზოგადოების მიერ. ბატონმა პარისმა თავისი გამოსვლით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მას თავისი ნიშა აქვს გამოჩენილი ევროპელი მევიოლინეების იერარქიაში. ავტორი აღნიშნავდა, რომ, მაგალითად, გერმანიაში საკმაოდ მკაცრად აფასებენ კომპოზიტორებს, თეორეტიკოსებს, მუსიკოსებს;

სამართლიანი განაჩენი გამოაქვთ მუსიკალური ნაწარმოებისათვის, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ამ მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებას. თავის სტატიაში იანიშევსკი ხაზს უსვამს საკუთარ ობიექტურობას ბატონი პარისის მუსიკალური ნაწარმოებების განხილვისას, რადგან თვით ევროპაშიც კი იგი აღიარებული მუსიკოსია. რეცენზია პარისის პირველი კონცერტის შესახებ დიდი გემოვნებითა და პროფესიონალურად არის დაწერილი, რითაც გამოირჩევა იანიშევსკის ყველა კრიტიკული სტატია.

ლეონ იანიშევსკი აღნიშნავს, რომ კონცერტის პირველ განყოფილებაში პარისმა შესანიშნავად შეასრულა ფრანგი კომპოზიტორის ბერიოს პირველი კონცერტი; მან მშვენივრად გადმოსცა ფრანგული სკოლის სული, რაც არც ისე ადვილ ამოცანას წარმოადგენს. ცნობილი პოლონელი მუსიკოსი კაროლ ლიპინსკი აღიარებს ნიჭიერი მევიოლინეს ბრწყინვალე შემოქმედებას. პარისი ცნობილია იოგან სებასტიან ბახის, ლიუდვიგ ვან ბეთჰოვენის, ი. კორეის და ო. ტარტინის კლასიკური ნაწარმოებების შესრულებით. საზოგადოებამ დიდი სიამოვნება მიიღო კონცერტისგან გვარწმუნებს კრიტიკოსი. რეცენზია

მთელი გულით, აღფთოვანებული, ამადლებული გრძნობით არის დაწერილი. მასში ნათლად ჩანს, რომ იანიშევსკი ამ მუსიკის შესრულებისგან დიდ სიამოვნებას იღებს. ამაზე მეტყველებს მისი თუნდაც ერთი ფრაზა: “თქვენ გესმით ეს კენესა, გრძნობთ ამ დარდს, ამ გულის ამანუყებელ ხმებს, რომლებიც შესრულებისას იმატებენ და იმატებენ. ერნსტის ელეგია ეფინება გარშემომყოფ საზოგადოებას, რასაც ხელს უწყობს ცნობილი არტისტის ვიოლინო თავისი არაჩვეულებრივი ხმის ტემბრით” (იანიშევსკი: 18 კონცერტის პირველი განყოფილების დასასრულს შესრულებულ იქნა კომპოზიტორ არტოს ფანტაზია ცნობილი იტალიელი კომპოზიტორის დონიცეტის ოპერის “ლუჩია დი ლამერმურის” მოტივებზე, სადაც პარისის არაჩვეულებრივი ტექნიკური შესაძლებლობები იქნა დემონსტრირებული. კონცერტის მეორე განყოფილებაში მაყურებელმა მოისმინა კომპოზიტორ პრიუმის “მელანქოლიური პასტორალი”, რომელიც სოფლის უბრალოებით არის განმსჭვალული. იანიშევსკი, ცხადია, მოწადობებულია ნიჭიერი მუსიკოსის შესრულებით, მაგრამ მაინც, მისთვის ჩვეული ტაქტით, რამდენიმე რეკომენდაციას აძლევს მუსიკოსს. კონცერტის დროს შესრულდა მეტად რთული და მრავალფეროვანი მუსიკალური ნაწარმოებები, ხოლო კონცერტის დასასრულს მევიოლინემ საზოგადოებას წარუდგინა გენიალური იტალიელი კომპოზიტორის და მევიოლინეს ნიკოლო

პაგანინის ურთულესი “ვენეციური კარნავალი”, რომელიც მან თავისთვის შექმნა. ამ ნაწარმოების შესრულებას ბევრი საკმაოდ ცნობილი მუსიკოსი ერიდება. სტატია ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. ამ მუსიკალურ - კრიტიკული სტატიიდან ვიგებთ, რომ, გენიალურ “ვენეციურ კარნავალს” იმ დროისათვის ყველაზე უკეთესად ცნობილი ნორვეგიელი მევიოლინე - ოლე ბული ასრულებდა (იანიშევსკი: 1847); ამგვარად, თბილისელი მსმენელი ახალ სახელს ეცნობა. იანიშევსკი აღნიშნავს, რომ ამავე სტილში “ვენეციურ კარნავალს” ბატონი პარისიც ასრულებს, რითაც მან თბილისში ფურორი მოახდინა. “მის შესრულებაში ჩვენ გვესმის კოლომბინას ჩურჩული და კენესა, მთვრალი ხალხის ღრიალი, პლებების სიცილ - კისკისი; ერთი სიტყვით, ყველაფერი, რისი გაგება და შეგრძნება შეგვიძლია კარნავალის დროს” (იანიშევსკი: 1847).

კონცერტის დასრულების შემდეგ ბატონი პარისი ბისზე ბევრჯერ გამოიძახეს; ისმოდა მადლობელი მაყურებლის მხურვალე აპლოდისმენტები; ახალგაზრდა მევიოლინემ გაიმეორა ნაწყვეტები კონცერტზე შესრულებული ნაწარმოებებიდან, რითაც კიდევ უფრო აღაფრთოვანა დამსწრე საზოგადოება.

რეცენზიის წაკითხვისას ნათელი ხდება, თუ როგორ უხაროდა ლეონ იანიშევსკის თბილისელი მაყურებლის ამგვარი რეაქცია; იგი გრძნობდა, რომ კონცერტიდან კონცერტამდე საზოგადოების გემოვნება სულ უფრო და უფრო იხვეწებოდა და გასტროლებზე ჩამოსული ცნობილი არტისტები გრძნობდნენ, რომ აქ მათი შემოქმედება ღირსეულად ფასდებოდა როგორც მაყურებლის, ასევე მუსიკალური კრიტიკოსების მიერ. რეცენზია დაწერილია დიდი გემოვნებით, რითიც იანიშევსკი აგრძელებს გამოჩენილი ევროპელი კრიტიკოსების საუკეთესო ტრადიციებს.

2.1.3. “ბატონი პარისის მეორე კონცერტი”

როგორც იანიშევსკი თავის რეცენზიაში “ბატონი პარისის მეორე კონცერტი” აღნიშნავს, პარისის მიერ თბილისში ჩატარებულმა კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა. მაღაგოლისგან განსხვავებით, რომელიც თავის კონცერტებში ჰორნისტებს ეპატიუებოდა, პარისის კონცერტებში ქართული პოლკის მუსიკოსები იღებდნენ მონაწილეობას. სწორედ მათთან ერთად, ფორტეპიანოს თანხლებით, ბატონმა პარისმა შეასრულა დავითის ვარიაციები თემაზე “მშვენური პატარა ტამბურინი” (ტამბურინი - ეძველესი მუსიკალური

ინსტრუმენტი). იგი სამხედრო მოტივებზე იყო აგებული და საოცარი ეფექტი გამოიწვია. თავის მუსიკალურ რეცენზიებში ლეონ იანიშევსკი ხშირად იყენებს იტალიურ მუსიკალურ ტერმინებს და შესრულებული მუსიკალური ნაწარმოებების დასახელებებს მათ ორიგინალურ ენაზე, რითიც მკითხველებს აიძულებს დაინტერესდნენ და მათი თარგმანი ლექსიკონში ეძებონ. ამ ნაკლებად ცნობილმა პიესამ პარისის შესრულებით კრიტიკოსის მოწონება დაიმსახურა. მან აგრეთვე არაჩვეულებრივად დაუკრა კომპოზიტორ არტოს არც თუ ისე ცნობილი ნაწარმოები “ბელინის სუვენირები”, სადაც ცნობილი მევიოლინეს ნიჭი კიდევ ერთხელ წარმოჩინდა. მუსიკალურ სტატია-რეცენზიაში იანიშევსკი დეტალურად და პროფესიონალურად განიხილავს ბატონი პარისის შესრულებას. განხილულია პარისის მიერ სტოკატოს, ორმაგი ნოტების, პასაჟების ბრწყინვალე შესრულება; მხოლოდ უმაღლესი დონის არტისტსა და მესიკოსს შეუძლია ასეთი ცეცხლის დანთება სცენაზე, აღნიშნა იანიშევსკიმ. რეცენზიაში განხილულია პარისის ხავერდოვანი “ლენტო” (მუსიკალური ტერმინი) ყველასათვის საყვარელ ფანტაზიაში ბელინის ოპერის “სომნამბულას” თემებზე. პირველ და მეორე განყოფილებებში ნიჭიერმა მევიოლინემ დაუკრა რომანსი დონიცეტის ოპერიდან “ღონ სებასტიანი”, აგრეთვე კომპოზიტორ პრიუმის “პასტორალი”, სადაც მევიოლინეს გამორჩეული ტექნიკა გამოვლინდა. თბილისში გამართული მეორე კონცერტის დასასრული ბატონმა პარისმა თავისივე არანჟირებით გენიალური თანამემამულის ახალგაზრდა პოლონელი კომპოზიტორ - რომანტიკოსის ფრედერიკ შოპენის მაზურკით დააგვირგვინა, რამაც დამსწრე მაყურებლის აღფრთოვანება გამოიწვია; თუმცა მშვენიერი გემოვნების მქონე იანიშევსკის ამ ვარიაციებთან გარკვეული შენიშვნებიც ჰქონდა. მისი აზრით, მაზურკების არანჟირება არ აკმაყოფილებდა ხელოვნების ყველა მოთხოვნას. იანიშევსკი აღნიშნავს, რომ კონცერტის დასასრულს დაკრული პიესა კარგად შერჩეულია და საკმაოდ მომგებიანია (იანიშევსკი: 1847). გენიალური პოლონელი კომპოზიტორის ეს მშვენიერი ჩანაწერები - მაზურკები ზუსტად გადმოსცემენ მისთვის დამახასიეთებელ სტილს. რა თქმა უნდა, მათ ფურორი გამოიწვიეს დარბაზში შეკრებილ საზოგადოებაზე. პარისის მეორე კონცერტის დასრულების შემდეგ, კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში ზოგიერთმა მელომანმა სთხოვა მუსიკოსს კიდევ ერთხელ შეესრულებინა ნიკოლო პაგანინის “ვენეციური კარნავალი”, რომელიც პირველ კონცერტზე იყო შესრულებული.

პარისმა სიამოვნებით შეასრულა მაცურებლების ეს თხოვნა და დარბაზში უკვე მერამდენედ გაისმა მხურვალე აპლოდისმენტები.

2.1.4. “ბატონი პარისის მესამე კონცერტი”

1847 წლის 26 მარტს შედგა ნიჭიერი მევიოლინე პარისის მესამე კონცერტი თბილისში. ბევრი თბილისელი ცდილობდა კონცერტზე მოხვედრას, თუმცა თბილისის თეატრის დარბაზი ყველა მსურველს ვერ იტევდა. მსმენელები, რომლებმაც ვერ შეძლეს კონცერტზე ბილეთის შეძენა, მზად იყვნენ ორმაგი, სამმაგი ფასი გადაეხადად, ოღონდაც დასწრებოდნენ ცონცერტს, თუმცა ამოდ. თბილისის თეატრი, როგორც ცნობილია, ”ჯადოსნური ჯოხის დახმარებით მანუისაგან შეიქმნა, მას არ ჰქონდა აკუსტიკური მოწყობილობები, ამიტომ არაჩვეულებრივი მუსიკის რბილი და ნაზი ჰანგები იკარგება. მიუხედავად ამისა, მაცურებლების აპლოდისმენტები არ წყდებოდა” (იანიშვესკი: 1847). კონცერტის დასასრულს, ჩვეულებისამებრ, დამსწრე საზოგადოება სთხოვდა არტისტს დაეკრა მათი საყვარელი ფრედერიკ შოპების მაზურკების მოტივებზე პარისის არანჟირებული ფანტაზია. მუსიკალურ - კრიტიკული რეცენზიის დასასრულს ლეონ იანიშვესკი გამოთქვამს იმედს, რომ ბატონი პარისის კონცერტები თბილისში გაგრძელდება. თბილისში მართლაც გავრცელდა ხმები, რომ პარისი კიდევ ერთხელ გამართავს აქ კონცერტს, თუმცა საკმაოდ ცუდი აკუსტიკის მქონე თეატრში; პარისი მართლაც ჩამოვიდა თბილისში კიდევ ერთი კონცერტის ჩასატარებლად, რამაც ქართველი მაცურებელი ძლიერ გაახარა.

2.1.5. “ბატონი პარისის მეოთხე კონცერტი”

26 აპრილს კეთილშობილთა საკრებულოში ბატონმა პარისმა ბოლო, დასკვნითი კონცერტი გამართა. ეს იყო საქველმოქმედო კონცერტი ღატაკების სასარგებლოდ.

არტისტმა შეასრულა: ადაჟიო და რონდო ბერიოს მესამე კონცერტიდან, ერნსტის ელეგია, თავისი გამოჩენილი თანამემამულის კაროლ ლიპინსკის ფანტაზია ბელინის ოპერა “სომნამბულას” მოტივებზე, პაგანინის “ვენეციური კარნავალი” და კონცერტის ბოლოს ჰიმნი “ღმერთო დაიფარე მეფე” ქართველ მგალობელთა გუნდთან ერთად.

ეჭვს არ იწვევს, აღნიშნავს ლეონ იანიშევსკი, რომ ბატონმა პარისმა საკუთარ თავზე ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშავოს, რათა მსოფლიო აღიარებას მიაღწიოს, თუმცა ის ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა და ადვილად დაძლეველ ყველა ტექნიკურ სიძნელეს. რეცენზიის ბოლოს იანიშევსკი ამატებს: “ჩვენ კიდევ ერთხელ დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ ბატონ პარისს და იმედი ვიქონიოთ, რომ მანაც დააფასა ჩვენი გულწრფელი პატივისცემა, მის გვერდში დგომა, რამაც კავკასიის კულტურულ ცენტრში, თბილისში ცნობილი არტისტის კონცერტების წარმატებაზე გარკვეული დოზით იმოქმედა” (იანიშევსკი: 1847). ლეონ იანიშევსკი იმედოვნებდა, რომ ცნობილ მევიოლინეს საუკეთესო მოგონებები დარჩება ამ ვიზიტისა და სტუმართმოყვარე თბილისის და თბილისელების შესახებ.

“თბილისში ოთხი კონცერტის ბრწინვალედ ჩატარების შემდეგ, პარისი ქერჩში, სევასტოპოლში, ოდესასა და კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. იანიშევსკი უსურვებს მას სხვა ადგილებშიც ისეთივე წარმატებას, როგორ წარმატებასაც მან თბილისში მიაღწია. 1846 -

1847 წლებში გაზეთ “კავკაზში” მხოლოდ რამოდენიმე ასეთი მუსიკალურ-კრიტიკულ სტატია - რეცენზია დაიბეჭდა; სწორედ მათი მეშვეობით ვეცნობით ამ წლებში თბილისის მუსიკალურ - ლულტურულ ცხოვრებას, ვხვდებით, რომ ამ სფეროში ცხოვრება ჩქეფდა. ჩვენ ვთვლით, რომ ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ლეონ იანიშევსკის კრიტიკულ რეცენზიებს.

2.1.6. “მუსიკალური საღამო”

“მუსიკალური საღამო” არის იანიშევსკის კიდევ ერთი რეცენზია, რომელშიც ავტორი გაზეთ “კავკაზის” მკითხველს ატყობინებს, რომ თბილისში შაბათს, 1846 წლის 19 ოქტომბერს გაიმართა მეტად ორიგინალურად ჩაფიქრებული, თუმცა ჭეშმარიტი მუსიკოსებისათვის და მუსიკის მოყვარულთათვის სრულიად მიუღებელი კონცერტი. ეს იყო მუსიკალური საღამო სადილით, რაც მუსიკალური საღამოების მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს და გაიმართა იგი კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში. საღამოზე დასასწრებად თბილისის თეატრალური ორკესტრის დირიჟორმა დომენიკო მადაგოლიმ ადგილობრივი საზოგადოება დაპატიჟა. იანიშევსკის რეცენზია ამ საკმაოდ არაორდინალური კონცერტის შესახებ მწვავე სარკაზმით არის

განმსჭვალული: “მუსიკა შედგებოდა რვა განსხვავებული პიესისაგან და სამი კერძისაგან შემდგარ სადილისგან. მთელი ამ ბედნიერებისათვის კი ბილეთის ფასი შეადგენდა მხოლოდ ერთ რუბლსა და ორმოცდაათ კაპიკს ვერცხლით. ამგვარი ჰარმონიისათვის ასეთი სიიაფე მთელს მსოფლიოში არ არსებობს” (იანიშვესკი: 1846).

ირონიული, ბუნებრივი და ხანდახან გაბრაზებული ლეონ იანიშვესკი, რომლისთვისაც მიუღებელი იყო ცუდი გემოვნება მუსიკასა და ხელოვნებაში, ახასიათებს დ. მალაგოლის, როგორც “ყველაზე უპრეტენზიო მუსიკოსს, ვინც კი ოდესმე დაბადებულა მსოფლიოში” (იანიშვესკი: 1846).

აღბათ, მალაგოლისაც შეიძლება გაეუგოთ, მას სურდა მუსიკალურ სადამოხე საზოგადოების დიდი ნაწილის შეტყუება, თუმცა მუსიკის ნამდვილი დამფასებელი ვერ დაეთანხმება მას. მალაგოლის თბილისური საზოგადოებისათვის სრული კომფორტის შექმნა ჰქონდა განზახული და სწორედ ამიტომ ამ სადამოს ჩატარებისათვის ამოირჩია მან კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზი. ამგვარი კონცერტები იშვიათად ტარდებოდა ასეთ ადგილას. იანიშვესკისთან ვკითხულობთ: “არსებობენ ასეთი ბარბაროსი არტისტები, როგორც ვინმე ოლე-ბული და ლისტი; ისინი აიძულებენ საზოგადოებას, რომ მათ უსმინონ, უსმინონ და უსმინონ” (იანიშვესკი: 1846). დარბაზში პრეფერანსისა და ბილიარდისათვის მწვანე მაგიდები დადგეს; აგრეთვე ორკესტრის სიახლოვეს დადგეს კომფორტული სავარძლები იმ მცირერიცხოვანი საზოგადოებისათვის, რომლებსაც არც თუ ისე ხარისხიანი მუსიკის მოსმენა სურდათ. აქა-იქ მიყრილი იყო რბილი დივანები, სადაც ადამიანს დონიცეტის ოპერის “სომნამბულას” მოტივების ქვეშ შეეძლო მიეძინა კიდევაც.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ იტალიაში ახლახან დადგმული ნებისმიერი ოპერა პრაქტიკულად უკვე ერთ წელიწადში უღერდა თბილისის სცენაზე, ამიტომ თბილისელები განებივრებულნი იყვნენ საუკეთესო საოპერო ხელოვნებით.

XIX საუკუნეში თბილისში ბევრად უფრო მეტ ახალ ოპერას უსმენდნენ ვიდრე ჩვენ, XXI საუკუნის საქართველოს დედაქალაქში მცხოვრებნი.

მალაგოლის სადამოხე დამსწრე საზოგადოებას ფართო არჩევანი ჰქონდა: “10 მუსიკოსი ინსტრუმენტით საგულდაგულოდ მუშაობდა, თუმცა მათ არავინ უსმენდა” (იანიშვესკი : 1846). ლეონ იანიშვესკის ეს ფრაზა ზუსტად აღწერს

არსებულ ვითარებას, რადგან მუშაობენ ფაბრიკასა თუ ქარხანაში და არა მუსიკალურ სადამოზე, სადაც ორკესტრი მხოლოდ საზოგადოების სიამოვნებაზე და ამადლებული მუსიკის სწორედ გადმოცემაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

”ინტერვალებში ისმოდა დომენიკო მალაგოლის ვიოლინო, როგორც ბუღბუღლის ტკბილი ჰანგები ორგეის დროს, ხოლო სიჩუმის დადგომისას დაიწყო სადილი” (იანიშევსკი : 1846). ამ სტატიაშიც, ისევე როგორც ბევრი კრიტიკოსის მუსიკალურ - კრიტიკულ რეცენზიაში, ბევრ საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით. ევროპაში გამოჩენილი არტისტების გარდა, თბილისელები მუსიკალურ ტერმინების, ლათინური გამონათქვამების და ბევრ სხვა სასარგებლო ამბების შესახებ იგებდნენ.

ამ სადამოზე იანიშევსკი კლარნეტით არის უკმაყოფილო, რომელიც ზუსტად ვერ უკრავს ცნობილ არიას დონიცეტის ოპერა “სომნამბულასაგან”, თუმცა კრიტიკოსი ირონიულად აღნიშნავს, რომ საბედნიეროდ არსებობს გამანეიტრალებელი საშუალება ბატონი ბლოტის მაღაზიიდან (შამპანური)“ (იანიშევსკი: 1846).

მიუხედავად მალაგოლის ყველა მცდელობისა, საზოგადოება სადამოს დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდა, თუმცა დირიჟორის დებიუტს საკმაოდ ნორმალურად შეხვდნენ.

რეცენზია არა თუ ორჭოფული, არამედ გამანადგურებელია, რაც უთუოდ სიმართლეს შეესაძლება. რეცენზიაში იანიშევსკი მალაგოლის ვიოლინოს ბგერას უწუნებს და აქვე ახსენებს იტალიურ მუსიკალურ ტერმინებს - კრესცენდოს, დიმინუენდოს, ფორტეს და პიანოს. ჩვენი აზრით, დაფიქრებული მკითხველი ნახავდა ამ ტერმინების განმარტებას მუსიკალურ ლექსიკონში, თუ რა თქმა უნდა, არ იცოდა და არ გაეგო მათ შესახებ. კონცერტზე შესრულებული პიესები, იანიშევსკის აზრით, საკმაოდ იოლია და ორიგინალურია; პიანისტი რუდოლფ ბაიერის დაკვრა დამაკმაყოფილებელი იყო. მან მალაგოლისთან დუეტში შეასრულა კომპოზიტორების ბერიოს და ოსბორნის ნაწარმოებები. ეს კომპოზიტორები XIX საუკუნეში საკმაოდ ცნობილნი იყვნენ, თუმცა XX და მითუმეტეს XXI საუკუნეებში ისინი საგულდაგულოდ დაივიწყეს.

ავტორის უკმაყოფილება გამოიწვია კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში მყოფმა ძველმა და უხმო როიალმა; არ ბრწყინავდა თეატრალური ორკესტრიც დომენიკო მალაგოლის ხელმძღვანელობით. იანიშევსკი სარკასტულად უხდის მადლობას მალაგოლის, რადგან მან მაყურებელი

უვერტიურების მოსმენას აარიდა, რითიც ამდენი წელი ტანჯავდა თბილისელებს თეატრში. თუმცა კონცერტზე შესრულდა თვით მაღაგოლის “უვერტიურა ფენელა”, რომელსაც 8 ადამიანისაგან შემდგარი ორკესტრი ასრულებდა (ხელოვნების ნამდვილი პროფანაცია), რომელთა ნაწილისთვის არ არსებობდა არც დიუხი და არც ბემოლი; ერთი სიტყვით არაფერი” (იანიშვესკი: 1846).

კონცერტზე გაუღერდა წვრილმანი ნაწარმოებები - პოლკები, ვალსები, არიები და კავატინები; მათი არანაირი საკმაოდ დაბალი ხარისხის იყო.

დასასრულისკენ ლეონ იანიშვესკის რეცენზია საგრძნობლად რბილდება. “ჩვენ ვიცით, რომ მაღაგოლი ახლახან ჩაუდგა სათავეში თეატრალურ ორკესტრს; ვიცით იმ დაბრკოლებების შესახებ, რის პირისპირაც იგი დგას და ამიტომ მხოლოდ იმ ნაკლოვანებებზე ვაპელირებთ, რაც ადვილად გამოსწორებადია. დანარჩენში კი ვუსურვებთ მას მოთმინებასა და წარმატების მიღწევას” (იანიშვესკი: 1846).

მიუხედავად საკმაოდ ნეგატიური რეცენზიისა, ლეონ იანიშვესკი მხოლოდ სიკეთეს უსურვებს მუსიკოსებს და ხელმძღვანელობს პრინციპით “ვისაც გაგება სურს - გაიგებს” და შემდგომი მუსიკალური სადამოები გაუმჯობესდება და ბევრად უფრო პროფესიონალური გახდება, რითაც დატკბებიან თბილისის მსმენელები, მუსიკალური კრიტიკოსები და, საბოლოო ჯამში, ალბათ თვით მუსიკოსებიც.

2.2. თბილისის კულტურული ცხოვრება XIX საუკუნის II ნახევარში გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე

როგორც გაზეთ “კავკაზის” ფურცლებიდან ირკვევა, თბილისის კულტურული ცხოვრება XIX საუკუნის II ნახევარში მეტად გაჯერებული იყო. იმართებოდა კონცერტები, ჩამოდიოდნენ გასტროლიორები, იდგებოდა საოპერო და დრამატული სპექტაკლები. თბილისის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ჩამოსული პოლონელი პიანისტები და მევიოლინეები, რეცენზენტები, თეატრალური დასები, რომლებიც სპექტაკლებში როგორც პოლონურ, ასე რუსულ ენაზე თამაშობდნენ.

ჩვენ შევეცდებით სადისერტაციო ნაშრომში გიჩვენოთ, თურამდენად აშკარაა პოლონური კვალი საქართველოს დედაქალაქის და კავკასიის კულტურული ცენტრის - თბილისის ცხოვრებაში.

როგორც “კავკაზის” ფურცლებიდან ირკვევა, 1846 წლის 20 აპრილს თბილისში ჩამოვიდა ვარშავის მკვიდრი ფრანც ბარონი. მისი წარმოდგენები “ბუნებრივი მაგიის ჯადოსნობა” ახალი და იშვიათი სანახაობა იყო თბილისში. აქ მაგია ათლეტიკურ ძაღასთან იყო შერწყმული. ფრანც ბარონმა თავისი არაჩვეულებრივი ხელოვნებით ვარშავასა და სხვა ქვეყნებში საკმაოდ კარგი სახელი მოიხვეჭა. “შესანიშნავია, თვალებს ვერ ვუჯერებთ, რა სისწრაფით იცვლება მის ხელებში ერთი ჯადოქრობა მეორეთი” (“კავკაზი”: 1846).

აღფრთოვანებას, აგრეთვე, იწვევს თამაში რგოლებით. საოცარია, რომ ფრანც ბარონის უდიდესი ძალა შერწყმულია არაჩვეულებრივ გრაციასთან და მოხერხებულობასთან. ფრანც ბარონი ცნობილი დებლერის მოწაფეა და იგი ხელოვნებით არაფრით ჩამოუვარდება ბოსკოს და სხვა სახელოვან პიროვნებებს. ამბობენ, რომ ის ძალის მხრივ დიუპიუს და რენოსაც აჭარბებს. შიშს გვგვრის ამ ჭაბუკის ძალა, როდესაც ხელავ მის სიძლიერეს იმის შემდეგ, რაც ნახევარი საათით ადრე სიმკვირცხლითა და სიმარჯვით გვაოცებდა. თბილისში ფრანც ბარონს დიდი წარმატება ელოდა (“კავკაზი”: 1846). ნათელია, რომ ასეთი ცალკეული გამოსვლები შემდგომში თანამედროვე ცირკის საფუძველი გახდა.

თბილისის მუსიკალური და კულტურული ცხოვრების აღწერისას უნდა მოვიყვანოთ გაზეთ “კავკაზში” უხვად დაბეჭდილი პოლონური მასალები: ეს არის პოლონელი გასტროლიორების მიერ ჩატარებული კონცერტები და წარმოდგენები, კავკასიაში ჩატარებულ კონცერტებზე პოლონელი კრიტიკოსების რეცენზიები; პოლონელი წარმოშობის მუსიკის მოყვარულების მიერ დაწერილი რეცენზიები; თბილისში მცხოვრები ან მომუშავე, აგრეთვე პოლონეთიდან გადმოსახლებული კრიტიკოსების სტატიები.

1895 წლის №143 ნომერში ვკითხულობთ, რომ შაბათს, 4 თებერვალს, თბილისში არტისტული საზოგადოების შენობაში გაიმართა პოლონური საღამო წმინდა პეტრე - პავლეს კათოლიკურ ეკლესიასთან არსებული საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. საღამოს პროგრამაში სამი ერთაქტიანი პიესა შედიოდა. კომედიები:

1. ჩესლავ პენიონჟკას “სადგურზე”.
2. გრაფ კოხებროდსკის “ბიძა ჩამოვიდა”
3. ფრანც დომინიკის “მუზას შვილები”

გარდა ამისა, იყო საკონცერტო განყოფილება. სპექტაკლებმა წარმატებით ჩაიარეს. მაყურებელი კმაყოფილი დარჩა პიესების ესთეტიკური და შემსრულებლობითი მხარით. “პუბლიკა ამ საღამოზე მოდის გასართობათ და ამასთან, კეთილი საქმეების გასაკეთებლად, რათა ფული უნდა ჩარიცხოს ეკლესიის ფონდში”.

კომედიის “სადგურზე” შინაარსი ბანალურია: ერთ - ერთ რკინიგზის გადასახვევზე ორი ახალგაზრდა ხვდება. მათ ოდესღაც ერთმანეთი უყვარდათ; ისინი იხსენებენ წარსულს და საბოლოოდ, პიესა შეყვარებულების ნიშნობით სრულდება. მეორე პიესა “ბიძა ჩამოვიდა” დიდად არ განსხვავდება პირველისაგან, თუმცა მან მაყურებელი საკმაოდ გაართო. პიესაში ახალგაზრდა კაცის შესახებ არის მოთხრობილი, რომელიც ბიძის ფულის ხარჯზე ქალაქში ცხოვრობს და სხვადასხვა მიზეზით მუდამ სთხოვს მას ფულს. ბოლოს და ბოლოს ბიძა ჩამოდის ქალაქში და ძმიშვილის სახლის პატრონს, ლამაზ ქალბატონს თხოულობს ცოლად, ახალგაზრდა კი შეწყალებულია. მესამე კომედიაში “მუხას შვილები” არტისტებისა და მხატვრების ბოჰემური ცხოვრება არის ნაჩვენები.

“საღამოს საკონცერტო განყოფილებამაც მაყურებლის მხურვალე მოწონება დაიმსახურა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ტენორი რიხლოვსკი და ქალბატონი ზ., რომელსაც სასიამოვნო სოპრანო აქვს” (“კავკაზი”: 1895).

1895 წელს გაზეთ “კავკაზში” დაბეჭდილი იყო პატარა ცნობა იმის შესახებ, რომ 10 აგვისტოს გაიმართა ერთ-ერთი ცნობილი მუსიკალური მოღვაწის, პიანისტისა და კომპოზიტორის პეტრე ჩაიკოვსკისა და სხვა მრავალი ცნობილი კომპოზიტორის მეგობრის, ა. რუბინშტეინის სახელობის პიანისტთა და კომპოზიტორთა კონკურსი, რომელიც მისივე მეოთხე საფორტეპიანი კონცერტით გაიხსნა. ამ კონცერტის შესრულება კონკურსის მონაწილეებისათვის სავალდებულო იყო. 10 აგვისტოს ჟიურის თავმჯდომარემ იან იოჰანსენმა მაშინვე დანიშნა ჟიურის სხდომა და გადაწყდა, რომ პირველი პრემია მინიჭებოდა პოლონელს, ვარშაველ მეღცერს, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

1876 წელს თბილისის მუსიკალური და კულტურული ცხოვრება გამოაცოცხლა მსოფლიოში ცნობილმა კონტსკების ოჯახის კონცერტებმა.

პირველი კონცერტი ჩატარდა 25 თებერვალს და თბილისელ მელომანებს შორის დიდი ფურორი მოახდინა. მაყურებელი, რომელიც ცნობილი მსახიობების

ჩამოსვლას იყო მიჩვეული, სასიამოვნოდ გაცეცხული დარჩა. ბილეთებზე მოთხოვნა ძალიან დიდი იყო და მრავალი თბილისელი გულდაწყვეტილი დარჩა, რადგან მათ კონცერტებზე დასწრება ვერ მოახერხეს. არცისტული საზოგადოების დარბაზი გადაჭედელი იყო, მაგრამ იგი სამჯერ დიდც რომ ყოფილიყო, თავისუფალი ადგილი მაინც არ დარჩებოდა. თავდაპირველად კონცერტში მონაწილეობა უნდა მიეღო თეატრალურ ორკესტრს ბ. ტრუფის დირიჟორობით, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა და მის ნაცვლად მსმენელი კონტსკების მიერ შესრულებული ბეთსოვენის ტრიოთი დატკბა. ვიოლინოზე სოლო ბრწყინვალედ შეასრულა თვით აპოლინარი კონტსკიმ; მას ფორტეპიანოზე აკომპანიმენტს უკეთებდა ქალბატონი ვანდა კონტსკაია. შემდეგ ნომრად სრულდებოდა ნაკლებად ცნობილი და ტექნიკურად ურთულესი ვებერის კონცერტი “შტიუკი” ვანდა კონტსკაიას შესრულებით. ამ კონცერტებს აღფრთოვანებით შეხვდა თბილისის მაყურებელი და პრესა, ამ შემთხვევაში გაზეთი “კავკაზი”.

“განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა აპოლინარი კონტსკის ნაწარმოებმა “ელეგიაში” ავტორის შესრულებით. კონცერტში ასევე მონაწილეობას იღებდა სიგიზმუნდ კონტსკი. მსმენელმა თითქმის დაივიწყა შემსრულებელი და გულით უსმენდა ხელოვანის მიერ შესრულებულ მუსიკას, ეს კი მსახიობისათვის უმაღლესი და ყველაზე საპატიო შეფასებაა. ბოლო ნომრის, შოპენის მაზურკის შესრულების შემდეგ, ა. კონტსკიმ “ბისზე” შეასრულა კომპოზიტორ ალიაბიევის “ბუღბუღი” (“კავკაზი”: 1876).

კონტსკების მეორე კონცერტი საზაფხულო თეატრში 1876 წლის 7 მარტს ჩატარდა. სადამომ ბრწყინვალედ ჩაიარა. განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია ფანტაზიამ დონიცეტის ოპერის “ლუჩია დი ლამერმურის” მოტივებზე და სოფლის მაზურკამ (კომპოზიტორი ა. კონტსკი). არანაკლები მოწონება ხვდა წილად კომპოზიტორ გუნოს “მედიტაციას” ოპერიდან “ფაუსტი”, რომელიც ვიოლინოს, ფორტეპიანოს, ორდანიისა და ჩელოსათვის იყო გადამუშავებული. შემსრულებლები იყვნენ ბ. კიუნერი და კონტსკების ოჯახი. კონტსკების კონცერტების ღირსეულ ფინალად იქცა გენიალური ნიკოლო პაგანინის ცნობილი ნაწარმოები “მოსეს ლოცვა”. დავამატებთ, რომ “10 მარტს, ორშაბათს, კონტსკების ოჯახი და მათთან ერთად მუსიკოსები კიუნერი და ეპშტეინი აღმზრდელობითი და საქველმოქმედო დაწესებულების სასარგებლოდ გამართავენ კიდევ ერთ გამოსათხოვარ ცონცერტს. ამით დასრულდა კონტსკების

ოჯახის გასტროლები, ასე რომ დაატყვევეს თბილისის პუბლიკა” (“კავკაზი”: 1876).

წინ კი თბილისელებს კიდევ ბევრი საინტერესო კონცერტები ელოდება, მაგრამ ჩვენ ვეხებით მხოლოდ და მხოლოდ პოლონეთთან დაკავშირებულ მოვლენებს და წარმოდგენებს.

1878 წლის 4 აგვისტოს, პარასკევს, ყოფილი თბილისის მუსიკალური საზოგადოების დარბაზში გაიმართა პოლონელი შემსრულებლების, სვიატლოვსკაიას, სჩუროვსკის და მილერის კონცერტი. საკმაოდ მცირერიცხოვანი მაყურებელი ესწრებოდა ამ კონცერტს, რადგან წინასწარ რეკლამა არ გაკეთებულა. შესრულებული იყო არია გლინკას ოპერიდან “სიცოცხლე მეფისათვის”, შოპენის მახურკები და ნოქტიურნები” (“კავკაზი”: 1878)

1872 წლის გაზეთ “კავკაზში” საინტერესო სტატია “თბილისის თეატრი” არის დაბეჭდილი. ავტორი ლ. სოკალსკი წერს, რომ ხელოვნების მოყვარულები პირველ რიგში უნდა სიმართლეს აფასებდნენ, რასაც დიდი სარგებლობა მოაქვს ხელოვნებისათვის. “ სამწუხაროდ, თბილისის თეატრის დღევანდელი მდგომარეობის წარმოდგენაც კი ძნელია” (სოკალსკი: 1972). სტატიაში ჩანს, რომ ავტორს გული შესტკივა თბილისის თეატრზე და ყველა საშუალებით (ერთ-ერთი კი მწვავე რეცენზიაა) ცდილობს თბილისის თეატრში სიტუაციის გამოსწორებას, რათა ის სხვა დასებზე ნაკლები არ იყოს.

დროთა განმავლობაში თბილისის მუსიკალური ცხოვრება სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდებოდა. იმავე 1872 წელს ქალაქში შესრულდა ლიუდვიგ ვან ბეთჰოვენის გენიალური მეხუთე სიმფონია. ამ კონცერტის პროგრამა დაიბეჭდა გაზეთ “კავკაზის” 143-ე ნომერში. “კონცერტი ჩატარდა თბილისის მუსიკალური საზოგადოების ინიციატივით და იგი შეიძლება არაორდინალურ მოვლენად ჩაითვალოს, რადგან ასეთი სერიოზული და რთული მუსიკალური ნაწარმოებები თბილისში აქამდე არ შესრულებულა” (გარშევსკი: 1872). სასურველია ასეთი კონცერტების ხშირი ჩატარება საქართველოს დედაქალაქში.

ყურადღებას იპყრობს გაზეთ “კავკაზში” სხვადასხვა ნომერებში დაბეჭდილი წერილები. ასე, მაგალითად, 1881 წლის 178-ე ნომერში დაბეჭდილია მარიან შიმანოვსკის სტატია ვლადიკავკაზში ჩატარებული საბავშვო მუსიკალური საღამოს შესახებ.

1895 წლის გაზეთ “კავკაზის” 35-ე ნომერი პოლონურ ვოკალურ - მუსიკალური სადამოს შესახებ იუწყება, რომელიც თბილისის არტისტულ საზოგადოებაში ჩატარდა. ამავე 1895 წლის 96-ე ნომერი გვამცნობს, რომ არტისტული საზოგადოების მიერ მოეწყო ცალკეული სცენების წარმოდგენა მონიუშკოს ოპერიდან “გალკა”(“კავკაზი”: 1895).

1895 წლის 102-ე ნომერში, თბილისის სახაზინო თეატრი აცხადებს პოლონურიდან რუსულ ენაზე თარგმნილი (მთარგმნელი არ არის მოხსენიებული) ვ. კორუნიოვსკის ახალი პიესის “იზაბელი დიამონტის” დადგმის შესახებ.

თბილისის არტისტული საზოგადოება ამცნობს, რომ 1895 წლის 30 დეკემბერს, შაბათს, ჩატარდება მოყვარულთა მუსიკალურ - დრამატული სადამო წმინდა პეტრე - პავლეს კათოლიკურ ეკლესიასთან არსებული საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. სადამო გაიმართება პოლონურ ენაზე და წარმოდგენილი იქნება ერთ აქტიანი კომედიები:

1. ი. ფრედროს “ჰიპნოტიზმი”
2. მ. ბალუცკის “სასიყვარულო ბარათი”
3. ს. დობრუანსკის “საეჭვო პიროვნება”

ამავე, 1895 წლის გაზეთ “კავკაზში” დაბეჭდილია განცხადება იმის შესახებ, რომ 27 დეკემბერს, თბილისში, არტისტული საზოგადოება წარმოადგენს ა. ბელეცკის და ი. შპაჟინსკის დრამას “ძველ დროში” (“კავკაზი”: 1895).

ინტერესს იწვევენ “კავკაზში” გამოქვეყნებული ინფორმაციები: “ვარშავიდან ჩამოვიდა მუსიკის პროფესორი ვოიცეხოვსკი” (“კავკაზი”: 1897). 1897 წლის “კავკაზის” 249-ე ნომერში გამოქვეყნებულია, რომ თბილისში, ცენტრალური წიგნის სახლში გამოჩნდა პოლონურად თარგმნილი ი. კრაშევსკის ახალი რომანი “შეშლილი”.

გაზეთ “კავკაზში”, 1897 წლის 300-ე ნომერში დაბეჭდილია წერილი უსინათლოთა სკოლაზე და მის მეთურვე ს. ზავადოვსკაიაზე (“კავკაზი”: 1898).

1898 წლის № 220 - საბალეტო დასში ცეკვავენ ბალერინები კვიატკოვსკაია და ლენჩევსკაია (“კავკაზი”: 1898).

1899 წლის გაზეთი “კავკაზი” იუწყება, რომ თბილისის სახაზინო თეატრში ცეკვადა ბალერინა იანიშევსკაია (“კავკაზი”: 1899).

1897 წლის № 14 - პოლონურ თარგმანში გამოვიდა ცნობილი პოეტი ნადსონის ლექსების კრებული; თარგმანი - მარიანა ზარუხსკაიას (“კავკაზი”: 1897).

1898 წლის № 141 - 31 მაისს შედგა იმპერატორ ნიკოლოზ I სახელობის ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამო. წარმატებულ კურსდამთავრებულთა შორის რამოდენიმე პოლონელია: იადვიგა ხრიუანოვსკაია და ჟოზეფინა შპკოვსკაია (“კავკაზი”: 1898).

1899 წლის №179 - დაბეჭდილია ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისში ჩამოსული პოლონური დასი გერმანულ კლუბში, მიხაილოვის ქუჩაზე მართავს წარმოდგენებს; პიესები შესრულდება პოლონურ ენაზე (“კავკაზი”: 1899).

1895 წლის გაზეთი “კავკაზის” № 279 და № 281 იუწყება, რომ თბილისში გაიმართა ა. კონტსკის კონცერტი (“კავკაზი”: 1895).

ამავე, 1895 წლის № 337 ვკითხულობთ: თბილისში არტისტული საზოგადოება 26 დეკემბერს გამართავს მოყვარულთა მიერ დადგმულ სპექტაკლს პოლონურ ენაზე. წარმოდგენილი იქნება:

1. ი. ლიუბარსკის კომედია “მადლობის ნიშნად”
2. ს. პრუბილსკის კომედიის “ანდრაშის ფოტოს” I მოწმედება
3. ვ. მოზერის ერთ აქტიანი კომედია “მამამ ნება დამართო” (“კავკაზი”: 1895)

1864 წლის გაზეთ “კავკაზში” დაიბეჭდა მეტად საჭირობოროტო სტატია “ნათელი სხივი თეატრალური დირექციის ნისლში”. აშკარაა, რომ პოლონელებს აღელვებდათ თბილისის თეატრის არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა. სტატია ორიგინალური შესავლით იწყება: “შრომა, დასვენება და სიამოვნება” (ჩერნიშევსკი: 1863) და მასში ვკითხულობთ, რომ ბუნება დასვენებისაკენ თვითონ გვიბიძგებს და სად შეიძლება კარგად დავისვენოთ თუ არა თეატრში, ხელოვნების ამ წმინდა ტაძარში” (ზამპოლსკი: 1864).

თბილისის ოპერის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ პუბლიკა ყოველთვის არ არის კომპეტენტური და უხვად აფრქვევს აპლოდისმენტებს, მისი აღფრთოვანება ხშირად გადაჭარბებულია. გარდა ამისა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ თუ თავდაპირველად თბილისში იტალიელი მომღერლების სიმრავლე შეინიშნებოდა, შემდგომში გამოჩნდნენ მომღერლები პოლონეთიდანაც; ზოგიერთი მათგანი დარჩა კიდევ თბილისში და მრავალი შესანიშნავი ქართველი მომღერალი აღზარდა. მათ შორის გამოვყოფთ არაჩვეულებრივ პედაგოგს ე. ვრონსკის. ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ ჩნდება აზრი, რომ

თბილისში ოპერა უფრო განვითარებული იყო, ვიდრე დრამატული თეატრი. დროის განმავლობაში ნაციონალური ხელოვნება განვითარდა, პუბლიკა უფრო კომპეტენტური გახდა; შედეგად, მსახიობებიც, რა თქმა უნდა, ჩამოსული პედაგოგების დახმარებით, დახელოვდნენ; მაღალი პროფესიონალური დონის მუსიკოსებიც ნელ-ნელა გაჩნდნენ საქართველოში (“კავკაზი”: 1897).

გაზეთ “კავკაზში” ვკითხულობთ, რომ 1899 წლის 25 მარტს, ხუთშაბათს, კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში შედგა ბ. კისელნიცკის სადეკლამაციო საღამო, რომელიც საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. დეკლამატორმა კისელნიცკიმ საღამოზე წარმოადგინა მიცკევიჩის პოემა “კონრად ვალენროდი”; მან მშვენივრად წაიკითხა “პარისი” და ადამ მიცკევიჩის იმპროვიზაცია “ოდა ახალგაზრდობას”. როგორც ყოველთვის, პან კისელნიცკი “პან ტადეუშის” კითხვისას შეუდარებელი იყო; საღამოს განმავლობაში მან წარმოადგინა ორი ნაწყვეტი – “ტელემენას სცენა და სცენა ციხე-სიმაგრესთან). თბილისელებს ჰქონდათ ბედნიერება კისელნიცკის შესრულებით მოესმინათ გამოჩენილი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის პოემა “ბრინჯაოს მხედარი”. კისელნიცკის დეკლამაციის განსაკუთრებული ნიჭი და მანერა ახასიათებს; იგი მიმიკას იყენებს და მისი საშუალებით ზემოქმედებას ახდენს მსმენელის სმენასა და მხედველობაზე. ამით კი ასახვის განსაკუთრებულ პლასტიკურობას აღწევს (“კავკაზი”: 1899). დეკლამაციას თან ახლდა ეგრეთ წოდებული ცოცხალი სურათები, რომლებიც ძალიან გავრცელებული იყო რუსეთსა და ევროპაში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ამ სურათებმა საქართველოშიც დაიწყეს გავრცელება: “სცენაზე, ცალკე მაგიდაზე იდგა ადამ მიცკევიჩის პორტრეტი; იმ სახლის ფოტო, სადაც ის დაიბადა; აგრეთვე ადამ მიცკევიჩისა და ალექსანდრე პუშკინის სურათი პეტრე პირველის ძეცლთან“ (“კავკაზი”: 1899). საღამოს დიდი წარმატება ხვდა წილად; თბილისელი მაყურებელი სიამოვნებით უსმენდა საყვარელი პოლონელი პოეტის ნაწარმოებებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ 1872 წელს დიდი ტურნეს შემდეგ თბილისში ჩამოვიდა გამოჩენილი, მთელ მსოფლიოში ცნობილი პოლონელი მევიოლინე გენრიკ ვენიავსკი, რომელმაც თბილისში ერთი, მაგრამ დაუვიწყარი კონცერტი ჩაატარა (“კავკაზი”: 1872).

1899 წელს ახალგაზრდა ნიჭიერმა ვირტუოზმა რაულ კოჩალსკიმ თბილისში ორი კონცერტი გამართა. კოჩალსკის მშვენიერი აზრი დაეხდა; კონცერტზე მან შეასრულა მხოლოდ გამოჩენილი თანამემამულის

კომპოზიტორის ფრედერიკ შოპენის ნაწარმოებები. სადამომ დიდი წარმატებით ჩაიარა. “შოპენი შესანიშნავი კომპოზიტორია, რომლის ნაწარმოებების შესრულება ყველას არ შეუძლია, ძალიან ნიჭიერ პიანისტებსაც კი. ამის მიზეზი არ გახლავთ ტექნიკური სრულყოფილება. ამ მხრივ ფერენც ლისტის ნაწარმოებების შესრულებაც შეუდარებლად რთულია” (“კავკაზი”: 1899).

სამწუხაროდ, XIX საუკუნის ვირტუოზებისათვის ტექნიკა უმთავრესი იყო, რაც აბსოლუტურად არ არის სწორი, რადგან ნამდვილმა მუსიკოსმა ტექნიკაზე არც უნდა იფიქროს და მთელი ყურადღება მუსიკალური ნაწარმოების არსის ჩაწვდომაზე უნდა გადაიტანოს. ნამდვილ მუსიკოსს ბევრი რამ მოეთხოვება; ამას ბევრი კარგი მუსიკალური კრიტიკოსი ამტკიცებდა; მათ რიცხვს ლეონ იანიშევსკიც მიეკუთვნებოდა, რომელმაც თბილისელი მაყურებლის გემოვნების განვითარებისათვის ბევრი რამ გააკეთა. რაც შეეხება შოპენის მუსიკას, მისი შესრულების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სირბილეს, პოეტურობას და, რაც ყველაზე მთავარია, თავისებურ, მხოლოდ შოპენის მუსიკისათვის დამახასიათებელ მელოდიურობას და სევდიანობას, რომელთა გარეშეც შოპენის მუსიკა წარმოუდგენელია. შოპენის მაზურკების, ნოქტიურნების, ვალსების, პრელუდიებისა და ეტიუდების მოსმენისას ფიქრობ შოპენის მუსიკის განსაკუთრებულ კოლორიტზე. “შოპენის ნაწარმოებები დეტალურად შესწავლილი აქვს მის უსაყვარლეს მოწაფეს მიკულის, ვისთანაც კონხალსკი კონსულტაციებს გადიოდა; მისი მუსიკა შესანიშნავად მიესადაგება ახალგაზრდა ვირტუოზის ხასიათს” (“კავკაზი”: 1899). კონცერტი ცნობილი სონატით დაიწყო; დიდი ექსპრესიით იყო შესრულებული ცნობილი სამგლოვიარო მარში, რომელიც თბილისში თითქმის ყველა პანაშვიდზე ისმის. ყველაზე კარგად შესრულებული იყო შოპენის რევოლუციური ეტიუდი; სათუთი ნიუანსებით შეასრულა კონხალსკიმ ბალადა, ვალსები და ნოქტიურნები. “პუბლიკამ ძალიან თბილად მიიღო ახალგაზრდა პიანისტი, რომელმაც თავისი ნიჭით და მუსიკალური ტემპერამენტით საზოგადოება გააოცა” (“კავკაზი”: 1899). მის დაკვრას კრიტიკოსები მხატვრულს უწოდებდნენ, რასაც ადასტურებს აწ განსვენებული შესანიშნავი შემოქმედი ა. რუბინშტეინის აზრიც, რომელიც რ. კონხალსკის დიდ კომპოზიტორად და შემსრულებლად მიიჩნევდა. თბილისშივე დაასრულა კონხალსკიმ თავისი უდიდესი ნაწარმოები, სამ აქტიანი ოპერა ცნობილი პოლონელი დრამატურგის ა. ფრედროს (მამის) ნაწარმოების მიხედვით. იგი იმ ეპოქას ეძღვნება, როდესაც ლიტვის სამეფომ ქრისტიანობა

მიიღო. რუბინშტეინია და კოჩალსკის უკანასკნელი შეხვედრა შტუტგარტში შედგა, სადაც სადღესასწაულოდ სრულდებოდა რუბინშტეინის ორატორია “ქრისრე” (“კავკაზი”: 1899).

“ცნობილი ლაიპციგის კონსერვატორიის პროფესორის და მუსიკალური კრიტიკოსის ბერნარდ ფოგლის ცნობით, რუბინშტეინმა აღნიშნა, რომ დროთა განმავლობაში რაულ კოჩალსკის უფრო დააფასებენ, როგორც კომპოზიტორსა და ბეერების ოსტატს” (“კავკაზი”: 1899).

1899 წლის 2 მაისს რაულ კოჩალსკის კიდევ ერთი კონცერტი გაიმართა თბილისში. კოჩალსკიმ ამჯერადაც დიდი სიამოვნება მიანიჭა ცნობილი შემსრულებლებით განებივრებულ თბილისელებს. კონცერტის პროგრამა გემოვნებით იყო შერჩეული; რა თქმა უნდა, შესრულებული იყო შოპენის ნაწარმოებები: პოლონეზი, პრელუდიები, ვალსები. “დიდი რომანტიკოსის ნაწარმოების შესრულება ვირტუოზული ტექნიკის გარდა ითხოვს ლირიზმს, მელოდიურობას. ყოველივე ამას პიანისტი კოჩალსკი ჭარბათ ფლობს” (“კავკაზი”: 1899). დიდი ექსპრესიულობით შესრულდა მოცარტის ფანტაზია, კონცერტის ბოლო ნაწილში კი კოჩალსკიმ შეასრულა თავისივე რონდო და ფანტაზია და ვირტუოზული ტექნიკა აჩვენა. კონცერტი დასრულდა ფერენც ლისტის “დიდი ჭენებით”. მსმენელი ახალგაზრდა ვირტუოზის უსაზღვრო შესაძლებლობებში კიდევ ერთხელ დარწმუნდა. იმ დღეებში თბილისში ცუდი ამინდი იყო. ამინდისა და რეკლამის არ ქონის გამო რაულის კონცერტს ცოტა ხალხი დაესწრო. მიუხედავად ამისა, კოჩალსკის თაყვანისმცემლებმა რამოდენიმეჯერ “ბისზე” დაკვრა აიძულეს. “მისი კიდევ ერთი კონცერტი 6 აპრილს, თბილისის კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში შედგა” (“კავკაზი”: 1899). კონცერტზე პოლონელმა პიანისტმა თავისი ორი ნაწარმოები - “მაზურკა” და “ეტიუდი” შეასრულა, რაც არც თუ ისე წარმატებული შოპენის აშკარა მიბაძვა იყო. გაზეთ “კავკაზის” კრიტიკოსი იმედოვნებს, რომ დროთა განმავლობაში კოჩალსკი გამომიშავებს თავის გარკვეულ დამოუკიდებელ სტილს. კონცერტზე დიდი ოსტატობით შესრულდა ა. რუბინშტეინის “ბარკაროლა”, ხოლო ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ურთულესი სონატა ახალგაზრდა შემსრულებელს არც თუ ისე კარგად გამოუვიდა. რა თქმა უნდა, პიანისტი ერთნაირ დონეზე ვერ შეასრულებს სხვადასხვა ჟანრისა და მიმართულების კომპოზიტორების ნაწარმოებებს, მაგრამ იგივე არასრულყოფილება ჩანდა

ჯუზეპე ვერდის ოპერის “რიგოლეტოს” ნაწყვეტის შესრულებაშიც. ამჟამად დარბაზი სავსე იყო და მსმენელმა რაულ კოჩალსკი ძალიან თბილად მიიღო.

საერთოდ, 1899 წელი დატვირთული იყო კონცერტებით, პოლონელი მსახიობების წარმოდგენებითა და დრამატული დასების სპექტაკლებით. თემას თუ გაგაგრძელებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელ მსოფლიოში დიდად აფასებენ შემოქმედ პიანისტებს, რომლებიც შესრულებული ნაწარმოებების სულისკვეთებით არიან გამსჭვალულნი. ისინი მსმენელზე შთაბეჭდილებას ახდენენ არა მხოლოდ თავისი ვირტუოზული ტექნიკით, არამედ საშემსრულებლო ეფექტებით, თავიანთი ნიჭითა და ტემპერამენტით. ასეთ შემოქმედ პიანისტად და ვირტუოზად გვევლინება ბატონი იუზეფ სლივინსკი, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქალაქის მუსიკალურ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ისევე როგორც რაულ კოჩალსკის კონცერტების დროს, თბილისის კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზი გავსებული არ იყო, რადგან იუზეფ სლივინსკი თბილისელი მაყურებლისათვის ცნობილი არ იყო; ალბათ თბილისელები მხოლოდ გაზეთ “კავკაზის” მეშვეობით თუ შეიტყობდნენ ევროპაში ცნობილი მუსიკოსების შესახებ და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაზეთის რედკოლეგია საჭიროდ ჩათვლიდა დაებეჭდა წერილები გამოჩენილ და ცნობილ პიანისტებზე, კომპოზიტორებსა თუ მევიოლინეებზე. “ძნელი სათქმელია, რა უფრო უკეთესად გამოზღვის შემსრულებელ სლივინსკის - ტექნიკური თუ მუსიკალური მხარე” (“კავკაზი”: 1899). ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ როგორ განიცდის პიანისტი შესრულებულ ნაწარმოებებს; ი. სლივინსკი თვით უნიჭიერეს თეოდორ ლეშეტიცკის მოსწავლე იყო. კონცერტზე მან შეასრულა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის, ლისტის, შუმანის, შუბერტის და შოპენის ნაწარმოებები. პიანისტი მშვენივრად ასრულებს ახალგაზრდა კომპოზიტორ - რომანტიკოსების შოპენის, შუმანისა და ლისტის მუსიკას. ეს კონცერტი თბილისელებისათვის დღესასწაულად გადაიქცა.

სლივინსკის მეორე კონცერტი 30 აპრილს თბილისის არტისტული საზოგადოების დარბაზში შედგა; საკონცერტო პროგრამაში გამოცხადებული იყო ისეთი რთული ნაწარმოებები, როგორებიც არიან ბეთჰოვენის 28 სონატა, საკმაოდ არაეფექტური შოპენის “ბარკაროლა”, ა. რუბინშტეინის “ბარკაროლა”, შუმანის ფანტაზია და ლისტის ძალიან ცნობილი და ურთულესი სონატა “დანტეს წაკითხვისას”.

ახალგაზრდა მუსიკოსის ბოლო კონცერტი გაიმართა კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში; ბატონი სლივინსკის ყოველი კონცერტი სულ უფრო და უფრო მეტ ადფრთოვანებას იწვევდა. “დარბაზი დატყვევებული დარჩა სლივინსკის ნიჭით” (“კავკაზი”: 1899).

შეიძლება დავასკვნათ, რომ პოლონური კულტურული არეალი მეტად ფართოდ იყო წარმოდგენილი საქართველოს დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში და რაც არაერთხელ აღვნიშნეთ, მიუთითებდა როგორც ქართველების პოლონელებისადმი ინტერესზე, ასევე პოლონელების ინტერესზე საქართველოსადმი, იმ ქვეყნისადმი, რომელმაც ძალიან დიდი თანაგრძნობითა და სითბოთი მიიღო სამშობლოს მოწყვეტილი გადასახლებული პოლონელები და აგრეთვე პოლონელები, რომლებიც მუშაოდნენ და გასტროლებზე ჩამოდიოდნენ საქართველოში.

III თავი

პოლონური პუბლიცისტურ-ინფორმაციული დისკურსი გაზეთ “კავკაზის” მასალების მიხედვით

3.1. კაპიტან იაროცკის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე

“წერილი ნუხიდან”

“წერილი ნუხიდან” იმ დიდი ინტერესის დამადასტურებელია, რასაც პოლონელები კავკასიელი ხალხისა და მათი წეს-ჩვეულებებისადმი იჩენდნენ.

ეს წერილი იაროცკიმ გაზეთ “კავკაზის” 1846 წლის №5 გამოაქვეყნა, სადაც ავტორი ძალიან ზუსტად გვიხატავს ნუხის თათრებს. რაც მთავარია, ამ პატარა ამბის მოწმე, რომელიც წერილშია აღწერილი, თავად იაროცკი იყო.

როგორც ჩვენ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, პოლონელებს კავკასიაში ბევრი რამ აინტერესებდათ, განსაკუთრებით კი მათთვის უცნობი ტრადიციები, მაგალითად ისეთი, როგორიც იყო მთვარის დაბნელების შიში; ამ მოვლენის დრო ზუსტად არის აღნიშნული - 1845 წლის 12 ნოემბერი. ამ დღეს მთელს ქალაქში თოფის ხმა ისმოდა, თუმცა თავდასხმის საფრთხე არ არსებობდა. ნუხის მცხოვრებნი წყნარი და მშვიდობის მოყვარე ადამიანები იყვნენ; მიუხედავად ამისა, ნუხაში განლაგებულმა რუსის გარნიზონმა განგაში ატეხა და საბრძოლო მზადყოფნაში ჩადგა. “გაგზავნილ იქნა მაცნე, რომელსაც უნდა გაეგო, თუ რა ხდებოდა ქალაქში და რატომ ისროდნენ ასე გამალებით. აღმოჩნდა, რომ მოქალაქეები თოფს ესროდნენ “შაიტანს”, რომელმაც მთვარე დააბნელა; თოფის სროლითა და ყვირილით ისინი ცდილობდნენ გაეძევებინათ “შაიტანი” ქალაქიდან” (იაროცკი: 1846). გარნიზონში კი მხოლოდ ამის შემდეგ შეამჩნიეს მთვარის დაბნელება.

ეს ამბავი კარგი მაგალითია იმისა, თუ რამდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მუსლიმანები და ქრისტიანები. XIX საუკუნის პირველ ნახევარში თათრებისათვის მთვარის დაბნელება იყო საშიში და შემაშფოთებელი მოვლენა. ეს სცენა აშკარად გვიჩვენებს იმის აუცილებლობას, თუ რატომ უნდა ცოდნოდან კავკასიაში ჩამოსულებს ადგილობრივი მცხოვრებლების ადათები. ინტერესს იწვევს ავტორის შენიშვნა, სადაც იგი

აღნიშნავს, რომ თბილისში მალე გამოიცემა კავკასიური კალენდარი რუსულ და ადგილობრივი ხალხის ენებზე, რომელშიც ამ მხარის მკვიდრთა წეს-ჩვეულებების შესახებ იქნება მოთხრობილი.

“სხვა მუსლიმანურ სოფლებშიც ეშინიათ მთვარის დაბნელების, მაგრამ ნუხისაგან განსხვავებით აქ მხოლოდ ხმაურს იწყებენ; ფიქრობენ, რომ მთვარის დაბნელება გამოწვეულია იმით, რომ მასზე შაითანი ზის და იგი მხოლოდ თოვის სროლითა და ხმაურით შეიძლება მოაშორო მთვარეს” (იაროცკი: 1846). თათრების გადარწმუნება შეუძლებელი იყო; ამ პატარა ნარკვევში ჩვენ შევიტყვეთ კიდევ ერთი, შეიძლება უკვე მივიწყებული ტრადიციის შესახებ, რომელიც კაპიტან ი. იაროცკიმ შემოგვინახა.

3.2. კაპიტან ნესვიატსკის შემოქმედება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე

“ეკლესია ქისტებთან სოფელ ხულიში”

სტატიაში “ეკლესია ქისტებთან სოფელ ხულიში” კაპიტანმა ნესვიატსკიმ აღწერა კიდევ ერთი მუსულმანური წეს-ჩვეულება, რომელიც ეძღვნება წმინდა ერდის თაყვანისცემას მისივე სახელობის ეკლესიაში (როგორც ჩანს, ავტორი ეკლესიაში მეჩეთს გულისხმობს).

100 წლის წინ ცხოვრობდა ერდი დუდაროვი, დღემდე ცნობილი გვარის წარმომადგენელი. მან დაბა თაგაურში დააარსა ეკლესია, რომელსაც შემდეგ ეწოდა ზორცოს ერდი, ანუ წმინდა ერდის ტაძარი. დროთა განმავლობაში ეს ტაძარი არ შეცვლილა, განსხვავებით ჩრდილო კავკასიაში პოლიტიკური სიტუაციისა, რომელიც ხშირად იცვლებოდა და ყოველთვის ძალიან დაძაბული იყო. ტაძარში წმინდა ერდისადმი მიძღვნილი დღესასწაული ორჯერ წელიწადში იმართებოდა: აგვისტოში მკის დაწყებისას და ოქტომბერში - მკის დასრულების შემდეგ.

“დღესასწაულის აღნიშვნის დღეს წმინდა ერდის თაყვანისმცემლები სქესისა და ასაკის მიუხედავად ტაძარში იკრიბებოდნენ და წმინდა ერდისადმი მიძღვნის ადათებს ასრულებდნენ” (ნესვიატსკი: 1849). ტაძარში ზეიმი ღოცვით იწყებოდა, რომელსაც ყველა წარმოთქვამდა, ვინც კი ტაძარში იმყოფებოდა. ნესვიატსკის თავის წერილში მოჰყავს ამ ღოცვის სიტყვები: “უფალო, მოგვეც წყალობა და შენც, წმინდა ერდი, შეგვიწყალებ, რათა გვექონდეს ბარაქიანი პური,

გვეყავდეს მრავალი საქონელი და გვექონდეს წარმატება საქმეში; დაგვიცავი მტრისაგან და უსიამოვნებისაგან, მაგრამ, თუ კი გვეყოლება მტერი, მოგვეცემა ძალა ყველაფერი მშვიდობით მოვაგვაროთ” (ნესვიატსკი: 1849). როგორც ვხედავთ, ამ ლოცვის სიტყვები ყველა რელიგიაში აქტუალურია, ყველა რელიგია მოუწოდებს ადამიანებს სიმშვიდისა და თანხმობისაკენ. როგორც წესი, ამ ლოცვის შემდეგ, სწირავდნენ მსხვერპლს, ხოცავდნენ შინაურ და გარეულ ცხოველებს. როგორც ამ მონათხრობიდან ჩანს, ქრისტიანებისა და მუსლიმანების ადათებს შორის ძალიან ბევრი საერთოა. სოფლის მოსახლეობა ამ დღეს დღე-ღამის განმავლობაში ზეიმობს; საერთოდ, მუსლიმანური რელიგია გრძელავს ალკოჰოლურ სასმელებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ხულიში ეს ნებადართული იყო, რადგან აქ ადრე ქრისტიანობას ეთაყვანებოდნენ. მუსლიმანურ პროვინციებში ხშირად არეული იყო ერთმანეთში სხვადასხვა სარწმუნოება.

სტატიაში სხვა საინტერესო დეტალებიც არის აღნიშნული: როდესაც ბავშვი იბადებოდა, მას სახელს კენჭისყრით ურჩევდნენ. მიცვალებულს კი მხიარული ქელეხის მეორე დღეს კრძალავდნენ.

სტატია ძალიან საინტერესოა; ეს ტრადიცია, რომლის მომსწრე ნესვიატსკი გახდა, შეიძლება უკვე მივიწვევბლი და დაკარგულიც იყოს.

3.3. ლეონ მოდზალევსკი

“თანამედროვე პედაგოგიის ფუძემდებელი ი. ა. კომენსკი

ლეონ მოდზალევსკი გახლდათ თბილისის ქალთა გიმნაზიის ინსპექტორი. 1872 წელს გაზეთ “კავკაზში” დაბეჭდილი იყო მისი სტატია თანამედროვე პედაგოგიის ფუძემდებლის ი. ა. კომენსკის შესახებ. მოდზალევსკი გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე ხშირად აქვეყნებდა საგანმანათლებლო სტატიებს. ეს სტატია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან კომენსკის სახელი იმ დროს უცნობი იყო საქართველოში.

სტატიის დასაწყისში ჩვენ ვუღრმავდებით ევროპის ისტორიას და ვიგებთ, რომ გენიალურმა პიროვნებებმა - რუსომ, პესტალოციმ და კომენსკიმ შექმნეს და დახვეწეს ახალგაზრდების აღზრდის სკოლა. ისინი მათი მომავლისათვის დაუღალავად იბრძოდნენ. კომენსკის ყველა სამეცნიერო - პედაგოგიური შრომა

დაწერილია ლათინურ ენაზე, რომელიც იმდროინდელ მსოფლიოში იყო მიღებული. “იგი ბევრს მოგზაურობდა ავსტრიაში, პოლანდიაში, გერმანიაში და ბოლოს თავი პოლონეთს შეაფარა, რომელიც ჯერ კიდევ გამოირჩეოდა თავისი რელიგიური შემწყნარებლობით” (მოდხალევსკი: 1872).

კომენსკის ძალიან პროგრესული აზრები ჰქონდა. პოლონეთში მან დაწერა თავისი პირველი კაპიტალური შრომა “ენების კარიბჭე”, რომელშიც ნაპოვნია ჰქონდა ახალი, ადვილი გზა ენების შესასწავლად. ეს წიგნი თარგმნეს 12 ევროპულ და 5 აზიურ ენაზე. 1628 წელს კომენსკიმ გამოსცა თავისი მთავარი ნაშრომი “დიდი დიდაქტიკა”, რომელიც თანამედროვე პედაგოგიკის მეცნიერების საფუძველი გახდა; დანარჩენმა ევროპელმა მკვლევარებმა - ლოკმა, რუსომ, პესტალოციმ და ლანკასტერმა - მხოლოდ განავითარეს მისი ნაშრომის ნაწილები. 1648 წელს კომენსკიმ გამოსცა ცნობილი ნაშრომი “მსოფლიო სურათებში”, სადაც პირველად იყო გამოყენებული თვალსაჩინოების მასალები. მან გზა გაუკვალა ინდუქტიურ მეთოდსა და რეალურ ცოდნას. ბოლო წლები მან ევროპის სხვადასხვა ქალაქში გაატარა, განსაკუთრებით კი ამსტერდამი უყვარდა, რომელსაც თავისი უკანასკნელი ნაშრომი ცნობილი “ადიარება” მიუძღვნა. კომენსკი აღნიშნავდა, რომ ადამიანი სიყვარულში, თანხმობასა და მშვიდობაში უნდა ცხოვრობდეს; იგი სრულიად თანამედროვედ აზროვნებდა. ის ცდილობდა გაეერთიანებინა სამტროდ გაყოფილი სამყარო და ვერც კი წარმოიდგენდა, რომ XX და XXI საუკუნეებში მთელი კაცობრიობა შეეცდებოდა მისი იდეებისა და ნააზრების ცხოვრებაში გატარებას.

აქვე შეგვიძლია დავამატოდ, რომ დიდი ხნის შემდეგ საქართველოში დაიბადა საკუთარი პედაგოგიკის დამაარსებელი - იაკობ გოგებაშვილი; მისი “დედაენა” დღემდე თანამედროვეა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მას დღესაც აქტიურად იყენებენ.

3.4. კაპიტანი ტრშასკოვსკი

“გურიის ფენების შესახებ”

კაპიტანი ტრშასკოვსკი გაზეთ “კავკაზის” მკითხველს რუსეთის მიერ გურიის ანექსიამდე არსებული წოდებების შესახებ აწვდის ინფორმაციას.

იმ დროს გურიას მმართველი მართავდა, რომელიც საჯარო აქტებში

მოიხსენიებოდა როგორც ბატონი, ან ხელმწიფე. გურიის ზოგიერთი მმართველი პორტას მმართველობასაც იხმებდა და თავის თავს ყაენად მოიხსენიებდა. ეს ტიტული მათ სულთანმა უბოძა, თუმცა გურიის მმართველთა ძირითადი ტიტული იყო - გურიელი. სწორედ ამ სახელწოდებით შევიდნენ ისინი საქართველოს ისტორიაში. თავად გურიელს ისეთივე გავლენა ჰქონდა გურიაში, როგორც თავად დადიანს სამეგრელოში, ან შამხალ ტარკოვსკებს დაღესტანში. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ხელისუფლებამ შეუნარჩუნა მათ ტიტული - მთავარი. რუსულად კი ეს ტიტული თარგმნეს როგორც მფლობელი - მთავარი. საღმრთო წერილის ქართულ თარგმანში მფლობელი მთავარი ნათარგმნია როგორც უბრალოდ მთავარი. რთულ სიტყვებში ბერძნული არქის (დასაწყისი) ნაცვლად სწორედ ამ სიტყვას ხმარობენ, მაგალითად : მთავარმართველი (რუსულად - მმართველი). გურიელების ცოლები დედოფლებად მოიხსენიებოდნენ, ხოლო ძველებურად - დედაუფალი; ეს სიტყვა წარმოქმნილია სიტყვებიდან დედა და უფალი - მმართველი, ქალბატონი. ქართველი მეფეების, იმერეთისა და სამეგრელოს მმართველების ცოლებსაც დედოფლად მოიხსენიებდნენ. გურიელის ნათესავეები იყვნენ ბატონი - შვილი, ანუ ბატონის შვილები, ხოლო მათ სამფლობელოებს საბატონიშვილო-დ მოიხსენიებდნენ. ბატონიშვილი ეს გვარი არ არის. ბატონიშვილი სისხლით თავადია და განსაკუთრებული წოდებაა გურიაში. ისინი XIX საუკუნეში გურიაში რეალურად არსებობდნენ. თავადი წარმოიშვა სიტყვიდან - თავი. რუსულ თარგმანში იმერეთის მეფის ალექსანდრეს მიერ 1649 წელს რუსეთის ალექსი მიხაილოვიჩის ერთგულების ფიცის დადების დროს ნათქვამი იყო - თავადი და რუსულად კი - ბოიარი. საქართველოში თავადები სამ ნაწილად იყოფოდა. ზოგიერთი თავადური გვარი უფრო მნიშვნელოვანი და ცნობილი იყო, ისევე იყო იმერეთშიც. საპატიოკაცი იყო წარმოქმნილი სიტყვისაგან - პატივი. საპატიოკაცი ეს არის წოდება თავადსა და აზნაურს შორის. “საღმრთო წერილში იქ, სადაც გვხვდება სიტყვა აზნაური, მას ერთი მნიშვნელობა აქვს - თავისუფალი; ლათინურად - ლიბეტი; გერმანულად - ფრეი; სლავურად - სვობოდა; მოციქული პავლეს კორინფოელებისადმი გზავნილი (ტრშასკოვსკი: 1847). თავისუფალი აზნაურები ისეთივე პრივილეგიებით სარგებლობდნენ, როგორც ევროპელი თავადები, ამიტომ მათ სავსებით სამართლიანად ეწოდებოდათ რუსი თავადები. სასულიერო პირები ეკლესიის გარდა უდიდეს როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, მითუმეტეს უმაღლესი

სასულიერო პირები, მაგრამ თუ სასულიერო პირი გლეხი იყო, მას ბატონყმობისაგან ათავისუფლებდნენ. ეგრეთ წოდებული ვაჭრების ფენა გურიაში იმ დროს არ არსებობდა. ნებისმიერს ჰქონდა ვაჭრობის უფლება. მათ უბრალოდ ვაჭრებს უწოდებდნენ; არ არსებობდნენ აგრეთვე მეშხანები, რადგან საქართველოში თბილისის გარდა დიდი ქალაქები არ არსებობდა. გლეხებიც იყოფოდნენ მსახურებად, მებეგრებად და მოჯალაბეებად. თითოეულ წოდების წარმომადგენელს თავისი უფლებები ჰქონდა, თუმცა ყველანი ყმები იყვნენ. მსახური არის ადამიანი, რომელიც ბატონს ემსახურება. თუ მებეგრებს და მეჯალაბეებს გარკვეული დამსახურებები ჰქონდათ ბატონის წინაშე, ისინი ან ნატურალური თუ ფულადი გადასახადებიდან, ან საერთოდ მძიმე სამუშაოებისაგან თავისუფლდებოდნენ. მსახურის წოდება გლეხებს შორის ყველაზე საპატივსაცემო იყო. მემამულეს ჰყავდა თავისი მსახურები და წოდებისთვისაც საჭირო იყო გარკვეული ქალაქების გაფორმება. სიტყვა მებეგრე მოდის სიტყვა ბეგერადან, ანუ ესენი არიან გლეხები, რომლებიც ვაღდებულნი არიან თავიანთ ბატონზე იმუშავონ: დაამუშავონ მიწა, დათესონ, გადაიხადონ გადასახადები; გარდა ამისა, მათ შავ სამუშაოებზეც იყენებდნენ.

სიტყვა მეჯალაბე მოდის სიტყვიდან ჯალაბი, ანუ მისი მთელი ოჯახი ემსახურებოდა მემამულეს ან ბატონს. ეს გურიის გლეხებს შორის ყველაზე დაბალი წოდებაა, მას უწოდებდნენ უბრალოდ გლეხს. სამეგრელოში გლეხებს პირდაპირ მეჯალაბეებად მოიხსენიებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ XII საუკუნეში სიტყვების მნიშვნელობა საღმრთო წერილს ეყრდნობოდა. ტრშასკოვსკის აზრით, სწორედ ამ წყაროდან დასტურდება, რომ ძველ დროს სიტყვა აზნაური ნიშნავდა თავისუფლად დაბადებულს. გურიის გლეხებს, რომლებიც მიწას ამუშავებდნენ, მეთოხეებს უწოდებდნენ, ხოლო შინა ყმებს – შინაკაცებს სიტყვისაგან შინ - სახლი. იმდროინდელ გურიაში ფეოდალური ურთიერთობები იყო დამყარებული. ევროპაში ფეოდალიზმი განმანათლებლობამ გაანადგურა, მთელ დასავლეთ აზიაში – ისლამმა, ხოლო სომხეთში, რომელმაც თავისი თვითმყოფადობა XIV საუკუნეში დაკარგა, ბევრი რამ შეიცვალა თურქებისა და სპარსელების ბატონობის გამო. საქართველოს პროვინციებში ფეოდალიზმი შენარჩუნდა. თავადები, საპატიო კაცები და აზნაურები მიწის მესაკუთრეები იყვნენ. გარდა ამისა, ისინი მიწაზე მომუშავე გლეხებსაც ფლობდნენ. თავადები და საპატიო კაცები მფლობელისაგან დამოუკიდებელნი იყვნენ, ისინი ჯარში, საჯარო სამმართველოებში მსახურობდნენ, ხანდახან საბაჟოზეც კი, თუმცა

შემოსავალს მფლობელს არ უყოფდნენ. აზნაურების ნაწილსაც იგივე უფლებები ჰქონდა. ისინი ემსახურებოდნენ მფლობელს ისე როგორც ხელისუფალს, თუმცა იყვნენ აზნაურები, რომლებიც თავადებს ან ეკლესიას ეკუთვნოდნენ. აზნაურები თავიანთი მფლობელებისათვის საპატიო ამაღლას წარმოადგენდნენ. მათი გლეხები მიღებული შემოსავლის ნაწილს აზნაურების მფლობელებს აძლევდნენ. რა თქმა უნდა, საკმაოდ გასაკვირია, რომ ერთი თავდახსნილი ეკუთვნოდა მეორე თავდახსნილს. დაახლოებით იგივე სიტუაცია იყო შუა საუკუნის ევროპაში.

“ქართულ მატიანეში ვერ ვხდებით ინფორმაციას წოდებების წარმოქმნის შესახებ; ხალხური თქმულებებისგან შეიძლება მხოლოდ დავასკვნათ, რომ აზნაურები უძველესი დროიდან არსებობდნენ. ასევე ცნობილია, რომ ეკლესია და თავადები გლეხებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის აზნაურებად წერდნენ” (ტრშასკოვსკი: 1847).

მემამულეს შეეძლო მისგან დამოკიდებული აზნაურის მამული სხვისთვის გადაეცა, თუმცა თვითონ აზნაურს თავისი მამულისა თუ ეკლესიის გარეშე გლეხების გათავისუფლების უფლება არ ჰქონდა.

მეფე ვახტანგის კანონების მიხედვით, რომლებიც იმ დროს ჯერ კიდევ მოქმედებდნენ, მემამულეს არ ჰქონდა გლეხის მოკვლის ან დასახინრების უფლება, თუმცა, მიუხედავად სასულიერო პირების წინააღმდეგობისა, დამნაშავეებს ხშირად თურქებზე ჰყიდდნენ.

გლეხებს სხვადასხვა ვალდებულებები ჰქონდათ. მაგალითად, სტუმრების მოსვლისთვის კალმახის დაჭერა; გიორგობის დღესასწაულზე ხმლის გამოჭედვა; მაგრამ, აღსანიშნავია, რომ არც ერთი გლეხი მეორე გლეხის საქმის გაკათებაზე არ თანხმდებოდა, ვალდებულებები წინასწარ მკაცრად იყო გაწერილი. თუ ერთი გლეხი მიწას ხნავდა, ის თევზის დაჭერაზე არ თანხმდებოდა და ასე შემდეგ..

გლეხების ქონებას მემამულეები ფლობდნენ. გლეხებს უფლება არ ჰქონდათ მემამულის თანხმობის გარეშე სხვა სოფელში გადასახლებისა. თუმცა, მეორეს მხრივ, მემამულე ვალდებული იყო ეზრუნა თავის გლეხებზე. თუ გლეხი უძრავ ქონებას შეიძენდა, იგი სამუდამოდ მის მფლობელობაში რჩებოდა. გურიაში გლეხებს მემამულის თანხმობის გარეშეც ჰქონდათ ვალის აღების უფლება, მიუხედავად იმისა, რომ მეფე ვახტანგის კანონების თანახმად ეს აკრძალული იყო.

რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, გლეხს შეეძლო მფლობელობაში ჰყოლოდა გლეხი. თუ გლეხი შემთხვევით ტყვედ ვარდებოდა, ხოლო შემდეგ

ბატონის დახმარების გარეშე დაიხსნიდა თავს, ეს გლეხი თავისუფლდებოდა. ისეც ხდებოდა, რომ თავადს ჰყავდა თავისი თავადი, ხოლო აზნაურს თავისი აზნაური. მხოლოდ უმაღლესი წოდების წარმომადგენლებს შეეძლოდ მფლობელობაში ჰყოლოდათ ყველა და ყველაფერი.

ეს არის გურიაში არსებული წოდებების მოკლე ჩანახატი, რასაც საქართველოს რუსეთთან მიერთებამდე ჰქონდა ადგილი; ამჟამად, გვატყობინებს ავტორი, ანუ 1809 წლის შემდეგ გურიაში არსებობენ იგივე წოდებები: თავადები, აზნაურები და გლეხები. წოდება საპატიო კაცი თავადების წოდებას შეუერთდა.

აზნაურები სახაზინო და ბატონყმურ აზნაურებად იყოფიან. გლეხებიდან წამოსული სასულიერო პირები კი 1838 წელს სრულიად გათავისუფლდნენ. გარდა ამისა, გათავისუფლდნენ გლეხებიც. გლეხსა და მემამულეს შორის ურთიერთობები სახელმწიფო დადგენილებებით არის დარეგულირებული.

ეტყობა კაპიტანი ტრშასკოვსკი ამ მხარეში, გურიაში მსახურობდა. იგი საქართველოს ამ მხარით დაინტერესებული იყო და მან გურიაში არსებული წოდებების შესახებ მშვენიერი, ინფორმაციულად დატვირთული თხზულება დაგვიტოვა.

3.5. 1863 წლის პოლონეთის აჯანყება და მისი გაშუქება გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე”

1863 წლის პოლონეთის აჯანყების შესახებ მრავალი ტომია დაწერილი, მაგრამ ჩვენ სადისერტაციო ნაშრომში განვიხილავთ აჯანყების შესახებ მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც გაზეთ “კავკაზის” ფურცლებმა შემოგვინახა. პონეთის ამბოხების თემა ძალიან აქტუალური იყო კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, 1831 წლის აჯანყების შემდეგ, კავკასიასა და საქართველოში ძალიან ბევრი პოლონელი გადმოსახლეს, რომლებმაც აქ მეორე სამშობლო შეიძინეს და რომლებიც ამ უცხო ქვეყანაში საკმაოდ თბილად მიიღეს. 1863 წლის აჯანყებამ მთელი მსოფლიოს პრესაში დიდი გამოძახილი ჰპოვა და, ბუნებრივია, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და პროფესიონალური გაზეთი “კავკაზი” ამ მოვლენების მიღმა არ დარჩებოდა; მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი “კავკაზი” პირველად 1846 წელს გამოიცა, მისი გამოსვლის თანავე გაზეთში უკვე თანამშრომლობდნენ გადმოსახლებული პოლონელები; “კავკაზში” ბევრი

პოლონური მასალა იბეჭდებოდა. გაზეთის 1862 წლის თითქმის ნახევარი და 1863 წლის ყველა ნომერი პოლონეთის სამეფოში განვითარებულ მოვლენებს ეძღვნებოდა. პოლონელები, რომლებიც, როგორც ცნობილია, არ ურიგდებოდნენ ავტონომიის დაკარგვას, პირველივე შესაძლებლობის დროს ცდილობდნენ ამ უკმაყოფილების გამოხატვას და ამიტომ საკმაოდ იმედიანად შეხვდნენ ალექსანდრე მეორის გამეფებას. “მან არაპოპულარული ნიკოლოზის ბარბაროსული რეჟიმი ოდნავ შეარბილა: რუსეთის მთავრობის მიერ გაციმბირებულ ბევრ პოლონელსა და ემიგრანტებს შესალებლობა მიეცა სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ” (პოლონეთის ისტორია: 1992). პოლონეთის საზოგადოებაში გაჩნდა იმედი და გაისმა მოთხოვნები, რომ პოლონეთშიც ჩატარებული იგივე რეფორმები, რაც რუსეთში ტარდებოდა. პოლონეთის დიდ ქალაქებში დაიწყო ეროვნული გლოვის გამომხატველი ატრიბუტიკის გამოყენება, პოლონური ეროვნული სიმღერების შესრულება, დაიწყო პოლიტიკური დემონსტრაციები და პროცესები. მეფის მთავრობა, საერთო ჯამში, პოლონეთში ზოგიერთი უმნიშვნელო რეფორმების ჩატარების წინამდებელი არ იყო, რადგან იმპერატორი ალექსანდრე მეორისათვის ლიბერალიზმი უცხო არ იყო: იმპერატორმა პოლონეთის სამეფოს 1861 წელს თვითმმართველობა უბოძა, რაც მარკიზ ველიოპოლსკის - თავისი რუსეთისგან დამოკიდებული სამშობლოს მხურვალე პატრიოტმა - ურჩია ალექსანდრე მეორეს. ამისათვის პოლონეთის სამეფოში სახელმწიფო საბჭო შეიქმნა, რომელიც პოლონელებით იყო დაკომპლექტებული; საბჭოები ადგილობრივი თვითმმართველობისათვის გუბერნიებშიც შეიქმნა და მათში მოსახლეობის მკვიდრნი შედიოდნენ” (პოლონელი ხალხის რევოლუციური მოძრაობის (პოლონეთის ისტორიიდან: 1961). ადგილობრივი პოლონური კომისიების, ანუ სამინისტროების გამგებლობაში ნავარაუდები იყო საეკლესიო საქმეების, სასამართლოსა და სკოლების გადაცემა. თვით მარკიზ ველიოპოლსკი მთელ პოლონურ ადმინისტრაციას სათავეში ჩაუდგა. იმპერატორ ალექსანდრე მეორეს ძმა, დიდი თავადი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე კი – პოლონეთის სამეფოს მეფისნაცვლად დაინიშნა. დიდი თავადი კონსტანტინეც მომხრე იყო ქვეყანაში ლიბერალური ცვლილებების ჩატარებისა. “მაგრამ მარკიზ ველიოპოლსკის იმედებს განხორციელება არ ეწერა. მას ზომიერი რეფორმებით პოლონეთის გადარჩენა უნდოდა, მაგრამ პატრიოტებმა თავიანთი მოთხოვნები გაამკაცრეს (რაც ჩვენი აზრით სრულიად სამართლიანი იყო) და მოითხოვეს

პოლონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ რუსეთის მთავრობა დათმობაზე წავიდოდა” (1863 წლის პოლონური აჯანყების ისტორიიდან: 1971). ამ საკითხში აჯანყებულები ძალიან შეცდნენ. პოლონელი პატრიოტები პოლონეთის საზღვრების გაფართოებას დნებრსა და დასავლეთ დვინამდე ფიქრობდნენ და მათ რუსეთის მეფის მთავრობასთან დაპირისპირება გადაწყვიტეს. მაგრამ ძალები არათანაბარი იყო. დიდ თავად კონსტანტინეზე განხორციელებული იყო თავდასხმა; აგრეთვე თავს დაესხნენ მარკიზ ველიოპოლსკისაც და აი უკვე 1863 წლის იანვარში წინასწარ დათქმული ერთიანი სიგნალით პოლონეთის სამეფოს სხვადასხვა ადგილებში დაიწყო ამბოხება. ამბოხებას ხელმძღვანელობდა საიდუმლო კომიტეტი “რჟონდა ნაროდოვო” (1863 წლის პოლონური აჯანყების ისტორიიდან: 1971). ის პირები, რომლებიც აჯანყებას არ შეუერთდებოდნენ - ისჯებოდნენ. რუსეთში, რასაკვირველია, ამბოხების მკაცრი ჩახშობა გადაწყვიტეს, ხოლო, პოლონელი მარკიზ ველიოპოლსკის პოლიტიკა დაგმობილ იქნა. ამბოხების ჩასახშობად ლიტვაში გაგზავნეს მ. მურავიოვი - მეტად ულმობელი და მკაცრი კაცი. პოლონეთში კი ამ მისიით გრაფი ბერგი განაწესეს - საკმაოდ რბილი და ლმობიერი ადამიანი, ამიტომ პოლონეთის ამბოხების ჩახშობა გაცილებით უფრო ნელა მიმდინარეობდა ვიდრე ლიტვაში, სადაც მურავიოვი ბობოქრობდა. მან მთელი მხარის სიძულვილი დაიმსახურა. პოლონეთში კი ამ დროს ამბოხებულებისათვის სასურველი პირობები იქმნებოდა, იმის და მიუხედავად, რომ იქ რუსის ჯარი დიდი რაოდენობით იყო კონცენტრირებული. აჯანყების დაწყების შემდეგ ამბოხებულებს შეკრება და მოქმედება ისე შეეძლოთ, რომ რუსის ჯარის მხრიდან თითქმის არავითარ წინაამდგეობას არ აწყდებოდნენ. გარდა ამისა, მათ შეძლეს გლეხებს შორის ფართო აგიტაცია ეწარმოებინათ და რადიკალური აგრარული რეფორმების დაპირებით ცდილობდნენ ისინიც ეროვნული გათავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაებათ.” ყველაფერი საბოლოოდ იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებდა ამბოხების ხელმძღვანელობა შექმნილ შესაძლებლობებს. მაგრამ ეს ამბოხების ხელმძღვანელობა, სამწუხაროდ, თითქმის არ არსებობდა. ინსურგენტების რაზმები დაქსაქსულები იყვნენ და ერთმანეთთან არ ურთიერთობდნენ, რადგან ყველას სურდა უფროსობა და ხელმძღვანელობა” (მარხლევსკი: 1961). ამბოხების ხელმძღვანელები თითქმის მთელი დღეები სხვადასხვა ოლქებში მოგზაურობდნენ, მაგრამ საბოლოოდ არავითარი ქმედითი ზომები არ იყო

მოღებულის, რათა ხალხის ფართო მასები ცარიზმთან საბრძოლველად დაერაზმათ, რაც მათი ბრძოლის წარუმატებლობის უთუოდ კიდევ ერთი მიზეზი იყო. ვარშავის ამბოხება 1863 წელს დაიწყო, მაგრამ ჯერ კიდევ 1862 წელს მოსამზადებელი სამუშაოები იქნა ჩატარებული.

1862 წელს ერთ-ერთი გახმაურებული საქმე ეხებოდა ვარშავის სამიტროპოლიტო კაპიტულის პრელატ - არქიდიაკონის ანტონი ბიალობრჟესკის კონფრონტაციას სამხედრო სასამართლო საქმესთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ არქიეპისკოპ ფიალკოვსკის გარდაცვალების შემდეგ ვარშავის ეპარქიის კაპიტულმა ანტონი ბიალობრჟესკი ადმინისტრაციის თანამდებობაზე აირჩია, რომელმაც, ფაქტიურად დაიწყო თავისი ვალდებულებების შესრულება, თუმცა ის დამტკიცებული არ იყო, რადგან მთავრობა მისი დამტკიცების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ვარშავისა და პოლონეთის სამეფოს სხვა რომაულ - კათოლიკურ ეპარქიებში ასეთ შემთხვევებს ხშირად ჰქონდათ ადგილი. პრელატს, რომელიც არ იყო დამტკიცებული, უფლება არ ჰქონდა სხდომისათვის კაპიტული მიეწვია, რათა სხვა პრელატებისათვის ცუდი მაგალითი არ მიეცა. ასეთი შემთხვევები, რასაკვირველია, აღკვეთილი უნდა ყოფილიყო. ანტონ ბიალობრჟესკის მიერ მოწვეულ სხდომაზე სხვა სასულიერო პირებიც იყვნენ დაშვებულნი, რომლებსაც კაპიტულში ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდათ. გარდა ამისა, მასში საერო პირებიც მონაწილეობდნენ, რაც აბსოლუტურად დაუშვებელი იყო.

1862 წელს ვარშავაში ისედაც არ იყო წყნარი სიტუაცია, ხოლო პრელატმა გაუგონარი რამ დაუშვა და ჩაიდინა: დართო თავის თავს უფლება ვარშავაში ყველა კათოლიკური ეკლესია დაესურა. ამ უკიდურეს ზომაზე მას არანაირი კანონი არ აძლევდა უფლებას.

“ამ განკარგულებამ უეცრად გაურკვეველი დროით მოუსპო რომაულ - კათოლიკურ სარწმუნოების ყველა ქრისტიანს ღვთის მსახურების მაღლისა” (“კავკაზი”: 1862). ეკლესიების თვითნებურმა დაკეტვა და ის ფაქტი, რომ სამღვდლოებამ არ განკიცხა პრელატი “არ შეაჩერა დამახინჯებული სასულიერო ჰიმნების შესრულება, რაც თვით პრელატის სიტყვების, ღვთის ეკლესიის შებღალვა იყო, ხალხი კი უარს ამბობდა დაეტოვებინა ეკლესია, მღვლვარების და სისხლის ღვრის დასაწყისის ახალი საბაბი შეიძლება გამხდარიყო, რისი აცილებაც მთავრობას ყველა ხერხით სურდა. რასაკვირველია, გამოცხადდა, რომ პრელატ ანტონი ბიალობრჟესკიმ აშკარად

დაარღვია როგორც თავისი სასულიერო მოვალეობა, აგრეთვე თავისი ვალდებულებები მეფისა და სამშობლოს წინაშე” (“კავკაზი” : 1862). პრელატი ანტონ ბიალობრუესკი ასევე მოითხოვდა ეკლესიებსა და ქუჩებში ყველა დაკავებულის გათავისუფლებას, რადგან ისინი არც ამბოხების მომზადებაში და არც სხვა, რუსეთი მთავრობის აზრით მიხნეულ არაკანონიერ ქმედებაში არ მონაწილეობდნენ. ამის გამო, საველე სამხედრო სასამართლომ პრელატეს წოდების ჩამორთვევა და დახვრეტა მიუსაჯა (“კავკაზი”: 1862).

“პირველი არმიის დროებითმა მთავარსარდალმა სასამართლოს განახენი მართებულად მიიჩნია, მაგრამ გაითვალისწინა რა პრელატის ხანდაზმულობა და მისი ავადმყოფობა, ეს საქმე მის უდიდებულესობა იმპერატორის მოწყალებით განხილვას მოანდო და მსჯავრდებულის ბედი მონარქის მოწყალებას დაუქვემდებარა” (“კავკაზი”: 1862).

იმპერატორმა განიხილა მეამბოხე პრელატის საქმე და გადაწყვიტა, რომ ყველა მისი კანონსაწინააღმდეგო მოქმედების გამო სასამართლომ სრულიად კანონიერად მიუსაჯა მას დახვრეტა: “მაგრამ მხედველობაში მიიღო რა მისი მდგომარეობა, სასულიერო და საერო უფროსობის კეთილი განწყობა, 1831 წლის აჯანყების დროს მისი კარგი ქცევა და აგრეთვე გარემოება, რომ პრელატმა მონარქის წყალობას მიმართა, მისმა უდიდესობა იმპერატორ ალექსანდრე მეორემ დართო ნება სასჯელი ბიალობრუესკის ერთი წლით ციხეში მოთავსებით შემოფარგლულიყო, სასულიერო წოდება და წმინდა ორდენები კი არ ჩამოერმიათ” (“კავკაზი”: 1862). მაგრამ უკვე 15 აგვისტოს მარკიზ ველიოპოლსკიზე კიდევ ერთი თავდასხმა განხორციელდა: “დღეს, საღამოს 7 საათზე, ქალაქიდან ბელვედერისაკენ მიმავალ გზაზე, მარკიზის ეტლს ხმლით ხელში ლიტოგრაფი ივან რიონცა დაესვა თავს. ხმალი ეკიპაუს მოხვდა” (“კავკაზი”: 1862).

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ხმალი მოწამლული იყო. მარკიზზე თავდასხმასთან დაკავშირებით მისამძიმრება მთელმა მეფის ოჯახმა ;ტელეგრაფით გადმოსცა. მარკიზს სამძიმარი გამოუცხადა ვარშავის არქიეპისკოპ - მიტროპოლიტმა, მთელმა პოლონელმა საზოგადოებამ, ადმინისტრაციულმა საბჭომ, ყველა უცხოური სახელმწიფოების კონსულმა და ქალაქ ვარშავის პრეზიდენტმა. რიონცას ჩვენებიდან აგრეთვე გაირკვა, რომ მის უდიდებულესობაზე დიდ თავად კონსტანტინე ნიკოლოსის ძეზე თავდასხმა ლუდვიგ იაროშინსკიმ განახორციელა. ლუდვიგ იაროშინსკი, რომელიც

გამოტყდა თავდასხმაში განაცხადა, რომ ეს ნაბიჯი სამშობლოსადმი სიყვარულმა გადაადგმევინა. სასამართლომ ორივე თავდამსხმელს სიკვდილი მიუსაჯა. იმავე თვეში სამოქალაქო პირებმა ევროპაში მიღებული მგვრალი შლიაპების ტარების აკრძალვის გაფრთხილება მიიღეს, რადგან ითვლებოდა, რომ მათი ტარება აკრძალულ მანიფესტაციებში მონაწილეობაზე მიანიშნებდა. საერთოდ, მთელი 1862 წლის განმავლობაში პოლონეთის სამეფოში მდგომარეობა მკვეთრად გაუვარესდა, რადგან 1863 წლის აჯანყებისათვის ნიადაგი უკვე მზად იყო. სხვადასხვა ადგილას აპატიმრებდნენ ხალხს, რომლებიც მოწოდებებს ინახავდნენ. მაგალითად, საკრედიტო საზოგადოების კომიტეტის არქივარიუსი ალექსანდრე ზამოისკი, რომელიც საიდუმლო ბროშიურებს და პროკლამაციებს ბეჭდავდა. მის სახლში ჩხრეკა ჩატარეს და “იპოვეს ხელის ტიფოგრაფიული დაზგა, დაკეცილი შრიფტი და სხვა ხელსაწყოები, ხოლო ქაღალდების ნაწილი მან მოასწრო და ღუმელში დაწვა” (“კავკაზი”: 1862). იმავე წლის 24 აგვისტოს მარკიზ ველიოპოლსკის სიცოცხლეზე კიდევ ერთი თავდასხმა იყო განხორციელებული; ამჯერად ეს საწამლავით გაუღენთილი წერილი იყო (“კავკაზი”: 1862). მარკიზი შეუძლოდ შეიქმნა, მაგრამ საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დასრულდა. თავდასხმები ერთი მეორეს სდევდა თან. 1862 25 აგვისტოს დიდი თავადის, პოლონეთის სამეფოს მეფისნაცვლის კონსტანტინე ნიკოლოზის ძის სახელით გამოიცა პროკლამაცია, რომელშიც ნათქვამი იყო “უწესრიგობის პარტიის ხრიკებზე და იმ საზოგადოებებზე, რომლებიც უკანასკნელ დროს ვარშავაში ჩადენილი დანაშაულებების წყაროს წარმოადგენენ” (“კავკაზი”: 1862). “მრავალრიცხოვანი ჩხრეკების ჩატარების შემდეგ აღმოაჩინეს დაბეჭდილი პროგრამა, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი აწერდა ხელს; იგი საერთო სახალხო აჯანყებისაკენ მოუწოდებდა და, ძირითადად, ქალაქისა და სოფლის დაბალი ფენებისათვის იყო გამიზნული” (“კავკაზი”: 1862). ორგანიზაცია აგროვებდა ფულად სახსრებს, ყიდულობდა იარაღს. “მოწოდება, რომლის სახელწოდებაცაა “ორგანიზაციის ფორმა”, ნათლად ხსნის პოლონეთის სამეფოში ბოლო დროს მომხდარ თავდასხმებს” (“კავკაზი”: 1862). 1863 წლის 12 იანვარს “უწესრიგობის პარტიამ” საიდუმლო გზებით ზოგიერთი მაზრის, ბურგომისტრების და პოლიციის სამმართველოს უფროსებისადმი მიწოდება გაგზავნა, რომ მათ 15 იანვრისათვის დანიშნული რეკრუტების აყვანისათვის ხელი არ შეეწყოთ. “15 იანვარს ჩატარებული რეკრუტების აყვანა ამბოხებულებს

არწმუნებს, რომ მთავრობაზე და ჩინოვნიკებზე, რომლებიც საქმის ერთგულნი არიან, არ მოქმედებს არც სიცრუე და არც დაშინება” (“კავკაზი”: 1863).

ვარშავაში 15 იანვრის რეკრუტების აყვანამ, ადგილობრივი მთავრობის გონიერი მოქმედებების წყალობით, მშვიდად და წყნარად ჩაიარა; წინამდღეობა არსად გაუწვევიად, მაგრამ პროვინციებში განსხვავებული სურათი იყო: “ვარშავიდან რვა კილომეტრის მოშორებით დაუმორჩილებელი შეიკრიბნენ, რომლებიც თოფებით და ცივი იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი, მაგრამ უსუნი მალე მიმოიფანტნენ. ამბოხებულთა სხვა ჯგუფები შეიკრიბნენ ბლონში, პულტუსკსა და სეროცკში, რათა იქიდან კამპინსკის და ნასელსკის ტყეებისაკენ გამართულიყვნენ; მაგრამ ტყეებში ციოდა და ამბოხებულები სიცივისაგან ძლიერ იტანჯებოდნენ” (“კავკაზი”: 1863).

დიდი თავადის კონსტანტინეს ბრძანების თანახმად ზემოთ ჩამოთვლილ ადგილებში სამხედრო რაზმები იგზავნებოდნენ. 11 იანვარს ბლონში და ნასელის ტყეში ამბოხებულების საკმაოდ დიდი რაოდენობა შეიკრიბა, დაახლოვებით 1000 კაცი; მათ გადაკეტეს ვისლა და 11 - 12 იანვარს ღამით რუსეთის ჯარის ნაწილებს დაესხნენ თავს. ამბოხებულები სარგებლობდნენ რა არეულობითა და თავდასხმის მოულოდნელობით, შედიოდნენ სახლებში და მძინარე ჯარისკაცებს თითო თითოდ კლავდნენ; მაგრამ ჯარისკაცები მალევე გამოფხიზლდნენ და დაედევნენ მუამბოხებს; ართმევდნენ მათ იარაღს და აპატიმრებდნენ. ამ ბრძოლას პოლკოვნიკი კოზლიანინოვი შეეწირა, ხოლო გენერალი კანობიხი საკმაოდ მძიმედ დაიჭრა.

“პოლონეთის სამეფოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რადგან მუამბოხეები ვარშავისაკენ მოიწვედნენ და ალყაში უკვე ლიბავის პოლკის მეშვიდე რაზმი მოხვდა, რომელმაც ზბლუდოვოსკენ დაიხია” (“კავკაზი”: 1863). პირველი ცნობების მიხედვით, 13 იანვრისათვის რუსეთის ჯარის დანაკარგი დაახლოვებით 100 კაცს შეადგენდა; მათ შორის იყო გენერალი პალშაუ. 14 იანვარს ჯარის წინ სიტყვით გამოვიდა იმპერატორი ალექსანდრე მეორე და განაცხადა, რომ სამწუხაროდ, ეს მოვლენები რევოლუციური პარტიის ხრიკებია. მუამბოხეები კი შიმშილისა და სიცივის მიუხედავად სულ წინ და წინ მიიწვედნენ. გაზეთ “კავკაზის” ცნობით, ისინი თავს დაესხნენ ქალაქ სურაჟს, დაახიანეს რკინიგზა და სადგურ ლაპაში ტელეგრაფის ბოძები გადახერხეს; 16 იანვარს ღამით კონოს მხრიდან სარკინიგზო და სატელეგრაფო კავშირი

ვარშავასთან შეწყვეტილი იყო. თუმცა ამავე დღეს რუსულმა ბრიგადებმა, ანუ ვარშავიდან დასახმარებლად გამოგზავნილმა ბატალიონმა, ესკავშირი აღადგინა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლონური ამბოხების დაწყების მიზეზად მთელ პოლონეთში ჩატარებული რეკრუტების აყვანის ოპერაცია ჩაითვალა, რის შემდეგ მგზნებარე პროკლამაცია გამოიცა. რევოლუციურმა მოძრაობამ ყველაზე მეტად პლოცკში იჩინა თავი, სადაც შლიახტა ჭარბობდა, მიტომ “პლოცკის შეტაკება 22 იანვარს დაიწყო, ხოლო 23 იანვარი მთელ პოლონეთის სამეფოში რუსეთის განადგურების დღედ გამოცხადდა.

1500 მეამბოხე გენერალ - მაიორ ბარონ მეგდენის ნაწილებს დაესხა თავს. სამკედრო - სასიცოცხლო ბრძოლა რამოდენიმე საათს გაგრძელდა, მაგრამ საბოლოოდ მეამბოხეებმა მოწინააღმდეგეების უფრო მრავალრიცხოვანი ძალების შემოტევის შედეგად უკან დაიხიეს” (“კავკაზი”: 1863).

ზოგიერთ ქალაქში ინსურგენტები სახლებში იჭრებოდნენ, რომელშიც რუსები ბინადრობდნენ და პირდაპირ ლოგინებში კლავდნენ ჯარისკაცებს. მეამბოხეები დიდ გზებზეც საკმაოდ წარმატებით მოქმედებდნენ. ისინი რუსი წარმოშობის მგზავრებს აჩერებდნენ, ჭრიდნენ სატელეგრაფო მავთულებს, ანადგურებდნენ რელსებს, ზოგჯერ დიდი ლოდებით ხერგავდნენ გზას, რათა მატარებლებით რუსი ჯარისკაცების გადაადგილებისათვის და შეიარაღების გადატანისათვის შეეშალათ ხელი. ისინი გულდასმით ასრულებდნენ კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

სოფლის მოსახლეობა, რაოდენ გასაოცარი არ უნდა იყოს, ამბოხებულებს თითქმის არ უწევდა დახმარებას; “ამბოხებაში ყველაზე აქტიურ მონაწილეობას სამღვდელეობა იღებდა. ისინი ინსურგენტებს ძალიან შეგნებულად და მნიშვნელოვნად ეხმარებოდნენ. ზოგიერთი მათგანი დაპატიმრებულ იქნა მაშინ, როდესაც ხალხს რევოლუციური სიტყვებით მიმართავდა და წინააღმდეგობისაკენ მოუწოდებდა” (“კავკაზი”: 1863). რუსული ჯარი მთელ პოლონეთის სამეფოში იყო განაწილებული და თითქმის ყველა ქალაქს და გუბერნიას აკონტროლებდა, მაგრამ ამ ტოტალური კონტროლის მიუხედავად, ინსურგენტები მათ თავს მაინც ესხმოდნენ. მეამბოხეების მობილური რაზმები მთელ პოლონეთში მოქმედებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლონელი გლეხები რევოლუციასა და ამბოხებისათვის სულაც არ იყვნენ განწყობილნი, თუმცა არაპატრიოტულ ქმედებებშიც არ იყვნენ შემწნეული. რუსული ჯარი აგრძელებდა პოლონელი ინსურგენტების დევნას. რამოდენიმე

კაცს - შინდლერს, კრისინსკის, ზაბორსკის დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ პოლონეთში მეფისნაცვალმა დიდმა თავადმა კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ, იმის შიშით, რომ ეს უფრო დიდ აღშფოთებას და ამბოხებას გამოიწვევდა, შეარბილა განაჩენი და კრისინსკი ციმბირში გადაასახლეს, (რაც უთუოდ დახვრეტას სჯობდა), ხოლო დანარჩენები ჯარისკაცებად რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში გადაასახლეს და წოდებები ჩამოართვეს. “მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად პოლონეთის სამეფოს დედაქალაქში დიდი თავადის კონსტანტინეს ბრძანებით, ვარშავაში მცხოვრებ სამოქალაქო პირებს ყველა ცეცხლსასროლი იარაღი უნდა ჩაეხრებინათ, ხოლო დაუმორჩილებლობისათვის მოქალაქეები ისევე დაისჯებოდნენ, როგორც მემბოხეები” (“კავკაზი”: 1863).

უკვე 26 თებერვალს ვარშავიდან მოვიდა ცნობა, რომ ტყვეობაში აყვანილია ინსურგენტთა რაზმის ერთ-ერთი მეთაური ბოგდანოვიჩი. ანალოგიური ცნობები პოლონეთის სხვადასხვა ადგილებიდანაც ისმოდა. ტყვეობაში ჩავარდნენ თავადი შახოვსკი, ხოლო ლანგევიჩი, ერთ-ერთი რაზმის მეთაური, საზღვარგარეთ გაიქცა. “რევოლუციონერები მიმოიფანტნენ მთელ პოლონეთის სამეფოში და როგორც სოფლის მცხოვრებლები ყვებოდნენ, გაქცეული მემბოხეები ღამის გასათევად და საკვების მოსაპოვებლად ხშირად ჩნდებოდნენ სოფლებში” (“კავკაზი”: 1863). რუსები გამარჯვების მიუხედავად, პოლონეთის სამეფოში სიწყნარისა და წესრიგის გამყარება არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა. საქმე იმაშიც იყო, რომ შეუძლებელი აღმოჩნდა მთავარი მემბოხეების დაკავება. “ასე, მაგალითად, 27 თებერვალს პოლონეთში დაბრუნდა გრაფი პონინსკი, საკმაოდ დიდ და კარგად შეიარაღებულ რაზმთან ერთად; მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ გაურცელდა ცნობა, რომ ეს რაზმი გაანადგურეს” (“კავკაზი”: 1763). მარტისათვის პოლონეთში შედარებით სიწყნარე დამყარდა. რუსეთის მთავრობის ხელში ერთ-ერთი მთავარი მემბოხე რადზიევსკი ჩავარდა, რომელსაც წინა შეტყობინებებში რაჭინსკით მოიხსენიებდნენ.

“და, რასაკვირველია, უკვე მარტის დასაწყისში რამოდენიმე ახალი ცნობა მოვიდა: სხვადასხვა ქალაქში ლოკალური დამარცხების შემდეგ ამბოხებულების მეთაურების კუროვსკის, ბოგდანოვიჩის, მიროსლავსკის, უდანოვიჩის, ფრანკოვსკის, რადზიევსკის და სხვების ამბოხებამ აბნეული ხასიათი მიიღო და მხოლოდ ლანგევიჩის რაზმიღა ინარჩუნებდა გარკვეულ წესრიგს” (“კავკაზი”: 1863).

გაზეთ “კავკაზში” პოლონეთის აჯანყების შესახებ სტატიები ქვეყნდებოდა და ქართველები მუდმივად მოვლენების ეპიცენტრში იყვნენ. საქართველოშიც მრავლად გვხვდებოდა აჯანყებები, რომლებიც ასევე მარცხით მთავრდებოდა, რადგანძალებიუთანასწორო იყო.

გაზეთი “მორნინგ პოსტი” რჩევას იძლეოდა, რომ ”სანკტ - პეტერბურგის კომიტეტს პოლონეთის სამეფოსათვის გარკვეული შეღავათები მიენიჭებინა. განსაკუთრებით ლორდი პალმერსტონი აქტიურობდა, რომელიც იმედოვნებდა, რომ რუსეთის ქმედება მის შემრიგებლურ განზრახვასთან შესაბამისობაში იქნებოდა” (“კავკაზი”: 1863).

საინტერესო იყო ლორდ რასელის გამოსვლაც, რომელიც ამტკიცებდა, რომ “რუსეთს ევროპის წინაშე პოლონეთის სალითხზე მორალური ვალდებულებები ჰქონდა” (“კავკაზი”: 1863). იგი ვენის 1815 წლის ტრაქტატზე დაყრდნობით აცხადებდა, რომ “ამ ტრაქტატის დადგენილება, რაც პოლონეთს ნაციონალურ წესდებულებებში თავისუფლებას ჰპირდებოდა, რუსეთის მიერ იქნა დარღვეული” (“კავკაზი”: 1863). იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ევროპელებს პოლონელების დახმარება სურდათ, მის დამოუკიდებლობაზე ზრუნავდნენ, მაგრამ უპირველესად მაინც თავის სიმშვიდესა და უსაფრთხოებაზე ფიქრობდნენ.

“პაბსბურგის გაზეთის” ცნობებით, საერთო ნოტის შექმნა, რომლითაც ინგლისი, საფრანგეთი და ავსტრია მიმართავენ რუსეთს, გრაფ რერბერგს დაეკისრა” (“კავკაზი”: 1863).

საპასუხო დიპლომატიურ დეპეშაში გრაფი გორჩაკოვი იუწყებოდა, რომ არანაირი ვალდებულება ევროპის წინაშე რუსეთს არ გააჩნდა. “ლორდი რასელი აღნიშნავს, რომ ინგლისი არ ჩაერეოდა პოლონეთის სამეფოს მოვლენებში, რომ არა განსაკუთრებული გარემოებები; ინგლისი მონაწილეობდა 1815 წლის ვენის ტრაქტატის შედგენაში და მან ახლა ხმა უნდა აიმაღლოს, რადგან პოლონეთის სამეფოს მთელი უბედურება ვენის ტრაქტატების შეუსრულებლობით არის გამოწვეული” (“კავკაზი”: 1863).

ინგლისი, საფრანგეთი და ავსტრია პოლონეთის სამეფოს საკითხზე ევროპული კონფერენციის მოწვევას ითხოვდნენ, მაგრამ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრაფმა მიხეილ გორჩაკოვმა ამაზე მტკიცე უარი განაცხადა; ევროპული დიპლომატია აღარ ჩარეულა პოლონეთის ამბებში და თავის ბედის ანაბარა მიატოვა იგი. ადამიანური დანაკარგების გარდა, წარუმატებელი აჯანყების შედეგი იყო რუსული ენის აუცილებელ ენად გამოცხადება და საქმის

წარმოების რუსულ ენაზე დაკანონება. კიდევ დიდხანს პოლონეთის სამეფო, ისევე, როგორც საქართველო, რუსეთის იმპერიის ფაქტიურ კოლონიად რჩებოდა.

როგორც ვხედავთ, პოლონეთის აჯანყების და მისთვის მზადყოფნის ამსახველ მასალებს გაზეთ “კავკაზში” მრავლად ვხვდებით.

გაზეთ “კავკაზის” 1861, 1862, 1863, 1864 წლების ნომრების ;გაანალიზებისას ჩნდება კითხვა, თუ რატომ იბეჭდებოდა გაზეთის ფურცლებზე ცნობები პოლონეთის აჯანყებისა და შემდგომი მოვლენების შესახებ? მეფის ადმინისტრაცია ტყუილად არაფერს აკეთებდა; ნათელია, ამით ისინი სხვა დანარჩენ კოლონიებს აფრთხილებდნენ, რომ არც ერთი აჯანყება მემამბოხეთა სასიკეთოდ არ დამთავრდებოდა; რუსეთი კი მასობრივი ინფორმაციის მეშვეობით აჩვენებდა მსოფლიოს, ღომ ძალა მის მხარეს იყო. “ევროპას შეუძლია მოითხოვოს რაც მაგას სურს, მაგრამ რუსეთის იმპერია გააკეთებს იმას, რასაც თვითონ ჩათვლის საჭიროდ”.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომის დასრულებისას გამოიკვეთა, რომ ჩვენ შევძელით დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა და არსებული ჰიპოთეზების დამტკიცება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის II ნახევარში კავკასიასა და საქართველოში მომუშავე, გადმოსახლებული და საქართველოში გასტროლებზე ჩამოსული პოლონელები აქტიურად თანამშრომლობდნენ კავკასიაში გამოცემულ პრესასთან. როგორც გაზეთ “კავკაზის” ფურცლებიდან ჩანს, ისინი მონაწილეობდნენ ქართულ ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებაში, რითიც გარკვეული წვლილი შეიტანეს საქართველოსა და მთელი კავკასიის ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების, ისევე როგორც საქართველო-პოლონეთის ურთიერთობების განვითარებაში. გაზეთ “კავკაზმა” კი დიდი როლი ითამაშა ამ ურთიერთობების განვითარებაში პრაქტიკულად ყველა დარგში.

გარდა ამისა, პოლონელებმა ლიტერატურული, ისტორიული და პუბლიცისტური ნაწარმოებების საშუალებით კავკასიისა და საქართველოს წარმოჩენაში გარკვეული როლი ითამაშეს, რაშიც გაზეთ “კავკაზს” დიდი წვლილი მიუძღვის.

სადისერტაციო ნაშრომში ჩვენ ავსახეთ და გავაანალიზეთ XIX საუკუნის II ნახევარში გაზეთ “კავკაზში” არსებული ყველა მნიშვნელოვანი პოლონური მასალა. გაზეთის შესწავლისას გაირკვა, რომ კავკასიაში მოღვაწეობდნენ პოლონეთის აჯანყების შემდეგ გადმოსახლებული პოლონელები, რუსეთის ადმინისტრაციაში, ან უბრალოდ კავკასიაში მომუშავე პოლონელები. გარდა ამისა, საკმაოდ ბევრი პოლონელი ჩამოდიოდა კავკასიასა და საქართველოში კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

სწორედ XIX საუკუნის II ნახევრის “კავკაზის” გაანალიზებისას გადავწყვიტეთ სადისერტაციო ნაშრომი 3 თავად დაგვეყო, კერძოდ: 1. პოლონური ლიტერატურული დისკურსი გაზეთ “კავკაზის” მასალების მიხედვით; 2. პოლონური კულტურული დისკურსი გაზეთ “კავკაზის” მასალების მიხედვით; 3. პოლონური ინფორმაციულ-პუბლიცისტური დისკურსი გაზეთ “კავკაზის” მასალების მიხედვით.

პირველ თავში ჩვენ განვიხილეთ როგორც გადმოსახლებულ, ასევე კავკასიაში მომუშავე პოლონელთა მეტად საინტერესო ლიტერატურული

ნაშრომები. მეორე თავში განვიხილეთ და გავაანალიზეთ ყველა ის მუსიკალურ-კრიტიკული სტატია და კულტურული ღონისძიება, რომელიც თბილისში XIX საუკუნის II ნახევარში იმართებოდა; ხოლო მესამე თავში განვიხილეთ იმ პოლონელთა პუბლიცისტური, ინფორმაციული და ისტორიული ნაწარმოებები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. რა თქმა უნდა, ყველა ზემოთ ხსენებული მასალა გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე გვხვდება.

როგორც “კავკაზის” ფურცლებიდან ჩანს, კავკასიასა და საქართველოში გადმოსახლებული პოლონელები აქტიურად მონაწილეობდნენ ქართულ საზოგადოებრივ, ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებაში.

აღსანიშნავია ჩვენს მიერ განხილული ბატონი ლეონ იანიშევსკის შემოქმედება, რომელიც კავკასიაში გადმოსახლეს. მან მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება თბილისში გაატარა. მისმა “მუსიკალურ-კრიტიკულმა” სტატიებმა დასაბამი დაუდო პროფესიონალურ მუსიკალურ კრიტიკას საქართველოში. იგი თავისი რეცენზიებით ცდილობდა თბილისის მაყურებლისა და მკითხველის გემოვნების განვითარებას.

კაპიტანი ტრშასკოვსკი 1828 წელს ნაპოლეონის ომების შემდეგ, პოლონეთის აჯანყებების წინ გადმოსახლეს კავკასიაში. 1848 წლის გაზეთ “კავკაზის” გამოცემაში მის მიერ ხატოვნად არის ასახული მამია გურიელის ცხოვრება, ისევე როგორც გურიაში განვითარებული იმდროინდელი მოვლენები.

გაზეთ „კავკაზიდან“ ირკვევა, რომ 1846 წლიდან არ გავიდოდა წელი, რომ პოლონელები გასტროლებზე თუ სხვა კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად თბილისში არ ჩამოსულიყვნენ.

გარდა ამისა, დაწყებული 1895 წლიდან უამრავი პოლონური პიესა დაიდგა თბილისის სცენაზე.

რუსეთის ადმინისტრაციაში მომუშავე პოლონელები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს ლიტერატურულ კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აღსანიშნავია ივან სლივიცკის წვლილი გაზეთ „კავკაზის“ განვითარებაში. იგი რამდენიმე წლის მანძილზე რედაქტორობდა გაზეთს. მისი ნაშრომებიდან განხილული გვაქვს “თხზულება შოთა რუსთაველზე” და ძალიან საინტერესო მოთხრობა ქართული სოფლის შესახებ. მნიშვნელოვანია ლიტერატორი ვერდერეესკის ჩვენს მიერ განხილული სამი საინტერესო

ნაწარმოები „ზაფხულის თბილისის აღწერა“, „მოგზაურობა ყაზბეგიდან თბილისამდე“ და „შამილის ტყვეობაში“.

საინტერესოა პოლონელი ბიოლოგი მლოკოსევიჩის რჩევები „ეროვნული ნადირობის თავისებურებების შესახებ“, კრიჟანოვსკის „ამბები თელავიდან“, იან სტასის ინფორმაცია სოფელ გომბორზე და კავკასიის სასწავლო ოკრუგის მასწავლებლის ლეონ მოდზალევესკის ნაშრომი უდიდეს პედაგოგზე იან ამოს კომენსკიზე, რომელიც გარკვეულ პერიოდში თავს პოლონეთს აფარებდა.

როგორც გაზეთ „კავკაზიდან“ შეიძლება დავასკვნათ, დისერტაციაში ასახული პირობითად დაყოფილი სამივე კატეგორიის პოლონელები აქტიურად თანამშრომლობდნენ კავკასიასა და საქართველოში გამოცემულ პრესასთან. ისინი აქვეყნებდნენ სტატიებს, თარგმანებს, რეცენზიებს, მოთხრობებს, მუსიკალური ნაწარმოებების კრიტიკას, კავკასიისა და საქართველოს აღწერას, თავიანთ შთაბეჭდილებებს.

ყურადღებას იპყრობს პოლონელების გასტროლები საქართველოში, პოლონელი დრამატურგების პიესების დადგმა თბილისის თეატრებსა და არტისტულ წრეებში.

როგორც უკვე აღინიშნა, პოლონელები აქტიურად ასახავდნენ კავკასიას თავიანთ ნაშრომებში.

ამ მხრივ გამოირჩევა კავკასიაში ყველაზე ახალგაზრდა გადმოსახლებულის ვლადისლავ სტშელნიცკის სამი ნაწარმოები: „ხალხთა ახალი გადაადგილება“ (რომელიც „კავკაზში“ უკვე მისი სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა), „ორი უზდენი“ და „მახმუდკა“, რომლებშიც არაჩვეულებრივ რუსულ ენაზე (თვითონ თარგმნიდა) ასახულია ჩრდ. კავკასიის ეთნოგრაფია (მან გაიარა მთელი ჩრდ. კავკასია თავის პოლკთან ერთად), მათი ტრადიციები, წესჩვეულებები, ულამაზესი ბუნება. აგრეთვე, მის პირველ ნაწარმოებში კარგად არის ნაჩვენები, თუ რამდენად სწრაფად ვრცელდება ჭორები, რომლებიც სიმართლეს საერთოდ არ შეესაბამებიან (ალბათ ამიტომაც დიდი როლი ენიჭება გაზეთების გამოცემას, ამგვარი ჭორების გავრცელების აღსაკვეთად).

ქართველები და კავკასიელები გაზეთ „კავკაზის“ მეშვეობით ინფორმაციას იღებდნენ პოლონეთში განვითარებული მოვლენების შესახებ. საკმარისია აღინიშნოს 1863 წლის პოლონეთის აჯანყება, რომელიც ფართოდ შუქდებოდა გაზეთის ყოველ ნომერში, დაწყებული 1861 წლიდან (როდესაც სხვადასხვა აქტივობები იწყებოდა) და დამთავრებული 1864 წლით. აღსანიშნავია,

რომ ეს ამბები გაზეთის მეშვეობით ორი გზით გადმოიცემოდა „ამბები პოლონეთიდან“ და „ამბები პოლონეთზე საზღვარგარეთიდან“ (უცხოეთის გაზეთებიდან).

მიგვაჩნია, რომ სადისერტაციო ნაშრომი გვაძლევს ინფორმაციას კავკასიაში მოღვაწე, ჩამოსული, თუ გადმოსახლებული პოლონელებისა და მათი კავკასიასა და საქართველოში საქმიანობის შესახებ, ისევე როგორც გვიხატავს პოლონეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების სრულ სურათს XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

ჩვენმა კვლევამ კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რამდენად მჭიდრო ურთიერთობები იყო საქართველოსა და პოლონეთს შორის XIX საუკუნის II ნახევარში. აღსანიშნავია, რომ როდესაც ვსაუბრობთ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებზე, ვგულისხმობთ არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ კულტურულ, საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ურთიერთობებს, საქართველო-პოლონეთს შორის ამ ურთიერთობების არსებობა კი ნათლად გამოჩნდა XIX საუკუნის II ნახევარში გაზეთ „კავკაზის“ შესწავლისას.

სადისერტაციო ნაშრომი გვსურს დავასრულოთ ლექსით, რომელიც კავკასიაში გადმოსახლებულმა პოლონელებმა ერთად დაწერეს. ეს ლექსი გამოქვეყნდა კავკასიაში 1841 წელს:

Wygnaniec

Ha! Dziej się wola Boża! Nie minąłem razów
Po zatopach, przepaściach, pod gromami głązów,
W świączie szaszek, kul brzmiało to „zginiesz” złowieszcze;

Изгнанник

Ха! Да будет воля Божья! Я не миновал поражений
По болотам, пропастям, скалам,
Под свистом шашек, пуль, зловеще звучало: «погибнешь»,
И едва лишь, недобиток, едва лишь вылез,
А за мной злой дух пустынь завыл адским вихрем:
«Счастливчик! Ах, счастливчик! Долго еще будешь жить!»

I ledwie niedobitek, ledwie się wywlekłem,
A ze mną zły duch pustyni zawył wicher piekłem:
„Szczęśliwyś! Ha, szczęśliwyś! Długo ci żyć jeszcze!” (ჰერცი: 1841).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარანოვსკი : 1976; Барановский “Грузия в творчестве польского писателя Матеуша Гралевского”. Тбилиси, стр. 348–356 (на грузинском языке).
2. ბარანოვსკი : 1976; Барановский “Кавказ и Польша в XVIII в.”. Москва, стр. 248–262.
3. ბესტუჟევი – მარლინსკი : 1980; Бестужев – Марлинский “Вечера на Кавказских минеральных водах в 1824 году”. Москва, стр. 125.
4. ბესტუჟევი – მარლინსკი : 1980; Бестужев – Марлинский “Кавказские очерки”. Москва, стр. 487.
5. ბოგომოლოვი : 1984; Богомолов “Тропую дружбы”. Тбилиси, стр. 12.
6. ბრაუნი : 1953; Браун “Новый перевод “Вепхისტკაოსანი”. Литературная газета №36.
7. გარშევსკი : 1872; Газета “Кавказ”, Гаршевский “Рецензия” №145, стр. 3, 4.
8. გერცენი : 1975; Герцен “Собрание сочинений в 8-ми томах”. Москва, т. 4.
9. გრიბოედოვი : 1959; Грибоедов “ Там, где вьётся Алазань”, Москва, стр.54.
10. დიაკოვი : 1967; Дьяков “Деятели русского и польского освободительного движения в царской армии 1856–1865 гг”. Био-библиографический словарь. Москва.
11. დზიუბინსკი : 1855; Газета “Кавказ”, Дзюбинский “Гулянье в Ортачалах”, №37, стр.150,151.
12. დუბროვსკი : 1846; Дубровский, Письмо к редактору. “Московитянин”, № 2, стр. 226 – 232 (рецензия на том Поэзии Лады-Заблоцкого).
13. ვერდერევსკი : 1855; Газета “Кавказ”, Вердеревский “От Зауралья до Закавказья”, №47, стр. 131,132.
14. ვერდერევსკი : 1855; Газета “Кавказ,” Вердеревский “Письма с дороги”, №49, стр. 145,146.
15. ვერდერევსკი : 1855ა; Газета “Кавказ,” Вердеревский “В плену у Шамиля”, №51, стр.102.
16. ვერდერევსკი : 1855ბ; Газета “Кавказ,” Вердеревский “В плену у Шамиля”, №51, стр. 201, 202.
17. ვერდერევსკი : 1855გ; Газета “Кавказ,” Вердеревский “В плену у Шамиля”, №52, стр. 203, 204, 205.

18. გოზნიაკი : 2004; “პოლონელები ვარშავაში”. “პოლონელების 200 წელი კავკასიაში”. “ქართულ - პოლონური ურთიერთობები”, თბილისი, გვ. 95.
19. ზამპოლსკი : 1864; Газета “Кавказ”, Зампольский “Рецензия”, №42, стр. 387.
20. ტფილისის უწყებანი : 1828; “ტფილისის უწყებანი”.
21. იანიშევსკი : 1846; Газета “Кавказ”, Янишевский, Рецензия, №43, стр.169, 170.
22. იანიშევსკი : 1846; Газета “Кавказ, Янишевский, Музыкальный вечер, № 46, стр.34.
23. იანიშევსკი : 1847; Газета “Кавказ”, Янишевский, Первый музыкальный вечер в Тифлисе, №9, стр. 35.
24. იანიშევსკი : 1847; Газета “Кавказ”, Янишевский, Концерты г. Париса, №13, стр.49.
25. იანიშევსკი : 1847; Газета “Кавказ”, Янишевский, Рецензия, №18 стр.70.
26. იანიშევსკი : 1847; Газета “Кавказ, Янишевский, Рецензия, №38, стр.152.
27. იაროცკი : 1846; Газета “Кавказ”, Яроцкий “Письмо из Нухи”, №13, стр. 67.
28. კირაკოსოვა : 2004; კირაკოსოვა “19 საუკუნის 40 – 50 წლების თბილისის მუსიკალური ცხოვრება ლეონ იანიშევსკის პუბლიკაციებში”. 2004, “პოლონელების 200 წელი კავკასიაში”, გვ. 178. თბილისი.
29. კრიჟანოვსკი : 1853; Газета “Кавказ”, Крыжановский “Вести из Телава”, №13, стр. 54.
30. კრიჟანოვსკი : 1853; Газета “Кавказ”, Крыжановский “Вести из Телава”, №87, стр.379.
31. ლერმონტოვი : 1946; Лермонтов “Мцыри”, Л. стр.126.
32. ლერმონტოვი : 1946; Лермонтов “ Синие горы Кавказа”, Л. стр. 47.
33. ლერმონტოვი : 1946; Лермонтов “Тамара”, Л. стр. 65.
34. ლერმონტოვი : 1946; Лермонтов “Дары Терека”, Л. стр. 40.
35. ლერმონტოვი : 1946; Лермонтов “Держа кувшин над головой”, Л. стр. 92.
36. მარხლევსკი : 1961; Мархлевский, “Очерки истории Польши” М-Л, стр. 142.
37. მასალეების კრებული კავკასიის ადგილთა და ტომთა აღწერისათვის : 1881;
38. მენაბდე : 1974; Менабде “Руставели в Польше”, Тбилиси, стр 163 – 184.
39. მეტრეველი : 2004; მეტრეველი “პოლონეთ - საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან“, “პოლონელების 200 წელი კავკასიაში”, გვ. 5. თბილისი.
40. მლოკოსევიჩი : 1884; Газета “Кавказ”, Млокосевич “ Об особенностях национальной охоты в Грузии и на Кавказе”, №44, стр. 2.

41. ნესვიატსკი : 1849; Газета “Кавказ, Несвятский, “Праздник в деревне Хули у кистинцев”, №10, стр. 3.
42. ნინიძე : 2004; “ქართულ - პოლონური კულტურული ურთიერთობები საქართველოს პერიოდულ პრესაში”. “პოლონელების 200 წელი კავკასიაში”, გვ. 145. თბილისი.
43. ოდოევსკი : 1975; Одоевский “Полное собрание стихотворений и писем”. М-Л. т. 4.
44. ოცხელი : 1974; Оцхели “Польско – грузинские литературные связи в 19 веке до 1917 года”, Москва.
45. პოლიაკოვი : 1950; Поляков, “Студенческие годы Белинского. “Литературное наследство”. Стр. 56.
46. პოლონსკი : 1954; Полонский “Стихотворения”. Москва.
47. პოლონსკი : 1978; Полонский, “Грузинская ночь”, М. стр.45.
48. პროკოფიევა : 1979; Прокофьева, “Поэзия кавказской группы польских поэтов”, Москва. стр. 213, 314.
49. პროკოფიევა : 1976; Прокофьева “Об одном стихотворении Тадеуша Лады-Заблоцкого”. “Советское славяноведение”. №4.
50. პროკოფიევა : 1990; Прокофьева “Струн вещей пламенные звуки”. Москва.
51. პუშკინი : 1975; Пушкин “Вот, наконец, достигли мы ворот Мадрида”, М. т.4, стр 16.
52. პუშკინი : 1975; Пушкин “Путешествие в Арзрум”, М.т.5.
53. რავიჩი : 1971; Равич, “Жизнь и творчество польского поэта Заблоцкого”, Тбилиси.
54. რეიხმანი : 1960; Рейхман “Тадеуш Лада-Заблоцкий и Аббас Кули-Хан-Бакиханов”. “Краткие сообщения Института востоковедения”. Москва. т. 38, стр. 12.
55. სოკალსკი : 1872; Газета “Кавказ”, Сокальский “Тифлисский театр”, №122, стр. 2.
56. სტშელნიცკი : 1846; Газета “Кавказ”, Стшельницкий, “Два узденя”, №18, стр.70.
57. სტშელნიცკი : 1846; Газета “Кавказ”, Стшельницкий, “Два узденя”, № 19, стр.73,74,75.
58. სტშელნიცკი : 1846; Газета “Кавказ”, Стшельницкий, “Два узденя”, № 20, стр. 76, 77,78.
59. სტშელნიცკი : 1846; Газета “Кавказ”, Стшельницкий “Два узденя”, № 21, стр. 82,83,84.
60. სტშელნიცკი : 1846; Газета “Кавказ”, Стшельницкий “Два узденя”, № 22, стр. 87,89.
61. სტშელნიცკი : 1846; Газета “Кавказ”, Стшельницкий “Два узденя”, № 23, стр. 91,93.

62. სტუმენიციკი : 1846; Стшельницкий “Два узденя”, Газета “Кавказ”, № 24, стр. 102,104.
63. სტუმენიციკი : 1846; Газета “Кавказ”, Стшельницкий “Два узденя”, стр. 26,105,107, 21.
64. სტუმენიციკი : 1846; Газета “Кавказ”, “На смерть Стшельницкого”, №43, стр.170.
65. სტუმენიციკი : 1848; Газета “Кавказ”, Стшельницкий, “Махмудка”, №28, стр.109.
66. სტუმენიციკი : 1848; Газета “Кавказ”, Стшельницкий, “Кавказ”, №29, стр. 113.
67. სტუმენიციკი : 1848; Газета “Кавказ”, Стшельницкий “Махмудка”, № 30, стр. 116,117,118.
68. სტუმენიციკი : 1848; Газета “Кавказ”, Стшельницкий “Махмудка”, № 31, стр.121,122,123.
69. სტუმენიციკი : 1848; Газета “Кавказ”, Стшельницкий “Махмудка”, № 32, стр.124,125,126.
70. სტუმენიციკი : 1848; Газета “Кавказ”, Стшельницкий, “Махмудка”, № 33, стр.130,131,132.
71. სტუმენიციკი : 1848; Газета “Кавказ”, Стшельницкий “Махмудка”, №34, стр.136,138,139.
72. სტუმენიციკი : 1848; Газета “Кавказ”, Стшельницкий “Махмудка”, №35, стр.237, 238, 239.
73. სტუმენიციკი : 1848; Газета “Кавказ”, Стшельницкий “Махмудка”, №36, стр.141,142,143.
74. სტუმენიციკი : 1848; Газета “Кавказ”, Стшельницкий, “Махмудка”, №37, стр.145,146,147.
75. სტუმენიციკი : 1848; Газета “Кавказ”, Стшельницкий, “Новое передвижение народов”, №27, стр.12.
76. სვანიძე : 1979; Сванидзе “Грузия, страны Причерноморья и Восточной Европы в первой половине XVII в.” В кн: “Россия, Польша и Причерноморье в XV-XVIII вв”. Москва, стр. 236–247.
77. ტოლსტოი : 1996ა; Толстой “Хаджи –Мурат”, М. т.7, стр. 32.
78. ტოლსტოი : 1996ბ; Толстой, “Хаджи –Мурат”, М. т.7, стр.45.
79. ტრშასკოვსკი : 1846; Газета “Кавказ”, Тршасковский “Исторический обзор Гурии со времени поступления её в подданство России”, №49, стр.49.

80. ტრშასკოვსკი : 1846; Газета “Кавказ”, Тршасковский, “Исторический обзор Гурии со времени поступления её в подданство России”, №50, стр.56.
81. ტრშასკოვსკი : 1847; Газета “Кавказ”, Тршасковский, “О сословиях в Гурии”, №40, стр.157,158,159,160.
82. ფილინა : 1991ბ; Филина “Грузино – польские литературные взаимосвязи 19 – 20 веков”, Тбилиси. стр. 36.
83. ფილინა : 1991გ; Филина “Грузино – польские литературные взаимосвязи 19 – 20 веков”, Тбилиси. стр. 37.
84. ფილინა : 1991დ; Филина “Грузино – польские литературные взаимосвязи 19 – 20 веков”, Тбилиси. стр.38.
85. ფილინა : 1996; Филина “Грузия в “Кавказе” Матеуша Гралевского”. Материалы научной сессии филологического факультета ТГУ им. Ив.Джавахишвили. Тбилиси
86. ფილინა : 1998; Филина “Грузия в освещении ссыльных польских литераторов” (“Паломничество к могиле Александра Грибоедова.” Л. Янишевского). Материалы научной конференции “Актуальные вопросы межнациональных филологических общений”, посвященной 65-летию образования кафедры истории русской литературы и памяти Ванო Шадури. Тбилиси.
87. ფილინა : 1999; Филина “О жизни и творчестве Владислава Стшельницкого”. Доклады и материалы Международной научной конференции “Актуальные вопросы филологических наук”, посвященной 90-летию основателя кафедры русского языка № 2 ТГУ Тинатин Николаевны Мревлишвили. Тбилиси.
88. ფილინა : 1999; Филина “Польское культурное наследие на Кавказе”. Доклад на Конференции “Польская культура в эмиграции и национальное наследие за границей”. Конференция организована Сенатом Республики Польша.
89. ფილინა : 2002; Филина “Литературное наследие ссыльных поляков на Кавказе”. Материалы Международной конференции “Поляки в Грузии”. Люблин. 2002, стр.159–171 (на польском языке).
90. ფილინა : 2004; Филина “Роль группы польских “кавказских поэтов” в развитии польско-грузинских отношений”. В сб. “200 лет поляков на Кавказе. Польско-грузинские отношения”. Тбилиси.
91. ფილინა : 2007; Филина “Леон Янишевский – писатель, критик, музыкант”, “Славистика в Грузии”, №8, стр.118, 119, Тбилиси.

92. ფილინა, ოსოვსკა : 2009; Филина, Оссовска “Самооценка польских кавказских поэтов”, ” Славистика в Грузии”, № 4, Тбилиси. стр.77
93. ფილინა : 2012ა; Филина “ Судьбы поляков на Кавказе”, Тбилиси. стр. 6,7,8.
94. ფილინა : 2012ბ; Филина “Судьбы поляков на Кавказе” Тбилиси, стр. 326.
95. შადური : 1983; Шадури “Войцех Потоцкий и его русско-кавказские связи”. В кн. “Духовная культура славянских народов”. Литература. Фольклор. История. .Л. стр.162–188.
96. შადური : 1981; Шадури “Об откликах из Тифлиса на смерть Пушкина”. В кн. “Классическое наследие и современность”. Л. стр. 140–143.
97. შადური : 1979; Шадури “Покровитель сосланных на Кавказ декабристов и опальных литераторов”. Тбилиси. Стр. 33–36.
98. შამილაძე : 2001; შამილაძე “ქართულ და უცხოურ მოგზაურ – მკვლევართა ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ”. თბილისი. გვ. 181, 187.
99. ჩერნიშევსკი : 1976; Чернышевский “Что делать”, Москва. стр. 98.
100. ჭელიძე : 2007; ჭელიძე “ვეფხისტყაოსნის პოლონური თარგმანი”. “ეტიუდები კულტურათა მიჯნაზე”. გვ. 152. თბილისი.
101. ხერცი : 1841; Херц “Сборник польских поэтов XIX” в кн. 2. стр. 734.
102. ხითარიშვილი – ოცხელი : 1975; Хитаришвили-Оцхели, Изучение в Грузии польско-грузинских литературных связей. “Советское славяноведение”. №2, стр.114–121.
103. ხოდუბსკი : 1981; Ходубский “О польско-грузинских исторических взаимоотношениях”. “Литературная Грузия”. 10, стр. 121–132.
104. ჯორჯაძე : 2004; ჭელიძე “პოლონელი მუსიკოსები ვარშავაში”. “პოლონელების 200 წელი კავკასიაში”. გვ. 250. თბილისი.
105. Berliner muzikalische Zeitung : 1845; №16, 2.
106. Berliner – Figaro : 1845; №4, 1.
107. Detvremuthige : 1846, №8, 2.
108. Акты Кавказской Архивной Комиссии : 1866 – 1894; Тифлис.
109. Газета “Кавказ” 1862 : Газета “Кавказ”, “Польский мятеж”, № 11, стр.56,57
110. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, №13, стр. 45.
111. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 14, стр. 34, 35, 36.
112. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 16, стр. 65, 66, 67.
113. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, №17, стр. 23, 24, 26.
114. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 25, стр. 76, 75, 78.

115. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 29, стр. 12,13.
116. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 30, стр.154 “Кавказ”, №43, стр. 201, 202.
117. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, №47, стр. 301, 302, 303.
118. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 51, стр. 123, 124, 125.
119. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, №54, стр. 132, 134, 136.
120. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, №56, стр. 305, 306.
121. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, №57, стр. 321, 323.
- 122.Газета “Кавказ”1862 : Газета “Кавказ”,“Польские инсургенты”, №58, стр.325,326
123. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, №59, стр.221, 222, 223.
124. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 60, стр.339, 340, 341.
125. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 61, стр. 344, 345, 346.
126. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 62, стр. 349, 350, 351.
127. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 63, стр. 384, 385, 386.
128. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, №71, стр. 122, 123, 124.
129. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 75, стр. 421, 422, 423.
130. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 76, стр. 425, 426, 427.
131. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, Газета “Кавказ” 1862, № 79, стр.454, 455, 456.
132. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, №83, стр. 222, 223, 234.
133. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, №89, стр. 502, 503, 504.
134. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 91, стр.111, 112, 123.
135. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 93, стр.527, 528, 529.
136. Газета “Кавказ” : 1863; “Польские инсургенты”, №10, стр.57, 58, 59.
137. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, №11, стр. 65, 66, 67.
138. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, №13, стр.76, 77, 78.
139. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, №75, стр. 421, 422, 423.
140. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, №79, стр. 454, 455, 456.
141. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, №83, стр. 222, 223, 234.
142. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”; Газета “Кавказ” 1862, №89, стр.502, 503, 504.
143. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 91, стр.111,112,123.
144. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 93, стр.527, 528, 529.
145. Газета “Кавказ” : 1863; “Польские инсургенты”, №10, стр.57, 58, 59.

146. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 11, стр.65, 66, 67.
147. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, №13, стр.76, 77, 78.
148. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 75, стр. 421, 422, 423.
149. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 79, стр.454, 455, 456.
150. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, №83, стр. 222, 223, 234.
151. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, №89, стр. 502, 503, 504.
152. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 91, стр.111, 112, 123.
153. Газета “Кавказ” : 1862; “Польские инсургенты”, № 93, стр. 527, 528, 529.
154. Газета “Кавказ” : 1863 “Польские инсургенты”, №10, стр. 57, 58, 59.
155. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 11, стр.65, 66, 67.
156. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, №13, стр.76, 77, 78.
157. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, “Кавказ”, № 14 стр. 84, 86.
158. Газета “Кавказ” : 1863; “О Польше и восстании инсургентов”, № 15, стр. 90, 91, 92.
159. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, №18, стр.109, 110, 111.
160. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, №21, стр. 128, 129, 130.
161. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, Газета, №23, стр.135, 136.
162. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 26, стр. 162, 163, 164.
163. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 29, стр. 177, 178, 179.
164. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 31, стр. 190, 191, 192.
165. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 33, стр. 203, 204.
166. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 35, стр. 217, 218, 219, 220.
167. Газета “Кавказ” : 1863; “Особое прибавление к газете”, №38, стр. 241, 242, 243.
168. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 42, стр. 263, 264, 265.
169. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, №44, стр. 268, 269, 270.
170. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, №47, стр. 293, 294, 295.
171. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 50, стр. 311, 312, 313.
172. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 52, стр. 340, 341, 342.
173. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 54, стр. 369, 370, 371.
174. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, №60, стр. 378, 379, 380.
175. Газета “Кавказ” : 1863; “Особое прибавление к газете “Кавказ”, №63, стр. 397, 398, 399.
176. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, №66, стр. 414, 415, 416.
177. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 70, стр.433, 434, 435.

178. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, Газета “Кавказ” 1863, №74, стр. 455, 456, 457.
179. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 77, стр. 470, 471, 472.
180. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 81, стр. 490, 491, 492.
181. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, №83, стр. 501, 502, 503.
182. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 86, стр.515, 516, 617.
183. Газета “Кавказ” : 1863; “Польские дела”, № 87, стр.176, 177, 178.
184. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 88, стр. 423, 424, 425.
185. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 89, стр. 529, 530, 531.
186. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 90, стр.534, 535, 536.
187. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 95, стр. 536, 537, 538.
188. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 96, стр. 569, 570, 571.
189. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, №,97, стр.198, 199, 200.
190. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, №98, стр. 211, 212, 213.
190. Газета “Кавказ” : 1863; : Газета “Кавказ”, № 99, стр. 656, 657, 658.
191. Газета “Кавказ” : 1863; “Польский мятеж”, № 1, стр.5, 6, 7.
192. Газета “Кавказ” : 1864; “Польские дела”, №13, стр. 81, 82.
193. Газета “Кавказ” : 1864; “Польские дела”, № 17, стр. 112, 113, 114.
194. Газета “Кавказ” : 1864; “Польские дела”, № 21, стр. 137, 138, 139.
195. Газета “Кавказ” : 1864; “Польские дела”, № 25, стр. 148, 149.
196. Газета “Кавказ” : 1864; “Польские дела”, № 33, стр. 111, 112, 113.
197. Газета “Кавказ” : 1864; “Польские дела”, № 43, стр.101, 102, 103.
198. Газета “Кавказ” : 1864; “Польские дела”, №47, стр. 145, 146.
199. Газета “Кавказ” : 1864; “Польские дела”, №57, стр. 333, 334, 335.
200. Газета “Кавказ” : 1864; “Вести из царства Польского”, №64, стр. 403, 404, 405.
201. Газета “Кавказ” : 1864; “Польские дела”, № 71, стр. 431, 432, 434.
202. Газета “Кавказ” : 1864; “Польские дела”, № 79, стр. 198, 199, 200.
203. Газета “Кавказ” : 1864; “Польские дела”, № 81, стр. 512, 513, 514.
204. Газета “Кавказ” : 1864; “Польские дела”, № 92 стр.629, 630, 631.
205. Газета “Кавказ” : 1864; “Польские дела”, №98 стр.101, 202, 203.
206. Газета “Кавказ” : 1868; О концерте Г. Венявского, №126, стр.1.
207. Газета “Кавказ” : 1869; “Водопровод на Куре”, №113, стр. 5
208. Газета “Кавказ” : 1870; От редакции газеты “Кавказ”, №32, стр. 3.
209. Газета “Кавказ” : 1874; №52, стр.3

210. Газета “Кавказ” : 1876; Концерты семейства Контских, №27, стр. 3.
211. Газета “Кавказ” : 1876; Концерты семейства Контских, №28, стр. 2.
212. Газета “Кавказ” : 1876; Концерты семейства Контских, № 29, стр. 2.
213. Газета “Кавказ” : 1878; Культурная жизнь Тбилиси, № 177, стр. 2.
214. Газета “Кавказ” : 1895; Культурная жизнь Тбилиси, №25, стр.2.
215. Газета “Кавказ” : 1895; Культурная жизнь Тбилиси, №35, стр.1.
216. Газета “Кавказ” : 1895; Культурная жизнь Тбилиси, № 224, стр.1.
217. Газета “Кавказ” : 1898; Культурная жизнь Тбилиси, № 93, стр. 2.
218. Газета “Кавказ” : 1898; Концерты Р. Кочальского, №95, стр. 1.
219. Газета “Кавказ” : 1898; Культурная жизнь Тбилиси №108, стр. 4.
220. Газета “Кавказ” : 1898; Культурная жизнь Тбилиси, № 112, стр. 3.
221. Газета “Кавказ” : 1898; Концерты Р. Кочальского, №114, стр. 2.
222. Газета “Кавказ” : 1898; Концерты Р. Кочальского, №116, стр. 2.
223. Газета “Кавказ” : 1898; Культурная жизнь Тбилиси, №118, стр. 2.
224. Газета “Кавказ” : 1898; Концерты Ю. Сливинского, № 338, стр.1.
225. Газета “Кавказ” : 1898; Концерты Ю. Сливинского, №339, стр. 3.
226. Газета “Кавказ” : 1899; Культурная жизнь Тбилиси, № 89, стр. 2.
227. Газета “Кавказ” : 1899; Декламационный вечер Кисельницкого, № 82, стр. 1.
228. Газета “Кавказ” : 1899; О Варшаве, Руновский, №90, стр. 2.
229. Газета “Кавказ” : 1899; Концерт Белуцкого, № 91, стр. 3.
230. Газета “Кавказ” : 1899; Культурная жизнь Тбилиси, № 92, стр. 1.
231. Газета “Кавказ” : 1899; Культурная жизнь Тбилиси, № 110, стр. 2.
232. Всемирная история : 1978; “История Польши”, т.5. стр. 230.
233. Из истории революционного движения польского народа : 1961; Москва. стр. 357.
234. Польская поэзия и проза : 1959; Тбилиси. т. 3.

